


ცაგელაპი  
გუგული ეგვიპტი



# გუგული მგელაძე

“О слезы людские...”  
Ф. ТЮТЧЕВ

## ყესვები



თბილისი  
2007

+51.655-051(47922) + 821.353.1 - 94

17 မှတ်စွာ ၂၀၁၀ ပြည်ထောင်စုနိုင်ငံ၊ ရန်ကုန်




რედაქტორები:

ვახტანგ დონაშვილ  
რეზო კვესელავა  
ქათონ მგელაძე

။ ၉၄. ၃၇၂

© გუგული მგელაძე. 2007



მგელაძე გუგული (ყარამან) გიორგის ძე – კინორეჟისორი, ლიტერატორი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი.

დაიბადა კარგახნის წინ, 1927წლის მაისის თებერვალი; დაამთავრა თბილისის ვაჟთა პირველი გიმნაზია.

შემდეგ – მოსკოვის კინემატოგრაფიის ინსტიტუტის სამსახიობო ფაკულტეტი (მიხეილ რომის სახელოსნო).

შემდეგ – ამავე ინსტიტუტის სარეჟისორო ფაკულტეტი (გრ. როშალის სახელოსნო).

კინომოღვანეობა დაიწყო ფილმიდან „გიორგი სააკაძე“ (თამაშობდა სააკაძის შეილს – ავთანდილს).

შემდეგ ითამაშა სერგეი გერასიმოვის, პუდოვკინის, ბრაუნის და სხვათა ფილმებში. 1961 წლიდან მოღვანეობს „ქართულ ფილმში“, სადაც გადაიღო ფილმები:

„განთიადი“, „ბურთი და მოედანი“, „ბოდიში, თქვენ გელით სიკედილი“, „ცისკრის ზარები“, „სინათლე ჩვენს ფანჯრებში“, „განთიადის წინ“, „ძახილი“, (ორი ნოველა „სისხლი“ და „ელადოსი“, ნ. დუმბაძის მიხედვით), „არ დაიჯერო, რომ აღარ ვარ“, „როგორ ვიცხოვო უშენოდ“, „ფედია“, „თეთრი სახლები“ „მაცივარში ვიღაც იჯდა“, „ფესვები“ (საფრანგეთის კინემატოგრაფისტებთან ერთად), „ნარსული ყოველთვის შენთანაა“, „ჩაკლული სული“ (გრ. რობაქიძის მოთხოვნის მიხედვით), „გაჭედილები“).

შუალედში გადაიღო ორსერიანი ფილმი „ბაგრატიონი“ (ერთ-ერთი დამდგმელი რეჟისორი).

ფილმები პრემირებულია იტალიაში, რუსეთში, ბალტიისპირეთში, ბელორუსიაში, შუა აზიის ქვეყნებსა და მის საყვარელ საქართველოში.

გამოცემულიაქვს წიგნები (მოთხოვნები, ლექსების რამდენიმე ერებული, მოგონება პავლე ინგოროვაზე).

ვაჟი გიორგი მგელაძე – კინორეჟისორია, რამდენიმე „გრან-პრის“ მფლობელი ევროპასა და ამერიკაში. უფროსი ქალიშვილი ქეთინო მგელაძე ინგლისური ენის სპეციალისტია. თამუნა მგელაძე – მხატვარი. ჰყავს ორი შვილიშვილი – ლუკა და ნინო, და ერთი შვილთაშვილი – პატარა გიორგი.

## ავტორისაგან

კარგა ხნის წინათ წავიკითხე ინდოელი მწერლის პატარა მოთხრობა, სადაც ადამიანის ცხოვრება სიბერით იწყებოდა და „უკუსვლით“ მიედინებოდა. ახალგაზრდობის წლებს რომ მიაღწევს, ადამიანი იმდენად არის დაბრძენებული ცხოვრების გამოცდილებით, რომ ყველა ის თვისება, რითიც ცხოვრების ეს ხანა გამოირჩევა, მისთვის აღარ არსებობს. ხორცით ახალგაზრდაა, სულით კი – ბებერი. აღარ არსებობს ჰარმონია, ჰარმონია სხეულსა და სულს შორის.

ეს იგავი, ჩვილი ბავშვის გარდაცვალებით მთავრდება, და ეს არის საზარელი!

ვერ შეცვლი ბუნების წესს და რიგს!

ვიბადებით, ვიზრდებით, ვნვალობთ, ვბერდებით! ბოლოს, ვცხოვრობთ მოგონებებით, თითქოს, ვიმეორებთ განვლილ გზას, და... ყველაფერი ბუნებრივად მთავრდება... იბადება ახალი.

ბევრ საინტერესო ადამიანს შევხვდი ცხოვრების გზაზე, იყო მზეც და ღრუბელიც, იყო დანდობაც და ღალატიც. მაღლა სვლაც და დაცემაც... იყო, ყველაფერი იყო!

გიამბობთ, რაც დამამახსოვრდა.

ზოგს ღიმილითა და ზოგსაც სევდით.

## მზე და დრუპელი

ჭიათურა ჰქვია იმ პატარა დაბა-ქალაქს, სადაც ბავშვობა გავატარე. ყველაზე ნათლად შავი ყვირილა და ერთი პატარა გოგონა მახსოვს...

ჩვენი ოჯახი ხუთი სულისაგან შედგებოდა: მე, დედა, მამა, ბებია და ჩემი და.

მამა მარგანეცტრესტში მუშაობდა მთავარ ინჟინრად.

ტრესტის ინჟინრებს „ფორდის“ ტენტიანი მანქანები დაურიგეს, მათ შორის ბეთანელსაც, მამას კი რატომლაც არ მისცეს. ბეთანელს, ეტყობოდა, ეს აწუხებდა, თავის ახალშერთულ მეუღლესთან ერთად მეც ჩამსვა მანქანაში და ჭიათურის ქუჩებში გაგვასეირნა. ბეთანელს ცუდად დაპყავდა მანქანა - კაცი, გვერდით რომ ეჯდა, სულ რაღაც შენიშვნებს აძლევდა....

ერთხელ მამა სამსახურიდან გუნებანამხდარი დაბრუნდა, სადილს არ გაჰკარებია, ოთახში აქეთ-იქით დადიოდა და პაპიროსს პაპიროსზე ენეოდა.

მითხრა ლადოს მანქანაში არ ჩაჯდეო.

ნურავინ იფიქრებს, ექვსი წლის ბავშვს არაფერი გაეგება ამ ცხოვრებისა. საერთო სამზარეულოში შემთხვევით შევესწარი მეზობლების ლაპარაკს და გავიგე, რომ მამა ტრესტის საერთო კრებაზე კარგა მაგრად დაემუშავებინათ. ლამის მავნებლობას აბრალებდნენ. ისიც კი უთქვამთ, სამსახურიდან რომ ბრუნდება, ცხენს მათრახს უტყლაშუნებს და თავლაში ამწყვდევსო. ერთ-ერთი ბრალდება ისიც ყოფილა, ბელგიაში აქვს დამთავრებული უმაღლესი და ასეთი კაცისაგან რა სიკეთეს უნდა ველოდეთო (ყვირილა რომ შავი ფერისაა, ალბათ, ესეც იყო მისი ერთ-ერთი დანაშაული).

მთავარი მომხსენებელი ლადო ყოფილა, ბეთანელი (მამას ნამონაფარი).

მე მაშინ თითქოს რაღაცას ვხვდებოდი, ის კი ვერაფრით გამეგო, რატომ გასწირა ასე უმოწყალოდ მამაჩემი კაცმა, რომელ-

საც მამამ ოთახი დაუთმო, უზიარებდა თავის გამოცდილებას და ხშირად მას და ახლადშერთულ მეუღლეს ჩვენთან სადილად პატიუებდა.

იმ დღის შემდეგ (როცა კრებაზე დაამუშავეს), მამა რაღაც-ნაირად შეიცვალა, სულ მუდამ ჩაფიქრებული დადიოდა.

...დილით ლადო ბეთანელის მეუღლის ხმამ გამაღვიძა. დე-დაჩემს ელაპარაკებოდა. ნაწყვეტ-ნაწყვეტად მესმოდა სიტყ-ვები: „...ბალზამირებაზე ლადო იზრუნებს...“ „...რას იზამთ, ქალბატონო სალომე, რას იზამთ!..“

საძინებლის ნახევრად ღია კარიდან ვხედავდი ჩვენს მე-ზობლებს. ზოგი შემოდიოდა, ზოგი გადიოდა. ჩემს უფროს დას ნუნუს რომ გაეღვიძა, ტიტლიკანა გავარდა იმ ოთახში...

მერე შემობრუნდა ატირებული...

რამდენიმე დღის შემდეგ ბებია ნუცას კუბო ბეთანელმა და მარგანეცტრესტის სამმა ინუინერმა ჩვენი ბინიდან გაი-ტანეს.

მახსოვს, ნისლიანი დღე იყო. მე და ჩემი და ვიდექით ფან-ჯარასთან და ვხედავდით, როგორ მიჰყავდათ ჩვენი საყვარე-ლი ბებია...

...ერთ დღეს მამამ ოჯახის ნევრებს გამოგვიცხადა, თბი-ლისში გადავდივართ საცხოვრებლადო!

რამდენიმე დღის შემდეგ ჭიათურიდან ნამოვედით... დავტო-ვეთ იქ ნანილი ჩვენი სულისა და ბებიის საფლავი.

...ჩამოვედით მთელი ოჯახი თბილისში. სუსხიანი დღე იყო. სადგურის მოედანზე მამამ ფაიტონი იქირავა... ვზივარ გვერდზე გადახრილ ეტლში გავცქერი დათოვლილ ქუჩებს, ჩემენ მომავალ დიდ სახლებს, მესმის ქვაფენილზე ცხენე-ბის ფლოქვების ხმა, მეეტლის შეძახილები და მათრახის ტყლაშუნი... ჭიათურის შემდეგ სულ სხვა სამყაროში აღმო-ვჩნდი.

დავბინავდით მაშინდელ „საპიორნის“ ქუჩაზე, ერთ პატარა ოთახში. მეორე დღეს მე და ჩემი და მამამ „ალექსანდროვის ბალ-ში“ წაგვიყვანა. ნაირფერი „ცხენები“, „ლომები“, „უირაფები“ და

ზედ შემომსხდარი ბავშვები წრიალებდნენ (ამას თურმე „კარუსელი“ ერქვა). ზამთრის მზიანი დღე, სასულეო როგორივის კესტრის ხები და უგემრიელესი ირისი ნარმოუდგენელი ბედნიერება იყო ჩვენთვის, პროვინციიდან ჩამოსული ბავშვებისთვის. როგორც კი გაჩერდა „კარუსელი“ და მშობლებმა ბავშვები გადმოსხეს, მე და ჩემი და მაშინვე შემოვსკუპდით ლამაზ „უირაფებზე“. ცალთვალა, გაუპარსავმა კაცმა ბილეთები ჩამოგვართვა და დატრიალდა კარუსელი, დატრიალდა თეთრ სამოსელში გახვეული ბალიც...

ტრიალებდა „კარუსელი“, ჩვენ თვალნინ გაიელვებდა ხოლმე ბედკრული მამაჩემის სახე, და ახლა ვხვდები, რომ ეს მთელი ჩვენი ცხოვრება ერთი გაელვება ყოფილა თურმე...

ერთხელ ახლობლის დაბადების დღიდან ვბრუნდებოდით (რა ბედნიერი იყო მამა იმ საღამოს – მხიარული, ენამოსწრებული). „ზემელზე“ მაღაზიის განათებულ ვიტრინაში დავინახე სამი სხვადასხვა ფერის სამი საბავშვო მანქანა. გავუბედე და და ვთხოვე მამას, ეყიდა. მამა დამპირდა: „ხვალ, გაიღება თუ არა მაღაზია, აუცილებლად გიყიდიონ“. სამი ფერიდან, გუნებაში ცისფერი ავირჩიე და მთელი ღამე გათენებას ველოდი. მანამდე კი ჩვენს მეზობელ ბავშვებს ვახარე, ხვალ „მანქანა“ მეყოლება და რიგრიგობით გაგასეირნებთ-მეთქი.

მამამ რომ გაიღვიძა, მაშინვე გვითხრა – აბა ჩაიცვით და წავიდეთ მანქანის საყიდლადო.

– ხომ არ გადაირიე გიორგი, პურის ფული არ გვაქვს... რა დროს მანქანაა! თქვა დედაჩემმა – Брось, пожалуйста, эти фордовские замашки! მეგონა ამით ყველაფერი დამთავრდა.

შუადლისას მეკურტნე მუშამ ჩემი არჩეული მანქანა დერეფანში შემოგვიტანა და უხმოდ წავიდა.

მამა ფანჯრიდან გვიყურებდა. ვიგონებ მის ბედნიერ სახეს და გული მენვის.

პეტერბურგში მცხოვრებმა მამიდაჩემმა ბაბულიამ, მეუღლის დაპატიმრების შემდეგ (მეცნიერი იყო, ასე მახსოვეს) ბინა გადაცვალა და თბილისში გადმოსახლდა. მამიდა განათლებული და მეტად გულმონყალე ქალი გახლდათ. შევეცოდეთ, ამ-დენი ხალხი ერთ პატარა ოთახში რომ ვცხოვრობდით და თავის

სამოთახიან ბინაში გადაგვიყვანა, ჩერქეზოვის ქუჩაზე. მანვე შემოიკედლა უსახლკაროდ დარჩენილი დეიდაჩემი ელენეც.

...ერთ დღეს ჩემი უფროსი და სადლაც დაიკარგა. დედამ დიდხანს ეძება მეზობლებში, ქუჩებში, მაგრამ ვერსად ნახა.

კუკიის სასაფლაოზე ვინმეს თუ ასაფლავებდნენ, პროცესია ჩვენი ქუჩით ჩაივლიდა ხოლმე. როგორც კი სამგლოვიარო მუსიკის ხმას გავიგონებდით, დიდიან-პატარიანად ფანჯრებში გამოვეფინებოდით. იმ დღესაც ვიღაცას ასაფლავებდნენ. ვდგავართ მე და ჩემი ხეიბარი დეიდა ელენე ფანჯარასთან და გავცექრით ქუჩის სილრმიდან მომავალ პროცესიას. სულ ნინ მიცვალებული კაცის სურათი მოაქვთ, სასულე ორკესტრი შოპენის სევდიან მელოდიას უკრავს. ორკესტრს მოჰყვებიან ყმანვილები გვირგვინებით ხელში. უცებ, მათ შორის დავინახე ჩემი და! მასაც ხელში გვირგვინი ეჭირა და ფეხშიშველა, სამგლოვიარო მუსიკის ტაქტში, სხვებთან ერთად მოაბიჯებდა დამწუხრებული.

„დედა, ნუნუ!“ – გავძახე დედაჩემს, რომელიც მეორე ოთახში მაგიდასთან იჯდა თვალებზე ხელაფარებული. დედაჩემი იმ ნუთას ფანჯარასთან მოიჭრა, მერე სწრაფად კარისაენ გაიქა.

„ნუნუ!“ – დავუძახე ჩემს დას.

ორკესტრი ისე ხმამაღლა უკრავდა, ვერ გავაგონე.

...დედამ სახლში რომ შემოიყვანა ნამტირალევი, სახემოსვრილი ჩემი და, რატომლაც ძალიან შემეცოდა... ირისის საყიდლად გასულიყო სახლიდან, გზაში ვიღაცა კაცს ხელში გვირგვინი მიუჩეჩებია და უთქვამს: „მწკრივში ჩადექი და ორკესტრს გაჰყევიო!

მამამ, სამსახურიდან რომ დაბრუნდა და დედამ ეს ამბავი უამბო, ბევრი იცინა. მერე მეზობელი ქალი შემოვიდა ჩვენთან და საზარელი ამბავი გვიამბო – კაცს, რომელსაც ასაფლავებდნენ, თავი მოუკლავს. შინსახკომელები მისულან მასთან სახლში და დაპატიმრების ორდერი რომ უჩევენებიათ, მესამე სართულის ფანჯრიდან გადმომხტარა. მამამ ეს რომ გაიგო, სახე შეეცვალა. მეორე ოთახიდან გავიგონე, დედას უთხრა: ჩემოდანში თბილი საცვლები ჩამილაგე და ყველაფრისთვის მზად იყავიო.

სკოლა, სადაც მე და ჩემი და ვსწავლობდით, მაზუთის ქუჩა-  
ზე იდგა, ჩვენს სახლსა და მაღანების ბაზარს შორის.

**მაგონდება:** ლენინის გარდაცვალების მეცამეტე წლისთავ-  
ზე (თუ არ ვცდები), მონაფეებს და მასწავლებლებს დიდ დარ-  
ბაზში მოგვიყარეს თავი და სკოლის დირექტორმა, გვარად გორ-  
დელაძემ, ტრიბუნიდან ასეთი სიტყვებით მოგვმართა:

„ცამეტი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც აღარ გვყავს ადამი-  
ანი-გენია, ვინც თქვენ, საბჭოთა ბავშვებს, ეს საამური ცხოვ-  
რება მოგიტანათ. ცამეტი წელი გავიდა, რაც გარდაიცვალა ჩვე-  
ნი დიდი ბელადი... სტალინი!“

მე არ შემშლია, მკითხველო, ეს ჩვენი სკოლის დირექტორს  
შეეძლა და ლენინის მაგივრად, სტალინი თქვა.

(ჩემი თაობის ხალხმა იცის, რას ნიშნავდა მაშინ ასეთი შეც-  
დომა).

დარბაზი გაირინდა. სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა.

დირექტორი მაშინვე მიხვდა თავის საბედისნერო შეცდო-  
მას და ფერი დაეკარგა. ათრთოლებული ხელით გრაფინიდან  
ნყალი დაისხა, არ დაულევია, ტრიბუნიდან ჩამოვიდა, კარები-  
საკენ წავიდა ფეხარეული. მერე შეჩერდა, კედელს მიეყრდნო.  
არავინ წაშველებია...

რამდენიმე დღის შემდეგ ახალი დირექტორი დაგვინიშნეს.

გორდელაძე კი იმ დღის შემდეგ აღარავის გვინახავს...

იდგა ათას ცხრაას ოცდაჩვიდმეტი წელი.

28 დეკემბერი უჩვეულო მზიანი იყო.

სკოლიდან რომ დავბრუნდი და ჩვენს ეზოში შევედი, შევამ-  
ჩნიე, მეზობლები რაღაც უცნაურად მომჩერებოდნენ და ხმას  
არ იღებდნენ...

ავიარე ჩვენი ბინის ხის საფეხურები, კარები შევაღე და გავ-  
ქვავდი.

ბინაში ყველაფერი არეულ-დარეულია. იატაკზე ნიგნები და  
კარადიდან გადმოყრილი ტანსაცმელი ყრია. ერთი შინსახუმე-  
ლი მაგიდას უზის, ფოტოებს ათვალიერებს. საცვლების ამარა,  
ლოგინზე წამომჯდარ მამას რაღაც შეკითხვებს აძლევს (დილით  
სკოლაში რომ წავედი, მამა სიცხიანი ავადმყოფი დავტოვე). მე-  
ორე სქელშავნარბიანი შინსახუმელი ბუხართან არის ჩაცუც-  
ქული და იქ რაღაცას ეძებს.

მამას სახე გაფითორებია, მაგრამ ლირსებას არ ჰყარგავს. იცვამს, თან შეკითხვებზე პასუხობს. დეიდაჩემი ელენე და ჩემი და, რომელიც ჩემზე ადრე მისულა სკოლიდან, კედელს გაკვრიან (მამიდა ბაბულია მივლინებაში იყო). მე ეზოში გავვარდი, რატომლაც ქვა ავიღე და ანგარიშმიუცემლად, მინაზე რაღაცის ხაზვა დავიწყე. ბოლომდე ვერ გამიგია რა ხდება; გაოგნებული ვარ და თავს მაღლა ვერ ვნევ... კარგა ხნის შემდეგ ოთახში ვბრუნდები და იქვე შესასვლელთან კედელთან აკრულ ჩვენიანების გვერდით ვდგები.

მამა უკვე ჩაცმულია და იღლიაში ამოდებული საბნით ელოდა როდის წაიყვანდნენ.

„საბანს თოკს შემოვაკრავ, გიორგი!“ – ძლივსლა ახერხებს დეიდაჩემი.

„Нет нужды... Мы на машине“ – ამბობს ერთი შინსახეომელი და მაგიდიდან ქალალდების შეკვრას იღებს.

„მამა რიგრიგობით გვეხვევა, გვკოცნის. „მალე დავბრუნდებიო“ გვეუბნება და ოთახიდან გადის. შინსახეომელები მიჰყვებიან...

დეიდა უხმოდ ტირის, მექანიკურად ალაგებს არეულ ოთახს.

საყიდლებზე წასული დედაჩემი შინ რომ დაბრუნდა და მამა ლოგინში არ დახვდა, განყრა:

„მე ხომ ვთხოვე, არ ამდგარიყო, რატომ არ დამიჯერა?“

დეიდა ელენე უცებ ხმამაღლა ატირდა და ვერაფერი ვერ თქვა. ჩვენც, მე და ჩემი დაც, დამუნჯებულები ვისხედით მამაჩემის აულაგებელ საწოლზე.

ნუნუ ხელს უსვამდა ბალიშს, ეფერებოდა.

დეიდა ელენემ ტირილი შეწყვიტა და ჩვეულებრივად, ის კი არა, მომეჩვენა, ცივადაც კი თქვა:

– გიორგი წაიყვანეს.

და ჩამოწყვა სიჩუმე. იმ სიჩუმის მუხტი დღესაც მახსოვს.

დედაჩემმა, ჩვენთვის ნაყიდ ფერად ბუშტებს, ხელი უშვა... ბუშტები მაღლა აფრინდნენ, ჭერის კუთხეში მიიყუჟნენ(მერე ეს ბუშტები სულ უფრო პატარავდებოდნენ, იკრუნჩხებოდნენ და ასე მგონია, ისინიც განიცდიდნენ ჩვენს საცოდაობას).

გაოგნებულებს არ მოგვაგონდა, რომ, თბილისში დაბადებული ჩემი უმცროსი, სამი წლის და, საბავშვო ბალიდან იყო მოსაყვანი...

დედა ყოველ ღამეს ძერუინსკის ქუჩაზე, შინსახკომის კარებთან იდგა და ცდილობდა ამანათი გადაეცა მამასთვის.

ერთ ასეთ ღამეს შინსახკომის ეზოდან საბარგო მანქანა გამოვიდა და დედამ თვალი მოჰკირა რამდენიმე კაცთან ერთად ძარაზე მდგარ წვერმოშევებულ მამაჩემს. დედას შეშინებია, სახელი რომ დაეძახა მისთვის და ჩვენს სახელებს იძახდა რიგრიგობით: „ნუნუ, გუგული, ლამარა!“ (სწორედ იმ ღამეს დაეხვრიტათ მამა). იმ დღის შემდეგ დედას კიდევ რამდენიმე თვე დაპქონდა ამანათი.... უკვე დახვრეტილი კაცისთვის.

იქ კი ღებულობდნენ!

კარზე რაღაც რკინის საგნით დააკაკუნეს.

კარი მე გავაღე. ოთახში ორი კაცი შემოვიდა.

– სალომე ბიძინას ასული თქვენა ხართ? – კითხა დედას ერთმა.

– ილიას ასული! – გაუსწორა შემკრთალმა დედამ.

კაცმა ქალალდს დახედა. – არა, ბიძინას ასული!

– რა მნიშვნელობა აქვს. – თქვა მეორემ, – შეცდომაა. დიდებულიძე ხომაა და გათავდა! აი დაჭერის ორდერი. დაპატიმრებული ხართ. უნდა წამოხვიდეთ.

დედამ შემოგვხედა და მუხლები ჩაეკეცა.

პირველი მიეშველა და სკამზე ჩამოაჯინა. შეშინებულ ბავშვებს შემოგვხედა – დავაზუსტებთ, ქალბატონო, თქვენს მამის სახელს. წავედით!

– ნათესავია? – ჰკითხა მეორემ (თითქოს ნათესავებს ინდობდნენ).

– წავედით! – ხმას აუნია პირველმა.

წავიდნენ. (მერე აღარც მოსულან), ჩვენ კი სულ ველოდით. ყოველ ფხაკუნზე გული გვისკდებოდა.

ახლალა ვხდები, რა მაგარი ყოფილა საწყალი დედაჩემი.

დროდადრო ვფიქრობ მამაჩემზე. რა უმოწყალო იყო ბედი მისი... დაამთავრა ბელგიაში ინსტიტუტი, შეირთო გერმანელი

ქალი და ჩამოიყვანა საქართველოში. შეეძინათ ვაჟი – ვალოდია. დედა ვერ მოესწრო შვილის დავაუკაცებას, ჭლექით გარდაიცვალა. ვალოდია გაპყვა მამის კვალს – ჩააბარა ელექტროსაინუინროზე. 19 წლისა გაცივდა და ისიც გარდაიცვალა იმავე ავადმყოფობით. მამამ შეირთო მეორე ცოლი. გავჩნდით ამქვეყნად ჩვენ – მე და ჩემი ორი და. ახალმა ოჯახმა გადაატანინა ის დიდი ტკივილი (ახლა უკვე ჩემს მამას), რისი გადატანაც შეუძლებელი ჩანდა. ბედნიერი იყო თითქოს... სულ ცოტა ხანს. აღარ აცალა განგებამ, უფრო სწორედ სისტემამ, 1937 წლის 28 დეკემბერს დაიჭირეს, ორი კვირის შემდეგ დახვრიტეს.

ნათევამია, კაცი ცოცხლობს სანამ იგონებენ, სანამ ახსოვთ, სანამ ის „არსებობს“ სხვებში.

მამაჩემი რომ დახვრიტეს, ათი წლის ვიყავი. მისი მეგობრები, ახლობლები, ჩვენი ნათესავები ყოველ შეხვედრისას გვიბრუნებდნენ მამაჩემის მიერ მათვის განეულ სიკეთეს. ეს ხდებოდა ან ჩვენ ოჯახში მოსვლისას, ან ქუჩაში შეხვედრის დროს. მაღაზიაში შეგვიყვანდნენ და რაიმეს გვიყიდიდნენ, ან უბრალოდ ტკბილ სიტყვას გვეტყოდნენ... ასეთ დროს მე ნათლად ვგრძნობდი, რომ მამაჩემმა კაცურად იცხოვრა ამ ქვეყანაზე.

სკოლაში რამდენიმე მონაფე, როგორც ტროცკისტის შვილები, განცალკევებით ვისხედით უკანა მერხებზე.

...მამიდაჩემმა, ვისთანაც მაშინ ვცხოვრობდით, ლენინგრადიდან რომ გადმოსახლდა, ძვირფასი ავეჯი ჩამოიტანა. ამ ავეჯის ნართმევის უფლება თითქოს შინსახკომს არ ჰქონდა (მათ ჰქონდათ ყველაფრის უფლება).

ერთ დღეს, როცა დედა შინ არ იყო, ფორმიანი კაცი და ოთხი მეკურტნე მუშა მოგვადგა აღწერილი ავეჯისა და როიალის ნასაღებად. დეიდაჩემმა ჯერ არ დაანება, რაღაც პროტესტისმაგვარი განუცხადა.

შინსახკომელმა დეიდას უყვირა:

– მაშინ ხელი მომინერე, ქალო, რომ შენ ქათამაძის ნინაალ-მდეგი ხარ (ქათამაძე შინსახკომის უფროსი გახლდა) და აკან-კალებულ ქალს რაღაცა ქალალდი აუფრიალა თვალნინ.

ერთ მეკურტნეს როიალისათვის თავი აეხადა და თითს უბრახუნებდა ერთსა და იმავე კლავიშს (ამ ხმამ გონება ამირია).

„ნაიღეთ!“ – თქვა ბოლოს დეიდაჩემმა და მომეჩევენა, რომ ეს ხეიბარი, პატარა ქალი, კიდევ უფრო დაპატარავდა.  
...დაგვიტოვეს ერთი მაგიდა, საწოლები და რამდენიმე სკა-მი...

მამიდაჩემი, ინტელიგენტი, ფაქიზი სულის ადამიანი, ცოტა ხანში სისხლის ჩაქცევით გარდაიცვალა.

ჩვენ ბინიდან გაგვყარეს და ისევ ერთ პატარა ოთახში ჩაგვამწყვდიეს თეატრალურ შესახვევში.

დაიწყო ომი.

ძალიან რომ გაგვიჭირდა, მე და დედაჩემი ქართლის სოფელ მერეთში ნავედით ტანისამოსის სანოვაგეზე გადასაცვლელად... როცა მამაჩემის კოსტუმის სანაცვლოდ, გლეხეაცი ლობიოსა და ხახვა გვიწონიდა, დედას სახეზე ფერი ეცვალა. გლეხეაცმა ეს შენიშნა, ალბათ, რაღაც ინტუიციით თუ იგრძნო, რას ნიშნავდა ეს ტანსაცმელი ჩვენთვის, და თოფრა პირამდე აგვივსო სანოვაგით. დედამ უთხრა: „მეტი მოგივიდათო“. გლეხეაცმა მამას პიჯაკი ხელში ატრიალა, და „შარი მოგვდო“ – „რათ მინდა ეს ჩრჩილნაჭამი... ნაიღეთო!“

კოსტუმიც და სანოვაგით სავსე თოფრა, ხელში მიაჩინა დედაჩემს.

თან სულ მე მიყურებდა, – ყოფას რა ვუთხრა ჩვენსასო, – ჩაილაპარაკა და თვალებზე ხელი აიფარა. ბოლოსლა შევამჩნიე, – გულთან, სამხედროფარაჯიანი ბიჭის სურათი ეკიდა შავი არშიით.

რამდენმა დრომ განვლო მას შემდეგ...

ნათელში ამყოფე, ღმერთო, იმ გლეხეაცის სული!

ხშირად ვფიქრობ ხოლმე ცხონებულ დედაჩემზე.

მბეჭდავ-მემანქანე გახლდათ. ბავშვები რომ ფეხზე დავეყნებინეთ, ორ სამსახურში მუშაობდა, დილიდან გვიან ღამედე. დასვენებისას შეირბენდა ბაზარში, იყიდდა სანოვაგეს, მოირბენდა სახლში, დაგვაპურებდა და ახლა უკვე მეორე სამ-სახურში მიეშურებოდა.

მიკვირს, რამდენს ახერხებდა ეს პატარა ქალი იმ მძიმე ხანაში! იმასაც კი, თბილისიდან, დროდადრო, ჭიათურაში ჩასულიყო და დედამისის (ბებია ნუცას) საფლავისათვის ეპატრონა...

...როგორ არია იმ უკულმათრმა დრომ ყველაფერი! საფლავებიც კი!  
ბებია ჭიათურაშია დასაფლავებული.  
დედაჩემი თბილისში.  
მამა კი... სად არის მისი საძვალე, ღმერთმა თუ უნყის!“





ნინაპრები და შთამომავალნი. პირველ რიგში: გუზიკა,  
ნუნუ, მე, ნათელა და ვახტანგი. უკანა რიგებში: მამი-  
დები, ბებია და ბიძები.



ბაბუა ყარამან მგელაძე



ბებია ტასიკო



მამა, გიორგი მგელაძე

დედა, სალომე დიდებულიძე და ჩემი და ნუნუ.



მამიდები:  
ნინუცა,  
თამარა,  
ლუბა.  
მამიდაშვილები:  
ვახტანგი  
და გუზიკა.  
შუაში  
მამიდა  
ლუბას  
მეუღლე  
ალექსან-  
დრე ალა-  
დაშვილი



მამიდა ბაბულია



ჩემი ძმა ვალოდია და მე




ჩემი მეულე ლეილა და  
პატარა თამუნა



ჩემი დები: ლამარა და  
ნუნუ

საქართველოს
კულტურის
მუზეუმის
ეროვნული
ფოტოგалერეა

სიჭაპუკეში



თამუნას-  
თან და  
ქეთინოს-  
თან ერ-  
თად



მე და თამუნა



თამუნა

ერთობლივ განვითარება  
ერთობლივ განვითარება  
ერთობლივ განვითარება

## ალიანდრა

(პირველი როლი კინოში)

მეორე მსოფლიო ომი ახალი დაწყებულია. მაღაზიიდან სახლში მოვდივარ წიგნაკებით აღებული ჩვენი ულუფა პურით.

ვიღაცა ქალი ამედევნა. ხან მარცხნიდან შემხედავს, ხან მარჯვნიდან. გავჩერდი. მომიახლოვდა – რამდენი ნლის ხარო, მკითხა.

- რამდენიც საჭიროა, იმდენის-მეთქი.
- თითო დამიქნია, მერე გამილიმა.
- კინოსტუდია იცი სად არის?
- ვიცი!
- ხვალ იქ მოხვალ. ალიანდრას იკითხავ. შეიძლება კინოში გადატოვოთ. – თქვა და წავიდა...

მეორე დღეს მივედი კინოსტუდიაში. ვნახე ალიანდრა. ცივად შემხვდა.

- ეს ჰალსტუხი რა უბედურებაა!.. ახლავე მოიხსენი!
- მოვიხსენი და ჯიბეში ჩავიდე.
- წამოდი, წამოდი – ხელი მომკიდა და პავილიონში შემიყვანა, სადაც „გიორგი სააკაძის“ სასინჯი გადაღებები მიდიოდა.
- მიხაილ ედიშეროვიჩ – მიმართა ალიანდრამ ნახევრად მელოტი კაცს, ბუტერბროდს რომ მიირთმევდა – აბა, ამ ბიჭს შეხედეთ!

შემომხედა და უცებ თქვა:

- ჩააცვით, დაახურეთ პარიკი, დაუნიშნეთ ხელფასი და ხვალე მოიყვანეთ გადაღებაზე!
- პავილიონიდან რომ გამოვდიოდით, ალიანდრას ვკითხე, ვინ უნდა მეთამაშა.
- გიორგი სააკაძის უფროსი შვილის როლიო!

– თან ფულსაც მომცემენ?

– ვერ გაიგონე, ჭიაურელმა რა თქვა?

ეს ყველაფერი ისე უცებდა ისე უბრალოდ მოხდა, რომ ვერ დავიჯერ. ფულსაც მომცემედნენ?

მე კი მეგონა, კინოში რომ გადაგილონ, ფული იქით უნდა გადაიხადო, როგორც ფოტოგრაფთან. ასე მეგონა.

სახლში რომ მოვედი, საწყალი მამაჩემის პალსტუხი ისევ ნაფტალინში ჩავდე.

.....

გადაღებებით ისე ვიყავი მოჯადოებული, სულ სტუდიაში ვეგდე. ყველა გადაღებას ვესწრებოდი, ვიყავი საჭირო თუ არა (სკოლა ვის ახსოვდა!). დღესაც ზეპირად მახსოვს ყველა ეპიზოდის თითქმის ყველა ტექსტი. ერთი სცენა კი განსაკუთრებით დამამახსოვრდა.

პავილიონში აგებულ დეკორაციაში, რომელიც სააკაძის სადარბაზოს წარმოადგენდა, რამდენიმე რიგად გაშლილ მაგიდებს „თავადაზნაურობა“ და „მეფის ამალის ნევრები“ უსხდნენ. შემწვარ-მოხრაული ფრინველი, გოჭები თუ ინდაურები უხვად ელაგა სუფრაზე. ეს იმ დროს, როცა ბაზარში, მსახიობის თვიური ხელფასით ჯონჯოლს თუ იყიდდა კაცი.

მიხეილ ჭიაურელმა აკაკი ხორავასთან (გიორგი სააკაძის როლის შემსრულებელთან) რეპეტიცია დაამთავრა და ის იყო გადაღება უნდა დაწყებულიყო... საჭმლის ნასახიც აღარ იღომავიდებზე. „მეფის ამალის“ მშიერ ნევრებსა და „თავადაზნაურობას“ სუფრა მთლიანად მოესუფთავებინათ.

...არც ჭიაურელს და არც სურათის დირექტორს, ცირლიაძეს, ამ დიდებულ კაცს, ერთი უბრალო საყვედურიც არ დასცდებიათ მსახიობების მიმართ.

ცირლიაძემ მარტივად გადაწყვიტა პრობლემა.

გადაღება გადადო.

ორი დღის შემდეგ კი რაღაც სასწაულით, ისეთივე პურმარილი დაახვავა მაგიდებზე. გადაღების ნინ ცირლიაძემ, მისი ჩვეული, ოდნავ შესამჩნევი ლიმილით, გადახედა სუფრასთან მსხდომ „დიდებულებს“ და პავილიონიდან გავიდა.

...გადალებამ შესანიშნავად ჩაითარა. არა თუ გადალებაზე, გადალების შემდეგაც კი კაციშვილი არ გაკარებია საჭმელს.

...ზღაპრული პურმარილისთვის... ნავთი გადაესხათ.

ეს ამბავი ალბათ იმიტომ უფრო დამამახსოვრდა, რომ ჩვენი დღიური ნორმა ბარათებით მიღებული პურისა 300-400 გრამს შეადგენდა.



## პონდო

დაღამდებოდა თუ არა, მთელი ჩვენი ქალაქი უკუნეთ სიბ-ნელეში იძირებოდა (შუქმენილბვის მკაცრი წესი მოქმედებდა).

ჩვენი უბნის ბიჭები ერთ-ერთი ეზოს შესასვლელის თაღს შეფარებოდნენ და მუჯში დამალულ პაპიროსს რიგრიგობით ენეოდნენ.

სამნი იყვნენ.

ერთს ბონდო ერქვა, დანარჩენ ორს უბანში შერქმეული სახელები – ნრიპა და შაშუბეშა.

ბონდო ყველაზე ჯანიანი იყო.

შაშუბეშა და ნრიპა გამხდარ-გაჩხრიკულნი, როგორც უმ-რავლესობა ომისდროინდელი ჩვენი თაობისა.

ქუჩის ბოლოში ორი სამხედრო პატრული დაილანდა და კუთხეს მიეფარა. ბონდომ მათ თვალი მოაშორა და შაშუბეშას ჰქითხა:

– შეგიძლიან ერთი დარტყმით კაცის წაქცევა?

– ბიჭო, შენ რა სულ იდიოტური აზრები მოგდის მაგ პატა-რა თავში! – (თავი ბონდოს ზომაზე დიდი ჰქითხა).

– ვინც ერთი დარტყმით ამ ქუჩაზე გამვლელს მიწაზე ტრაკით დასვამს, – თავისასარი იშლიდა ბონდო, – პურმარილს ვკისრულობ.

– რო მოკვდეს?

– მოკვდეს არა, ტო! ნოკაუტი რა! – ბონდომ თავისი ვეება მუშტი ლოყაზე მიუცაცუნა შაშუბეშას.

შაშუბეშა წაბარბაცდა.

– იდიოტობაა!

– ჯო ლუისი იდიოტია?

– არა, ბიჭო, ლევ ტოლსტოია! აბა, რა ჩემი ფეხებია.

– შენ იკისრებ? – ჰქითხა ნრიპამ ბონდოს.

– რატომაც არა!

ლოდინი დიდხანს არ დასჭირდათ. შორიდან ქოლგიანი კაცის სილუეტი გამოჩნდა.

ბონდოს შეეტყო, ღელავდა.

ქოლგიანი მათ მიუახლოვდა.

„საფარიდან“ ბონდო გამოვიდა და თავისი ვეება მუშტი ქოლგიანს ხეთქა.

ქოლგიანი მოცელილივით დაეცა ტროტუარზე.

ბონდო, შაშუბეშა და წრიპა უცებ გაუჩინარდნენ.

გვიან ღამით, ნასვამი ბონდო სახლში რომ მისულა, კარი მეზობელ ქალს გაუღია და უთქვამს:

– ბონდო!... მამაშენი!..

– რა, მამაჩემი?

– ეს-ეს არის სასწრაფოთი წაიყვანეს, პატრულებს უნა- ხავთ... უგონოდ ეგდო ჩვენს სახლთან.

ბონდო ახლალა მიხვდა, რა ჩაიდინა!

სკოლაში აღარ გამოჩენილა.

16 წლის ჩვენი მეგობარი, ომში წავიდა...

აღარ დაბრუნებულა.



## პირველი საშუალო სკოლა

მე-9 კლასიდან პირველ საშუალო სკოლაში (ეხლა პირველი გიმნაზიარომ ჰქვია) ვსწავლობდი, რუსთაველზე, ქაშუეთის პირდაპირ. დირექტორის გვარი აღარ მახსოვს. პატარა, დაბალი კაცი იყო. „პეშკას“ ეძახდნენ.

მესამე გაკვეთილის შემდეგ დამლაგებელ ქალს ფუნთუ-შები შემოქონდა „პოდნოსით“. ორი გაკვეთილი ამ საუზმის მოლოდინში ვიყავით. გიუებივით ვეცემოდით. ვინც იყოჩალებდა, რამდენიმე ფუნთუშა შეხვდებოდა. ზოგს არაფერი...

სკოლის ფართო დერეფანში მონაფეები ერთმანეთს ახტებოდნენ ზურგზე, შეძახილით „ვირი მაჩვენე!“ და მანამ არ ჩამოვიდოდნენ, სანამ ვინმე გამვლელს არ დაეწეოდნენ და ხელს არ დაარტყამდნენ – „აი, ვირიო!“ ჯერ ვმორცხვობდი, მერე მარაქაში გავერიე და ერთ მონაფეს ზურგზე შევახტი ყვირილით – „ვირი მაჩვენე!“-მეთქი. თავი ჩემსკენ რომ მოატრიალა, გავმტერდი. ეს მონაფე „პეშკა“ გახლდათ, ჩვენი სკოლის დირექტორი.

„ვინ გაჩვენო?“ – მკითხა. ზურგიდან არც ჩამოვსულვარ, ისე გავუმეორე – „ვირი, პატივცემული მასნ.“

„პეშკამ“ ზურგიდან ჩამომაგდო და პანჩური ამომკრა.

კლასში ჩვენი ლიდერები იყვნენ კოტე მახარაძე და მელორ სატურუა. კოტემ ზეპირად იცოდა მთელი მაიაკოვსკი. მელორი პოემას ერთხელ წაიკითხავდა და ზეპირად გეტყოდათ. ექსტერნად დაამთავრა სკოლა და მოსკოვში წავიდა, დიპლომატიურზე ჩასაბარებლად...

(მელორი დღეს ამერიკაში ცხოვრობს. უმაღლესი დონის უურნალისტია. ჩვენმა კოტემ წარუშლელი კვალი დატოვა ხელოვნებასა და სპორტის ისტორიაში).



## გრიბოედოვის ქუჩა №1

აქ ცხოვრობდა ჩვენი თანაკლასელი თენგიზ ალავერდაშ-ვილი და მისი და – ნამი. უმამოდ დარჩენილებს დედა ზრდიდა. ჩვენთვის დეიდა ანგელინა. მათი მყუდრო, პატარა ბინა იყო ჩვენი ყოველდღიური შეხვედრის ადგილი, ჩვენი თავშესაფარი.

თვითონ გაჭირვებულები, გვინაწილებდნენ ლუკმა პურს და ყველაფერს, რაც გააჩნდათ.

კოტე კითხულობდა ლექსებს, „გოდერძა“ გვიტარებდა მუსიკის გაკვეთილებს, „ჯამბერა“ (ნოდარ ჯამბერიძე) გვანათლებდა ფერწერაში, გვატარებდა გამოფენებზე. „პაპისას“ მოპქონდა მოპარული შოთის პურები (მამამისი საცხობში მუშაობდა), დევდომ „შეგვიკლა“ გალაკტიონით, „ჭუკა“ გვასწავლიდა პოკერს, ჩვენი ზოზო იუმორით გვიხალისებდა ნახევრად მშიერ ცხოვრებას. დეიდა ანგელინას სოფლიდან უგზავნიდნენ ლობიოს, ზოგჯერ ლვინოსაც (აქ ვიგემე პირველად ბახუსის სიტყბოც და სიმწარეც).

ეს იყო ყველაზე მშიერი და ყველაზე ბედნიერი ნლები.



## თეატრალური შესახვევი

ოპერის გვერდით იყო და არის პატარა ქუჩა, „თეატრალური შესახვევი“. ვინ დაარქვა ნეტა ასე ზუსტად ეს სახელი?!

აქ გავატარე ჩემი სიჭაბუკის წლები. აქ, ამ ქუჩაზე ცხოვრობდნენ ჩვენი ულამაზესი დოდო ჭიჭინაძე, ზურიკო ანჯაფარიძე და მისი ძმა ჯემალი, რეჟისორი გივი სარჩიმელიძე, მისი მამა, რუსთაველის თეატრის ცნობილი მხატვარ-გრიმიორი... რომელი ამერიკელი თუ ევროპელი კინოვარსკვლავი დაუდგებოდა გვერდით ჭაბუკ თენგიზ სიგუას და მის ძმას.

ომის პერიოდში ამ „შესახვევში“ გერმანელი ტყვეები სახლს აშენებდნენ. მახსოვს, ერთმა გერმანელმა ტყვემ ჯიბიდან თავისი ორი ვაჟის გაყვითლებული სურათი ამოიღო – სახეგაფითრებული ხან ჩვენ შემოგვცეროდა, ხან კი თავის შვილებს... ჯემალისა და ზურიკოს დედას, ჯამით გამოჰქონდა მათთვის ცხელი საჭმელი და აპურებდა. ეცოდებოდა.

(...დარჩა ქუჩა, დარჩა სახელიც... სადღაა ის ხალხი... თოთო-ოროლა თუ შემორჩა ამ ცოდვილ ქვეყანას).

ზურა ანჯაფარიძეს ხომ ზღაპრული ხმა ჰქონდა, მას ძმაც, ჯემალიც არ ჩამორჩებოდა. ზურიკომ ჩვენი ქუჩიდან დაიწყო და მილანს მიაღწია; ჯემალმა, „რაღა შორს ნავიდეო“ და, ჩვენი ქუჩიდან სულ რაღაც ას მეტრში რომ რესტორანი „დარიალი“ იყო, იქ დაიწყო ქეიფი და სიმღერა გასაოცარი ტენორით.

დოდო ჭიჭინაძემ კი ჯერ არნახული სილამაზით გაიბრნებინა კინო-კაბადონზე.

ზურიკო გახდა მსოფლიო მომღერალი, თენგიზ სიგუა – მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე. ჯემალმა რამდენიმე სპექტაკლი დადგა ოპერის თეატრში. მერე აერია პირადი ცხოვრება, დაიწყო სმა. ბოლოს რომ ვნახე, ჩუმი, ჩახლეჩილი ხმით მითხრა: „კარისკაცმა ოპერის თეატრში აღარ შემიშვაო!“

ჩამნებდა გული...

ცოტა ხანში გარდაიცვალა.

## პუხანება პურით – მოსკოვში

ომს ბოლო აღარ უჩანდა. 18 წლის ვხდებოდი. სულ მალე ჯარში გამინვევდნენ. გაზეთში მოვკარი თვალი განცხადებას:

„მოსკოვის კინოინსტიტუტი აცხადებს მიღებას სამსახიობო ფაკულტეტზე“.

(გია დანელიას დედას ქმრისთვის რომ უკითხავს, გიამ კინოინსტიტუტში ხომ არ ჩააბაროსო? უპასუხნია: A куда его, дурака, еще девать).

ცხონებული დედაჩემიც არასერიოზულ საქმედ თვლიდა კინოში მოღვაწეობს. უნდოდა ექიმი გამოვსულიყავი. არც მკითხა, ისე შეიტანა ჩემი საბუთები სამედიცინო ინსტიტუტში. ნიგნი ხელში არ ამიღია, ისე წავედი გამოცდაზე. ჩავიჭრი. გახარებული მოვედი სახლში. მკითხეს – რა ქენიო? – ჩავიჭრი-მეთქი. „– აბა რა გახარებს, შე იდიოტო!“ – მითხრა ჩემმა უფროსმა დამ. – სწორედ ეგ მახარებს-მეთქი!..

.....  
 მაგონდება ჩემი მეგობრის, კარდიოლოგ ზოზო კაპანაძის სიტყვები (გულმა რომ შემანუხა, კლინიკაში მივედი მასთან):

– Ну что, будем лечить, или пусть живет? – დაეკითხა კოლეგებს.

ჩვენიანებს კი უნდოდათ „მედიკი“ გამოვსულიყავი.

.....  
 ჯიბეში ერთი ბუხანკა პურის ფულითა და ბიძაჩემის ნახ-მარი პიჯაკით, მოსკოვში წავედი. საგამოცდო კომისიის ნევ-რებს თითქოს მოვენონე კიდეც, მაგრამ სამსახიობო ფაკულტეტის დეკანმა, ტავრიზიანმა განაცხადა:

– У него же сильный грузинский акцент?!

– А что, у Сталина армянский? – წამოვროშე.

თქვენ ნარმოიდგინეთ ამ ჩემმა გულწრფელმა პასუხმა გაჭრა და გავხდი სამსახიობო ფაკულტეტის სტუდენტი.

ჩვენს კურსზე დავუმეგობრდი ერთ შესანიშნავ პიჭს, ვკუჭა ტორ ორლოვს (ლმერთო, გაანათლე მისი სული!).

ერთად დავდიოდით გოგოებში, ერთად ვყალთაბანდობ. დით, და პირველი სემესტრის შემდეგ, ორივე ერთად გამოვ-ვაგდეს. თბილისში ვერ დავბრუნდი. დედაჩემი მეცოდებოდა. ხან სადგურში მეძინა, ხან ფოსტაში, ხანაც ორლოვის მშობლე ბის ბინაში. ასეთი იყო ჩემი „მეორე სემეტსრი“.

თბილისში „არდადეგების“ დროს რომ დავბრუნდი, ბიჭები რუსთაველზე შურით მიყურებდნენ – მალე, ალბათ, ჩარლიჩა. ლინად დაგვიბრუნდებიო. დედა ამაყობდა ჩემით გაუთავებელ წვეულებებზე, ახლო ნათესავები რომ აწყობდნენ მომავალი „ვარსკვლავის“ პატივსაცემად.

ამდენი ველარავიტანედა ზაფხულის გაგანია სიცხეში „ზაიჩიკად“ გავემგზარე ისევ მოსკოვში და დაბრუნებას აღარცვა პირებდი...

ერთადერთი ადამიანი, ვინც მაგრა მეცოდებოდა, დედა იყო.

ბედმა გამიღიმა. დაარღვიეს ყველა წესი და მომცეს გა-მოცდაზე ხელმეორედ გასვლის უფლება. გამოცდას კუდში მოვუსნარი. მზად მქონდა ლერმონტოვის ლექსი „Смерть поэта“.

საგამოცდო კომისიაში მთელი კინოელიტა მონანილეობდა: ეიზენშტეინი, რომი, როშალი, იუტკევიჩი...

ეს ის კომისია იყო, რომელმაც მე გამომაგდო ინსტიტუტი-დან და ვინ იცის, რამდენი ლამე გამათენებინა მშიერ-მწყურ-ვალს მოსკოვის სადგურში...

შევედი გამოცდაზე. ტავრიზიანმა რომ დამინახა, თვალუ ბი გადმოკარელა.

ვიდექი გამომცდელთა წინაშე და, სანამ აბსოლუტურის-ჩუმე არ ჩამოვარდა, არ დავიწყე კითხვა.

ქვეცნობიერად ვფიქრობდი დედაზე, დახვრეტილ მამაზე, მეგობრებზე...

უცებ ვიგრძენი ისეთი ძალა, თვითონ გამიკვირდა.

«...А вы, надменные потомки  
Известной подлостью прославленных отцов.

დავინუ ჩუმი ხმით.

Пятою рабскою поправши обломки

Игрою счаствия обиженных родов!

Вы, жадною толпой стоящие у трона,

Свободы, Гения и Славы палачи!..

(მევე შემეშინდა ჩემი სიტყვების),

ვუყურებ მათ პირდაპირ თვალებში და ვაგრძელებ:

Тогда напрасно вы прибегнете к злословью:

Оно вам не поможет вновь,

И вы не смоете всей вашей черной кровью

Поэта праведную кровь!»

სამარისებური სიჩუმე, ან დამიჭერენ, არ მიმიღებენ.

– Подойдите! – тქვა იუტკევიჩმა დიდი პაუზის შემდეგ –

Выпейте воды!..

ეს უკვე რაღაცას ნიშნავდა.

გავიარე პირველი ტური და მერე როგორ!

ჩემთან ერთად გამოცდებს აბარებდა თათრეთის ცეკას პირველი მდივნის ვაჟი, რადნერ მურატოვი. მეორე ტურისთვის ჩვენ ერთად მოვამზადეთ ეტიუდი. ფორტუნა აქაც ჩემს მხარეზე აღმოჩნდა. საბჭოთა კინოს მამამთავრები კვდებოდნენ სიცილით. თქვენ ნარმოიდგინეთ, ტავრიზიანიც კი!

მერე ვიდექით ინსტიტუტის დერეფანში და სიგარეტს ვაბოლებდით.

მოგვიახლოვდა თმააბურძგნული, დაჭმუჭმულკოსტიუმიანი კაცი და დიდის ამბით ჩამოგვართვა ხელი.

– Вы нам доставили большое удовольствие!

– Да ничего особенного! – ვუპასუხე საკმაოდ ფამილიარულად, ნარმატებით თავბრუდახვეულმა.

რადნერმა კი მხარზე დაჰკრა ხელი. – Курить хочешь?

– Лишен этого удовольствия... Сердце! – არ შეიმჩნია მან და გაგვშორდა.



— Эй, вы, невежи! — Шеф оторвалась от стены и сказала. — Кого по плечу хлопаете?!

— Кого? — Задумалась Раднера.

— Сергея Эйзенштейна!

Шеф покраснела. Раднера глянула на неё.

— Все!.. Может ехать домой!

Раднера было 30 лет и ехала таинственным путем (без вести) из Баку в Тбилиси. Её отец, Роман Григорьевич, был известным писателем, а мать — Екатерина Николаевна — была актрисой театра.

Отец умер в 1937 году, мать — в 1941 году. После этого Раднера жила одна в Тбилиси, работала в театре. В 1950 году она вышла замуж за писателя Сергея Эйзенштейна, который был на тот момент уже известен как автор фильма «Иван Грозный». Их брак был коротким — всего год. В 1951 году Раднера вернулась в Баку, где жила с сыном Сергеем, которого она назвала в честь мужа.

Её сын Раднера был известен как писатель и поэт. Он написал несколько книг, но самая известная из них — «Сон о матери».

Алла Раднера умерла в 1988 году.

Годом позже в Баку скончалась Екатерина Николаевна Раднера, мать писателя Сергея Эйзенштейна.



## ჩვენი კურსი და კურსელები

ამ მართლაც რომ საოცარ სახელოსნოში გაერთიანებული იყვნენ მომავალში საქვეყნოდ ცნობილი კინორეჟისორები და მსახიობები: ნონა მორდიუკოვა, ვიაჩესლავ (ჩვენთვის – სლავა) ტიხონოვი, გრიშა ჩუხრაი, ვლადიმირ ბასოვი, რეზო ჩხეიძე და თენგიზ აბულაძე.

გვერდს ვერ ავუხვევ ერთ ამბავს, რაც მაშინ მოხდა.

იუტკევიჩმა, ჩვენი კურსის ხელმძღვანელმა, პირველი კურსიდან გარიცხა თენგიზ აბულაძე, როგორც პროფესიულად შეუფერებელი.

გავა წლები, აბულაძე გადაიღებს „სხვის შვილებს“. ჩამოიტანს მოსკოვში, კინო სახლში საჩვენებლად. თენგიზი მთხოვს, მე ვთარგმნო ფილმი რუსულად (მაშინ მე უკვე სარეჟისოროზე ვსწავლობდი).

დაიწყო ფილმი. ვთარგმნი. ვხედავ ჩემს გვერდით ზის სწორედ ის იუტკევიჩი, ვინც ასე მნარედ შეცდა თენგიზში, რომელმაც თვით თავის ყოფილ პედაგოგს იუტკევიჩს „მოუხაზა“ და განაცვიფრა ქვეყანა თავისი შესანიშნავი ფილმებით.

დამთავრდა ფილმი, აინთო სინათლე. სერგეი იუტკევიჩს თვალებიდან ღაპალუპით ჩამოსდის ცრემლები. ხელს მაგრად მართმევს და სწრაფად გადის დარბაზიდან... (თავს არიდებს თენგიზთან შეხვედრას).

მე უკვე მეორე კურსზე ვარ. გერასიმოვი იწყებს „ახალგაზრდა გვარდიის“ გადაღებას. ფილმში აკავებს თითქმის მთელ თავის კურსს... მე და რამდენიმე სომეხ ახალგაზრდას (მათ შორის აასერგო ფრაჯანოვიც) გვიბარებენ კინოსინჯებზე...

**როლზე მე მამტკიცებენ!**

სერგო სასტიკად განიცდის. მეკითხება:

– Объясни! Почему армянина должен играть грузин?

— Чтобы облагородить образ! — грезасущемъ монумент; и фан-  
бис, гуашьи го до брачомъ да хересъ жюинъе мсомозлопомъи цнбомъ.  
лп о ревюисомъи бдѣба. аи, аж го — баздзиллазъ маэомъа.  
мадлопомъа юзаля!



## „ახალგაზრდა გვარდია“



კადრი  
ფილმიდან



მედა  
ახალგაზ-  
რდა გვარ-  
დიელები



უორა  
არუტუნი-  
ანცი,  
თამარა  
მაკაროვა  
და მე



ვიაჩესლავ ტიხონოვი



კადრი ფილმიდან



მე – გადაღების წინ



კადრი ფილმიდან (ვკითხულობ განაჩენს)



ევგენი მორგუნოვთან ერთად 50 წლის შემდეგ



ვიაჩესლავ ტიბონოვთან ერთად. (მხ. ფ. „მშვიდობიანი  
დღეები“ (კიევის კინოსტუდია)



ნონა მარდიუკავა, მესამე მე, მეოთხე სერგეი გურიზო,  
მეხუთე ტიხონოვი



„ახალგაზრდა გვარდია“ კადრი ფილმიდან

## რაზინის ძურა №3

ვცხოვრობდი კრემლთან ახლოს, სასტუმრო „როსიას“ პირ-დაპირ, ქართველი სტუდენტების საერთო საცხოვრებელში.

აქ ცხოვრობდნენ რეზო ჩხეიძე და თენგიზ აბულაძე. კონ-სერვატორის სტუდენტები გიზი ამირაჯიბი და სულხან ცინ-ცაძე. აქ დაწერა ცინცაძემ თავისი პირველი კვარტეტი, სულ ახალგაზრდამ მიიღო სტალინური პრემია. აქ ცხოვრობდნენ გია მარგველაშვილი, ნოდარ მეძმარიაშვილი, ეთერ გუგუშვი-ლი, გრიშა მარგიანი, გიგა ლორთქიფანიძე...

ამ სახლიდან აიღო „სტარტი“ ბევრმა ხელოვანმა, ისტო-რიკოსმა, მათემატიკოსმა, ლიტერატორმა... ბევრმა საქვეყნოდ ცნობილმა პიროვნებამ.

აქ დაიბადა ჩვენი ძმობა და მეგობრობა, რომელიც მერეც გაგრძელდა (ვაი, რომ ბევრნი უკვე აღარ არიან ამ ქვეყნად).

მახსენდება ხანძარი, რომელმაც კინაღამ შთანთქა ჩვენი მომავალი. ეს მოხდა შუალამისას. ჩვენი საცხოვრებლის ქვედა სართულს ცეცხლი გაუჩნდა.

გიზი ამირაჯიბის დედა, შვილის სანახავად რომ იყო ჩამო-სული, დერეფანში გამოვარდა და იყვირა:

– Бросьте все и спасайте пианино!



## თამარა სუმბატოვნა

წვიმს. ვდგავარ საერთო საცხოვრებლის ჩემი ოთახის ფანჯარასთან, ფიქრებში ნასული. ფიქრები კი ერთობ პროზაულია. მენატრება დედაჩემის გაკეთებული ნიგვზიანი ლობი; უცებ მაგონდება ნერილი, მამიდამ რომ გამომატანა თავის მეგობარ ქალთან, „მოსსოვეტის“ მსახიობთან და დიდი თეატრის მთვარი მხატვრის, ვოლკოვის მეუღლესთან – თამარა სუმბატოვნა ოგანეზოვასთან. ვპოულობ დავინყებულ ამ ნერილს, ვიცვამ ბიძაჩემი დიმიტრის ნაჩუქარ პიჯაკს და მივდივარ მამიდა ლუბას ძველ „პადრუგასთან“.

კარს მიღებს შავგვრემანი, ლამაზი ქალი. ვესალმები. მეპატიუება ბინაში. ვაწვდი ნერილს, კითხულობს. სახე თანდათან უნათდება – Садитесь, пожалуйста! – განაგრძობს კითხვას.

მორიდებით ვჯდები დივანის კიდეზე. თვალს ვავლებ მდიდრულად გაწყობილ ბინას, კედლებზე ფერადი ესკიზებით. შემოდის რუსის ქალი. დგება ქეჩებზე და კრიალა პარკეტზე ნმენდს ჩემი გახვრეტილი ბატინკების ნაფეხურებს.

ვგრძნობ უხერხულობას.

– Маша, накрой на кухне стол! – аმთავრებს ნერილის კითხვას სუმბატოვნა, კეცავს ფურცელს და ცრემლებს ინმენდს.

– Моего брата тоже в тридцать седьмом арестовали...

და პაუზის შემდეგ:

– Как Натела, Вахтанг? Как Александр Степанович?

– Спасибо, хорошо!

ვსხედვართ სამზარეულოში, სადილს გეახლებით, უზომოდ გემრიელს...

მიყურებს ქალი თბილი თვალებით.

– Почкаше заходи... почаше!

გამომატანეს ერთი დიდი პაკეტი და ვარდისფერი თასმით გაბანტული კოლოფი. მივხვდი, ფეხსაცმელებია.

ერთი სული მაქვს სახლში მივიდე.

პაკეტში სანოვაგეა: ძვირფასი ძეხვი, შვეიცარული ყველი, ზუთხი...

მთელი საერთო საცხოვრებელი დავაპურე.

ჩვენს გოგო-ბიჭებს რომ მოშივდებოდათ, მეტყოდნენ ხოლმე:

– რას შვრები? სასწრაფოდ თამარა სუმბატოვასთან!

მეც მივდიოდი...

კარებს თუ მისი მეუღლე გამიღებდა (რაფინირებული კაცი გახლდათ) ცოლს გასძახებდა – Тамара, Гугуля пришел, мой однокамилец!

საოცარ სითბოს ვგრძნობდი მათგან.

ინსტიტუტი რომ დავამთავრე და სამმაგი სტიპენდია მივიღე (ასეთი იყო წესი), ვიყიდე ვარდების დიდი თაიგული და გავეშურე მათკენ.

გზაში გოგო გავიცანი და...

ეს ლამაზი თაიგული მისი აღმოჩნდა...



## გენერალი

მედა ევგენი მორგუნოვი (ჩვენთვის – უნია), ყოველ ხუთშაბათ დღეს „სანდუნოვის“ აბანოში დავდიოდით. ეს ხუთშაბათიც არ ყოფილა გამონაკლისი.

...ჯერ ორთქლის აბაზანები მივიღეთ. მერე საერთო განყოფილებაში „მექისეობას“ ვუწევდით ერთმანეთს.

შეუხედავი, პატარა კაცი ჩვენს გვერდით მოკალათდა თავისი ტაშტით და ის იყო ნახევრად მელოტი თავის გასაპვნას აპირებდა, უნიამ არ აცალა და შეუტია:

– Ну-ка, давай отсюда... здесь положено два человека. Вон там место свободное.

– Я не помешаю, ребята... там дует.

– Давай, давай, – таვისას არ იშლიდა მორგუნოვი.

შეუხედავ პატარა კაცს ნინაალმდეგობა არ გაუწევია, თავისი ტაშტი აიღო და ნავიდა...

თეთრ, ქათქათა ზენრებში გახვეულნი გასახდელში გამოვედით, უცებ ადგილზე გავშრით.

შეუხედავი პატარა კაცი გენერლის მუნდირის უკანასკნელი ლილს იკრავდა. აბანოს ორი თანამშრომელი პირში შესციცინებდა; ერთ მათგანს ხელში ბუტერბროდებიანი თეფში ეჭირა, მეორეს – ქაფქაფა ლუდიანი კათხა.

გენერალს მთელი გულმკერდი ორდენებითა და მედლებით ჰქონდა მოფენილი.

– ე-ე-ე – ენა დაება მორგუნოვს – Генерал!

გენერალმა ლუდი მოსვა და ბუტერბროდიც დააყოლა.

– ბოდიშის მოხდაა საჭირო, – ვთქვი მე.

– საჭიროა ნამდვილად, – დამეთანხმა მორგუნოვი.

კეისარივით მხარზე ზენარგადაკიდებული გენერალს მოუახლოვდა.

გენერალი მორგუნვეს თითქოს ვერ ამჩნევდა. მხრებში გასწორდა, ზურგი შეაქცია და ამაყად გასწია გასასვლელისა-კენ.

— Такой маленький, шупленький и уже генерал? — глядя мрачно на него, спросил он.



## „ახალგაზრდა გვარდია“

ეს ფილმი ფაშისტების მიერ შურვეში ჩახოცილ კრასნოდონ ნელებს ეძღვნებოდა. გადაღებებიც ამ ისტორიულ აღგილას მიმდინარეობდა.

ევგენი მორგუნოვი გამცემის – სტახოვიჩის როლს თამა შობდა (მაშინ ჩხირივით გამხდარი იყო).

მოსახლეობა ჩვენ გმირებად გვთვლიდა. მორგუნოვს კი ცუდი თვალით, უყურებდა.

ერთხელ, შეღამებისას, მოიხელთეს და ისე ურტყეს, რომ გადაღებები რამდენიმე დღით გადაიდო.

უენიას თავზე იარა სიცოცხლის ბოლომდე დარჩა.

კრასნოდონში ნამდვილი უორა არუტუნიანცი ჩამოვიდა, ლეიტენანტის ფორმაში (სამხედრო აკადემიაში სწავლობდა, მოსკოვში). ერთი თავით მაღალი იყო ჩემზე და, სულ იმის შიში მქონდა, გერასიმოვმა ერთად არ დაგვინახოს და როლიდან არ მომხსნას-მეთქი.

ზევიდან დამყურებდა.

– ВЫ меня будете играть?!

მე ქვევიდან:

– Да, я!..

კრასნოდონის ბაზარში მაღალქუსლიანი ბატინკები შევიძინე და იმით დავდიოდი.

მახსენდება ჩემი პირველი გადაღება კრასნოდონში.

ეს იყო საკმაოდ დიდი ეპიზოდი – უკან იხევდა წითელი არმია. მათ მისდევდნენ ევაკუირებულები. მასობრივ სცენაში მონანილეობდა ორი ათასამდე ადამიანი. ტანკები, თვით-მფრინავები... ამ ფონზე მე და ივანე ზემნუხოვს საკმაოდ გრძელი დიალოგი გვქონდა... და უცებ, შუა გადაღებისას, მავინდება ტექსტი.

ჩემი უნიათობის გამო უნდა გაჩერდეს ეს უშველებელი „მა-თა-თა-თა-  
ხინა“.

— Сапожник! Мэсмის გერასიმოვის ყვირილი — რუპორში —  
Сапожник!

მინა გამსედომოდა მერჩია! შემრცხვა საშინლად!  
მზე ჩადის. გერასიმოვმა რუპორი მინას დაახეთქა...  
მაპატია სულმნათმა. დაცხრა:

— Ничего, бывает!



## ომგადახდილი

საქართველოს წარმომადგენლობამ მოსკოვში ჩამოსულ ჩვენს თანამემამულეს ჩვენს საერთო საცხოვრებელში ერთი პატარა ოთახი გამოუყო.

საკმაოდ მორიდებული და სიტყვაძუნნი კაცი გახლდათ.

ჩვენ მას, რატომღაც, უდიერად ვეპყრობოდით, ვბაძავდით „სალდაფონივით“ „სიარულში, „Раз-два“ – ვიძახდით და ვხარ-ხარებდით. არ წყინდა. ერთ დღეს ავად გახდა. ექთანმა, ფილ-ტვების მოსასმენად საბანი რომ გადახადა – დავინახეთ, მთელი ზურგი ჭრილობებით ჰქონდა დასერილი.

...მალე გამოჯანმრთელდა.

ოთახიდან საპარადო სამხედრო ფორმით რომ გამოვიდა, მუნდირზე სამი ორდენი და ათამდე მედალი ეკიდა.

9 მაისი იყო ის დღე. ფაშიზმზე გამარჯვების დღე.

სამხედრო აღლუმზე ყოფილა მიწვეული და იქ მიდიოდა.

შევედრიდან ოდნავ ნასვამი და სახეგაბადრული დაბრუნდა. მორიდებით და პატივისცემით შევხვდით.

კეთილი თვალებით გვიყურებდა.

მერე თქვა:

– თქვენსავით პირტიტველა ბიჭები ვიყავით მაშინ! – მოტ-რიალდა და თავის ოთახისკენ წავიდა მხრებაცახცებული.



## აი, რა გელით!

„ახალგაზრდა გვარდიის“ გადაღებამდე სერგეი გერასიმოვმა იგივე ნაწარმოები, ჯერ სპექტაკლად დადგა კინოაქტიორთა თეატრში.

ოლეგ კოშევოის როლს სამსახიობო ფაკულტეტის სტუდენტი ვალოდია ივანოვი თამაშობდა. ხმა დაირხა, ივანოვმა სმას მიჰყო ხელიო.

ერთხელ, სპექტაკლის დამთავრების შემდეგ, საგრიმოროში საშუალო ხნის, ალკოჰოლისაგან დროზე ადრე სახედანაოჭებული და ცხვირანითლებული კაცი შევიდა, ვალოდიას გაეცნო.

— Силкин!

ვალოდია სკამიდან წამოდგა და ხელი ჩამოართვა:

— Иванов!

სილკინმა ერთხანს უყურა ვალოდიას, მერე უცებ თვალები აუნყლიანდა, უბის ჯიბიდან საფულე ამოიღო, საფულედან — გაყვითლებული ფოტო თავისი ახალგაზრდობისა და ვალოდიას გაუნოდა. ვალოდიამ ფოტოს დახედა. იქიდან საღ-სალამათი კაცი იყურებოდა, ტყუპისცალივით რომ ჰგავდა ვალოდიას.

— Похож на вас? — ჰკითხა სილკინმა, — это я в молодости, в вашем возрасте!

— Удивительно похож, — тქვა ვალოდიამ. — А почему вы плачете?

სილკინმა ცერა თითი თავის დანაოჭებული სახისაკენ გაიშვირა და მნუხარებით წარმოსთქვა:

— Посмотрите, что вас ждёт!



## ნათელა, პონდარჩუკი და „კომაოფი“

იმ მშიერ ხანაში მოსკოვში მივლინებით ჩამოვიდა ჩემი გვ. მიდაშვილი – ხელოვნებათმცოდნე ნათელა ალადაშვილი (დი. დი ალექსანდრე ალადაშვილის ქალიშვილი). მოვიდა ჩემთან სა- ერთო საცხოვრებელში, მომესიყვარულა და მომცა რამდენიმე „ტალონი“, რითაც აკადემიკოსების სასადილოში, გორკის ქუ- ჩაზე, შემეძლო რამდენჯერმე მესადილა... მერე რედიკიულიდან კონვერტი ამოიღო და გამომიწოდა – ეს გივიმ გამოგიგზავნაო!

კონვერტს ენერა: „გუგული, იცოდე, რომ შენს „გაჩაპლი- ნებაში“ მეც მიმიძღვის ნილი. ავლაბარში შენი ძეგლის დად გმას აპირებენ. შენი გივი“.

გამეღიმა. გავხსენი კონვერტი, იქ გატკიცინებული ასმა- ნეთიანი იღო.

– ბილიარდში მოიგო? – ვკითხე ნათელას.

– ალბათ! – გაეღიმა.

ჩემი ძმა და მეგობარი გივი მაგარი ვინმე იყო. ყველაფერი ეხერხებოდა. ჯერ კიდევ სკოლაში, ქიმიის „ზედმეტი“ ცოდნით, მასნავლებელი კინაღამ ააფეთქა. ომის დროს ისეთი შარვალი შემიკერა, „საშა პარტნოის“ შეშურდებოდა (მერე ის შარვალი პოკერში ნაგებულებმა, მე და ტიტო კალატოზიშვილმა, ყასაბი მივყიდეთ, მალაკნების ბაზარში). იყო პირველი ბილიარდისტი თბილისში („გამაზულს“ თამაშობდა).

ერთხელ ბიჭებმა უთხრეს „არიფი“ მოგიყვანეთ, მდიდარი იურისტიო და საბილიარდოში ჩემი ალალი ბიძა და გივის ნათ- ლია დიმიტრი დიდებულიძე შემოიყვანეს...

ჩემმა კეთილმა ბიძამ უხერხულობა (ვისი კოსტიუმითაც ნავედი პირველად მოსკოვში) ერთბაშად გაჰვანტა.

მთელი „შანტრაპა“ რესტორან „დარიალში“ დაგვპატიუა.

ეს რაც შეეხება ჩემს მამიდაშვილს და ნათელას ძმას – გი- ვის. ეხლა სასადილოს ტალონებზე მოგახსენებთ.

მივდივარ აკადემიის სასადილოში, გორკის ქუჩაზე მხვდე-  
ბიან სერგეი ბონდარჩუკი და ინა მაკაროვა (ერთი კურსით წინ  
იყვნენ ჩემზე). ვუთხარი, სადაც მივდიოდი.

— Гуля, какое ждёт тебя счастье! — тёпла ბონდარჩუკმა

— Какое?

— Он ещё спрашивает! Борщ, котлеты... может и компот!

— Я могу поделиться этим счастьем! — вспомнил я.

— Ты не шутишь?

— Нет!

სულ ცოტა ხანში, मე, ინა და სერგეი აკადემიკოსების სა-  
სადილოში ვუსხედით სუფრას.

განცხრომით მივირთმევდით სუპსა და რამშტექსს.

მაგიდასთან მოვიდა თეთრნინსაფრიანი ქალიშვილი და  
გვეითხა: — На десерт вам кисель, компот, или чай с лимоном?

ინას კინაღამ ლუკმა გადასცდა:

— Им по компоту, а мне ещё кисель и чай с лимоном!

მე და ბონდარჩუკს ისეთი სიცილი აგვიტყდა, მთელი სასა-  
დილო ჩვენ გვიყურებდა...

გავიდა წლები. ბონდარჩუკმა მიიღო ყველა წოდება და ჩინ-  
მედალი. სადაც კი შემხვდებოდა, სიცილი აუვარდებოდა:

— Гуля, дорогой, помнишь компот, помнишь, как вкусно  
мы поели!..



## „მემაროზნე“ ჩალი

ჩვენს საცხოვრებელს მთელი მესამე სართული ეჭირა.  
 ლამის 12 საათზე კარი იკეტებოდა.

დაგვიანებულებს აღარ უშვებდნენ.

ერთმა ჩვენმა მეგობარმა, ამჟამად ცნობილმა რეუისორმა,  
 სახანძრო კიბით, ჩვენი ოთახის ფანჯრის მოაჯირს რომ ჰქონდა  
 და მოდგმული, თეთრხალათიანი ქალი ამოიყვანა. ქალს კისერ-  
 ზე ნაყინის ყუთი ეკიდა.

ქალმა, გადმოდგა თუ არა ფანჯრიდან ფეხი ჩვენს ოთახში,  
 მკითხა – мороженое не желаете?

– Нет, спасибо! – ვიუარე მე.

გაკვირვებული ვიყავი ჩემი მეგობრის სიმამაცით. ამ სიმაღ-  
 ლე კიბეზე ცალი ფეხით ამოსვლამ (მეორე ფეხი ხისა ჰქონდა)  
 ჩემი გულწრფელი აღტაცება გამოიწვია. მომავალმა რეუისორ-  
 მა ქალი თავის ოთახში შეიყვანა...

...დილით დერეფანში რომ გავედი, ვხედავ, მეზობელი ოთა-  
 ხიდან თეთრხალათიანი, მხარზე ყუთგადაკიდებული, „მემარწე-  
 ნე“ ქალი გამოვიდა, თმა შეისწორა და წერიალა ხმით დაიძახა:

– Кому мороженое, мороженое кому?

იქვე დაიწყო ვაჭრობა.

ეს ყველაფერი სასაცილო იყო, მაგრამ შემდეგ გაირკვა  
 რომ სახანძრო კიბე მიდუღებული არ ყოფილა და ფაქტიურად  
 ჰაერში იყო გამოკიდებული.

ჩვენდა საბედნიეროდ, ქართულ თეატრსა და კინოს ერთ-  
 შესანიშნავი რეუისორი გადაურჩა, მოსკოვის ვაჭრობის ორგა-  
 ნიზაციას კი ერთი ნაყინის გამყიდველი ქალი.



## „ქარპუქი“

მე, უნია მორგუნოვი და სერგეი გურზო („ახალგაზრდა გვარდიაში“ ტიულენინის როლის შემსრულებელი) მოსკოვის ქუჩებში დავბორიალოდით.

მნერალთა კავშირის შესასვლელთან ასეთ განცხადებას ნავანყდით:

— В четверг, 20 мая в пять часов, в актовом зале Союза писателей состоится обсуждение романа Эренбурга „Буря.“

— О, это сегодня, — Намондаша моргуновма და „პობედის“ მარკის ხელის საათს დახედა.

— Но это, наверное, для писателей, — ткვა გურზომ.

— Не только, — ткვა моргуновма, — Их дети тоже имеют кое-какие права, пошли (типотქოს მამამისი ვინმე დიდი მნერალი ყოფილიყო!).

მორგუნოვმა კიბე აირბინა, მე და გურზო მას მივყევით.

სააქტო დარბაზის კარებში ფაშვაშა კონტროლიორი ქალი ზოგიერთს საბუთს უსინჯავდა, ზოგს კი სახელითა და მამის სახელით მიმართავდა და შეუმოწმებლად ატარებდა.

ჩვენ ვესტიბიულის მარმარილოს სვეტთან ვიყავით ატუზულნი.

მორგუნოვი ახალშემოსულებს ათვალიერებდა, მე და გურზო კი მორგუნოვს მივჩერებოდით.

ვესტიბიულში დარბაისელი კაცი შემოვიდა და მყისვე იქ მყოფთა ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა. დიდი ამბით ესალმებოდნენ და მის ჯანმრთელობას კითხულობდნენ (ვიღაცა დიდი თანამდებობის პირი უნდა ყოფილიყო). მან ყველას საკმაოდ თავშეკავებულად უპასუხა და სააქტო დარბაზისაკენ გაემართა.

— Пошли! — ткვა მორგუნოვმა, სწრაფად პაპიროსს მოუკიდა და მას გაჰყვა. ჩვენც მივყევით. როცა დარბაისელი კაცი კონტროლიორ ქალს გასცდა. მორგუნოვი ამ ქალის ნინ შეჩერდა და დარბაისელ კაცს გასძახა:

— Папа, я сейчас докурю и приду!

დარბაისელმა კაცმა „შვილს“ გამოხედა, მერე, ალბათ იფრქ.  
რა, ეს მე არ მეხებაო და გზა გააგრძელა.

მორგუნოვმა პაპიროსი რამდენჯერმე მოქაჩა, მერე იქვე  
ურნაში ჩააგდო და კონტროლიორ ქალს ჩვენზე მიუთითა:

— Они со мной!

...და მორგუნოვი დარბაზში შევიდა. მე და გურზო მას მიუ-  
ყვით...

...ქანდარაზე ვისხედით, უკანასკნელ რიგში.

ტრიბუნაზე ორატორები ერთმანეთს ცვლიდნენ.

ყველა ერთხმად, უმოწყალოდ აკრიტიკებდა ერენბურგის  
„ქარბუქს“.

დარბაზი გუგუნებდა და დროდადრო ოვაციებით „ფეთქდე-  
ბოდა“.

ბოლო სიტყვა ერენბურგს მისცეს.

იგი ნელი ნაბიჯით ავიდა ტრიბუნაზე, ჭიქაში ნყალი დაის-  
ხა, მოსვა და ჩუმი, მოგუდული ხმით თქვა:

— Здесь беспощадно критиковали мой роман... не знаю... Я  
немного растерян... прочту вам телеграмму, которую получил  
буквально перед тем, как идти сюда.

ჯიბიდან რაღაც ქაღალდი ამოილო, სათვალე გაისწორა დ  
ნაიკითხა:

— Прочёл ваш роман, очень понравился, желаю дальнейших  
успехов.

აქ ერენბურგმა დიდი პაუზა გააკეთა, და მერე კიდევ უფრო  
ჩუმი ხმით ნარმოსთქვა:

— Сталин!

დარბაზი გაირინდა, სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა, ქ  
სიჩუმე უსაშველოდ დიდხანს გაგრძელდა. მერე გაისმა ოდნავ  
გასაგონი ფეხის ხმა.

ერენბურგი გასასვლელისაკენ მიდიოდა.

პარტერი გაქვავებული იყო.

რამდენიმე დღის შემდეგ ლიტერატურულ გაზეთში გამოქ-  
ვეყნდა ქებათა ქება ამ რომანისა. ავტორები კი უმეტეს შემთხვევა  
ვაში იყვნენ ისინი, რომლებიც ორი-სამი დღის ნინ ასე უმოწყა-  
ლოდ აკრიტიკებდნენ რომანს და მის ავტორს.

## რეზისორის პედი

სტალინი, როგორც წესი, ყველა ახალგადაღებულ კინოსურათს უყურებდა და თავის შეფასებას აძლევდა.

ამჯერად იგი რაიზმანის კინოფილმს „მატარებელი აღმოსავლეთიდან მოდის“ – უყურებდა. ფილმის მოქმედება (სასიყვარულო ამბავი) ძირითადად ერთ კუპეში ხდებოდა. მატარებელი ხან რომელ სადგურზე გაჩერდებოდა და ხან რომელზე. უყურა ერთხანს სტალინმა ფილმს. უკვე მერამდენედ დატენა თავისი განუყრელი ჩიბუხი „ჰერცოგინია ფლორათი“, გააბოლა და... კიდევ რომ გაჩერდა მატარებელი სადგურზე, დარბაზში მყოფ მაშინდელი კინოს მინისტრს, ბოლშაკოვს ჰკითხა:

– Быть еще остановка?

– Да, Виссарион Иосифович, – ლელვისაგან არევია მინისტრს სტალინის სახელი და მამის სახელი.

– Я на этой остановке сойду, – უთქვამს სტალინს და დარბაზიდან გასულა.

ფილმისა და რეზისორის ბედი გადაწყვეტილი იყო!



## მუჯლუგუნები

სტალინს ჩვეულებად ჰქონდა, შუალამისას მოეთხოვა, „ჩაევი“ მაჩვენეთო (მისი საყვარელი სურათი გახლდა). მაშინ, ვე გააღვიძებდნენ პოლიტბიუროს წევრებს და სტალინი ფილმი მათთან ერთად უყურებდა. ნინა რიგში დიდი ბელადი მარტი იჯდა. უკანა რიგებში – პოლიტბიუროს წევრები. მათ როგორც ნესი, ეძინათ. სტალინმა ეს შესანიშნავად იცოდა, მაგრამ არა ფერს ამბობდა. როცა სურათი დამთავრდებოდა, პოლიტბიუროს წევრები იმნამსვე მუჯლუგუნებით აღვიძებდნენ ერთს, ნეთს.

– Хороший фильм, – оцупороди სტალინი ისე, რომ არ მოს რუნდებოდა.

– Великолепный, – ეთანხმებოდნენ პოლიტბიუროს წევრები.

– Может, посмотрим еще раз?

– С удовольствием, Иосиф Виссарионович, – პასუხობდნენ ერთხმად და მის ზურგს უკან თვალებს იფშვნეტდნენ.

...და უყურებდნენ ფილმს თავიდან.

უძილობა სჭირდა იმხანად ბელადს!

რომელიდაც ახალ ფილმს უყურებდა სტალინი (მაშინ, უკეთ კიდევ, დამდგმელი რეჟისორებიც ესწრებოდნენ ფილმი ჩვენებას). სურათი რომ დამთავრდა, სტალინმა იკითხა:

– Во сколько обошлась картина?

– Пять миллионов, Иосиф Виссарионович!

ფეხზე ნამოხტა დამდგმელი რეჟისორი.

სტალინმა თავისთვის ჩაილაპარაკა:

– На ветер брошенные деньги!

რეჟისორი იატაკზე გაიძხლართა.

სტალინმა ერთი დახედა გულნასულ რეჟისორს და მშედი, მონოტონური ხმით ნარმოსთქვა:



— Если такие чувствительные наши режиссеры, зачем же  
их сюда звать!

დარბაზიდან გავიდა.

ამის შემდეგ სურათის დამდგმელ რეჟისორებს კრემლში  
აღარ ეძახდნენ.



## ჩხუბი „ავრორაში“

მედა უენია მორგუნოვი რამაზ ფანცხავამ, ვისი მამაც ჩაისა და ციტრუსების სამმართველოს უფროსი იყო, რესტორან „ავრორაში“ დაგვპატიუა. ეს ის პერიოდია, ხრუშჩოვმა რომ სტალინზე შური იძია, რა არ დასწამა... ამის შემდეგ ქართველები სადმი დამოკიდებულება რადიკალურად შეიცვალა. ველარგვი ტანდნენ. შუა ქეიფში ვართ. ატყდა საშინელი ჩხუბი ჩვენს და გვერდით სუფრაზე მოქეიფე რუსებს შორის.

რამაზი, ყოფილი მოკრივე და მაგარი ჯანის პატრონი, სასწაულად ჩხუბობდა. ჩხუბი ვესტიბიულშიც გაგრძელდა და კაც მაარიცის, რითი დამთავრდებოდა, მორგუნოვს რომ არ ეყვირ ერთი მაგიური ფრაზა:

— Грузия дала нам Сталина!

ეს ისეთი ძალით იყო ნათქვამი, რომ ჩხუბი იმ ნაში შეწყდა... ჩამოვარდა სიჩუმე. ერთ-ერთი ჩხუბისთავი თავის ვება, დასისხლიანებულ მუშტებზე იყურებოდა და სწორედ მან დაარღვია ეს სიჩუმე.

— Ребята, извините меня!.. — ყველას მაგივრად მოიხადა ბოდიში!

არ იკითხავთ ვინ იყო? მარშალ ტიმოშენკოს შვილი.

ყველანი გამოვედით რესტორნიდან, ქართველები, რუსები, ტიმოშენკოს ვაჟმა ჩაგვტენა უცხოურ მანქანაში (ეს მაშინ ის ვიათობა იყო) და ისეთი სისწრაფით უვლიდა ნრეებს დიდი თეატრის გარშემო, ხან კი ცნობილ კოლონებს, რომ მიკვირს, როგორ გადავრჩით.

მერე ის უენიას უახლოესი მეგობარი გახდა, და თავის მეუღლესთან, მალინოვსკის ქალიშვილთან ერთად, ხშირად ვეკდავდი მორგუნოვის სახლში.



## დედა

მორგუნოვს სერიოზულად არავინ უყურებდა. „შუტად“ – ჩიტირეკიად თვლიდნენ.

სულ ხუმრობდა, სულ რაღაც ოინებს აწყობდა და თავის ნამ-  
დვილ სახეს მალავდა.

ერთხელ ნამიყვანა მარტოხელა დედასთან სტუმრად. ქალ-  
მაგანებული სუფრა უგემრიელესი ბლინებით, თაფლითა და არაუ-  
ნით. ცოტა არაყიც დაგვალევინა, რაც მე მეყო, რომ გავთამა-  
მებულიყავი და რაღაც უკბილო ხუმრობა დამენებულ უენიას  
„სტილში“. როცა ქალი გავიდა სამზარეულოში, უენიამ მისაყ-  
ვედურა:

– Гуля... Я когда у мамы... Я никогда не кривляюсь!

და იყო ამ ფრაზაში, რაღაცა ისეთი, რაც დღემდე ვერ ამო-  
მიხსნია... რამაც მაგრძნობინა ცხონებული უენიას დიდი სუ-  
ლი.



## როგორ „შთანთქა“ ჩვენი კეთილი სურვილი შიმშილება

ნონა მორდიუკოვა ყველას აოცებდა თავისი ხალხური იუ-  
მორით, უშუალობითა და გარეგნობით.

მახსოვს, მისალებ გამოცდაზე, ფანერის მოხატული ჩე-  
მოდნით შევიდა (არ მომპარონო) და ფამუსოვის მონოლოგის ე-  
ნაიკითხა, ჩემოდანი ხელიდან არ გაუშვია. „ახალგაზრდა გვარ-  
დიელებიდან“ ყველაზე ხშირად ნონას ეძახდნენ მაყურებელ-  
თან შეხვედრებზე. ას მანეთამდე უხდიდნენ (არაოფიციალუ-  
რად, რასაკვირველია). ეს მაშინ, როცა ჩვენი სტიპენდია 200  
მანეთი იყო.

ერთ ასეთ შეხვედრაზე ნონამ მეც დამიძახა ჩვენთვის გან-  
კუთვნილი 200 მანეთი მას ნინასნარვე მიეღო). ვზივართ ორი  
„პრეზიდიუმში“, ნონა მაგიდის ქვეშ მაჩვენებს, დაჭმუჭმულმა-  
ნეთიანებს და მიჩურჩულებს:

– შეხედე ამ ფულს!.. ნარმოიდგინე, რა გაჭირვებით აგრო-  
ვებდა მას ხალხი... ეტყობა კიდეც. ეს გაჭირვებული ხალხის ფუ-  
ლია... მოდი, დავუბრუნოთ!

დავეთანხმე.

დამთავრდა შეხვედრა. ნონა მეუბნება:

– Слушай, Гуля, жрать хочется!

– Мне тоже – гаმოვუტყდი.

– Ну и пошли в столовую, поедим!

ასე ვანაცვალეთ შიმშილს ჩვენი კეთილი სურვილი.



## როგორ უჩეკავდა მორგუნოვი პრემილდან ცოლს

„ახალგაზრდა გვარდიის“ გადამლები ჯგუფი კრემლში  
მიგვიწვიეს.

რამდენიმე ადგილას, თავიდან ფეხებამდე შეგვამოწმეს და  
მხოლოდ მერე შეგვიშვეს. ყველანი საშინლად ვიყავით დაძაბუ-  
ლები, მორგუნოვის გარდა. საოცრად თავისუფალი პიროვნება  
გახლდათ, იმ რთულ ხანაშიც კი. იქ ხომ ერთ-ერთ კაბინეტში  
თვითონ სტალინი იჯდა, ჩვენგან სულ ახლოს... შეგვიყვანეს მო-  
საცდელში. მაგიდასთან ზის მაიორი ჩეკისტის ფორმაში, გამ-  
ჭოლი თვალებით გვათვალიერებს. ვსხედვართ გარინდებულნი.

სიჩუმეს არღვევს მორგუნოვი:

Товарищ майор, а можно позвонить жене?

მაიორი დაიბნა.

— Звоните.

— Вава, это я, из Кремля звоню — даюბუბუნა უნიამ ყურ-  
მილში... „Товарищ майор, жена не верит, подтвердите“.

ვფიქრობ, რომ მას ჰქონდა ტრაგიკომედიური მსახიობის  
დიდი პოტენციალი, რისი რეალიზაციაც, სამწუხაროდ, არ მოხ-  
ერხდა. თუმცა შესამჩნევი კვალი დატოვა რუსულ კინოში. ამა-  
ყობდა, ცნობილი ვარო.

შემხვდებოდა ხოლმე გორკის ქუჩაზე, ოცგრადუსიან ყინ-  
ვაში ქუდს მომხდიდა და იყვირებდა: „Пусть нас узнают!“



## დღეგამოშვებით

სანამ „ახალგაზრდა გვარდია“ ეკრანზე გამოვიდოდა, მოსკოვში ჩინელების მთელი ჯგუფი ჩამოვიდა – ფილმის ჩინურენაზე გასახმოვანებლად. გამაცნეს ჩემი როლის გამხმოვანებელი მსახიობი. რომ იღიმებოდა, პატარა თვალები კიდევ უფრო უწვრილდებოდა.

მეორე დღეს თეატრის ვესტიბიულში შემხვდა და ღიმილის ნასახი ვერ შევამჩნიე სახეზე. მესამე დღეს ისევ სახეგაბადრული შემხვდა, დიდის ამბით მომესალმა. ერთ დღეს ისე ჩამიარა, თითქოს არც მიცნობდა, მერე კი ისევ ღიმილად დაიღვარა.

ბოლოსღა მივხვდი – თურმე სულ სხვადასხვა ჩინელ ვხვდებოდი.



## შარლ სპარაკი და მიმბაძველები

ინსტიტუტში განთქმული ფრანგი კინოდრამატურგი შარლ სპარაკი გვესტუმრა. სააქტორდარბაზში სტუდენტებთან შეხვედრისას, სასცენარო განყოფილების პირველკურსელმა სპარაკს ჰქითხა:

— Как вы пишете сценарии?

სპარაკმა მთელი სერიოზულობით უპასუხა:

— Я пишу сценарии лежа!

ამ შეხვედრას ერთი რუსი კინოდრამატურგი ქალი ესწრებოდა. მას ძალიან მოენონა ფრანგი კინოოსტატის პასუხი და აღტაცებულმა ნამოიძახა:

— Я тоже пишу лежа!

— Давайте писать вместе!

სწრაფად მიუგო სპარაკმა და დარბაზის ოვაციას ღიმილით შეხვდა. მგონი, მომავალი სცენარისტები შემდგომში სარგებლობდნენ კიდეც ფრანგი კინოდრამატურგის შემოთავაზებული მეთოდით.

მე მაინც ცნობილი რუსი კინოდრამატურგის ევგენი გაბრილოვიჩის გამოცდილებას ვამჯობინებ. სახლში მისვლა თუ დააგვიანდებოდა, ცოლთან თავს იმართლებდა — „საინტერესო ფილმი ვნახეო“ და გზაში შეთხზულ სიუჟეტს უამბობდა. ცოლი თუ ეტყოდა „ხვალ მანახე ეგ ფილმიო“, იმავე წუთს მაგიდას მიუჯდებოდა და მოგონილს ქაღალდზე გადაიტანდა.

ცოლი თუ ეტყოდა, „მაგ სისულელეში დრო როგორ დაკარგეო“, „სათაურმა შემაცდინაო“, ეტყოდა და ფიქრს ეძლეოდა.

ერთი ასეთი რამეც გამიგია ამ დიდებულ დრამატურგზე:

როგორც კი ცოლთან კონფლიქტი მოუვიდოდა, გავიდოდა თავის სამუშაო ოთახში და თავის ძველ სიყვარულს დაურეკავდა. მასთან საუბარში პოულობდა შვებას.

საუბრის დროს ცოლი თუ შემოუსწრებდა, ყურმილს სწრაფად დაკიდებდა და ეტყოდა: „богъшой тебе привет от Константина Сергеевича!“

## ჩესურის პიჯაპი

მომავალმა მათემატიკოსმა იური პეტრიაშვილმა თავისი ერთადერთი ჩესურის პიჯაკი გარეცხა, საერთო საცხოვრებლის სამზარეულოში გაფინადა და გაშრობას დაელოდა (არდადე-გების დროს ხდება ეს ამბავი). კოსტიუმს არა და არ ელირსა გაშრობა.

თურმე, ხან რეზო და ხან თენგიზი, სამზარეულოში შევი-დოდნენ, ნახევრად გამშრალ პიჯაკს წყალში ამოავლებდნენ და ისევ თოკზე ჰქიდებდნენ. შენუხებული იური ყველას ეკითხებოდა: „ჩესურის პიჯაკის გაშრობას რამდენი ხანი უნდაო?“ ყვე-ლას პირი ჰქონდა შეკრული და ზოგი ეუბნებოდა სამი-ოთხი დღე სჭირდებაო, ზოგი კიდევ – ერთი კვირაო. ერთმა ისიც კი უთხრა, ჩესურის კოსტიუმი საერთოდ არ შრებაო. მოდი და ნუ გადაირევი კაცი, როცა ერთადერთი კოსტიუმი გაქვს, შეყვა-რებულთან პაემანზე ხარ ნასასვლელი და ნარამარა გადაგაქვს ეს პაემანი. ბოლოს იურიმ უთოთი გააშრო პიჯაკი და ნახევრად სველი გაზქურასთან გაბმულ თოკზე ჩამოკიდა.

...როცა შევიდა სამზარეულოში და ნახა, რომ პიჯაკს ნურ-ნურით ჩამოსდიოდა წყალი... მართლაც კინალამ გადაირია. ჩქა-რი ნაბიჯიო ნავიდა აბულაძის ოთახისაკენ, შევიდა, გამოაღი კარადა, აიღო თენგიზის საგარეო პიჯაკი, მოიზომა... სამწუ-ხაროდ, სახელობი მოკლე აღმოაჩნდა! მაშინ რეზო ჩესიძის ოთახისაკენ გაემართა... რეზოს ბუკლეს პიჯაკი მოიზომა...

და იმით ნავიდა პაემანზე, იმით გაატარა მთელი სტუდენ-ტობა.



## ლევ კულიჯანოვი

ლევ კულიჯანოვი (შემდგომში ცნობილი კინორეჟისორი და ერთ დროს კინოკომიტეტის თავმჯდომარე) ჩვენი საცხოვრებლის ხშირი სტუმარი გახლდათ.

გია მარგველაშვილს (შემდგომში ცნობილ კრიტიკოსს) სტუმრობდა ხოლმე.

კულიჯანოვი აიღებდა გიას ბიბლიოთეკიდან რომელიმე ნიგნს, კითხვა-კითხვით გამოვიდოდა ოთახიდან, ასევე კითხვა-კითხვით გაივლიდა საერთო საცხოვრებლის დერეფანს, კუიბიშვის ქუჩას... გორკის ქუჩას და... ბუკინისტების მაღაზიას მიადგებოდა.

„რამდენიმე ხნის შემდეგ, პელმენებით ან „ნახევარფაბრიკატებით“ დატვირთული კულიჯანოვი გია მარგველაშვილთან ბრუნდებოდა. გია პელმენს ან შემნვარ კატლეტებს მიირთმევდა და აქებდა კულიჯანოვს:

— Какой ты добрый, Левушка!

ასე გრძელდებოდა კარგა ხანს.

გია გემრიელად შეექცეოდა და სულ ერთსა და იმავეს იმეორებდა:

— Какой ты добрый, Левушка!

— Добрый не я... добрые наши классики! — гаმოტყდა ბოლოს კულიჯანოვი.

თბილისში გაზრდილ ჩვენს კეთილ მეგობარს პელმენზე მეტად ლიტერატურა უყვარდა. განსაკუთრებით — ლევ ტოლსტიო — თავისი პედაგოგის, სერგეი გერასიმოვის რჩეული მნერალი.

ლექციებზე თითქმის არ დადიოდა (რეჟისურის გაკვეთი-ლებს თუ არ ჩავთვლით). უთმენდნენ, რადგან გერასიმოვის გამჭრიახე თვალი მასში არაორდინარულ პიროვნებას ხედავდა.

გამოცდების დრო ახლოვდებოდა.

დეკანატში დაიბარეს და მკაცრად გააფრთხილეს, რომ „ნაწყვეტების“ გარეშე (სასწავლო სცენაზე რომ უნდა დაეჭირო გა) ინსტიტუტიდან გარიცხავდნენ.

კულიჯანოვმა, გამოცდის წინა დღეს მე, რეზო ჩხეიძეს და რამდენიმე თანაკურსელს გვთხოვა, ლექციების შემდეგ აუდიტორიაში შევკრებილიყავით. „ჰაჯი მურატი“ ნაგვიკითხა თავიდან ბოლომდე, როლები გავვინანილა და აქვე დაინყორებულიცია (უფრო სწორედ – ჩვენი ნამება), რაც მთელი ლამე გაგრძელდა.

გვამეორებინებდა ყოველ ფრაზას, უესტს, მიზანსცენას გაუთავებლად. მე, რომელიც ჰაჯი მურატის შვილს ვთამაშობდი და „ტყვეობაში“ ვიმყოფებოდი, ბარე ორმოცდაათვერ მაინც დავემხე მუხლებით „იმამის“ წინ... გათენებისას შევამჩნიერ, ერთადერთი ჩემი შარვალი მუხლებთან დახეული იყო. დამლაგებელმა მომცა თეთრი ძაფი და იმითი ამოვკემსე.

ჰაჯი მურატის როლის შემსრულებელი მუხამედოვი, უძლო ღამემ ისე გამოაშტერა, რუსულის მაგივრად თავის მშობლიურ ენაზე – თათრულად დაინყო ტექსტის ლაპარაკი.

– Это гениально! – оценила кулиджановмა – так и говори! А сейчас немного поспим, чтобы на экзамене выглядеть свеженькими!

– Какими?

– Свеженькими!

და აქ ყველას აგვიტყდა სიცილი... მერე სკამებზე ჩაგვარინა.

გავიღვიძეთ პირველ საათზე, გავვარდით ტუალეტში. ცოტა მოვწესრიგდით და...

ორ საათზე დაინყო გამოცდა.

დაინყო „ნაწყვეტების“ ჩვენება.

გავედით სცენაზე... რას ვბოდიალობდით თვითონ არ ვაცოდით.

ჰაჯი მურატი – რუსულს და თათრულს ერთმანეთში ურუვდა... დასრულდა ბოლო ნაწყვეტი.

და მოხდა სასწავლი.

აპლოდისმენტებმა გააყრუა იქაურობა.

კომისიის წევრები ფეხზე ამდგარი უკრავდნენ ტაშს.

— Это четыре маленьких шедевра, — доказываета Георгий Меликови  
389.

узе́л афу́рні ро́м ми́нчунь а́рда, ми́нчунь а́рда, ми́нчунь а́рда, ми́нчунь а́рда.

„Лева, у тебя успех,

а у меня других брюк нет!“

გავიდა ნლები. კულიჯანოვმა გადაიღო პირველი ფილმი,  
„Когда деревья были большими“.

თბილისელი კაცი ჩამოვიდა თბილისში, მნახა ძველ კინოს-  
ტუდიისში. მოვძებნეთ რეზო ჩხეიძე, თენგიზ აბულაძე, რეზო  
თარხან-მოურავი და ერთად ნავედით უნივერმაღში, შეპირე-  
ბული შარვლის საყიდლად.

გზად რესტორან „რუსთავს“ გვერდი ვერ ავუარეთ და იქ  
შევედით.

მოვიგონეთ ჩვენი სტუდენტობა.

ვიმხიარულეთ, ბევრიც ვიცინეთ. განსაკუთრებით, თარ-  
ხან-მოურავის ამბავზე. მოკლეთ გეტყვით, საინტერესოა.

თარხანა მოსკოვის კინოინსტიტუტში სამხატვრო ფაკულ-  
ტეტზე აბარებდა რამდენიმე წელი. ბოლოს, როგორც იყო, მი-  
იღეს. პირველივე ლექციაზე დაიგვიანა. თავისუფალი სკამიარ  
აღმოჩნდა და ლექტორს უთქვამს: „შენთვის სკამი მოიტანეო“.  
ნავიდა რეზო სკამის მოსატანად და აღარ დაბრუნდა. ერთი კვი-  
რის შემდეგ ლექტორმა რომ იკითხა „Куда девался Тархан-  
Моурави?“, ერთ-ერთ სტუდენტს უთქვამს: „Он за столом в  
Тбилиси уехал?“ - о.

მოკლეთ, მაგარი დრო გავატარეთ.



## ვიოლინოს სიმი

ისევ ჩვენს საერთო საცხოვრებელზე მოგახსენებთ.

სულხან ცინცაძე საშხაპე ოთახიდან მხარზე პირსახოცვა-  
დაკიდებული გამოვიდა და თავის ითახში შევიდა. პიუპიტრზე  
ნოტები გაშალა, ვიოლინოზე დაკვრას აპირებდა; გაშტერდა, ის-  
სტრუმენტს ერთი სიმი აკლდა.

კინაღამ შეიშალა.

ოთახიდან ოთახში დარბოდა და სიმს ეძებდა.

ბოლოს „ბოლოკას“ ოთახში შევიდა და რას ხედავს – იატაკ-  
ზე დაგებულ ლეიბთან (რომელზეც „ბოლოკას“ მშვიდად ეძი-  
ნა), ფეხსაცმელებს, თასმის მაგივრად, ორად გაყოფილი... სი-  
მი ჰქონდა გაყრილი.

სულხანმა მძინარე შეაჯანჯლარა. „ბოლოკამ“ თვალი გა-  
ახილა.

– ეს რა ქენი, შე იდიოტო!.. – უყვირა – ხვალ გამოცდა-  
მაქვს!.. როგორლა დავუკრა, შე ეთიოპიელო შენა!

– პაგანინი, სხვათაშორის, ერთ სიმზეც შესანიშნავად უკ-  
რავდა, – აუღელვებლად მიუგო „ბოლოკამ“ თვალების ფშვნუ-  
ტით, წამოჯდა და ფეხსაცმლიდან ვიოლინოს სიმის გამოძრო-  
ბა დაიწყო.

– პაგანინი, პაგანინი! – არ ცხრებოდა სულხანო – შენ იცი-  
შე ვირო, ვინ იყო პაგანინი?

„ბოლოკამ“ იცოდა ვინ იყო პაგანინი, მაგრამ ისიც იცოდა,  
რომ ფეხსაცმლის თასმები მოსკოვში იმუამად დიდი დეფიციტი  
იყო.



## ვაინშტოკი

ერთი პატარა ტანის, გაჩინებული ბიჭი სწავლობდა ჩვენს ინსტიტუტში. ვაინშტოკი იყო გვარად. ქარი საითაც დაუბერავდა, იქით წაიღებდა ხოლმე. კრებებზე უყვარდა გამოსვლა. რა სერიოზულ თემაზეც არ უნდა ყოფილიყო ბჭობა, ის სულ გაჭირვებაზე ლაპარაკობდა. „სასადილოში გაყინულ კარტოფილს გვაჭმევენ“, „საერთო საცხოვრებელს არ ათბობენ“, „სტიპენდიას გვიგვიანებენ“ და სხვა ამდაგვარზე. ერთი სიტყვით, სულ სიმართლეს გაიძახოდა ვაინშტოკი.

ერთხელ, მეტრო „არბატსკაიასთან“ შემხვედა სახეგაბად-რული. ზომაზე დიდი პიჯაკის ბორტზე ოქროსფერი მედალი უბრნებინავდა, ხელში რაღაც საქალალდისმაგვარი ეჭირა. – ჩემპიონი ვარო – მითხრა.

– რის ჩემპიონი? – გავიკევირვე.  
– კრივში. ქალაქის სტუდენტთა ჩემპიონატზე გავიმარჯვე!  
– მისდევდი კი როდისმე კრივს?  
– არასოდეს. ფიზკულტურის კათედრის გამგემ, როსტის-ლავმა მთხოვა, ერთეული გვეკარგება მჩატე წონაში და რა გენალვლება, გამოდიო – დიდი-დიდი გაგლახონ, სამაგიეროდ ტრუსი და მაისური ფეშქაშად წაიღეო. უარი ვერ ვუთხარი. ხუმრობაა ტრუსი და მაისური?

– არა, ხუმრობა როგორაა!.. გალახულს რომ არ ჰგავხარ?  
– ჩემს გარდა ერთადერთი კაცი იყო ჩემს წონაში და...  
– გალახე?

– არა, არ გამოცხადდა და გამარჯვება მე მომანიჭეს. ტრუ-სი, მაისური და ჩუსტები უკვე ჩემია!

– ყოჩალ! – ვუთხარი მე და მხარზე ხელი დავკარი.  
წაბარბაცდა, კინალამ წაიქცა. ხელი შევაშველე.  
– ნელა, რას შვრები! – მითხრა, – დილიდან არაფერი მიჭა-მია და... კარგი კაფე ვიცი... ცოტა ფული თუ გაქვს, აღვნიშნოთ!  
გამეცინა გუნებაში, ერთი ხუთმანეთიანი მებადა. დავე-თანხმე, რასაკვირველია.  
„ავლნიშნეთ“.

## საცყალი სუმ-ხუ!

კინოინსტიტუტის საერთო საცხოვრებელში („ლასინკაში“) ერთი კორეელი ბიჭი ცხოვრობდა. საოპერატორო ფაკულტეტის სტუდენტი – სუმ-ხუ.

ერთ მშვენიერ (უფრო სწორედ – დაწყევლილ) დღეს, მის მეზობელი ოთახიდან ფოტოაპარატი „ფედი“ დაიკარგა.

დაზარალებული სტუდენტი დერეფანში გამოვარდა და ყურილი ატება:

– სად ვცხოვრობთ, ხალხო!.. პაპიროსის საყიდლად გავედორომ დავბრუნდი, ფოტოაპარატი ადგილზე აღარ დამხვდა!

დერეფანში გამოსულმა შუაზიელმა ქალიშვილმა ყურის ჩასჩურჩულა:

– წელან დავინახე, შენი ოთახიდან სუმ-ხუ გამოვიდა და თვის ოთახში შეცუნცულდა.

დაზარალებული სტუდენტი კორეელის ოთახში შევარდი (ის ტრუსების ამარა იდგა და შარვალს აუთოებდა). ისტერიულად იყვირა:

– მოპარული აპარატი ახლავე დამიბრუნე!

კორეელი დაიბნა. სახე აელენა, მერე თავი იმართლა:

– მე ჩემი უთო გამოვიტანე, აპარატი თვალით არ მინახავ ოთახი ცნობისმოყვარეებით გაივსო.

ერთხანს ჩუმად იდგნენ. მერე ერთმა მათგანმა ნამოიძახა:

– რას ვეცერემონიებით ამ კორეელ მაიმუნს, ოთახი გაჩერიკოთ!

რამდენიმე წუთში ოთახში ყველაფერი ყირაზე იდგა.

რომ ვერაფერი ნახეს, ვიღაცამ თქვა:

– ცოტა ხნის ნინ ეს კორეელი საპირფარეშოში ვნახედა აბათ იქ გადამალა!

ყველა საპირფარეშოში გავარდა. იქაც ვერაფერი ნახე ითახში შებრუნდნენ.

კორეელი სტუდენტი დუმდა. ბოლოს თქვა:



– თვის ბოლოს ნარმომადგენლობიდან ფულს მივიღებ და ვიყიდი აპარატს.

„თუ შენ არ მოგიპარავს, რატომ იყიდი?!“ – მიახალა ყველაზე აქტიურმა და კორეელს სილა გააწნა.

სუმ-ხუ გაუნძრევლად იდგა და სტუდენტების განრისხებულ სახეებს მისჩერებოდა. ჩალურჯებული ტუჩები უთროთოდა.

დაიწყო გაუთავებელი კრებები, ამორალური სტუდენტის დამუშავება.

კრება საერთო საცხოვრებელში.

ინსტიტუტში.

კრება კორეის ნარმომადგენლობაში.

არსად, არცერთ კრებაზე ჭჭმიტანილს თავიარ უმართლებია.

ინსტიტუტის რექტორატი წერილს უგზავნის კორეის შესაბამის ორგანიზაციას და რიცხავს სუმ-ხუს სტუდენტების რიგებიდან.

კორეის მთავრობა უკან ინვევს თავისივე ნარგზავნილს.

ერის შემარცხვენელი კაცი სამშობლოში გაასამართლეს და მიუსავეს სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვრეტა.

განაჩენი სისრულეში მოიყვანეს.

გავიდა რამდენიმე ხანი.

დაკარგული ფოტოაპარატი საერთო საცხოვრებელში მცხოვრებ ერთ-ერთ საბჭოთა სტუდენტს უპოვეს.

მთელი ინსტიტუტი მხოლოდ ამ ამბავზე ლაპარაკობდა.

თანაკურსელებმა დამნაშავე სასადილოში მოიხელთეს და დაუნდობლად სცემეს.

სახედასისხლიანებულმა თავის ოთახში ძლივს შეაღწია.

რამდენიმე დღე ოთახიდან გამოსული არავის უნახავს (მარტო ცხოვრობდა).

მიაკითხეს ბოლოს თანაკურსელებმა. ოთახის კარებიდაკეტილი დახვდათ. დიდხანს აკაკუნეს, არავინ გამოხმაურებიათ. ეძებეს კომენდანტი, ვერსად ნახეს (კვირა დღე იყო). კარების საკეტს ვერც ერთი გასაღები ვერ მოარგეს. ბოლოს, კარები შეამტკრიეს.

შემზარავი სურათი დახვდათ!

მათ თანაკურსელს სარეცხის თოკი ჭალზე გამოება და ... თავი ჩამოეხრჩო...

...დაფერფლეს მოსკოვის კრემატორიუმში, თითქოს არც ყოფილა ამქვეყნად.

## მიშა კალიპი

სიცოცხლის ბოლო ნლები ამერიკის შეერთებულ შტატებში, ნიუ-იორკის გარეუბანში გაატარა. პროფესიით კინორეჟისორი იყო.

1960 წლამდე ცხოვრობდა საბჭოთა კავშირში. „მოსფელ მის“ კინოსტუდიაში გადაიღო ფილმი „ადამიანი ისნრაფი მზისკენ“ – ფილმი, რომელმაც აალაპარაკა მთელი ჩვენი კინუ მატოგრაფიული საზოგადოება. რამდენიმე წლით ადრე სასუკლილოდ იყო განწირული – მისჯილი ჰქონდა დახვრეტა.

მივყვეთ თანმიმდევრობით.

1953 წელია.

მიშა კალიკი მოსკოვის კინემატოგრაფიის ინსტიტუტისა რეჟისორო ფაკულტეტზე სწავლობს. გამოირჩევა გონიერებულითა და ნიჭიერებით.

ერთ საღამოს მომავალი კინემატოგრაფიისტები მეგორის ბინაში შეიკრიბნენ. მოგეხსენებათ შემოქმედი ხალხი „უცნაურობანი“. მიშა კალიკმა „გართობა“ შესთავაზა მეგორებს.

„მოდით, დავირიგოთ დიდი თანამდებობანი და ყველა ჩემი განმა თქვას, რას მოიმოქმედებდა ამ პოსტზე“.

შეკრებილთ მოეწონათ ნინადადება.

ჯერ თანამდებობები გაინაწილეს:

ერთი კულტურის მინისტრად აირჩიეს.

მეორე – მშენებლობის კომიტეტის თავმჯდომარედ.

მესამე – უშიშროების მინისტრად...

ერთიც – საგარეო საქმეთა მინისტრად.

სიტყვა მისცეს კულტურის მინისტრს. მან თქვა:

– ყველას, ჩემს მეგობრებს, მოგცემდით იმ ფილმების კალების უფლებას, რაც თქვენ გულით გწადიათ.

მშენებლობის მინისტრმა განაცხადა:



— ავაშენებდი პოლივუდის მსგავს კინოსტუდიას ყირიმში და კალიკა ყველა ნიჭიერ კაცს იქ მოვუყრიდი თავს — მინისტრმა კალიკა გახედა — შენც, ჩემო მიშა!

საგარეო საქმეთა მინისტრმა კი დაამატა:

— მე კი მოგცემდით უფლებას მოგენვიათ უცხოელი კინე-მატოგრაფისტები და გადაგელოთ ფილმები... ვივიენ ლისაც ჩა-მოგისუპებდით... თუ კი მოისურვებდით!

— შენ მიშა, შენ რას შემოგვთავაზებდი? — პკითხეს მიშა კა-ლიკა, რომელსაც უშიშროების მინისტრის თანამდებობა ერგო.

— მე... — ერთი წუთით ჩაფიქრდა კალიკი — მე, ამ „ულირსი“ საქციელისათის არცერთს არ დაგაპატიმრებდით!

კალიკის ნათქვამმა ტაში დაიმსახურა.

რამდენიმე დღის შემდეგ „თანამდებობის პირები“ ინსტი-ტუტში აღარავის უნახავს.

ყველა დაპატიმრეს. ცოტა ხანში ერთი მათგანი გაანთავი-სუფლეს...

როგორც მერე გაირკვა, გაანთავისუფლეს ის სტუდენტი, ვის სახლშიც მომავალი კინემატოგრაფისტები იყვნენ შეკრე-ბილნი და ვისაც მთელი მათი საუბარი მაგნიტოფონის ფირზე ჩაეწერა და უშიშროების კომიტეტში (უკვე ნამდვილში) ნარედ-გინა. იქ კი, როგორც მოგეხსენებათ, ხუმრობა არ უყვარდათ.

ყველა დაპატიმრებულს 14-15 წელი მიუსაჯეს. ყველას, გარდა მიშა კალიკისა. მას, სასჯელის უმაღლესი ზომა — დახ-ვრეტა შეუფარდეს.

განაჩენი სისრულეში 15 მარტს უნდა მოეყვანათ.

5 მარტს გარდაიცვალა სტალინი...

რამდენიმე თვის შემდეგ სტუდენტები გაანთავისუფლეს.

მიშა კალიკი და მისი მეგობრები კინემატოგრაფიის ინსტი-ტუტში აღადგინეს.

...კალიკმა დაამთავრა ინსტიტუტი და მიუხედავად კინოკო-მიტეტის ხელმძღვანელობის სასტიკი წინააღმდეგობისა, მაინც გადაიღო თავისი სანუკვარი ფილმი:

„Человек идет за солнцем“.



## გრიშა მარგიანი და სვეტლანა ჯუღაშვილი

საერთო საცხოვრებელში ჩვენთან ერთად ზორბა სვანიძე, გრიშა მარგიანი ცხოვრობდა (შემდეგში ცნობილი ისტორიკოსი). უნივერსიტეტში მისი თანაკურსელი იყო ი. სტალინის ქალიშვილი სვეტლანა ჯუღაშვილი (შემდგომში ალიჭუვა). სვეტლანამ გრიშა დაბადების დღეზე დაპატიჟა.

გრიშა მორცხვი კაცი გახლდათ და წვეულებაზე არ მიერდა.

მეორე დღეს უნივერსიტეტში რომ შეხვდა, სვეტლანა გრიშას უსაყვედურა:

- Гриша, почему не пришёл?
- Я постеснялся, – уპასუხა გრიშამ.
- Чего ты постеснялся – гаიკვირვა სვეტლანამ, – никого постороннего не было. Папа и Ворошилов!

„პაპას“ გაგონებაზე გრიშა ადგილზე შექანებულა და ეინდამ ცუდად გამხდარა.

... ღიმილით იგონებდა ჩვენი მეგობარი გრიშა ამ ამბავს მაშინ კი... მაშინ, ამ ამბის გახსენებაც კი ურუანტელს გვრიდა.



## ესახიობის დიპლომით – პირსტუდის შტატი

დავამთავრე ინსტიტუტის სამსახიობო ფაკულტეტი და თბილისში წამოვედი. იქ დავტოვე ჩემი ნინა კრაჩიოვსკაია, ჩემი დიდი სიყვარული.

მნერდა საოცარ წერილებს.

დავკარგე...

ჩამრიცხეს თბილისის კინოსტუდიის შტატში. მაძლევდნენ ხელფასს – როლებს კი არა.

დავიწყე სმა. თითქოს ჩაკვდა ჩემში რაღაც მთავარი, რის-თვისაც ღირდა ცხოვრება.

ერთ დღეს ელბაქიძის დალმართზე ვხვდები მოსკოველ ნაც-ნობს, ვარ გაუპარსავი, სმისაგან სახეშეშუპებული. მოსკოველი რაღაც სხვანაირად მიყურებს. მერე ამბობს:

– У тебя такой вид, будто создал что-то значительное, или махнул рукой на все...

მივედი სახლში და დავიწყე სცენარის წერა (გამოცდილება კი – არავითარი!). მოსკოვში ტარდებოდა კონკურსი. იქ გა-ვაგზავნე. მივიღე „ნამახალისებელი“ პრემია. ეს კი ნიშნავდა – სცენარი პროფესიულად იყო დასამუშავებელი.

ძველი კინოსტუდიის დერეფანში, ძველ სავარძელში, უსაშ-ველო განიერმხრებიან ბუკლეს პალტოთი, ზის ჩემი მეგობარი, იმუამად უმუშევარი სულიკო უღენტი. შევთავაზე სცენარზე ერთად მუშაობა. იმ ნამში დამეთანხმა და პაპიროსის ნამწვავიდან ახალ პაპიროს მოუკიდა (ბევრს ენეოდა).

დაგვიდეს ხელშეკრულება, მოგვცეს ავანსი 1200 მანეთი (ეს მაშინ დიდი ფული იყო), ვიქირავეთ სასტუმრო „თბილისში“ ლუქსი!

გაჩნდნენ ახალი მეგობრები. ჩვენი სამუშაო ოთახი კაზინოს დაემსგავსა.

დამით ვწერდით სცენარს, დღისით ვქეიფობდით, ვთამა-შობდით პოკერს...

ვსხედვართ მაგიდასთან ხუთნი, ვთამაშობთ პოკერს და ყველა ველით „ფლეშს“. ჩვენს შორის არის დათო მილაშვილი, ყოფილი ჩვენი სკოლელი, იმუამად კი თბილისის მილიციის უფროსი. დათო ტანით პატარაა, მაგრამ სულით ძლიერი. მის ზურგს უკან, როგორც წესი, ორი ებრაელი ზის. როგორც კი დათოს ფული მოაკლდება, ისინი ამარავებენ. თამაშის დამთავრების შემდეგ, ჩავდივართ რესტონაში, სადაც გაშლილი სუფრა გველის. ფულის გადახდას ებრაელებს ვერავინ ასწრებს. რაც უფრო დიდია დანახარჯი, მთ უფრო სიამოვნებით იხდია. ერთხელ დათოს ვკითხე, — ვინაა ეს ორი ტიპი, სულ უკან რომ დაგდევს, მიპასუხა: „მე რომ უნდა დავდევდე — ისინიო!“

გაქანებული „საქმოსნები“ ყოფილან თურმე, რაც მაშინ კანონით ისჯებოდა, ისევე როგორც კარტის ფულზე მოთამაშებიც.) ჩვენ კი ყველას თავი ქუდში გვქონდა — დათო გვმფარეულობდა, — ჩვენი უღალატო მეგობარი.

დამთავრებული სცენარი კინოსტუდიის იმუამინდელ დარექტორს, გოგი გიგოლაშვილთან შევიტანეთ. მას, მგონი, არც ნაუკითხავს, სასცენარო განყოფილებაში შეუტანია და მაგრა დაზე დაუგდია.

„წაიკითხეთ და ყურადღება მიაქციეთ წითელი ღვინის ლაქებსო!“

განხილვის თაობაზე სიტყვაც არ დაუძრავს (აბა, რას ნაკითხავდნენ)!

დაგვანერინეს განცხადება, რომ გარკვეული მიზეზების გამო, უარს ვამბობთ სცენარის შემდგომ დამუშავებაზე. მიღული ავანსის გადახდაც დაგვაკისრეს.

„ლუქსიდან“ ისევ ჩემს პატარა ბინაში გადავსახლდი.



## ფიასკო თეატრში

კინოსტუდიისაკენ გახედვაც აღარ მინდოდა.

მარჯანიშვილის თეატრში დავინუე მუშაობა შტატგარეშე თანამშრომლად.

ვზივარ მსახიობთა ოთახში, ვითვლი ბუზებს და ველი როლს.

ლილი იოსელიანმა, ლირსებითა და ნიჭიერებით სავსე ქალბატონმა, რეზო თაბუკაშვილის პერსაში, სადაც რაიკომის მდივანი, სერგო ზაქარიაძეს უნდა ეთამაშა, მძლოლის როლი შემომთავაზა (როგორი ტანდემია?! – ბატონი სერგო – რაიკომის მდივანი, მე – მისი მძლოლი).

დაინუო რეპეტიცები.

სპექტაკლის მეორე მოქმედებაში რაიკომის მდივანი ატარებს თათბირს. ზაქარიაძის ყოველ სიტყვაში, რომელიც თითქოს არც ეხება მის ოჯახურ ტრაგედიას, იგრძნობა დიდი გულისტკივილი.

ბოლოს ის ასკვინის:

„ადამიანს და მის სიცოცხლეს მოფრთხილება უნდა ამ-ხანა-გე-ბო!“

ამ დროს, მე უნდა შევვარდე თათბირზე და ადგილზე გავქვავდე. ასე, უსიტყვოდ, უნდა გამოვხატო მისი მეუღლის გარდაცვალება.

რეპეტიციებმა ნორმალურად ჩაიარა.

დადგა პრემიერის დღე... მიდის სპექტაკლის მეორე მოქმედება – მდივანი ატარებს თათბირს. (დარბაზში დაძაბული სიჩუმეა). ახლოვდება ჩემი სცენაზე „შეჭრის“ დრო..

„ადამიანს და მის სიცოცხლეს მოფრთხილება უნდა ამ-ხანა-გე-ბო!“ – ამბობს ზაქარიაძე.

კულისებიდან ვხედავ ცრემლებს მის თვალებზე. ვღელავ, განვიცდი.

დიდი პაუზა.



ზაქარიაძე იმეორებს:

„ადამიანს და მის სიცოცხლეს მოფრთხილება უნდა ამ-ხა-  
ნა-გე-ბო!“

მივჩერებივარ აღტაცებული.

ზაქარიაძე უკვე მესამედ იმეორებს:

„ადამიანს და მის სიცოცხლეს... – და უცებ ყვირის:

– სად არის შოფერი?!!

– აქა ვარ! (ხარ და აღარ იქნები – მესმის ჩემი შინაგანი ხმა).

უშვებენ ფარდას...



\* \* \*

მარჯანიშვილის თეატრში იყო უშესანიშნავესი ქალბატონი მზია მახვილაძე, თენგიზ აბულაძის მეუღლე. სწორედ მას უამბნია თენგიზისთვის, როგორ ჩავშალე პრემიერა.

თენგიზს ბევრი უცინია, მერე გაუგია, თეატრიდან გამოგდებული რუსთაველზე რომ უსაქმოდ დავბორიალებდი და შემომითვალა – აუცილებლად მნახოსო.

სულ მალე მის ასისტენტად დავიწყე მუშაობა ფილმზე „სხივისი შვილები“, რომელიც, ის იყო, ჩაეშვა ნარმოებაში.

ოპერატორი გახლდათ მეტად საინტერესო პიროვნება, უმაღლესი კლასის პროფესიონალი, ლევან პაატაშვილი.

მხატვრები: გივი გიგაური (ჩვენი გიგო) და კახი ხუციშვილი... (მათთან ერთად შექმნეს თენგიზმა დარეზო ჩხეიძემ „მაგდანას ლურჯა,“ საეტაპო ფილმი ქართულ კინოში). დიდი ბეჭნიერება იყო ასეთ ხალხთან მუშაობა.

თენგიზი მაქსიმალისტი გახლდათ მუშაობის პროცესში და ამასვე მოითხოვდა სხვებისგანაც. იყო გაუთავებელი ბჭობა, სცენარის დამუშავება, ათობით ვარიანტი. გაშლილ სუფრასთანაც მხოლოდ მომავალ ფილმზე იყო საუბარი.

ეს იყო შემოქმედებითი სიხარულის დაუვინარი დღეები. თენგიზი, ისეთი ტაქტით „მართავდა“ ამ პროცესს, ყველას გვეგონა (ყოველ შემთხვევაში – მე) რომ უჩვენოდ ვერაფერი შეიქმნებოდა. ნიჭიერებას მისას თან ახლდა უზადო გემოვნება.

დიდი მხატვრებისა და მათი შედევრების ცოდნამ, ვფიქრობ, განაპირობა ის იშვიათი სახვითი მხარე, რაც ახასიათებს ყველა მის ფილმს.

„სხივისი შვილები“ ჯერ არ იყო დამთავრებული, მერომ ისევ მოსკოვში გავემგზავრე, უკვე – „საქორნილო მოგზაურობაში“...

მოსკოვში ვიყავი მონმე „სხვისი შვილების“ წარმატების  
რის შესახებაც უკვე გიამპეთ.

იმის მონმეც ვიყავი, რა არნახული წარმატება ხვდა მის „მონანიებას“ მოსკოვში. გარდა იმისა, რომ ეს იყო მაღალმხატვრული ნანარმოები, ფილმი იმ ტოტალიტარული სისტემის რღვევის დასაწყისიც იყო, რომელშიც ჩვენ დიდი ხნის განმაჟლობაში ვცხოვრობდით.



## შესვებრა მატარებელში

მოსკოვიდან თბილისში მოვემგზავრები.

მატარებელში სერგეი გერასიმოვს ვხვდები. მასთან არიან ელა ბისტრიცკაია და პიოტრ გლებოვი.\* ბელორეჩენსკიაში მიღიან „წყნარი დონის“ პრემიერაზე. საოცრად კარგ ხასიათ-ზე არიან. თავიანთ კუპეში მიწვევენ, გაშლილ სუფრაზე. ვუყვები ჩემს პატარა ნოველებს. მისმენენ, იცინიან.

- Это же в кино надо снимать! – аმბობს ულამაზესი ელა.
  - Правильно! – ეთანხმება აჭარხლებული გლებოვი.
  - Надо! – ასკვნის გერასიმოვი.
  - Так в чем же дело? – კითხულობს ელა.
  - Дело в режиссерском дипломе! – ვეშმაკობ მე.
  - Ты его получишь, Гугули – ჭიქას მივსებს ეს ღვთისნიერი კაცი, სარეუისორო ფაკულტეტის კათედრის გამგე და გამოჩენილი პიროვნება – სერგეი გერასიმოვი.
- ....

უგამოცდოდ ვხდები „ვგიკის“, სარეუისორო ფაკულტეტის მე-3 კურსის სტუდენტი.

ჩემს ასაკში ბონდარჩუკი სახალხო არტისტია, თენგიზი და რეზო კანის ფესტივალის პრიზიორები, სულხან ცინცაძე სტალინური პრემიის ლაურეატი გახდა. მე, მარჯანიშვილის თეატრში, მასობრივ სცენებში მონაწილეობისათვის 10 მანეთს მიხდიდნენ...

ყველაფერი თავიდან უნდა დამენცო.

---

\* ბისტრიცკაია და გლებოვი გერასიმოვის „წყნარ დონში“, მთავარ როლებს ასრულებენ.

## ЗДРАВСТВУЙ, ЛОМАКИН!

...Это да — газебди ისევ სტუდენტი.

— Зурабоврот საერთო საცხოვრებელში, უკვე „ლასინკაში“, სადაც შემთხვევით ვხვდები სამსახიობო ფაკულტეტზე ჩემი ყოფილ კურსელს — ვიქტორ ლომაკინს, შავ კოსტიუმშია გამოწყობილი და ჰალსტუხი უკეთია.

მხარზე ხელს ვურტყამ — Здорово, Ломакин!

— Здравствуйте! — მპასუხობს ოფიციალურად. — Мгеладзе, что ли?

— Не узнаешь?

— Вы что здесь делаете?! — ჩემს ფლოსტებს დასცექერის ლომაკინი.

— Он здесь живет, Виктор Макарович — უხსნის ერთ-ერთი მისი მხლებელი, ჩვენი კომენდანტი.

— Как это?!

— Да так! Учусь на режиссерском!

— На каком основании, на каких правах?

— На правах советского студента!

— Сколько можно!.. Вот куда летят наши денюжки!

მეორე მხლებელი მაჯის საათს დასცექერის.

— Виктор Макарович, опаздываем!

— Так, так! — ისევ ფლოსტებზე მიყურებს ლომაკინი. მიდიან.

— Ты что, обалдел! — ფერი არ ადევს სახეზე ჩვენს კომენდანტს. — Как ты разговариваешь с представителем ЦК? Он же нас курирует!

(არ მესიამოვნა, მაგრამ არ შევიმჩნიე).

— Ну и пусть курирует!

— Товарищ Мгеладзе!

— Что, товарищ Зайцев?

— Что, что... ничего! Ведите себя поскромнее... —   
— Рыбка, кормиля, скажи, как же я буду жить?

— Чем же ты будешь заниматься? —  
— Я буду учиться в университете.

— А что же ты будешь делать, когда закончишь университет?

— Я буду работать, чтобы заработать деньги на жизнь.

— А что же ты будешь делать, когда закончишь университет?

— Я буду учиться в университете.

— Чем же ты будешь заниматься? —  
— Я буду учиться в университете.

— А что же ты будешь делать, когда закончишь университет?

— Я буду работать, чтобы заработать деньги на жизнь.

— А что же ты будешь делать, когда закончишь университет?

— Я буду учиться в университете.

— Здравствуйте, товарищ Ломакин! —  
— Молодец!

— До свиданья, товарищ вечный студент!



## ჰა გურთი და ჰა მოეძანი!

დავამთავრე მეოთხე კურსი და ჩამოვედი თბილისში საჭირო ლომო ფილმის გადასაღებად.

მივედი სტუდიაში. დირექტორის მისაღების ფანჯრიდან გავყურებ ეზოს. გარეგნულად არაფერია შეცვლილი. ისევ ისეა, როგორც ორი წლის ნინათ იყო. „პიტაჩიკზე“ შეკრებულან სტუდიის თანამშრომლები. ჭადრაკის გადაღებულ პარტიას მაგონებს. ეს ასეა – გარეგნულად, ისე კი – ცვლილება საგრძნობია. თბილისში არ დარჩა ნიჭიერი მწერალი, მხატვარი, კომპოზიტორი კინოსტუდიასთან რომ არ თანამშრომლობდეს და ეს მოხდა ახალი დირექტორის, მიშა კვესელავის თაოსნობით.

(აქედან იწყება ქართული კინოს „ოქროს ხანა“).

სწორედ ბატონი მიშას წყალობით გადავიდე „ბურთი დმოეძანი“, რომელმაც ლამის ნახევარ საუკუნეს გაუძლო.

იპოლიტე ხვიჩიაც მისი კანდიდატურა იყო.

ფილმის ერთი ასლი ბატონმა მიშამ „მიისაკუთრა“, და დარექტორის საპროექციო დარბაზიდან ხშირად ისმოდა ფერების ღლონტის მუსიკა, რომლის დაწერასაც მან ერთი თვე და 10ნუ თი მოანდომა.

ერთითვე ის წერდა დიდებულ მუსიკას (ხომ გახსოვთ „აღვერდობაში“, – რაღაც იმდაგვარს).

რომ მოვუსმინე და ჩემი აღტაცება გამოვთქვი, მითხრა:


– აბა რა გეგონა! მაგარია, არა?

– მაგარია, მაგრამ არ ვარგა! – ვუთხარი ბოლოს.

კინაღამ გადაირია! – თუ მაგარია, როგორ არ ვარგა?! და თუ არ ვარგა, მაგარი როგორაა?! მე რა, ერთი თვე ტყუილად ვიშრომე!

რა გინდა, მითხარი. – აი ე-ეს?! ცალი თითით დააბრახუნა ფორტეპიანოზე ფეხბურთის მარშის მელოდია.

– ეს, სწორედ ეს! – ვიყვირე გახარებულმა.

  
– კი ბატონი! – თქვა ირონიით და ზუსტად 10 წუთი გან-  
უწყვეტლივ მასმენინა ფეხბურთის მარშის ვარიაციები, რომე-  
ლმაც კიდევ უფრო გაახალისა ჩემი სადიპლომო ფილმი „ბუ-  
რთი და მოედანი“.

(შემდეგ „ქართულ ფილმში“ ერთმანეთის მიყოლებით გა-  
დავიდე ფილმები „ბოდიში, თქვენ გელით სიკვდილი“, „ცისკრის  
ზარები“, „სინათლე ჩვენს ფანჯრებში“ (რომელიც 1969 წლის  
ერთ-ერთ საუკეთესო ფილმად იყო აღიარებული), „არ დაიჯე-  
რო რომ აღარა ვარ“ და სხვა ფილმები.

უცებ დავმუხრუჭდი!..

გაქანებულ ტოტალიტარიზმის პერიოდში გადავწყვიტე  
სატირული კომედია გადამეღო.

სცენარი დაწერა რეზო ჭეიშვილმა, პოლიკარპე კაკაბაძის  
პიესის „ცხოვრების ჯარას“ მიხედვით. ჩვენდა გასაკვირად,  
სცენარი მოსკოვმა დაამტკიცა და ჩაგვიშვეს წარმოებაში.

მომავალი ფილმის სახელწოდება იყო: „ციცინათელა“).



## „პურთი და მოედანი“



ვახტანგ ნინუა



ოთარი ზაუტაშვილი



იპოლიტე



კადრი ფილმიდან



იპოლიტე

## „პურთი და მოედანი“

საქართველო  
Georgian Republic



იმ დროის ყველაზე მაღალი კალათბურთელი ანზორ  
ლეზავა („ძია, შეგვიყვანე რა ფეხბურთზე!“)

„ପ୍ରକଟିତ ଏବଂ ଅନୋଡ଼ାରେ“




ମହାଦେଶ  
ମହାଦେଶ



# ბოლოში იქნებ გელია საუკლავი



ბოლოში იქნებ გელია  
საუკლავი



იპოლიტე, ეროსი მანჯგალაძე და ნანი რატიანი. (ზემო  
ფოტოზე სესილია თაყაიშვილი).

# „პოდიში, თბილის გელით სიკვდილი“

ცალკეული  
გელით სიკვდილი



აბრევ ფხალაძე და იპოლიტე

იპოლიტე და ჯემალ ღალანიძე

გადასალებ  
მოედანზე (მარცხ.  
პირველი სერგო  
ორჯონიქიძე.  
აპარატთან ნანი  
რაჭიანი. გამნა-  
თებელ აპარატუ-  
რასთან – მე).



გადასალებ  
მოედანზე



გადასაღებ მოედანზე: მე, დალი რატიანი, სერგო ორ-ჯონიკიძე და ოპერატორის ასისტენტი

### მხ. ვ. „ქახილი“ (ნოველა HELLADOS)



ლია კაპანაძე



ვასილი პაპაიანიძე



ფინალური სცენა



განშორება

## „ცისპრის ზარები“



გადასალებ  
მოედანზე:  
მე, გივი  
რაჭველიშ-  
ვილი  
(ოპერატო-  
რი), სპარ-  
ტაკ ბალაშ-  
ვილი



მანანა ცხოვრებოვა (მატი-  
სა)



გადასალებ მოედანზე



სპარტაკ ბალაშვილი

## „ცისპრის ზარეპი“

ზურა  
ქაფიანიძე  
და მე



ზოიძე,  
გოგი  
გოცირიძე,  
მე და  
გრიშა  
ნიტაიშვი-  
ლი



გრიშა  
ნიტაიშვი-  
ლი, მე,  
ნელი  
ბაქრაძე და  
ზურა  
ქაფიანიძე

## „ციცინათება“

დასაწყისი ერთობ მხიარული გახლდათ – ჯგუფი მოსამზადებელ პერიოდში იმყოფებოდა. ფოტოსინჯების დროს, ერთმა მსახიობმა, მთავარ როლზე პირადი ინიციატივით რომესინჯებოდა, გვერდზე გამიყვანა და მითხრა:

- გნებავთ, ბიძაჩემს დავარეკინებ?
- სად დაარეკინებ? – ვერ გავიგე მსახიობის ნათქვამი.
- კინოსტუდიის დირექტორთან!
- კი მაგრამ, რატომ?
- როლზე რომ დამამტკიცოთ... მინისტრია ბიძაჩემი, იცით ხომ?

- კი მაგრამ, დირექტორი რა შეუაშია?
- მინისტრი მას დაურეკავს, ის კი თქვენ.
- აჰა! – ვთქვი და დაკვირვებით შევხედე. მსახიობს ისეთი მლიქვნელური გამომეტყველება ჰქონდა, მივხვდი, რომ ეს სწორედ ისაა, ვისაც ვეძებდი – ზედგამოჭრილი იასონია! (ფილმის გმირი).
- არა! – ვუთხარი მე, – ნუ შეაწუხებ მინისტრს, შენ, აღბათ, ამის გარეშეც აგიყვანთ როლზე.

...ესკიზები მზად იყო, მსახიობები თითქმის შერჩეული და ის იყო, ნატურის ასარჩევად ვაპირებდით გამგზავრებას, რომ მინისტრის ძმისწულმა შემომთავაზა, ჩემი მანქანით წავიდეთო. მერე ისიც დასძინა, რომ საჭესთან აუცილებლად მე დავმჯდარიყავი.

- ტარებას ახლალა ვსწავლობ-მეთქი – ვუთხარი.
- მე მითხრეს, ძალიან კარგად ატარებსო! – ისეთი მინაზე ბული ხმით მითხრა მსახიობმა, მომეჩვენა, რომ სამოსელის ქვეშ დაიკლაკნა.

გამოცხადებული იასონია!..

მეორე დღესვე ჩვენ ორნი აჭარისაკენ გავემგზავრეთ. მანქანა საშინლად დამყავდა. მსახიობი მთელი გზა ილიმებოდა.

რამდენჯერმე კინალამ ავარია მოვახდინე. ის მაინც იღიმებონ - და. - მანქანის დედა არ ვატირეო! - ამბობდა - ჯართია, მუტოთია, ხომ არაფერიო!

ჩავედით ქობულეთში, მოვენყვეთ სასტუმროში. მეორე დღეს დეპეშა მივიღეთ თბილისიდან:

„დაბრუნდით, „ციცინათელა“, იხურებაო“.

მხატვარი და ოპერატორი დათქმული რეისით არ ჩამოფრინდნენ. ესეც რაღაცას ნიშნავდა!

გუნებანამხდრებმა ავიღეთ ჩვენი ბარგი-ბარხანა და ჩავსხედით მანქანაში. საჭესთან ისევ მე ვიჯექი. როგორც იყო ჩხაკუნით ჩავრთე სიჩქარე და მანქანა ბორძიკით დავდარი ადგილიდან. მსახიობს გავხედე. სახეზე ფერი არ ედო. იმ წუთშივე მივხვდი, რასაც ფიქრობდა:

„ისე დაძრა ამ შეჩვენებულმა ჩემი მანქანა, თითქოს მისი საკუთრება იყოს!.. მთლად არ ჩამიმტვრია სიჩქარის კოლოფი?!“

ქალაქიდან გასულები არც ვიყავით, რომ კინალამ ავტობუსს შევასკდი.

- ხედავ, როგორ დადის? - ავტობუსის მძლოლს გადავაძრალე ჩემი დანაშაული, - ხედავ როგორ დამიმუხრუჭა?

- არაფერია, ბატონო ყარამან... რა უჭირს. მანქანის დედა არ ვატირე! - ეს კი თქვა მსახიობმა, მაგრამ გაიფიქრა სულ სხვა. აშკარად ვკითხულობ ამას მის სახეზე: „დაგიმუხრუჭეს არა, ის! ტარება არ იცი და ეგ არის!.. მეტი არაა ჩემი მტერი, ეს კინოს გადამლები იყოს!“

გავაგრძელეთ გზა. ცოტა ხანში მანქანა ისევ დავამუხრუჭე. ეხლა კინალამ ტრაქტორს შევასკდი.

და უცებ იყვირა მსახიობმა.

- გააჩერეთ!

მანქანა გავაჩერე.

- ბატონო ყარამან, მე დამაჯინეთ საჭესთან.

- კი ბატონო!

გავცვალეთ ადგილები. მანქანა დაიძრა.

მსახიობს სახის გამომეტყველება თანდათან ეცვლება.

ისევ მესმის მსახიობის შინაგანი ხმა.

„დავუშვათ და დახურეს ეს სურათი... რა... სხვა სურათის გადალებას აღარ აპირებს ეს კაცი?! - მანქანის დედა არ ვატირე!“

ბოლო სიტყვები მსახიობმა ხმამაღლა წარმოსთქვა.

– მე მითხარით რამე? – შევეკითხე.

– მანქანის დედა ვაჭირე-მეთქი!

– არა, რაჭომ? – წარმოვთქვი უაზროდ.

მსახიობმა მანქანა გააჩირა.

– ცოტა მუხლები გავშალოთ!

გადმოვიდა მანქანიდან, გადმოვედი მეც.

– ინებეთ! – მსახიობმა „მალბორო“ შემომთავაზა.

გავაბოლეთ.

მერე ისევ გავაგრძელეთ გზა.

აღარ მახსოვს, ამჯერად რომელი ვიჯექით საჭესთან...  
მგონი ისევ მე!

დიდი ქართველი დრამატურგის პოლიკარპე კაკაბაძის წარმოებს, სადაც მხილებულია ტოტალიტარული სისტემა და „ვოუდიზმი“, ეკრანული სიცოცხლე არ ენერა. სამოციანი წლების ხელმძღვანელობას (და ზოგიერთ კინემატოგრაფის ტსაც) ხელს არ აძლევდა პოლიტიკური სატირის კინოენაზე ამეტყულება. ერთნი სკამებს უფრთხილდებოდნენ, სხვები, ეშმაქა უწყის, რას...

რომ არ დაეხურათ, შეიძლება ის ჩემი საუკეთესო ფილმი ყოფილიყო. ვინ იცის!



## ნითელ სტენდთან

„მოსფილმში“ გახლდით. ჩემი ფილმის რუსულ ენაზე დუბლირება მიმდინარეობდა. ერთ-ერთ პავილიონთან გასაოცარი სცენის მომსწრე გავხდი. ნითელ სტენდთან, სადაც გამორჩეული კინემატოგრაფისტების ფოტოები იყო გაკრული (მათშორის ორი ქართველის – გია დანელიასი და მხატვარ ლევან შენგელიასი), ნევსუზომოდ მთვრალი ლენინი და გამვლელ-გამოვლელს თვალებს უბრიალებს. ერთმა ქალმა უცებ შეჰკივლა –  
 Какой ужас-то и да гаикца. таан უკან იყურებოდა. პავილიონიდან მარქსი გამოვიდა, გალეშილი ლენინი რომ დაინახა, უკვირა: – Встань сейчас же, мерзавец, ты же позоришь вождя и нас, актеров!

ლენინმა კარგახანს უყურა მარქსს და ჩახლეჩილი ხმით დაუღრიალა: – Иди на х.й!

შეშინებული მარქსი ნამში გაუჩინარდა.

ამ შემთხვევის შემდეგ სამინისტროს ბრძანებით, ლენინის როლზე მსახიობებს დიდი სიფრთხილით არჩევდნენ.



# „როგორ ვიცხოვოთ უშინოდ“

სამიაკებრი



კიბეზე: გოგი  
მარგველაშ-  
ვილი; სხედან:  
ლევან თუ-  
ბერიძე,  
ნიკუშა  
შენგელია,  
ქეთინმ  
მგელაძე,  
ყარამან  
ქუთათელაძე,  
რეზო ებრა-  
ლიძე

ნიკუშა  
შენგელია,  
გოგი  
მარგვე-  
ლაშვილი



ნანა ყუფარაძე



ერეკლე კუხიანიძე


# „როგორ ვიცხოვოთ უაეროდ“

სამართლებრივი  
სამსახური



გოგი მარგველაშვილი

ერეკლე კუხიანიძე, ნანა  
ყუფარაძე.



გოგი  
მარგვე-  
ლაშვილი



გოგი  
მარგვე-  
ლაშვილი,  
ნანა პირ-  
ველი,  
ერეკლე  
კუხიანიძე

# „როგორ ვიცხოვოთ უბინდა“

კამისერი  
2006 წლის 10 მაისი

ნინო  
სარჩიმელიძე



ნანა  
ყუფარაძე,  
ერეკლე  
კუხიანიძე

## უკანასკნელი შეხვედრა გერასიმოვთან

რეჟისორი უფრო დიდი იყო თუ პედაგოგი – ვერ გეტყვით. ერთი რამ უდავოა სამოციანი წლების საბჭოეთის კინო მისმა მოწაფეებმა ასახელეს. ესენი იყვნენ სერგეი ბონდარჩუკი, ტა-ტიონა ლიოზნოვა („Семнадцать мгновений весны“), ვიაჩესლავ ტიხონოვი, ნონა მორდიუკოვა, ნიკოლაი რიბნიკოვი, ალა ლა-რიონოვა... ათობით ცნობილი რეჟისორი და მსახიობი.

არც ქართულ კინოს დაპელებია მისი ზრუნვა.

„ბოდიში, უქვენ გელით სიკვდილის“ გადაღება შემიჩერეს „გოსკინოს“ ბრძანებით (რაღაც ანტისაბჭოური მოელანდათ). გერასიმოვთან სპეციალურად ჩამოვიდა თბილისში, ჩემი ფილ-მის მასალა რომ ენახა. (დიდი პედაგოგის თვისება ჰქონდა, მეტს ხედავდა მოწაფეების გადაღებულში, ვიდრე სინამდვი-ლეში იყო).

დამთავრდა მასალის ჩვენება და დირექციის გასაგონად თქვა: „ვისაც რამე ეეჭვება ამ ფილმში, თვითონ ჩამობრძან-დეს თბილისშიო“.

მისით გადარჩა ეს ჩემი ფილმი. მისი დიდსულოვნებით გავ-ხდი რეჟისორი. მისი მოწაფეა ჩვენი მიშიერ კობახიძე, ჩვენი საშა რეხვიაშვილი, ოთარ აბესაძე – „მაღე გაზაფხული მოვა“ - ს დამდგმელი რეჟისორი და სხვები.

ჩემი სიმამრის, პავლე ინგოროვას ბიბლიოთეკაში შემთხე-ვით ნავანყდი უნიკალურ ნიგნს „Смерть Толстого“. მოსკოვში მივემზავრებოდი სცენარის დასამტკიცებლად და თან ნავი-ღე, რომ მისთვის მეჩიუქებინა. ვიცოდი გაუხარდებოდა. (ახა-ლი დამთავრებული ჰქონდა ფილმი „ლევ ტოლსტოი“, სადაც თვითონვე ითამაშა დიდი მნერლის როლი).

ჩავედი მოსკოვში, მოვენყე სასტუმროში. ავიღე ეს ნიგნი და გავემართე მათი სახლისაკენ.

დავიგვიანე!..

სასტუმრო „უკრაინას“ უკანა მხარეს, პატარა მოედანი ჭავჭავაძის დატენილი იყო ხალხით. ელოდებოდნენ გერასიმოვის გამზე ვენებას...

ერთ დროს ულამაზესი მისი მეუღლე თამარა მაკაროვა ფიოთრებული და დაბერებული მოჰყვებოდა ქმრის ცხედარის



## „გოსკინოში“

ეს ის პერიოდია, როდესაც, ვერც ერთი ახლად გადაღებული ფილმი, მოსკოვის კინოკომიტეტის ვიზის გარეშე, ეკრანს ვერ იხილავდა. ჰოდა, ვზივარ ამ კომიტეტის მისაღებში და ველოდები დასკვნას წინა დღეს ნაჩვენები ჩემი ახალი ფილმისას, რომელიც რედაქტორებმა სიცილით კი არა, დუმილით მიიღეს. ამას იმიტომ მოგახსენებთ, რომ ჩემი ფილმი კომედია გახლდათ, სათაურით – „ბოდიში, თქვენ გელით სიკვდილი“.

ცოტას გადავუხვევ: როდესაც ეს ფილმი საქართველოს მაშინდელ ცეკას მდივანს ვაჩვენეთ, პატარა კურიოზი მოხდა.

სანამ ფილმის ჩვენება დაიწყებოდა, ცეკას მდივანმა მკითხა:

– რა ჰქვია ამ თქვენ ფილმს?

დავიბენი. ენა მუცელში ჩამივარდა.

– თქვენ რა, არ იცით, რა ჰქვია თქვენს მიერ გადაღებულ ფილმს?! – სასტიკად გაიკვირვა ცეკას მდივანმა, ხელქვეითებს გადახედა და საჩვენებელი თითი სამკუთხა ულვაშზე მიიდო.

– ვიცი! – ნავილულლულე.

– ჰო და, თქვი! – თავი გვერდზე გადახარა ცეკას მდივანმა.

ოფლმა დამასხა, არ გინდა ცეკას მდივანს უთხრა – „ბოდიში, თქვენ გელით სიკვდილი?“ ბოდიში გიშველის?

ქართული კინოს მინისტრს, მივაპყარი მზერა: „ვიღუპები, თუ კაცი ხარ, მიშველე რამე-მეთქი“.

აჭარხლებულმა მინისტრმა ჩუმად ჩაილაპარაკა:

– ცოტა უცნაური სათაური აქვს. – ისე შემომხედა, თითქოს რაღაც დამეშავებინოს.

– რა სათაურია ასეთი! – იკითხა ცეკას მდივანმა, და თავი ეხლა მეორე მხარეს გადახარა, ისე რომ თითი ულვაშისთვის არ მოუშორებია.

ბოდიში... დაიწყო მინისტრმა და ვეღარ დაამთავრა.

– ბოდიშების დრო არ გვაქვს – თქვა ცეკას მდივანმა და მაჯის საათს დახედა.

– „ბოდიში, თქვენ გელით სიკვდილი“ – როგორც იყო მოს  
ხერხა მინისტრმა და სულელურად გაიღიმა.  
 – მე, კაცო?! – შეიცხადა ცეკას მდივანმა.  
 – არა, თქვენ, არა! – შეცბა მინისტრი, – სათაური აქვს ასე-  
თი! – მე გამომხედა და თვალები დამიბრიალა.

– დავიწყოთ! – უკვე წყრომით თქვა ცეკას მდივანმა და და-  
ინყო ჩემი ნამება... სიცილი კი არა, ლიმილის ნასახიც ვერ ჟ-  
ვამჩნიე ვერც ერთს, სანამ იპოლიტე არ გამოჩნდა ეკრანზე  
გადავრჩი...

ეს გადახვევა იმიტომ გავაკეთე, რომ აქაც, მოსკოვის კინ-  
კომიტეტშიც, იგივე გამეორდა.

ჰოდა, ვზივარ მე ამ კომიტეტში და ველოდები განაჩენს.

მისალებში, უსაშველოდ მაღალი, ზორბა კაცი შემოვიდა; და-  
მინახა თუ არა, მეცა, გადამეხვია და აღტაცებით ნამოიძახა:

– Ну ты брат, молодец! Какой прекрасный фильм снял! Это  
же эпоха целая... Такое бывает в двадцать лет раз!

საიდანლაც მეცნობოდა, მგონი, ინსტიტუტიდან.

ტელეფონს ეცა, დარეკა და აღელვებულმა ყურმილშიჩა-  
ძახა:

– Маня! Я сейчас приведу к нам такого человека, та-  
обалдеешь! Накрой стол, барский стол, и чтобы было на-  
лучшее, что есть в Елисеевском магазине... Весь мой гонорар  
от статьи “Грузинское кино на вершине”, под моим матрасом

რამდენიმე ხანში მის სახლში სუფრას ვუსხედით. იმდენჯე-  
ბა-დიდებას ვისმენდი ჩემი მისამართით, რომ შეზარხოშებულ-  
მა, თავი ეიზეინშტეინად ნარმოვიდგინე და დავიჯვერე, რო-  
მართლაც დიდი ხელოვანი ვარ. მერე ჩემს ადამიანურ ღირს-  
ბებზე იმდენი რამ გავიგე, რაზედაც აქამდე ნარმოდგენაც ა-  
მქონდა, და სუფრაზე ამაყად მჯდომმა ვკითხე:

– საიდან იცი ეს ყველაფერი-მეთქი?

– როგორო! – გაიკირვა – მე ყველაფერი ვიცი, რაც ქა-  
თულ კინოს ეხება, და შენ ეგეთ რაღაცებს თავი დაანებეთ-  
გამიწყრა.

მადას არ ვუჩიოდი. დილიდან მშიერმა გავაჩანაგე, რაც ქ-  
სუფრაზე იყო; იყო კი ყველაფერი, რისი ნარმოდგენაც კი შექ-  
ლება. უმთავრესად ხიზილალას და „ბალიგს“ ვაწვებოდი, ფრა-

გულ „ნაპოლეონს“ იმპერატორის სიდინჯით ვწრუპავდი და ვიყავი რა, განცხრომაში. როცა კარგა მაგრად შეთვრა, ქართული კინოს დიდმა ქომაგმა, ჩემმა მასპინძელმა, მხარზე დამადო თავისი უშველებელი ტორი და მორიდებით მითხვა.

— У меня одно-единственное замечание к твоему фильму...  
Можно скажу?

— Говори.  
— Не обидешься?  
— Какие глупости!  
— Мы с альбом зუзურებდი სმა-ჭამით გართული.  
— Скажу! Вот в том месте, когда у моста на стене написано: “Здесь прошли танки Годердзи Махарашвили”, у тебя немного затянуто.

ჩანგალი ხელიდან გამივარდა.  
— Обиделся!  
— Да нет, пустяки! — альбомხდა და ერთბაშად გამოვფხიზდდი.  
— Мы с женой по телевизору с таким удовольствием смотрели, уже в который раз!..

ვაი შენს ყარამანს!

ჩემს კეთილ მასპინძელს შევუსანსლე მთელი მისი ჰონორარი, გავიუღინთე „ნაპოლეონით“ და ამ კაცს თურმე რეზო ჩეიძე ვგონივარ!.. გეტყვით, გულწრფელად. კი დამწყდა გული რომ ქებადიდება, მე არ მეკუთვნოდა, მაგრამ სადღაც გულის სილრმეში მაინც გამეხარდა — ამ კაცის ალსარება, ჩემს ქართულ კინოს ეკუთვნოდა. ამან ცოტა დამამშვიდა, გონება მოვიკრიბე და სანამ ჩემი ვინაობა გამუღავნდებოდა და პანჩურის კვრით გამაგდებდნენ სახლიდან, მტკიცედ შევპირდი ჩემს მასპინძელს, რომ ფილმის იმ გაჭიანურებულ ადგილს, თბილისში ჩასვლისთანავე შევამოკლებდი. კბილის ტკივილი მოვიმიზეზე და მოვცოცხე იქიდან.



## „განოიაღის ნინ“



ზურა ქაფიანიძე



გურამ ფირცხალავა



ვასილ ჩხაიძე, გურამ ფირცხალავა



მანანა ცხოვრებოვა, გურამ ფირცხალავა



თენგიზ არჩევაძე,  
გურამ ფირცხალავა



გურამ  
ფირცხალა-  
ვა, თენგიზ  
არჩევაძე

## „მაცივარში ვიღაც იჯდა“

საქართველო  
არა მარტინი



ბიძინა ჩხეიძე, ვანიჩკა  
საყვარელიძე



ბიძინა ჩხეიძე, მაკა მახა-  
რაძე



რუსლან მიქაბერიძე



ბიძინა ჩხეიძე



მაკა მახარაძე, ბიძინა  
ჩხეიძე

„მაცივარში ვიღაც იჯდა“



რუსლან მიქაბერიძე



მაკა მახარაძე, დოდო აბაშიძე, ბიბინა ჩხეიძე

## ფარავანოვი

ფენომენალური პიროვნება იყო.

რა არ გადახდა თავს.

პირველი ცოლი ბოშა იყო. თავი მოიკლა. „ელექტრიჩეას“ ჩა-  
უვარდა.

მეორე ცოლი – რომელილაც ელჩის ქალიშვილი გახლდათ  
(ვაჟი დარჩა მისგან).

ევროპაში – 21-ე საუკუნის რეჟისორი უნდღეს.

იჯდა ციხეში. იქ საოცარ ნივთებს აკეთებდა.

შეეძლო ბრილიანტის ბეჭედი თითოდან მოეხსნა და მეგო-  
ბრისთვის ეჩუქებინა.

განსხვავებულად ხედავდა სამყაროს.

ცხოვრობდა თავისეუფლად, თავისებურად.

არაფრისგან (უსახო საგნებისაგან) შედევრს შექმნიდა.  
მშობლებიც ძალიან თავისებური ჰყავდა.

მამა – ავეჯით ვაჭრობდა.

(მაშინ ეს აკრძალული იყო).

სამოთახიანი ბინა ჰქონდათ მთაწმინდის ქვემოთ. ორი ოთა-  
ხი მდიდრულად მოწყობილი. ერთ ოთახში კი ლოგინი, მაგიდა  
და ერთი სკამი იდგა, სხვა არაფერი.

ცოლ-ქმარი ფორმალურად გაყრილები იყვნენ (ხშირად  
იჭერდნენ იოსეკას).

ქონების აღსანერად ობეხეესი რომ მოვიდოდა, ერთი ლო-  
გინი, მაგიდა და ერთი სკამი დახვდებოდა.

ინსტიტუტში სწავლის პერიოდში, ზამთარში შემხვდა და  
მთხოვა ქალაქგარეთ გავყოლოდი სასყიდლებზე. მივედით ერთ  
პატარა მაღაზიაში. ოთხ და ათ შაურად იყიდა: ასი ქინძისთა-  
ვი, პატარა, შავი მრგვალი თავებით, ასი – მოზრდილი თავე-  
ბით. თბილისში, მამას გაუგზავნა. მერე მოსდიოდა ფულადი  
გზავნილები. 2000, 3000 მანეთი, ხან უფრო მეტიც.

თურმე იმ ქინძისთავების თავები ჩერნაბურკის მოსახლეობის „თვალები“ ყოფილა. უფრო მოზრდილები კი – ამ მოსახლეობის შესაკრავები.

თბილისში თითო ასეთი „ქინძისთავი“ 20 და 50 მანეთი ღირდა. რეალიზაციას მამამისი იოსეკა უკეთებდა.

სერგო კიევიდან რომ ჩამოვიდოდა (სადაც რამდენიმე ფილმი გადაიღო), სახლში გვეპატიცებოდა. მხატვრები, მნერლები, მსახიობები იყვნენ მისი მეგობრები. პირველად რომ ჩამოვიდა, იყიდა ბატყანი, თვითონ დაკლა, თვითონ გაატყავა, თვითონვე აქცია ზღაპრულ შეჭამადათ. ოთხი დღე გადაბმულად ვქეიფობდით.

ბატყანი რომ გათავდა და ღვინო დარჩა, ბატყანი იყიდა, მერე ღვინო რომ გათავდა, ღვინო დაამატა.

ასე გაუთავებლად ამატებდა ხან ერთს, ხან მეორეს. იოსეკა იჯდა გასასვლელ ოთახში, ახალ, ფერად ხალათში და თურქული ქუდით თავზე, თვლემდა და დუმდა. მეოთხე დღეს რეზიდენტარხან-მოურავმა ჰქითხა: „ძია იოსეკა ხომ არ შეგანუხეთო?“. „არა შვილო, მაგრამ ამდენი სალაპარაკო რა გაქვთო!“

ქალების სადღეგრძელო რომ ისმებოდა, იოსეკას, ახალგაზრდობაში ქალების დიდ მოყვარულს, რეზომ თხოვა, რამე თქვით; სუფრაზე მოიწვია და ჭიქა შეუვსო. იოსეკამ თვალები მოიფრინა ტა, კარგა ხანს იფიქრა, და ყოველგვარი შესავლის გარეშე თქვა: „ქალს რომ გახადო, ჯერ უნდა ჩააცვაო!“. ბევრი გვაცინა.

სერგო რომ სახლში უცხო სტუმრით მოვიდოდა, დედა შვილს უჩურჩულებდა: „ნიჭიერია?“ შვილი თუ არაფერს ეტყოდა – სუფრა არ გაიშლებოდა. თუ ეტყოდა „ისე-რა!“ – ერბოკვერცხით უმასპინძლდებოდა. თუ ეტყოდა – „ნიჭიერია სედრაკ-ჯან!“ სომხური კონიაკის გარდა, ნითელი ბრონეულიც გაჩნდებოდა (ბრონეული ხომ რეფრენივით გასდევს ფარაჯანოვის ყველა ფილმს).

მოკვდა ჩვენი სერგო. მოკვდა ერთი დიდი სამყარო.

თბილისში დაბადებული, მრავალი ეროვნული კულტურის მატარებელი გახლდათ თავის შემოქმედებაში. შექმნა განუმეორებელი კინოენა.

მან, როგორც ხელოვანმა ვერ აიცდინა ის ხვედრი, რაც საბჭოთა ტოტალიტარიზმის პირობებში განსაკუთრებული ნიჭისა და ბიოგრაფიის ბევრ ხელოვანს ერგო.

მიუხედავად ამ მძიმე ხვედრისა, ფარაჯანოვმა სიცოცხლისა  
ბოლომდე შეინარჩუნა ის განსაკუთრებული ხედვა, რომლითაც  
იგი ყველა დროში იქნება გამორჩეული.

ის იყო წმინდა ნყლის შემოქმედი. პირადი ცხოვრება არაფ-  
რად მიაჩნდა.

მან მთლიანად შესწირა თავი შემოქმედებას.

P.S. ბიჭვინთაში, „დომ ტვორჩესტვას“ მნვანე მინდორზე,  
შედგა ფეხბურთის მატჩი (ახალგაზრდა და ასაკოვან კინემა-  
ტოგრაფისტებს შორის). ახალგაზრდების გუნდს ერქვა  
„Чуючие дети“, „ბებრებისას“ – „Теши забытых предков“. მსა-  
ჯობდა ტიტო კალატოზიშვილი.

„ბებრები“ ხშირად ეცემოდნენ, ხშირად ისმოდა ტიტოს სას-  
ტვენის ხმა, ჩიტების ჭიკჭიკს რომ ნააგავდა, რაც მაყურებლის  
თავშეუკავებელ სიცილს ინვევდა. იდგა ზაფხული, იყო მზე და  
მხიარული განნებილება.

ამ დროს ჩვენი სერგო ფარაჯანოვი ციხეში იყო გამომ-  
წყვდეული.



## დავით რონდელი

განათლებული, ინტელიგენტი კაცი გახლდათ ბატონი და ვითი. კინოსტუდიის ეზოში მისი ახალი ფილმისათვის მსახურდათა სინჯების გადაღებას ვესწრებოდი.

რონდელი კინოპარატში იყურებოდა.

ვიღაც უცხო ქალი პირდაპირ კადრში იდგა და მზესუმზის რას კვნეტდა. ბატონმა დავითმა თავი ასწია.

— ქ-ქ-ქალ-ბა-ტო-ნო... ქ-ქ-ალ-ბბ-ატონო!

ქალი მზესუმზირის კვნეტას განაგრძობდა.

— ქ-ქ-ქალ-ბატონო!.. თ-თუ-შეიძლება...

არავითარი რეაქცია.

— ქ-ქალბატონო!.. თ-თქვენი დედა მ-მოვ....ყან – ნონასნორობიდან გამოვიდა ზრდილობით ცნობილი დავით რონდელი. ჯგუფის ნევრები ჩაბჟირდნენ.

იქვე მდგარ ფილმის დირექტორს ვკითხე:

— Сусана Капитоновна, он что, занка?

— Вы что, не знаете?..

სუსანამ (სხვათა შორის – ლავრენტი ბერიას დისპეცილმა), ასეთი რამ მიამბო:

ომის პერიოდში რონდელს სამინისტროდან დაურეეს და ჰკითხეს: „ჯურლას ფარი“ ხომ თქვენი გადაღებულიაო?!

შეშინებულ რეჟისორს უპასუხია:

— კი ბატონი! ჩავარდნა ვის არ ჰქონია?! შტროპაიმსაც უკვე, რამდენი მაკრიტიკეს. უნდა, მაპატიოთ!

— პირიქით!

— რა პირიქით?

— სტალინურ პრემიაზე ხართ ნარდგენილი.

— როგორ?!

— სტალინს უნახავს თქვენი ფილმი და ძალიან მოსწონება! რონდელი შექანებულა:

— ს-ს-ს-ტალინს?!?

სწორედ აქედან იღებს სათავეს დავით რონდელის, ამ შე-  
სანიშნავი პიროვნების, ენაბლუობა...

„ჯურლაის ფარით“ რონდელი ს-ს-ს-ტალინ-ნ-ნური პრე-  
მის ლაურეატი გახდა, ხოლო მისი შედევრად აღიარებული  
„დაკარგული სამოთხე“ მსოფლიო კინემატოგრაფიის ოქროს  
ფონდს ამშვენებს.



## სპარტაკი

ბატონის სპარტაკი ბალაშვილი, მის დიდ განათლებაზე რომანი ფერი ვთქვათ, საოცრად ენამოსნრებული პიროვნებაც გახდა.

ერთხელ კინოდარბაზში ფილმის სანახავად შევიკრიბეთ. აუ იყო ბატონი სპარტაკიც. დარბაზში ერთი მსახიობი შემოვიდა და ფამილიარულად მოუთათუნა სპარტაკს მხარზე ხელი (ამპურიოდში ბატონ სპარტაკს ფილმებში ნაკლებად იღებდნენ, დარბაზში შემოსული მსახიობი კი „გაფურჩქვნის“ ხანაში იყო).

სპარტაკს არ ესიამოვნა მხარზე ხელის მოთათუნება და თავისი განუმეორებელი ხმით, ოდნავ გასაგონად ჩაილაპარავა:

„ცას ვარსკვლავები სცვივა და დედამინას კენჭიც არ გავარდებაო“.

დარბაზში მყოფთა შორის მრავლის მეტყველი სიჩუმე წამოვარდა.

ბატონ სპარტაკს ჩვეულებად ჰქონდა, ეგრეთ წოდებულ „დღესასწაულების“ შემდეგ, პირველი მაისი იქნებოდა ეს თავიდი ნოემბერი, მეგობრების შინ მიპატიუება. მანავის მწვარე და მისი უერთგულესი მეუღლის, ქალბატონ მერის მიერ დაზადებული ზღაპრული პურმარილი ამშვენებდა მუდამსუფრას.

ერთ-ერთ ასეთ წვეულებაზე ჩვენმა მეგობარმა, სტუმრად ცოტა ნასვამი რომ მობრძანდა ამ ტრადიციულ ოჯახში, რაღაც სკაბრეზული ანეკდოტი მოჰყვა.

არავის გაცინებია. ყველამ სპარტაკს შეხედა.

როდესაც ჩვენმა მეგობარმა კიდევ რაღაც ამდაგვარირა თქვა, სპარტაკმა ვეღარ მოითმინა და სტუმარს მიუგო: „თავი ცარიელ ქარქაშს მიგიგავს და ენამახვილობ!“

ჩვენს მეგობარს ამის შემდეგ სიტყვა აღარ დაუძრავს.

ქეიფის ბოლოს ბატონი სპარტაკი მივიდა მასთან, თავის ხელი გადაუსვა და უთხრა:

— საწყენად არ დაგრჩეს, ივერიელო!

## კოცო ახაშუკელი

კინოსტუდიაში ბევრი მეგობარი პყავდა, ხშირად მოდიოდა და იქ გავიცანი. ლინზიანი სათვალეები ეკეთა. ვინ იცის, იქნება ჩვენზე უკეთესადაც ხედავდა ამ გაუსაძლის გარემოს. დავით გამრეველი, ხომ დიდი მომღერალია, ზოგი კონოს ხმას ამჯობინებდა (ერთ დროს პაჭკორიას გუნდში ყოფილა სოლისტად).

ცხოვრობდა ჩუღურეთის უბანში, მეგობრები არ მოჰკელებია მის პატარა, მყუდრო ბინას ნავთის სანყობის თავზე. გაზაფხულზე, დიდი წვიმების დროს, ჩერქეზოვის ქუჩაზე ნიაღვარი წამოვიდოდა ხოლმე და პატარა მდინარეს დაემსგავსებოდა. ჩვენი კონი მუხლებამდე აიკაპინებდა შარვლის ტოტებს, გაიხდიდა ფეხსაცმელს, აიკიდებდა ზურგზე ბავშვს თუ მოხუცს და გადაპყავდა ერთი ტროტუარიდან მეორეზე. ერთხელ, ადრიან გაზაფხულზე, ავად გახდა კონი. ხმაც დაკარგა, გუნდში მომღერლის ადგილიც, შემოსავალიც და, რასაკვირველია. სტუმარიც. არადა, უყვარდა კონოს ძმაკაცებთან ყოფნა, პურმარილის დროის მასლაათი, ნათელი დღეების გახსენება... დრო გადიოდა, ხანი ემატებოდა კონოს, მომსვლელი კი აკლდებოდა მის სტუმართმოყვარე სახლს. ბოლოს, თითქმის აღარავინ დადიოდა მასთან. პოდა, ერთ ოინს მიმართა ჩვენმა კონომ. პლეხანოვის გამზირზე, თავის ძველ ამხანაგებს რომ ნაანყდებოდა, ეტყოდა: „ბიჭო, სად დაიკარგეთ... გადასარევი ღვინო მაქვს, ცოტა პურმარილი მოიტანეთ და დღეს საღამოს ჩემთან ამოდიოთო“. მერე სხვებს ნახავდა, ახლა იმათ ეტყოდა: „პატარა პურმარილი მაქვს, ცოტა ღვინო მოიტანეთ და მოდით, ძველებურად შევუბეროთო“.

...პოდა, ნანილს ამხანაგებისას ღვინო მიჰქონდა, ნანილს პურმარილი... ისხდნენ უბნის ძველი ამხანაგები კონოს მყუდრო ბინაში, მასლაათობდნენ ქვეყნის ავ-კარგზე, ცოტა ღვინოსაც მიირთმევდნენ და მომავლის იმედს უსახავდნენ ერთმანეთს.

## მიშა კობახიძე

(Первый блин комом)

მიშა კობახიძემ ჩემს სამონტაჟო ოთახში უცხოელი ქალ შემოიყვანა, ლამაზი, გრძელი თმებითა და ხელზე სამაჯურით სკამიდან წამოვხტი და მის ხელს ვეცი საამბოროდ.

შეცბა და ხელი გამომტაცა.

— რას შვრები! — იყვირა მიშამ, — კაცია ბიჭო, კაცი!

მერე, ამ ამბავს სხვებს რომ ვუყვებოდით, სიცილით ვიგუდებოდით.

ქართული კინოს აღმავლობის დრო იყო მაშინ, და ვიყავთ ბედნიერები...

კინოსტუდიაში გადაღებული პირველი ფილმი, მიშას არ გამოუვიდა. ასე მხოლოდ მათ ემართებათ, ვინც ეძებს რაღაც ახალს. ფილმი ჩაუვარდა. იქნებ სწორედ ამ „ჩავარდნაში“ განაპირობა „ქორნილის“ დაბადება? იქნებ არის ამაში რაღაც კანონზომიერი?!.

ობერჰაუზენიდან სამი პრიზი ჩამოიტანა (1965 წ.). იმავე ნელს მეოთხე პრიზი ჩამოიტანა კანიდან.

მიშიკოს ფილმებს დღემდე ატრიალებენ არც მეტი არც ნაულები — პარიზის კინოთეატრებში!.



## დიხა

ერთდროულად ორ სპექტაკლზე, სამ ფილმზე და ოთხ ტელეგადაცემაზე მუშაობდა. თუ კინოში გადაღებას შესთავაზებდით, არც ამაზე გეტყოდათ უარს. გასაკვირია, როგორ ასწრებდა ამას ყველაფერს?! არადა ასწრებდა. სცენარისა და პიესის წაკითხვას კი – ვერა, ვერ ასწრებდა.

კინოსტუდიაში რომელიცაც ფილმის პროექტის დაცვის დროს (კოსტიუმების ესკიზების გაკეთებაც ჰქონდა დავალებული), შეეკითხნენ: „საშას (ფილმის მთავარ გმირს) როგორი ჩატმულობა ექნება“.

დიმამ ჩვეული ექსპანსიურობით მოახსენა აუდიტორიას:

„საშას ჩვენ ჩვაცვამთ მუქ ქვედატანს, „კლოშით“, რასაკვირველია... ზედატანი იქნება ცისფერი, რომელიც შექმნის განსაკუთრებულ კოლორიტს და ხაზს გაუსვამს ქალის ხასიათს, მის სინაზეს, ღრმად ამოჭრილი დეკოლტე კი...“

– კი მაგრამ, საშა ხომ კაცია?! – შენიშნა ვიღაცამ.

– მაშინ ჩოხა! – ყოველგვარი პაუზის გარეშე განაგრძო დიმამ.

დარბაზი რომ ახარხარდა, არ გაკვირვებია.

ხიბლიანი კაცი იყო ჩვენი დიმიტრი თაყაიშვილი.



## იპოლიტი

ეკრანიდან დალხინებული კაცის შთაბეჭდილებას ტოვა  
და, იყო კი ასეთი?.. ხშირად მინახავს, გადაღებებს შორის, ფუ-  
რიანი... დამწუხრებული.

ერთი კაცი მისულა ფსიქიატრთან – სევდამ ნამილ  
იქნება მიშველოთ რამეო. ფსიქიატრმა ურჩია: „ჩამოსუ-  
ლია დიდებული ჯამბაზი, მიბრძანდით ცირკში. იმხიარე-  
ლებთ, იცინებთ... არ არსებობს უკეთესი მკურნალი, ეუ-  
რე სიცილიაო“. კაცს გაღიმებია – ის ჯამბაზი მე გახდ-  
ვართო.

დიდი არტისტი იყო იპოლიტე ხვიჩია.

ჩარლი ჩაპლინს, გენიათა-გენიას, კინოკარტოფეკის  
„ბურთი და მოედანი“ ჰქონია, უყურებდა ხოლმე. გინდ დაიჭ-  
რეთ, გინდ არა.

თქვენ კი ამბობთ – ლუი დე ფიუნესიო!

1965 წელს ამერიკიდან ნუგზარ შარია ჩამოვიდა (ტურ-  
ტად იყო მაშინ). კინოსტუდიის ეზოში ვნახე, მანქანას რეცენ-  
და. – კაი რაღაცა უნდა გითხრაო! მოვდივარ ბროდვეიზე-  
ზ ნოთეატრის თავზე ვხედავ რეკლამას. ხატია კოვბოი ფართ  
შლაპით. იპოლიტეა ზედგამოჭრილი. ერთი კი გავითქმირე, ის-  
ლიტეს რა უნდა ბროდვეიზე-მეთქი. ვკითხულობ ნარნერს  
„ბურთი და მოედანი“. იპოლიტეა!

უკანასკნელი გროშებით ვყიდულობ ბილეთს, შევდე-  
კინოთეატრში, სეანსი უკვე დაწყებულია, და რომ გამოჩინ-  
იპოლიტე და ინგლისურად დაილაპარაკა, ამივარდა ხარ-  
რი.

დარბაზი იცინოდა. მე ვხარხარებდი.

თქვენ კი ამბობთ – ფიუნესიო!

კინოსტუდიის თანამშრომლებს, მათ შორის იპოლიტეს, ლოჭინის ხეობაში გვქონდა რაღაც აგარაკების მაგვარი. კახეთ-  
ში მიმავალი მატარებელი ჩვენს კარმიდამოს რომ ჩაუვლიდა,  
მემანქანის საყვირი ხეობას აყრუებდა.

გარდაიცვალა იპოლიტე. გაქრა საყვირის ხმა, რომლითაც  
მემანქანები მათ საყვარელ მსახობს ესალმებოდნენ...

ბოლო რამდენიმე წელი, სახლიდან ვეღარ გამოდიოდა. და-  
მბლადაცემული, ფეხზე ვეღარ დგებოდა. გადაღებაზე ხელში  
აყვანილი წავიყვანეთ (ხელით სატარებელი მანამდეც იყო  
თურმე).

მძიმე ავადმყოფმა ფილმში – „მაცივარში ვიღაცა იჯდა“ მე-  
საათის ეპიზოდი ითამაშა. სიტყვა არ შეშლია. ტექსტი კი  
მთელს ფურცელს იტევდა.

სახლში წასაყვანად ხელში რომ უნდა აგვეყვანა, არ დაგ-  
ვანება.

დამბლადაცემულმა გაიარა! თვითონ გავიდა ინტერიერი-  
დან.

ბუნების შედევრი იყო იპოლიტე ხვიჩია – ნიჭით და წარ-  
მოიდგინეთ, აღნაგობით!



## გედიერება და მცხარება

მარლენ ხუციევის ფილმი „ზასტავა ილიჩა“ კინო-ელიტა მოვლენად აღიარა.

დიდი ფელინი და ანუეი ვაიდაც ამავე აზრისა იყვნენ.

სწორედ ამ დროს მარლენს, მის მშობლიურ ქალაქში, თბილისში, დედა გარდაეცვალა.

სასწრაფოდ ჩამოიფრინდა.

შემხვდა კინოსტუდიასთან, სადაც სიყმანვილეში გამნეთებლად მუშაობდა და ახლა თანამშრომლებისათვის უნდა ეუწყებინა ეს სამწუხარო ამბავი... გადავეხვიე, მივუსამძიმრე ერთად შევედით კინოსტუდიის ეზოში. ვინ აცალა სიტყვა თქმა... ეცნენ, კოცნიდნენ, ულოცავდნენ ფილმის დიდ ნარჩენებას. მისი ცრემლები კი სიხარულის ცრემლებად მიიჩნიეს.

ხშირად ერთად არის, ბედნიერება და მწუხარება ამ ცოდვილ ქვეყანაზე!..

დიდი რეჟისორი ბოლომდე ისეთივე თავმდაბალი დარწმუნობრიც იყო ადრე.

ვამაყობ, რომ ჩემი ძველი მეგობარია, უანგარო, ხალასა დღეს მარლენი ცოცხალ კლასიკოსად არის აღიარებული.



## ეროვნი

რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში ვიღებდით სცენას ფილმისთვის „ბოდიში, თქვენ გელით სიკვდილი“, სადაც აბ-ჯარასხმულ ეროსის მაგნიტი აიტაცებს.

ეროსი თოკით მივაპით ხუთტონიან მაგნიტზე. ზედა მხრიდან დავსვით ჩვენი ასისტენტი, რომელსაც გადაღებისას უნდა გაეჭრა თოკი, ქვევით დავაფინეთ ათამდე ლეიბი და დავიწყეთ ეგრეთწოდებული „ობრატნაია სიომკით“ გადაღება (ქვედა რაკურსიდან ვიღებთ ეროსის ლეიბებზე ვარდნას, რაც ეკრანზე „ავარდნათ“ აღიქმება).

დავიწყეთ გადაღება. ეროსი „მიკრულია“ მაგნიტზე, ასისტენტი ჭრის თოკს, ეროსი ვარდება ლეიბებზე ათი მეტრის სიმაღლიდან (ეს უკვე, თავისთავად, რისკთან იყო დაკავშირებული). მადლობა ღმერთს, ყველაფერმა კარგად ჩაიარა.

— გადაღებულია! — ვიყვირე გახარებულმა.

ოპერატორმა მიჩურჩულა: — თავი დავიზღვიოთ, ფირის ნუნი არ იყოს, ერთიც!

ეროსიმ გაიგონა მისი ჩურჩული და წაიბუბუნა:

— ფირისა არ ვიცი, მე კი დაზღვეული ვარ ხუთას მანეთად. გადაიღეთ!

გამეღიმა, მაგრამ ვაი ამ გაღიმებას.

გადავიღეთ ერთი დუბლიც.

— ერთიც! — თქვა ენის ბორძიკით ოპერატორმა.

— გვეყოფა! — ვთქვი მე.

ოპერატორმა მუდარით შემომხედა და ყანყრატოში ორი თითი წაიღლო: — კადრიდან გამომივარდა.

— გადაიღეთ, სანამ არ გადავიფიქრე, — ისევ წაიბუბუნა ეროსიმ.

ისევ მიაბეს ეროსი მაგნიტზე...

ვერ მოვასწარი „მოტორის“ თქმა და მომესმა საშინელი ყვირილი.

— რას ჩადიხართ, გაგიუდით! — ეს მექანიკური ქარხნის მთავარი ინჟინრის ხმა იყო, რომელიც, ეს-ეს არის შემოსულიყავ გადასაღებ მოედანზე — სინათლე რომ გამოირთოს უცებ, მაგრა ნიტი ჩამოვარდება და ჩვენს ეროვნის ლავაშივით გააბრტყებს!

სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა.

— წნევამ ამინია ხალხო — ყვირის ზევიდან ეროსი — გადაღეთ, თუ იღებთ!

— გადავიღებთ! — შევძახე ქვევიდან ეროსის — ოლონდ შემ მაგივრად, ჩვენს ოპერატორს... — და გავეცი ბრძანება — ჩამოს სენით ეროსი და მის მაგივრად მიაპით გივი რაჭველიშვილი!

დაძაბული პაუზა სიცილმა განმუხტა.



## შანი მიძაბა (ნითელი ფარდები)

თეატრალური ინსტიტუტი დაამთავრა.

კინოქრონიკაში მუშაობდა რეჟისორად.

გამოირჩეოდა კეთილი გულითა და ფიზიკური სიძლიერით, რასაც ბოროტად არასოდეს იყენებდა. იყო ყველა სუსტი ადამიანის დამცველი. იცოდა მეგობრობის ფასი. „გაბრექილებს“ ვერ იტანდა.

ერთხელ თქვა: „ისე მომესალმა, თითქოს მისი დადგმული სპექტაკლი ნანახი მქონდეს და აღტაცებული ვიყო!“

მოზრდილი თავი ჰქონდა უშველებელი შუბლით. ლენინი ჰქონდა ნათამაშები სადიპლომო სპექტაკლში. თავმდაბალი გახლდათ და ამით არასოდეს ტრაბახობდა!

ჩვენი დიდი მეგობარი დიტო წვერავა სულ „აფრთხილებდა“:

„უანი, შენ ეგ „სკრომნობა“ დაგლუპავს, ძმაო!“

აფთიაქებში, პირამიდონი რომ გაქრებოდა, ბიჭები იძახდნენ. – ალბათ უანის თავი სტკივაო! არ წყინდა, იღიმებოდა.

ადრე დაცოლშვილდა. მეუღლეს ნითელი ფარდები მოჰყვა მზითევში. გაქრებოდა მათი ბინის ფანჯრებიდან ეს ფარდები, ვხვდებოდით, უანი ცოლს გაეყარა.

დავინახავდით თუ არა ამ ნითელ ფარდებს – მისალოცად ავრბოდით მათთან.

ასე მეორდებოდა საკმაოდ ხშირად... სანამ უფარდოდ არ დარჩა ჩვენი მეგობარი, უანი.

სვამდა უზომოდ...

სადღა ნახავთ სხვა უანი მიქაძეს!.. მშვენიერი ლექსით რომ მოიგონა პოეტმა ემზარ კვიტაიშვილმა.



## ალექსანდრე რაძვიაშვილი

არ მახსოვს ვინ თქვა:

„Грустно, когда твои мысли сгорают на чужих кострах.“  
მართლაც სევდიანი ფრაზაა.

თითქმის ყველა ჩემი ფილმის კომპოზიტორი ნუგზარ კანაძეა. ჩემთვის ის ქართველი ნინო როტაა. ბევრი შემატა მისმა მუსიკამ ჩემს ფილმებს.

საშა რაქვიაშვილი ფილმებისთვის მუსიკას არ წერდა. ის არანუირებას უკეთებდა სხვების დაწერილს.

არ ვიცი რატომ, მაგრამ ინტუიციამ მიკარნახა, რომ სწორედ მას უნდა დაეწერა „ფესვებისთვის“ მუსიკა. ვაჩვენე გადაღებული მასალა. მკითხა – როგორი მუსიკა გინდაო? – კარგი-მეტე, ვუთხარი. გაელიმა – არა, სერიოზულადო!

სმენით ვერ დავიტრაბახებ, თუმცა ორი კლასი მქსს მუსიკის მასნავლებელთან გავლილი, წავუმლერე მოტივი ფილმიდან „ერთხელ ამერიკაში“. რაღაცა სულ სხვა გამომივიდა.

რამდენიმე დღეში დამირეკა და მთხოვა სტუდია „მელოდიაში“ მივსულიყავი მუსიკის ჩანერაზე. როგორც ყოველთვის – დავაგვიანე. კიბეებზე რომ ამოვდივარ, მესმის ორკესტრის ხმები („მელოდიაში“ პარალელურად, რამდენიმე დარბაზში მიდის ხოლმე ჩანერა) და გავიფიქრე. „აი, ასეთი გულში ჩამნვდომი მელოდია, როგორ მოუხდებოდა ჩვენს „ფესვებს“. ვკითხულობ სადა აქვს ჩანერა საშა რაქვიაშვილს, მიმითითებენ სწორედ იმ კარისკენ, საიდანაც ისმის ეს საოცრება. ფეხაკრებით შევდივარ დარბაზში, ვუსმენ და... ღაპალუპით ჩამომდის თვალებიდან ცრემლები. უცებ ნარმოვიდებინე მთელი ფილმი, რომელსაც რეფრენად უნდა გასდევდეს ეს მელოდია.

დამთავრდა ჩანერა. მივედი საშასთან, გადავეხვიე... ვითომც აქ არაფერიო. საოცრად თავმდაბალი კაცია – რაქვიაშვილისაშა. თავმდაბლობა კი სიდიადის ნიშანია (ჟან-ჟაკ რუსო).

P.S.

რომარა სულიკო უღენტი, რომარა დოდო, რომარა ლევან  
აბაშიძე, გოგი გეგეჭკორი, ფრანგი ლორანსი, საშას ზღაპრუ-  
ლი მუსიკა, შევიდოდა კი, „ფესვები“ ათ საუკეთესო ქართულ  
ფილმთა სიაში?!

(„კვირის პალიტრა“ 23/VII 2001)



## სიხარული ბაზებს სიხარულს

მშვენიერ ზღაპრებს წერდა. რუსებს ვერ იტანდა. რუსიც ლი კი გაგიჟებით უყვარდა.

ზღაპრების წერას თავი ანება და კინორეჟისორობა და იწყო.

ერთხელ, ვხედავ, მოდის კინოსტუდიის დერეფანში, კისერზე ფირგადაკიდებული. სახეზე ფერი არ ადევს.

— ცუდად ხომ არ ხარ-მეთქი? — ვკითხე

— გმირები ხართ! — იყვირა პასუხის მაგივრად.

— ვინ არის გმირი-მეთქი?

ისევ იყვირა.

— ყველანი! ყველანი, ვინც ამ საგიჟეთში მუშაობთ!

მახსენდება ჩემი მეგობრის, ფელიქს ლლონტის მონათხრობა.

„— ერთ ჩემს კოლეგასა ვკითხე — სადა ხარ ბიჭო, რატომ არ ჩანხარ-მეთქი?

— ნუ მკითხავ, ძმაო, ორი წელიწადია დიდ წვალებაში ვარ, სიმფონიას ვწერო!

— თუ ასე წვალობ, მაშინ რაღას წერ, მოეშვი-მეთქი — ვურჩიე!

დავკარგე!.. დამინახავს და ქუჩის მეორე მხარეს გადადის".



## ოცი ცლის შემდეგ

(ჩემი და ღოდო აგაშიძის შეხვედრა  
ურა არატუნიანთან)

მედა დოდო მიგვიწვიეს მოსკოვში „სინათლე ჩვენს ფანჯრების“ პრემიერაზე, კინოთეატრ „როსიაში“. ფილმის დაწყების ნინშე ვევედრა გვქონდა მაყურებელთან. ვსხედვართ პრეზიდიუმში. ვპასუხობთ შეკითხვებზე. ვიღებთ მაყურებლის ნერილს:

„После сеанса жду вас у входных дверей. Жора Арутунянц“.

თავდება ფილმი. გავდივართ მასთან შესახვედრად. ვეძებ გამხდარ ლეიტენანტს (როგორიც მახსოვდა კრასნოდონიდან), ვერ ვხედავ ასეთს. ვხედავ ზონზროხა პოლკოვნიკს, ჭაღარათმიანს. მიყურებს. მერე მეკითხება:

– Не узнаёшь?

– Жора!

გადავეხვიეთ ერთმანეთს. გავაცანი დოდო.

დიდხანს გველაპარაკა ფილმზე...

დაგვპატიუა სახლში.

– „Завтра жду вас с нетерпением,“ – მანვდის სადარბაზო ბარათს.

მეორე დღეს „როსიას“ ბუფეტში დოდო თხოულობს ფრანგულ „ნაპოლეონს“, რომელიც 40 მანეთი ლირს. გამყიდველ ქალს ბოთლი ხელიდან უვარდება. იმსხვრევა. გაფითრებული ქალი დახლიდან იღებს მეორე ბოთლს. ანვდის დოდოს. დოდო იხდის 80 მანეთს.

– „Здесь восемьдесят?!“ – უკვირს ქალს.

...

ვრეკავ ზარს არუტუნიანცის ბინაში. კარს გვიღებს ის ურა, კრასნოდონში რომ ვნახე პირველად. გამხდარი, ელეგანტური 20 წლის ვაჟი.

– Не удивляйтесь, это мой сын – гвельმის უორას ხმა ბინიდან.

სუფრას თამადობდა უორა – კაცი, რომელსაც ფაშისტები  
შურფში ცოცხლად დაუმარხეს თითქმის ყველა სიყრმის შეგო-  
ბარი.

კედლებიდან შემოგვცექეროდა ჩვენი ნარსული – ფოტო-  
ბი „ახალგაზრდა გვარდიოდან“.

სუფრა იყო დიდებული. დაიწყო სევდიანად, მერე სასმელ-  
მა და დოდოს იუმორმა ისე გაგვახალისა, რომ სუფრიდა  
ადგომა არ გვინდოდა.

ერთი თვის შემდეგ მომინია მოსკოვში ჩასვლა.  
დავურევე.

– Гугули это вы? – Межиотხеბა мисси мეუღლე მწუხარე ხმით.

– Как вы, как Жора? – ვეჯითხები შემფოთებით.

– Жору мы похоронили на прошлой неделе!

მერე მომესმა ჩუმი ქვითინი.

რაღაცა ჩამწყდა.



## რა აღარ ხდება ძველნად შემთხვევით!

შემთხვევით გავჩნდი ამ ქვეყანაზე (ტრაგიკული შემთხვევით).

შემთხვევით დაიღუპა ჩემი ნაცნობის მეუღლე (ყინულის ლოლო და უცა თავზე ზამთრის მიწურულს, ჩვენს მზიან ქალაქში).

შემთხვევით ჩამოვარდა ვაშლი ხიდან და დაიბადა მიზიდულობის კანონი.

ჩემი ვაჟი, გიო მგელაძე პარიზში იყო ფილმის გადასაღებად. წასვლის წინ ვის არ შეეხმიანა, მიშა კობახიძის პარიზის კოორდინატები რომ გაეგო. ვერავინ უთხრა. არადა, მაგრა უნდოდა მისი ნახვა...

ერთ მზიან დღეს, გელა წულაძემ – ცნობილი ფსიქიატრისა და მთარგმნელის, სერგო წულაძის ვაჟმა, გიოს პარიზის ქუჩებში მოტოროლერით გასეირნება შესთავაზა. გზად, „პომპი-დუს ცენტრში“ შეიარა საღებავების საყიდლად.

ზის გიო მოტოროლერზე და გასცემრის პარიზის ლამაზ სკვერს. კაცი დგას ზურგით, პარკის შესასვლელთან და გაზეთს კითხულობს. ნახევრად მელოტი თავი და ტანის კონფიგურაცია მიშას აგონებს, კობახიძეს. ამდენი ხნის მონატრებულს. ისე, პარი პარად შესძახა – მიშა! კაცმა მოიხედა. – მიშაა! მიშა კობახიძე.

.....

ერთი ძმა კაცი მყავდა, მხატვარი. ლექსების კრებულის გასაფორმებლად ვეძებდი, ოთხი წელი არ მენახა. მხატვართა კავშირში მისი ტელეფონი მითხრეს. რამდენი ვრეკე, არავინ მიპასუხა.

ამერიკაში ვიყავი ტურისტად და სასტუმროს კიბეებზე შემხვდა:

– სად ხარ, სად დაიკარგეო?

- გირეკე, ვერაფრით გაგაგონე-მეთქი.
- ბინა შევიცვალე, ოთხი წელია გოგებაშვილის ქუჩაზე  
გადმოვსახლდიო, 41-ე ნომერში.
- გოგებაშვილის 43 ნომერში მე ვცხოვრობ! არასდროს შე  
ხვედრია.
- და ვხვდები აქ, ოკეანის გაღმა, ათმილიონიან ქალაქში!

დიდი ალბათობა იყო, ჩემთვის ძვირფასი ფილმი „სინათლა ჩვენს ფანჯრებში“ ვერ გადამეღო და მუშაობის დასახყისი-დასასრულად ქცეულიყო... ჩემი და სულიკო უღერტის მუშაობა ფილმზე ტრაგიკულად დაიწყო. ლიკანში მივდიოდი სარეჟისორო სცენარის დასამუშავებლად. მანქანის საჭეს მუჭავადები. შემოგვალამდა. გზაზე ქვიშის გორა ვერ შევამჩნიერ შევასკდი. მანქანიდან რომ გამოვედი, თურმე, საჭე ხელში მუჭირა. ჩვენს ირგვლივ ხალხი მოგროვდა (დასახლება იყო), ბოლოს მანქანას ხელი დაავლეს და ერთ-ერთი სახლის ეზოში შეტანეს, ჩვენ კი სუფრა გაგვიშალეს, მაგრამ, ვაი, ამ ქეიფს - ყველაფერი მტკიოდა... ლვინომ, ჩვენდამი ყურადღებამ და პატი ვისცემამ ცოტა გვიშველა. დილით რომ გავიღვიძეთ, მანქანაშე კეთებული დაგვხვდა. გზა გავაგრძელეთ, მაგრამ ისე ვიყავი შეშინებულები, საათში 30 კილომეტრი სიჩქარით მივდიოდი კიდევ კარგი, თორემ, როგორც შემდეგ აღმოჩნდა, მანქანი მთლად კარგად არ იყო შეკეთებული და შეიძლებოდა მეორეავარია მოგვესლოდა. მოკლედ, გადავრჩით...

ბედი და - ისევ ბედი.





# ფუნქცია

მესამე გრძელებული დროის მისამართ  
მესამე გრძელებული დროის მისამართ  
მესამე გრძელებული დროის მისამართ  
მესამე გრძელებული დროის მისამართ  
მესამე გრძელებული დროის მისამართ



შ  
ე  
ტ  
ე  
ლ  
ტ  
ე

არ არ არ არ არ  
დობულ არ არ არ არ არ არ  
სოდა კავშირი არ არ  
იტარებულ არ არ არ არ არ  
ნებულ არ არ არ არ არ  
ალექსანდრე მეტროპოლიტე  
მარტინ გორგაძე  
გამარტინ გორგაძე

ლორანს რაგონი გ. ზაქარეიშვილის მეუღლის როლში.  
ალიკ მებმარიაშვილი, გოგი გეგეჭკორი და დოდო აბა-  
შიძე

პარიზში „ფესტების“ გადაღების ფონ

ფოტო: ვაჟა გომია



ლორანს რაგონი  
კ.ფ. „ფესვებში“



აბესალომ მაისურაძესთან ერთად „ფესვების“, გადალე-  
ბისას პარიზში

გადასაღებ  
მოედანზე:  
მე, გოგი  
გეგეჭკორი,  
სოსო  
ჯაჭვლიანი



კადრი  
ფილმიდან:  
სოსო  
ჯაჭვლიანი,  
ია ფარუ-  
ლავა




კადრი  
ფილმიდან:  
სოსო და ია.


## „ფილმები“

საქართველო  
კულტურული  
მეცნიერებები

ლორანს  
რაგონი,  
გიორგი  
ჯიბლაძე



მერაბ  
ნინიძე,  
მაკა  
მახარაძე



დოდო  
აბაშიძე,  
ლორანს  
რაგონი

## „ვისვები“

ლორანს  
რაგონი,  
რუსულან  
კიკნაძე



ლევან  
აბაშიძე.  
კადრი  
ფილმიდან




ლევან  
აბაშიძე.  
კადრი  
ფილმიდან

„ვისვიპი“

ქართველი  
კინოს 50 წელი



ლევან აბაშიძე გადაღების დროს



დოდო აბაშიძე

## რაინდი

ჩვენი პირველი შემოქმედებითი შეხვედრა 1961 წელს შედგა „ბურთი და მოედნის“ გადაღების დროს. ეს იყო მხიარული ფილმი მხიარული დასასრულით. ჩვენი ბოლო შემოქმედებითი შეხვედრა კი კინოფილმი „ფესვები“ გახლდათ – 1987 წელს. აქ სამხიარულო ნაკლები იყო – სურათი დრამაა ტრაგიკული ფინალით.

დოდო აბაშიძემ გიორგი ზაქარეიშვილის როლში, ყოველგვარი „თამაშის“ გარეშე გამოხატა თავისი გულის ნუხილი. მას ისევე უყვარდა თავისი ქვეყანა, როგორც მის გმირს, ისევე წაიღებდა ხოლმე წარსულზე ფიქრი, შეიძყრობდა სევდა... ზუსტად იმავე ავადმყოფობით დაიღუპა, რომლითაც იღუპება მისი გმირი „ფესვებში“, ოლონდ იმ დასანანი განსხვავებით, რომ გიორგი ზაქარეიშვილი 80 წელს გადაცილებული წავიდა ამ ქვეყნიდან, ჩვენი დოდო კი – 65 წლისა.

„ფესვების“ გადაღების დროს, პარიზის სასტუმროში დილაადრიან დაგვირეკა ბატონმა ვიქტორ ხომერიკმა და გვითხრა, რომ ორი საათისათვის მე და დოდო დაპატიჟებული ვართ ქართულ რესტორანში.

...ოცამდე დარბაისელი, ჭარმაგი ემიგრანტი უსხდა სუფრას. თამადობდა დოდო. ეხვეწებოდა ყველას, ახლა უკვე შეიძლება ჩვენთან ჩამოსვლა, თქვენს მონატრებულ საქარვთელოს დაუბრუნდითო.

ცრემლიანი საღამო გაუღენთილი იყო ერთი აზრითა და ვნებით – სიყვარულით! სიყვარულით იმ პატარა ქვეყნისადმი, რომელსაც ათეული წლების მანძილზე მოწყვეტილი იყვნენ სუფრასთან მსხდომი ქართველი ემიგრანტები.

ძნელი იყო განშორება...

იქნებ, სწორედ ამ შეხვედრას მიუძღვის ლომის წილი, უცრემლოდ რომ ვერავინ უყურებს „ფესვებს“ და მის გმირს – გიორგი ზაქარეიშვილს.

არ შემიძლია არ გავიხსენო კინოფესტივალი ქალაქ ფრუნჟეზე, სადაც დოდო აბაშიძეს მიენიჭა პრიზი მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისათვის „პირველ მერცხალში“ (უიური ნევრი გახლდით).

დოდოს ფესტივალზე ჩოხა წამოეღო; ქილები კი შინ და ვიწყებია. სადლაც ჰავანური სიგარები იშოვა და იმით შეცვალა... როცა უიურის თავმჯდომარემ მისი გვარი გამოაცხადა, დასჭექა მუსიკამ და თეთრ ჩოხაში გამოწყობილი დოდო აბაშიძე, შესაშური პლასტიკითა და ღირსებით აღვსილი, სცენის სილრმიდან პრიზის მისაღებად გამოეშურა...

ფესტივალის შემდეგ გამართულ ბანკეტზე მოგვიახლოება ცნობილი კინოკრიტიკოსი როსტისლავ იურენევი და გვითხრა: ბევრ ცერემონიალს დავსწრებივარ, მხოლოდ ორ ჯერ მახსოვს ცრემლი ჩემს თვალებზე. ერთხელ ვენეციის ფესტივალზე, როდესაც ცნობილი იაპონელი მსახიობი ტო-სირო მიფუნებ პრიზის მისაღებად სცენაზე ავიდა სამურაის ტანსაცმელში, და მეორედ ახლა, თეთრ ჩოხაში გამოწყობილი დოდო რომ დავინახეო.

...დოდოს პოპულარობა განუზომელი იყო მთელს საქართველოში. ნებისმიერ კაცს ნებისმიერი ქვეყნიდან ბარათირობა გამოეგზავნა მისამართით: „თბილისი, დოდო აბაშიძეს“, დოდო ამ ბარათს მიიღებდა!

საქართველოში არ იყო კაცი, ვინც მას არ იცნობდა. ქუთაისში, „ფედიას“ გადაღებისას, შეუძლებელი იყო მანქანაში მას თან ერთად მგზავრობა. ყოველ ნაბიჯზე ვიღაცა გვაჩერებდა და თავისთან გვეპატიუებოდა.

ყველა კეთილ თვისებასთან ერთად გმირული სულის პატრონი გახლდათ.

აბა, წარმოიდგინეთ: ზამთარი, შუადღე, ნელი 1968. ვერს ხიდზე უამრავ ხალხს მოუყრია თავი. მტკვარში ვიღაც იხრჩობა...

მეორე დღეს გაზეთები იუწყებიან – „გუშინ შუადღისას, მსახიობმა დოდო აბაშიძემ გადაარჩინა...“

უნიჭო დრამატურგის დაწერილს პეგავს... მაგრამ ეს ასეიყო!

რომ გავიცანი, 25 წლის იყო. ეს მოხდა კინოექსპედიციაში, სოფლის სასადილოში („ჭრიჭინას“ გადაღების დროს, სადაც მა

ეხატვრის ეპიზოდურ როლს ვთამაშობდი). რა სასწაული ვარ-  
ჯიშით მიაღწიე ტანის ასეთ დაკუნთვას-მეთქი, – ვკითხე. ასე და გენერალი

„– ბავშვობაში არცთუ ძლიერი ვიყავი. პირიქით, უფრო  
სუსტი მეთქმოდა. მამა რომ დამიჭირეს, სულ იმის შიში მქონ-  
და, დედა არავის შეეგინებინა და ორფუთიანი გირებით  
დავიწყე ვარჯიშიო.“

უდარდელი კაცი ჩანდა გარედან.

ასე ჩანდა... დარდმა მოუსწრაფა სიცოცხლე!



## „ჩაკლული სული“

ერთ-ერთი მოტივი, რისთვისაც გადავწყვიტეთ გამოჩენილი მნერლის გრიგოლ რობაქიძის რომანის „ჩაკლული სულის“ გადაღება, ისიც იყო, რომ აქამდე ამ მნერლის ლიტერატურულ მასალაზე ქართულ კინემატოგრაფის არაფერი შეუქმნია. ამსა-პატიო ამოცანის შესრულება ბედმა ჩვენ დაგვაკისრა (სცენა-რი დაინერა რეზო კვესელავასთან ერთად).

რომანი გვამცნობს სამშობლოს ბედზე დაფიქრებული ემიგრანტი მნერლის განცდებსა და აზრებს. მაგრამ იმისათვის, რომ შესაბამისი კინოსცენარი შეგვექმნა, საჭირო გახდა სიუჟეტური ცვლილებების შეტანა, ახალი სცენებისა და დიალოგების მოფიქრება; გადაღების პროცესმაც მოითხოვა შემდგომი კონკრეტიზაცია.

ფილმი, ისევე როგორც რომანი, ნარმოგვიდგენს 30-იანი წლების საქართველოს ინტელიგენციის იმ თაობის მნარე ხვედრს, რომელიც ტრადიციისა და სულიერი წყობის გამოვერ შეეგუა ახალ იდეოლოგიურ დესპოტიზმს. მეტროპოლია თავის მიზნის განსახორციელებლად პერიტერიაშიაგზავნიდასა-იდუმლო სამსახურის გაქნილ თანამშრომლებს, რომლებიც ადგილობრივ ჯალათებთან ერთად ენეოდნენ ბნელ საქმეს – ცდალობდნენ ათასი ხრიკებით დაეთროვუნათ ურჩი პიროვნება, ნაეშალათ მასში ხსოვნა ეროვნული თავისთავადობისა, ექცია იგი სატელიტად ან ჩაკლულ სულად. თუ ამას ვერ მოახერხებ-დნენ – ფიზიკურად გაენადგურებინათ.

ძალადობა პიროვნებაზე და ამით გამოწვეული ტრაგედია – აი ჩვენი ფილმის თემა. რამდენადაც დაუნდობლად მოქმედებს „სულის ჩამკვლელი“ მანქანა, მით მეტია ნინააღმდეგობაც. ძლიერი სულის მატარებელი პიროვნებანი არ ნებდებიან.

ჩვენი განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია უშიშროების კომიტეტის მაღალი ჩინის მუშაკმა – ბერზინმა, რომელიც თბელისში ხელოვნების საქმეებს განაგებს. თავდაპირველად იგი

გვევლინება უხეშ, ცინიკურ, თითქმის მექანიკურ პერსონად, რომელსაც აქვს მხოლოდ სამსახურეობრივი მიზანდასახულობრივი გა, მაგრამ თანდათან ვხედავთ, რომ მისთვის უცხო არ არის ადამიანური გრძნობები, რომ ის თავის მხრიდანაც ჩაკლული სულია. ის წუხს, ფიქრობს, განიცდის, და ჩვენ ვგრძობთ, რომ უკვე ამ ადამიანური თვისებათა გამო ის განნირულია.

ქალაქში იქმნება შიშის ატმოსფერო. შიში ეუფლება ქუჩებს, იჭრება დანესებულებებში, დარბაზებში, ოჯახებში. შიში ლამის ფილმის პერსონაჟად იქცევა.

ამ სულთამხუთავი ატმოსფეროს მსხვერპლი გახდა ფილმის მთავარი გმირი თამაზ ენგური – პოეტი და ლიტერატორი. უშიშროების კომიტეტმა მოახერხა ენგურის მწყობრიდან გამოყვანა, დააშვებინა საბედისნერო შეცდომა, მაგრამ საბოლოოდ მაინც ვერ ჩაკლა მასში უმთავრესი – სინანულის და სინდისის ქეჯნის გრძნობა. იგი გულწრფელად ენამა და ღმერთი მის წამებულს სულს იხსნის.

ასეთია პათოსი ფილმისა.

ფილმში დედის როლი შეასრულა ჩვენგან ადრე წასულმა ზეინაპ ბოცვაძემ. თუ არ ვცდები, ეს მისი უკანასკნელი როლი იყო, უკანასკნელი და ღრმად გაცნდილი. ასევე დიდი სევდით ვიგონებ ფილმის ოპერატორს გენო ჩირაძეს, რომლის გამოკვეთილმა ინდივინდუალობამ დიდად განსაზღვრა ფილმის გამომსახველობითი მხარე და საერთო სტილისტიკა.






მეტ სარგებლი

# ჩახრევი ცეკვა

მურმან ჯინორია გოვი მარგველაშვილი, ლიკა  
ქავუარაძე, ნუგზარ ყურაშვილი და ზურა ყიფშიძე.



სესილია თაყაიშვილი



ვალოდია წულაძე

## სტუმრად ემიგრანტთან

... 1976 წელია, ნიუ იორკის გარეუბანში, სამი ტურისტი სტუმრად ვართ ძველ ქართველ ემიგრანტთან, ბონდონ კეკელიასთან. ერთსართულიანი სახლის პატარა ეზოს ნაწილი ბოსტანს უჭირავს. მასპინძელმა იქ საგანგებოდ გაგვიყვანა. პამიდონი მოწყვიტა – ჩვენი ჯიშისააო – გვითხრა – ნერგების ქართველოდან ჩამოგვიტანესო. – რჩდაც უფრო მეტს ხედავდა ამ წითელ პამიდონრში.

– მისი გემო ჩემს სოფელს მაგონებსო!..

მერე გაშლილ სუფრას ვუსხედით მის გერმანელ მეუღლეთან, ქალბატონ ბარბარასთან ერთად, ქმარს სულ თვალებირომ შესცემოდა.

ბონდოს ვკითხე: – რით შეგვიძლია პატივი გცეთ, საქართველოდან ხომ არაფერი გამოგიგზავნოთ-მეთქი.

„ჩვენ ყველაფერი გვაქვს. იმას კი, რაც ჩვენ გვაკლია, ერკაცი ვერ გამოგვიგზავნისო...“

და ატირდა ეს მუხასავით კაცი.



## „ფესვების“ გადაღებაზე პარიზში

საფრანგეთში თერთმეტი დღით ვიყავით წასული თეთრმეტი კაცი. ჩვენი სასტუმროს პირდაპირ იტალიელების რესტორანი იყო. ალბათ, იფიქრეს, კინოს იღებენ, მილიონერები იქნებიან და ორი-სამი დღის განმავლობაში უფასოდ გვეპატიუბოდნენ იმ იმედით, რომ მერე თვითონ დავიწყებდით იქ სიარულს. მაგრამ, რომ დარწმუნდნენ, ჯიბეგაფხეკილი საბჭოთა კინემატოგრაფისტები ვიყავით, ხელი ჩაიქნიეს... თუმცა, მერე მაინც გვეპატიუბოდნენ ხოლმე... მოენონათ დოდო აბაშიძე. სოსო ჭაჭვლიანი ბოლოს ისე გაშინაურდა, უკვეთავდა და უკვეთავდა ლვინოს, ფული კი არ გვქონდა. მერე ფულიც გაგვიჩნდა.

გადაღებაზე ორი-სამი კაცი მივდიოდით – მე, ოპერატორი და მსახიობი, დანარჩენები კი საყიდლებზე დარბოდნენ. ერთადერთი ლევან აბაშიძე არ გაჰკარებია მაღაზიებს. ფრანგი გოგონები წაიყვანა რესტორანში და მთელი ფული იქ დახარჯა. წარმოუდგენლად კარგი პიროვნება იყო...

აეროპორტში გადაღებისას, ერთი საინტერესო რამ მოხდა. ის-ის იყო ზაქარეიშვილის ქართველ ტურისტებთან შეხვედრის სცენის გადაღება უნდა დაგვეწყო, გამოგვიცხადეს, სასწრაფოდ დაგვეცალა იქაურობა.

ატყდა განგაში. რამდენი წუთში სირენების გამაყრუებელი ხმაურით, შესასვლელს სახანძრო მანქანები მოადგნენ. პოლიციელებით გაივსო ლამის მთელი აეროპორტი.

გამოიძახეს სპეციალური რაზმი, განაღმვა უნდა მოხედინათ ჩემოდნისა, რომელიც შესასვლელთან იდო და რომელშიც ასაფეთქებელ ნივთიერებას ვარაუდობდნენ (იმ პერიოდში, პარიზში გახშირდა ტერორისტული აქტები).

ამ დროს საპირფარეშოდან გამოვიდა ორმეტრიანი შავკანიანი კაცი, მოჰკიდა ჩემოდანს ხელი და გზა გააგრძელა....

ნახევრად დრამატული აეროპორტის სცენა სიცილ-ხარ  
ხარში გადავიღეთ.

მეორე დღეს, პარიზის ერთ-ერთ ცენტრალურ ქუჩაზე  
გვქონდა გადაღება. ბაბუას შვილიშვილი მიჰყავს მანქანი  
სკოლაში.

აეროპორტში თუ „ტერორისტის“ მიზეზით შეფერხდა გა-  
დაღება, აქ მანქანების უწყვეტმა ნაკადმა შეგვიშალა ხელი. გა-  
დაღება რომ უნდა დაგვეწყო, დოდომ კატეგორიულად გა-  
ნაცხადა, „ასეთ მოძრაობაში მანქანას ნიკი ლაუდა ვერ ნაი-  
ვანს და მე როგორ ვატაროო!“. თან ბაბუას და შვილიშვილ-  
კრიმანჭული უნდა ემღერათ და ეს უფრო ართულებდა საქმეს.

ჩვენს ოპერატორს, ცხონებულ აბიკო მაისურაძეს, ერთ  
სომები ასისტენტი ჰყავდა, პატარა ტანის კაცი. მივიდა დო-  
დოსთან და ეუბნება: „დოდოჯან, სამშობლოზე ფილმს ვი-  
ღებთ და შენ რას შვები? რას აკეთებ? სირცხვილია, ახლა  
ჩაჯექი მანქანაში! რისთვის ნამოვედით ამდენი ხალხი პარიკ  
ში?“

თქვენ ნარმოიდგინეთ, დოდომ დაუჯერა, ჩაჯდა მანქა-  
ნი, გვერდით მოისვა შვილიშვილი, რომლის როლს 7 ნლის ნ-  
აზ დიასამიძე ასრულებდა (ცნობილი ნიაზის შვილიშვილი დ-  
დღეს უკვე ცნობილი მომღერალი) და ისე რიხიანად ატარ-  
დოდომ მანქანა, და ისეთი სიმღერა დასჭექეს ზაქარეიშვილ-  
მა, რომ... იტალიელების რესტორნის მფლობელი იმ ღამე-  
მგონი, ავაშენეთ კიდეც! ფული უკვე, მადლობა ღმერთ!



## ნებაყოფლობითი პატიმრობა (წერილი ფლორიდიდან)

„ო! იმას, ვგონებ, ახელილი დარჩა თვალები!  
 ო, რა ძნელია უცხოეთში გარდაცვალება!“

ლევან გოთუა  
 ბიბისი, 1935

ექვს წელზე მეტია, ამერიკაში ვარ. ჩვიდმეტი შტატი შემოვიარე. ბევრი რამ ვნახე და განვიცადე, ავიც და კარგიც. მესამე წელია, ფლორიდას შემოვრჩი. სამოთხისდარი მხარეა, თუმცა არც პრობლემები გვაკლდა. ხუთჯერ „გადაგვიარა“ გრიგალმა. ხან „შარლი“ გვიტევდა, ხან „ფრენსისი“, ხანაც „აივენი“, თუ ათასი დოზანა, მაგრამ ბიჯი ვერ მოგვაცვლევინა, რადგან ათამდე ქართველი ერთად ვიყავით, ჭირშიც და ლხინშიც.

„ქართველების ერთად ყოფნა დამილოცე, ღმერთო!“ – ჩვენი დევიზი იყო.

ამან გაგვაძლებინა.

ჩვენს მეგობარს, შოთა მიშველიანს, ქართული ფილმების იმდენი კასეტა ჰქონდა, ხუმრობით „კულტურის მინისტრს“ ვეძახდით.

„ისეთ ხუმრობას რა ვუთხარი, ნახევარი სიმართლე არ იყოს“ – ნათქვამია.

არადა, საქართველოდან იმდენად დაუჯერებელი, გამაოგნებელი ამბები მესმოდა, კულტურის მინისტრზე არანაკლებ ეროვნულ საქმეს, მგონი შოთა მიშველიანი აკეთებდა, – ფლორიდაში...

შოთასგან რიგრიგობით მიგვქონდა „დათა თუთაშხია“, „ყვარყვარე“, „არაჩვეულებრივი გამოფენა“, „დაკარგული სამოთხე“, „ფესვები“, „უძინართა მზე“...

უბედნიერესი კაცია შოთა მიშველიანი!

ველარ გაუძლო ამერიკულ „საამურ ცხოვრებას“, პირველი რი გადაიწერა და სამშობლოსკენ გაუტია!

პირველად გაუჭირდა თურმე, მაგრამ მიუხედავად მნიშვნელობისა, ქვეყნად გამეფებული საყოველთაო სილატაკისა, სა დუხჭირისა, უნესრიგობისა და ათასი სხვა პრობლემისა, თავი ბედნიერად თვლის! ის ხომ თავის სამშობლოშია, თავის მინაზუა თავის ოჯახთან, ნათესავებთან, ახლობლებთან, მეგობრებთან, რომელთაც ექვსი გრძელი ნელინადი მონატრებული იყო...

საქართველოში დაბრუნების წინ შოთამ კასეტების ნაწლი დამიტოვა. სამშობლოში რომ წამოვალ, მეც სხვას დაუკოვებ. დაე, იტრიალოს ქართულმა სულმა ამერიკის მინაზუაზოგჯერ დაგვამნუხროს, ცრემლებიც გვადინოს, ხანაც გავახაროს, ნაღველი გაგვიქარვოს, ბევრ რამეზე დაგვააფიქროს...

გუგული მგელაძის „ფესვები“ პირველად თბილისში ენახე. ბედის უკულმართობით სამშობლოდან გადახვენილი, დაუმუდამსაქართველოზე მეოცნებე, მაგრამ სამუდამოდ საფრანგეთში ჩარჩენილი ემიგრანტის გიორგი ზაქარეიშვილის როლი დაუვინყარი დოდო აბაშიძე ასრულებს.

ცხადია, ფილმი თბილისშიც მომენტონა, მაგრამ აქ, უცხოობაში, სულ სხვა თვალით შევხედე. უფრო მძაფრად განვიცა დე ემიგრანტის ნაღვლიანი, გაუხარელი ცხოვრება.

მუხლს ვიყრი ბედის უკულმართობით სამშობლოდან გადახვენილი ადამიანების ხსოვნის წინაშე. რომლებმაც ათეული ნლები ქედით ატარეს მძიმე ლოდი – ნოსტალგია, – სა მობლოს მონატრება...

იმ სასტიკ დროში, როცა ქვეყნებს შორის ურთიერთობა უკიდურესად გაძნელებული იყო, მათ არ ელირსათ შინ დაბრუნება. ამიტომ, სამშობლოზე გაუნელებელი ფიქრი და დარღვევა ჩამარეში ჩაიტანეს...

დროება შეიცვალა. დღეს მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყნის ში შეგიძლია წასვლა. სამშობლოშიც უპრობლემოდ დაბრუნდები. თუ, რა თქმა უნდა, საშუალება გაქვს. მაგრამ, სამნუხროდ, დღეს სწორედ ესაა უმთავრესი, – სა-შუ-ა-ლე-ბა! ამიტომ, ადამიანების უმრავლესობა სამშობლოდან „ნებაყოფლი ბით პატიმრობაში“ მიემგზავრება, რათა მოიპოვოს „პურია სობისა“...

„უთხარი, სიმღერით გამასვენონ, იქ რომ ჩამიტანენ, საჭიროა ალარ ვიქნები“, – ანდერძს უბარებს გიორგი შვილიშვილს, უფლისწულივით ნარმოსადეგ ახალგაზრდას, რომელიც გზადაა, უკანასკნელი სურვილი აუსრულოს სვეგამნარებულ ბაბუას...

...მერამდენედ ვუყურებ „ფესვებს“, მაგრამ ფინალური კადრების ხილვისას მუდამ თვალები მენამება...

ეტყობა, მართლა დავბერდი. გულჩვილობა შემომეპარა...

დროა, ავიკრა გუდა-ნაბადი, თორემ ისე შორს ვარ გადმოხვენილი, რამე რომ მომივიდეს, მკვდარიც ვერ ველირსები სამშობლოს მინას.

– იქნებ, ცოტაც მოვითმინო. ვინ იცის, რამე სასიკეთოდ შეიცვალოს-მეთქი, – გავიფიქრებ ზოგჯერ, მაგრამ როგორ ჯოჯოხეთგამოვლილი ბრძენკაცი ბატონი ლევან გოთუა იტყოდა, – „დღეები დამხრჩვალი კატებივით ჰგვანან ერთმანეთს“, და ვგრძნობ, – ამაოა რამე სასიკეთო ცვლილებების ლოდინი...

ცხოვრება ისეა მოწყობილი, აქედან მიცვალებულის ნასვენება ათჯერ ძვირი ლირს, ვიდრე სამგზავრო ბილეთი...

ამიტომ, კაცმა აქედან დროზე უნდა გაასწროს, ვიდრე ფეხზე დგას, თორემ... მერე – მშვიდობით!

– უფალო! იესო ქრისტე! ძეო ლვთისაო, შემიწყალე მე ცოდვილი...

– გამაძლებინე, ვიდრე მშობლიურ მინას ვეამბორები...

ჯუმბერ ჯიშუარიანი, ფლორიდა, აშშ.  
2006.





პავლე ინგოროვა



აბაშელი,  
ინგოროვა,  
გამსახურდია,  
კოტეტიშვილი

## ალექსანდრიელი

როგორ გაახარა სტამბის თანამშრომლები

მისი წიგნი რომ იბეჭდებოდა, ოცდაოთხი საათი სტამბაში იჯდა, მაშინაც კი, როდესაც სისხლს ანთხევდა. მთელი თავისი ცხოვრება ტუბერკულოზით იყო ავად. მაშინ ეს სენი ჯერ კი-დევ განუკურნებლად ითვლებოდა.

სტამბის თანამშრომლებმა მიამბეს: ერთხელ გახარებული შემოვარდა ჩვენთან („მერჩულეს“ გამოცემის პერიოდში) თავისი განუყრელი, უზარმაზარი პორტფელით ხელში და გვითხრა:

— უნდა გაგახაროთ! ველაპარაკე გამომცემლობის დირექტორს და მან კვირა დღეს მუშაობის ნება დაგვრთო!

ბატონ პავლეს ოდნავი ეჭვიც კი არ ჰქონდა, რომ ეს ამბავი ყველას ძლიერ უნდა გახარებოდა!

კვირა დღეებში მუშაობის „საზღაური“ „გიორგი მერჩულეს“ – 1000-გვერდიანი წიგნის პონორარი რომ უნდა მიეღო, გამომცემლობაში უთხრეს: ამ თანხას რომ მიიღებთ, ჩვენი გამომცემლობა უნდა დაიხუროს – ვკოტრდებითო. მომეცით ფურცელიო – უთხოვნია პავლეს, მისცეს, რაღაც დაწერა; რომ წავიდა, წაიკითხეს: „რადგანაც თქვენს გამომცემლობას უჭირს, ამ წიგნში ასაღებ პონორარს მთლიანად გიტოვებთ“.

ეს მაშინ, როდესაც თვითონ ძალიან ხელმოკლედ ცხოვრობდა. პენსია 120 მანეთი ჰქონდა (ჩამოსახლებული გენერლების ქვრივებს 160 მანეთს უხდიდნენ).

### ჰალსტუხი

ერთხელ, დილით, სახლიდან რომ უნდა გასულიყო, შევამჩნიე... ორო ჰალსტუხი ეკეთა.

ვკითხე, ორი ჰალსტუხი რა უბედურებაა-მეთქი.

— რა ორიო? — გაიკირვა.

სარკეში ჩავახედე.

— ვინ გამიკეთა? — მკითხა.

დავიფიცე, რომ მე არ გამიკეთებია.

გაიღიმა.

ეტყობა, ჩვეულებრისამებრ, ღამე მუშაობდა და სავარძელ-ში ჩაეძინა.

დილით მეორე ჰალსტუხი გაიკეთა (სარკეში არასოდეს იხე-დებოდა) და ასე აპირებდა მწერალთა კავშირში წასვლას (სულ ორად-ორი ჰალსტუხი ჰქონდა — მენშევიკების დროინდელი).

შემაქო, რა კარგი მხედველობა გაქვსო.

ისევ გაეღიმა და... რატომლაც ორივე მოიხსნა.

უჰალსტუხოდ წავიდა.

## სულაც არ უკვირდა

ხშირად იყო ჩვენს ოჯახში საუბარი ექვთიმე თაყაიშვილზე

ბატონ ჰავლესა და ექვთიმეს ახალგაზრდობაში დიდი მუ-გობრობა ჰქონიათ.

ან განსავენებულმა, მაშინ საფრანგეთიდან ახლად ჩამო-სულმა სერგი ნულაძემ ჩვენთან სტუმრობის დროს გვიამბო, თუ როგორ გაიღო ფრანგმა მეცენატმა ქალმა ფული, რათა ექვთი-მე თაყაიშვილს თვალებისათვის ემკურნალა (სინათლეს ჰერ-გავდა), ექვთიმემ კი ამ თანხით ჰარიზის ბუკინისტებში წინას-ნარ გადანახული ქართული მანუსკრიპტები შეიძინა.

კიდევ ბევრი რამ ითქვა მაშინ.

ბატონი ჰავლე დიდი ჰატივისცემით ლაპარაკობდა ექვთი-მე თაყაიშვილზე, მაგრამ ისიც მინდა გითხრათ, რომ მას საუ-სებით ნორმალურად მიაჩნდა განძთან დაკავშირებული ისტო-რია. ერთხელ, გაკვირვებით თქვა კიდეც: „აბა, სხვანაირად რო-გორ უნდა მოქცეულიყო?!”

გაშივრული ნოტები და გაუშივრავი გაუჩინარება

უცნაურობაც სჩვეოდა ბატონ ჰავლეს.

კარგა ხნის წინ, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში სწავლულ მეცნიერებთან შეხვედრა ჰქონდა დანიშნული (ძველისა-

გალობლების სანოტო სისტემის გაშიფრასთან დაკავშირებით). თავშეყრილი აკადემიკოსები ძალიან ლელავდნენ ამ სასწაულებრივი აღმოჩენის გამო. ბატონი პავლე იგვიანებდა, ბოლოს, როგორც იყო, გამოცხადდა თავისი უშველებელი პორტფელით, მაგიდაზე ამოალაგა განსახილველი შრომა, გადაშალა და უცებრალაც იდუმალმა ძალამ შეკრა ადამიანი. რა აზრიდაუტრიალდა მეცნიერს თავში, ძნელი წარმოსადგენი იყო. ერთხანს იჯდა, მერე პაპიროსიჩაიდო პირში და რამდენჯერმე ზედიზედ ნერვიულად აანთოდა ჩააქრო ასანთი. ყველა იქ მყოფი მდუმარებამ მოიცვა... მერე ბატონმა პავლემ ოლიმპიური სიმშვიდით ჩაალაგა თავისი ნაშრომი პორტფელში, კრებას ბოლიში მოუხადა და სხდომა გააუქმა. რა მოხდა, ვერავინ გაიგო – წავიდა და წავიდა...

სულ ცოტა ხანში, იუნესკოს პერიოდული ჟურნალი „ეურიკიუნესკო“ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი აღმოჩენის შესახებ მსოფლიოს აუნიკებდა (მაისი, 1962 წ.): პავლე ინგოროვამ ამოხსნა იეროგლიფებად შემორჩენილი ნოტური სისტემა, რის შედეგადაც უამრავი საგალობელი ახმოვანდა.

### მარადი სახსოვარი...

ახალგაზრდობაში ბატონი პავლე ისე თავდავინყებით ყოფილა შეყვარებული ქალბატონ ქეთევანზე, რომ ერთხელ, სასოწარკვეთილს, თავის მოკვლის მიზნით ტყვია უსვრია. მერე ეს ტყვია ექიმებს სხეულიდან არ ამოალებინა. საფლავში ჩაიტანა.

### ძალა სიტყვისა

რა საოცარი ძალა აქვს ნაწერს, რამდენი რამის ამოკითხვა შეიძლება სტრიქონებს შორისაც.

ბატონი პავლეს არქივში ნავაწყდი ერთი ბენო ქალალდს, სადაც ისტორიული მნიშვნელობის რამდენიმე სიტყვა წერია: „პავლე! ჩემთან მოსვლა უკვე საშიში აღარაა, შენი ექვთიმე“.

ამას თარიღი არ ანერია. მას თარიღი არ სჭირდება, არც ახსნა. ერისკაცი, თავის დროზე გუშაგად რომ გაჰყვა საქართველოს აურაცხელ ქონებას, მის საგანძურს, სულს, მის ისტორიას, რათა ათე-

ული ნლები ეშიმშილა უცხო მხარეში და შემდეგ ლრმად მოხუცეს ბულს, კიდევ უფრო გამდიდრებული დაეპრუნებინა ეს განძილებული ვისი ქვეყნისათვის, ეს კაცი სწრაფა პავლე ინგოროვას, რომ მას თან მისცლა უკვე საშიში აღარ არის, რომ ამისთვის მას არ დააჭრობდნენ, არ ანამებდნენ, სიკვდილით არ დასჯიდნენ.

ძერუინსკის „ძნელად“ იტანდა, ძერუინსკის ქუჩა კი ენატ. რებოდა.

ბოლო ხანებში, თითქმის 90 წელს მიღწეულმა, შეიღია ვილს, გიორგის უხმო და უთხრა:

— ბიჭო, შენ იცი... მგონი, მე ჩემ სახლში არა ვარ! პეტრი დიდის ქუჩაზე წამიყვანე!

(ასე ერქვა ძერუინსკის ქუჩას უნინ, სადაც ბატონი პავლე ახალგაზრდობაში ცხოვრობდა).

— კი, ბაბუ! — იმ ნუთში დაეთანხმა გიორგი.

— შენ რომელ გიმნაზიაში სწავლობ? — ჰკითხა პავლემ.

გიორგი არ დაიბნა:

— ჰირველ გიმნაზიაში.

— აბა წავიდეთ!

გიორგიმ ლოგინიდან წამოაყენა.

— ფაიტონი მომგვარე! — უთხრა მერე პავლემ (რის ტაქსი!).

— კი ბაბუა... ჯერ ჩავიცვათ.

ჩააცვა პალტო, დაახურა ქუდი, ხელმკლავი გამოსდო და მეორე კარიდან ისევ იმ ოთახში შეიყვანა.

— აგაშენოს ღმერთმა! — უთხრა პავლემ მადლიერებით.

— რა არის სიბერე?! — ვამბობდით ჩვენ მეორე ოთახში.

ცოტა ხანში პავლემ მიხმო და თვალებაცრემლებულს მითხრა — ძალიან კეთილშობილი და ჭკვიანი ბიჭი გვეზრდა ბაო (ის ყველაფერს მიმხვდარიყო, რასაკვირველია).

ძერუინსკის ქუჩას დღეს ინგოროვას სახელი ჰქვია.

## 1938 წელი

თითქმის ყველა საშინელებამ ჩაიარა, მაგრამ...  
არა!

პავლე ინგოროვა ერთ ოფიციალურ დაწესებულებაში დაბარებული. სანამ კაბინეტში შევა, კარებში კაცი შეეფეოს.

ის კაცი სიმონ ყაუხჩიშვილია.

შუბლზე ოფლი, ხელების ოდნავ შესამჩნევი კანკალი. შეხედეს ერთმანეთს!

რამდენი რამაა ამ შეხედვაში!

ერთი უკვე იყო იმ კაბინეტში!

ჯოვოხეთი ახლა მეორეს ელის.

...ნახევარი კაბინეტი სიბნელეშია. ლამპა გამხდარი და გაფითრებული კაცის სახეს ანათებს.

ეს კაცი პავლე ინგოროვაა.

სიბნელეში მუშტად შეკრული სატანა ზის. მხოლოდ პენ-სნეს შუშებმა გაიეღვეს რამდენჯერმე. საოცარი კონტრასტია... სიბნელე და სინათლე.

„სტალინს მოხსენდა თქვენი მოღვაწეობის შესახებ. სტალინმა თქვენ გაპატიათ!“ – გაისმა ამაზრზენად (ეს ზუსტი სიტყვებია, პავლე ინგოროვასაგან რამდენჯერმე მოსმენილი).

„სტალინმა თქვენ გაპატიათ!“

ვინ ვის რა აპატია?!

### „საქართველოს მოუარე“

ოთხმოცდახუთის რომ შესრულდა, დაგვირეკეს, ედუარდ შევარდნაძეს სურს თქვენთან მოსვლაო. იმ დღეებში, როცა შევარდნაძეს ველოდით, სადარბაზო შეგვიღებეს, კიბე დაგვიკრიალეს, გოგებაშვილის ქუჩას ყოველ დილას მოსარწყავი მანქანა ჩაუვლიდა ხოლმე. მოკლედ, ვცხოვრობდით რაღაც საოცარ სისუფთავეში. მერეც, როცა დაბინძურდებოდა იქაურობა, სახლმმართველს ვურეკავდით, „კაცო, მგონი, ისევ აპირებს მოსვლას“ და... ისევ დაფაცურდებოდნენ.

ბატონ ედუარდს ბატონი პავალესათვის საიუბილეო თარიღი უნდა მიელოცა. დღე-დღეზე ველოდით. ჩემი მეუღლე ლეილა ინგოროვა, რამდენჯერაც საჭმელს შეუტანდა ბატონ პავლეს, იმდენჯერ ეუბნებოდა (მისი მესიერების იმედი მაინცდამანც არ ჰქონდა – 85 წელი ხუმრობაა?!):

– შენთან რომ მოვა ედუარდ შევარდნაძე, მოგიკითხავს, გაგესაუბრება; ბოლოს, ალბათ, გკითხავს, ხომ არაფერი გიჭირს, ხომ არ დაგეხმაროო. შენ უნდა უთხრა: ჩემს შვილიშვილს,

გათხოვილს, ბინა არა აქვს და თუ შეიძლება დაგვეხმარეთ-თქმ  
მანქანაც არ დაგავინყდეს გუგულისთვის (ჩემთვის)... გაიგე?

შემდეგ შესვლაზე ლეილა ეკითხება?

— ხომ იცი, შევარდნაძეს რა უნდა უთხრა?

— რა უნდა ვუთხრა? — აქეთ ეკითხება პავლე.

— ადამიანო, წელან, არ გითხარი? — და ლეილა უმეორებს  
ნათქვამს... „ჩემს შვილიშვილს ბინა არა აქვსო...“

მოკლედ, ასე გაგრძელდა შვიდ თუ რვა დღეს. ბოლოს, ლე-  
ილა ეუბნება:

— აბა, ახლა გენერალური რეპეტიცია გავიაროთ, ვითომ  
მოვიდა შევარდნაძე.

შევარდნაძის მაგივრად ბატონი პავლეს ოთახში შევდივარ  
მე. იწყება გენერალური რეპეტიცია.

— როგორ ბრძანდებით, ბატონო პავლე?

პავლე (მისუსტებული ხმით):

— გამარჯობა... რომელი ხარ?

— მე ვარ შევარდნაძე... ვერ მიცანით!

— გიცანით.

— როგორ ბრძანდებით, ბატონო პავლე?

— ლომივით!

(კინალამ გამეცინა, თავი შევიკავე).

— ხომ არაფერი გნებავთ... სათხოვარი ხომ არაფერი გაქვთ?

— კი.

— მიბრძანეთ.

პავლემ გახედა ლეილას და ქეთინოს (ჩემს ქალიშვილს), მე-  
რე მე (შევარდნაძეს) შემომხედა და ნაიჩურჩულა:

— საქართველოს მოუარე, საქართველოს!

— სულ გამოპრუტუნდა! — ჩაილაპარაკა ლეილამ.

აი, ჭეშმარიტი პავლე ინგოროვა!

„საქართველოს მოუარეო“.

ეს იყო მისი ყველაზე დიდი სათხოვარი ხელისუფლები-  
სადმი.

არც ჩაცმა.

არც ბინა.

არც ჭამა.

არც მანქანა.

მხოლოდ პური და ნყალი. ჭერი, საწერი მაგიდა, ნიგნები... ნიგნები... ნიგნები... და ხელნაწერები.

როცა კი მის სამუშაო ოთახში შეიხედავდი... სულ ერთთავად ან ნიგნს, ან ნაწერს ჩაჰკირკიტებდა... როდის ეძინა?

90 ნელს ისე მიაღწია, ერთხელ არ დაუწუნუნია, არ უთქვამს, შეუძლოდ ვარო. ხანდახან კი იცოდა, ჩაწვებოდა ლოგინში და ერთ-ორ დღეს არ დგებოდა. თანაც გამუდმებით რაღაცას ფურცლავდა, კითხულობდა, ასწორებდა. ერთხელ, მხოლოდ ერთხელ მითხრა:

— სიბერე მჭირს ჭირთა უფრო ძნელიო — და ხელი ხელზე დაარტყა: „ტაქ“.

ვეითხე:

— გრძელი იყო თქვენი ცხოვრების გზა?

— საოცრად გრძელი! — მიპასუხა.

(ასიდან ასი ხომ იტყოდა — „ერთი გაელვებაო!“)

## სულიერ ძალებთან

ერთხელ მისი ოთახიდან გავიგონეთ:

„შენ დიდად-დიდო, მაგრამ საოცრად საცოდაო კაცო... რამდენი რამ გადაგხდენია თავს... რამდენი გინვალია, გიბოგინია (ეს პავლეს მწუხარებით სავსე ხმა იყო), როგორ გაუძელ ამდენ ტანჯვას, ამდენ წამებას? შენ ხომ ყველაფერი ეს გამოიარე... სხვანაირად ხომ ვერ დაწერდი „ვეფხისტყაოსანს“.

კარი შევაძე.

ოთახში ციიდა და პავლე მაგიდას პალტოჩაცმული უჯდა, ნინ „ვეფხისტყაოსანი“ ედო და შოთა რუსთაველს ესაუბრებოდა.

ამან შემზარა, შემზარა, ღმერთმანი...

„...და ალბათ ასე საუბრობდა მერჩულესთანაც და ალბათ ასე საუბრობდა გრიგოლ ხანძთელთან, ბარათაშვილთან, ილიასთან და კიდევ სხვებთან.

შორეულ და მისთვის ახლობელ სულიერ ძმებთან. არა, სულმნათი არასოდეს ყოფილა მარტო.

მძიმე დღეებში არ ტოვებდნენ წარსულთ ლანდები.

სწორედ ისინი უგრძელებდნენ მოხუცს ცხოვრებას.

და სიკვდილამდე სდევდა მათი შარავანდედი.

სიკვდილამდე რამდენიმე დღით ადრე თქვა: „დედაწყუშებული კარგი სხეული მოუციაო“.

მხოლოდ ერთი რამისა ეშინოდა ცხოვრებაში – ორპირის რის (ალბათ ორპირი ხალხისაც). სულ იძახდა: – კარი დაკეტილ კაცო, ფანჯარა დაკეტილ... კაცო,

...თვალები მე დავუხუჭე. ცუდად გავხდი. პირველად ქუდავდი ჩემს სიცოცხლეში ადამიანის გარდაცვალებას. არასიკვდილს, სწორედ გარდაცვალებას. არც ახლა დაუკვნესია, გარდაცვალების წინ.

...ბალზამირებას რომ უკეთებდნენ, ჩემდა უნებურად, კარი გავალე... ძვალი და ტყავი, სახე თეთრი წვერით მოსილ, ხელ-ფეხი ზუსტად ისეთი – ქრისტესი – სურათებში რომ გვანახავს: ჩონჩხი – ხელები, ჩონჩხი – ფეხები, ოდნავ მოხრილი.

(სიმონ ყაუხჩიშვილი, მისი ახლო მეგობარი, ორი თუ სასწლით უფროსი გახლდათ მასზე. პავლე სულ იმეორებდა: „რადენი ხანია მოგდევ და ვერაფრით ვერ დაგენიერ“).

დაენია! დაენია თავის ძველ მეგობრებს და სულიერ ძმებს

## დასაფლავება

კუბო მწერალთა კავშირიდან დიდუბის პანთეონამდე სტედენტმა-ახალგაზრდობამ სულ ხელით ატარა, მანამდე კი ქმავეთის ტაძართან შეაჩერეს და ეკლესიის ზარების რეკვით კუდევ ერთხელ შეარხიეს მგლოვიარეთა გულები. ყოველ ას მტკრში ოფიციალური პირები აფრთხილებდნენ ახალგაზრდები. რომ კუბო კატაფალკზე დაედოთ და ასე გაეგრძელებინათ განათეონისაკენ. რატომ მღაცებაში ეშინოდათ, დასაფლავებას სხვაური არ მიეღო და რაიმე „ნაციონალურში“ არ გადაზრდილოყო.

პანთეონთან შავებში ჩაცმულმა ახალგაზრდა ქალებმა შეკვალეს ვაჟები, მხრებით შეუდგნენ კუბოს და რაღაცა განსაკურებული ელფერი მოჰყონეს ამ დიდი ბერიკაციის დასაფლავებას.

(ასე ყოფილა ნიკოლოზ ბარათაშვილის ნეშტის გადმოსვენებისას. ასე იყო ახლაც).

დასაფლავეს ექვთიმე თაყაიშვილის გვერდით.

არ ვიცი, რა ზეციურმა ძალამ ინება ასე. ეს არც არავისაჩა-  
უფიქრებია. უბრალოდ, ასე მოხდა.  
გათი ცხოვრებაც რა საოცრად გავდა ერთმანეთს.  
გათი მრნამსიც.

გატაცებაც და ბრძოლაც.  
შეუდრეველობაც და შეუპოვრობაც.  
სულ რაღაც სანტიმეტრები ყოფდა ორი დიდი მამულიშვი-  
ლის სადა, უბრალო საფლავებს.


„გადამეტებით, ტანჯულ დღეებით,  
წარსული ჰკივის უკულმართული,  
ჩვენ კი უტკბილეს სამოთხეებით  
გვინდა გავმართოთ მხარე ქართული.  
დაგვიპრუნდება ის ნეტარება  
ამაყ დღეების გადაჩეულებს,  
თუ პოეზია შეედარება  
ჯვარზე გასალთულ ნმინდა რჩეულებს.  
ძმავ, ინგოროვუ! პოეტო ადრე  
და მერე დარდო წარსულ დიდების:  
გულს პოეზია იჭვებით ანგრევს  
და სურს დაპყრობა პირამიდების“.

ეს პაოლო იაშვილის სიტყვებია.

„საუკუნის აღმართზე ჯვრის ზიდვა ასე ხანგრძლივად და ქედ-  
შეუხერელად მხოლოდ ერთეულებმა შესძლეს... ისინი წარსულით  
საზრდოობენ, მაგრამ მათი უპირველესი საზრუნავი მომავალია!“  
ეს სიტყვები კი ჩვენს განუმეორებელ გურამ ასათიანს ეკუ-  
თვნის.

„ალექსანდრიელიც“ მანვე უნიდა.





გიორგი ჭილაძე „ძახილი“  
(ნოველები „სისხლი“ და  
„ელადოს“)

გიორგი ჭილაძე


გიორგი ჭილაძე  
ევგენი  
მორგუნო-  
ვი



გიორგი ჭილაძე  
ბაგრატიონის როლში,  
მარჯვენავ  
ლია ელიაშვილი



ჩემი ვაჟი გიო მგელაძე და შვილიშვილი ნინო ახვლე-  
დიანი



შვილიშვილი  
ლუკა



მე და გიო ფრუნზეში, კინოფესტივალზე პრიზის მიღების დროს. (ფილმი – „ძახილი“)



გიო და ქეთინო

მე და  
შვილიშვი-  
ლი ლუკა



შვილთაშ-  
ვილი  
გიორგი

## გიო მგელაძე

ხუთი ნლისა „ჩინგაჩგუკის“ სერიალს უყურებდა ტელევიზიით. აღაფრთოვანებდა მისი გმირობა. ერთხელ მკითხა: „შე, მა, შენ ბონდარჩუკს ხომ იცნობ?“

— კი, ვიცნობ!

— კარგდ?

— კი, კარგად.

— ბანდარჩუკი ჩინგაჩგუკს არ იცნობს?

გამელიმა — ვთქვათ და იცნობს, მერე?

ჩემი ღიმილი არ მოეწონა, და გაჩუმდა (ეტყობა გაცნობა უნდოდა, მაგრამ რაღაცას მიხვდა და ამით დამთავრდა ამ თემაზე საუბარი).

ბავშვებმა კოცონი დაანთეს ეზოში. ყველაზე „ჭკვიანს“ უკითხავს — ცეცხლში ფეხს ვინ ჩაყოფსო?

— მეო — უთქვამს გიოს... იმდენი ხანი გააჩერა ფეხი ცეცხლში, სანამ შარვალზე არ წაეკიდა...

. 53-ე — სკოლის ახალგახსნილ სააქტო დარბაზში კომუნისტიკური სანიმუშო კრება ტარდებოდა. პრეზიდიუმში ის ხდნენ კომკავშირის ცეკას ნარმომადგენლები. ტრიბუნაზე ერთმანეთს ცვლიდნენ „აქტივისტები“.

სკოლის დირექტორი „ტატულია“ (ასე ეძახდნენ) გიოს გამოსასვლელად აქეზებდა.

— გიო გამოდი, გიო გამოდი, გიო გამოდი.

და გიოც გამოვიდა.

— არ მოგბეზრდათ ამდენი ყალბი სიტყვების რახა-რუხი?

— დაიწყო გიომ გამოსვლა.

— გიო, ჩამოდი, გიო ჩამოდი! — ფერი არ ედო სახეზე ტატულიას.

გიო არ ჩამოსულა, და რაც მან იქ ილაპარაკა — სულმნავა მერაბ კოსტავა თუ გაბედავდა.

მეორედღეს მოსულა პალსტუხიანი კაცი შავ კოსტიუმში, გიო დაუბარებია, და სულ „შვილო-შვილოს“ დართვით ყოველ წინა-დადებაზე, ვრცელი ნოტაციის წაკითხვა განუზრახავს. გიოს უთქვაშს „ერთი წუთით, საპირფარეშოში გავალ, ძალიან გთხოვთ, არსად წახვიდეთო“ და... – შეყვარებულთან პაემანზე წასულა.

ვერ გეტყვით, რატომ, მაგრამ სკოლიდან გიო არ გაუგდიათ.

მერე ქუჩაში მისი დამრიგებელი შემხვდა და მითხრა: – გუ-გული, იცით ხომ?

„ვიცი, ქალბატონო, ვიცი“.

„როგორ ეკადრება ასეთი რამ პავლე ინგოროვას შვილიშვილს?“

– სწორედ ასეთი რამ ეკადრება პავლეს შვილიშვილს – ვუთხარი მე.

ცოტა ხანს მიყურა, მერე, ალბათ, იფიქრა – ესეც ვერ არის კარგადო და გამშორდა.

9 აპრილის ღამეს, გიოს გულგახეთქილები ვეძებდით ქუჩებში. მერე რუსთაველის თეატრიდან დაგვირეეს, გოგი ხარაბაძის შვილს და კახი კავსაძეს თეატრში შეუგდიათ და სასწრაფოს ელოდნენ, რადგან სისხლს არწყევდა. შუალამისას დაგვირეეს – ნუ იღელვებთ, აქ არისო!

სახლში ცალი ბოტასით მოვიდა დილაადრიან. ჭყლეტვაში მოყოლილა, სადაც ყველა ყველას აწვებოდა. გათიშულა. მერე ამბობდა: „დრინის“ თავში ჩარტყმამ მიშველა, გამომაფხიზლა, მადლობა იმ რუს ჯარისკაცსო. რასაც სულ ვუშლიდი, იმან გადაარჩინა მონამვლას – ნასვამი ყოფილა.

„არა მეგობარო“, გიოს სადიპლომო ფილმი იყო. რაც განიცადა, იმაზე იღებდა. ლევანი იყო, აბაშიძე, მთავარ როლში. ნათელზე-ნათელი პიროვნება. გადალება დაინტერესებოდა 1992 წელს. შუა გადალებისას ლევანი ომში წავიდა და მეორე დღესვე აფეთქდა მეგობრებთან ერთად. იმ დღეს დასრულდა სილალე მათი, და ყველა ოცნება (ყველას მიერ განნირული და „უმოწყალოდ დახვრეტილი თაობის ოცნება“).

ფილმი უნდა გაგრძელებულიყო. ყველა ურჩევდა (მათ შორის მეც) ენახა ლევანის გარეგნობის მსახიობი, და დაესრულე-

ბინა ფილმი. არავის უგდო ყური... გავიდა თვე, ორი თვე. ფილმის გადაღება გააგრძელა ოპტიმალური ვარიანტით. ლევან „სუბიექტური“ კამერა „თამაშობდა, “უფრო მარტივად – ლევან ვერ ვხედავთ, მის „როლს“ ობიექტივი ასრულებს. ფილმის ასეთმა გადაწყვეტამ განაცვიფრა ობერჰაუზენის ფესტივალის უიური და მიიღო კიდევაც „გრან-პრი“.

ქართველი მაყურებლის გარდა, ფილმი ნახა ამერიკელმა, გერმანელმა, ფრანგმა, ინგლისელმა, რუსმა...

(რაღაც, ძალიან ვაქებ შვილს, მაგრამ არა უშავს... თვითონ მას ხომ სიტყვას ვერ დააცდევინებ... არა უშავს!)

მერე გიომ გადაიღო რამდენიმე ფილმი და მიიღო იმდენიპრზი (მათ შორის სამი „გრან-პრი“), რამდენი ფილმიც მაქეს მესულ გადაღებული. თითქმის ყველა ფილმის სცენარის ავტორი თუ თონაა. არც სარეჟისორო დაუმთავრებია და არც სასცენარო. საოპერატორო დაამთავრა. დიდი როლი ითამაშა მისი კურსის ხელმძღვანელმა ლევან პაატაშვილმა, რომელიც თავის მონაფერებს კინოსაოპერატორო ხელოვნებას ასწავლიდა. მან მოინვია ვახორულად თამრიკო ფოცხიშვილი, რომლებმაც „ვასმიორების“ გრდა, კომპოზიცია და ფერის დრამატურგია ასწავლეს. რეჟისურას კი მათ ოთარ იოსელიანი უხსნიდა. გაუმართლათ! გიომ და მისმა ჯგუფელებმა უსერიოზულესი სკოლა გაიარეს. გიორგორც ამბობს, პაატაშვილი უდიდესი პედაგოგია – როცა თვითონ იღებდა ფილმს, პროცესში მონაფერები ჰყავდა ჩართული და თუ თრიულად ნასწავლის, პრაქტიკაში რეალიზაციას ასწავლიდა.

კინო პაატაშვილმა მასწავლაო, იძახის გიო, თითქოს მეარცვარსებობდე.

## ლუკა

გიოს 16 წლის ვაჟს, ლუკას კომპოზიციის, განათების და ფერის საოცარი ხედვა, რაც მის მიერ გადაღებულ ფოტოებში ჩანს, აღბათ გიოსგან დაჭყვა.

ფოტოსთან ერთად ვიდეოსაც იღებს, მერე კომპიუტერში მანევრირებს, ამონტაჟებს, აფაქტურებს და ა.შ. ჯერ არ ვიცა, რას აირჩევს პროფესიად, მაგრამ ის ურჩევნია მამულსა, რომ შვილიშვილი ჯობდეს მამასაც და ბაბუასაც.

ჩემი მეორე შვილიშვილი ნინო, უკვე 6 წლის გიორგის დე-  
დაა. ნინო გერმანისტია, მაგრამ გენმა არ მოასვენა და ტელე-  
კომუნიკაციი „მზეზე“ რეპორტაჟებს აკეთებს კულტურაზე, ხელოვ-  
ნებაზე.

ნინოს დედა, ჩემი უფროსი ქალიშვილი ქეთინო, ინგლისუ-  
რის სპეციალისტია, მაგრამ ბოლომდე პოეზიაში იხარჯება,  
ლექსებს წერს. რაც შეეხება თამუნას, ჩემს შუათანა შვილს, აქ  
თამამად შემიძლია ვთქვა, რომ სამყარო, რაც მან ფერადი პას-  
ტელებით შექმნა – გაოცებს.

## პენჯი

ნათქვამია: „Чем больше узнаю людей, тем я больше люблю  
собак“.

სიმართლესთან არც თუ შორსაა.

გერმანიაში გიოს ფეხის ოპერაციას რომ უკეთებდნენ, იქა-  
ურმა მეგობრებმა „ლაბრადორის“ ჯიშის ძაღლი აჩუქეს. ბენჯიც  
მათ შეარქვეს. ამ საოცარმა არსებამ ჩვენ სიცოცხლე გვაჩუქა.

გადაგვარჩინა.

ეს ასე იყო.

გიოს ეძინა. ოჯახის სხვა წევრები სამზარეულოში ვსადი-  
ლობდით. ბენჯი შევარდა გიოს ოთახში და ყეფა ატეხა. აიკლო  
იქაურობა. არ მოეშვა. გიო წამოდგა... ბენჯიმ ჩემს ოთახში შე-  
იყვანა, სადაც სამუშაო მაგიდას ცეცხლი ეკიდა. კიდევ რამდე-  
ნიმე წამი და არა თუ ორი საუკუნის ხის მაგიდა და ჩემი ოთახი,  
რომელიც თაროებითა და წიგნების რაოდენობით სკოლის ბიბ-  
ლიოთეკას აღემატება – აღარ იარსებებდა. იმასაც ვერ გეტ-  
ყვით, საერთოდ იქნებოდა თუ არა გოგებაშვილის 43 წლის მნერალთა სახლი – ვერ გეტყვით!

როგორ არ მოვიკლო ლუკმა, და არ გავუყო მას, ჩვენი ოჯა-  
ხის სრულუფლებიან წევრს, ჩვენს ბენჯის, რომელმაც ჩემი  
უნიათობა (ანთებული სანთებელა დამიტოვია წიგნებით „და-  
ხუნძლულ“ მაგიდაზე) ტრაგედიად აღარ აქცია.

როგორ არ დავუხარო თავი გიოს გერმანელ მეგობრებს,  
ვინც გიოს ეს საოცარება აჩუქა!

## ეს ზღაპრული კინოსამყარო

ფილმების რეტროსპექტივა რომ ტარდებოდა საზღვარგა-  
რეთ, სიაში იყო ჩემი ფილმი – „სინათლე ჩვენს ფანჯრებში“.

„ფესვები“ რომ გადავიდე, რეზო ჩხეიძემ დამირეკა – შენ  
ეს ფილმიც შევიტანეთ პარიზში საჩვენებლად, ასე რომ, იქ შენს  
ორ ფილმს უჩვენებენო.

გამეხარდა. პარიზი ემიგრანტების ცენტრია და მათზე გა-  
დაღებული ფილმი, პირველ რიგში, მათ უნდა ენახათ, აბა ვის!

„სინათლე ჩვენს ფანჯრებში“ – ცნობილი ინგლისელი კრი-  
ტიკოსის მეშვეობით მოხვდა ლონდონში, „ფესვები“ ჩემი ძეე-  
ლი მეგობრის, რეზო ჩხეიძის დაუინებული მოთხოვნით – რო-  
გორ არ გამიხარდეს!

საქართველოს ერთ კინოდაწესებულებაში კი ოდნავ სხვანა-  
რად უფიქრიათ. მათ, არა თუ შეიტანეს „ფესვები“ პარიზში საჩვ-  
ნებელ ფილმების სიაში, „სინათლე ჩვენს ფანჯრებშიც“ ამოავდეს  
იმ სიიდან. საყვედური რომ ვუთხარი – „რა ვქნათ ძმაო („ძმაო!“)  
უცხოელებს რომ ვუჩვენებთ „ფესვების“ დასაწყისს, სახეზე აღ-  
ფრთვანებას ვერ ვატყობთო (ბნელ დარბაზში მართლაც რომძნე-  
ლი შესატყობია, განსაკუთრებით – „უფესვოებისათვის“).“

მე მათ ვუთხარი: „თქვენ დალოცვილებო, რაღა დასაწყისს  
უჩვენებთ, ბოლო უჩვენეთ-მეთქი“. ფეხზე ნამოდგომით მაგ-  
რძნობინეს, რომ ბჭობა ამ საკითხზე დამთავრებულია.

ერთი უპირატესობა ნამდვილად აქვს ჩვენს დღევანდელ  
„კაპიტალიზმს“. ტელევიზია იმ ფილმებს უჩვენებს მაყურ-  
ბელს, რომელიც დასაწყისსაც და ფინალსაც უყურებს. აბა, ზე-  
ვიდან კარნახით, ვინ ნახავს მათ რეკლამებს.

დღეს ჩემს ფილმებს ისე ხშირად უჩვენებენ ტელევიზიით, რომ  
თანმიხარია, თან ვშიშობ, არ მოაბეზრონ მაყურებელს თავი-მეთქი.

მადლობა ჩემს ქართველ მეგობარს, რეზო ჩხეიძეს, ღვთის-  
ნიერ კაცს.

გადლობა ინგლისელ გილეტს, მაღალი რანგის კრიტიკოსს, მთარ იოსელიანის თქმით – ორმოცი წუთი რომ ილაპარაკავდა ფილმზე „სინათლე ჩვენს ფანჯრებში“, და უჩვენა ინგლისელ გაყურებელს.

თუ ტრაბახია – ტრაბახი იყოს!

ხმა გავრცელდა – ჩარლი ჩაპლინს კარტოთეკაში „ბურთი და მოედანი“ ჰქონდაო. ბევრ ჩემს კოლეგას ამაში ეჭვი ეპარება. ეს ხმა თვითონ გუგულიმ გაავრცელაო!

ასეთი რამ, მართლაც ხდება.

ერთ მაგალითს მოგიყვანთ.

ჩემი სტუდენტობის დროს, გრიგორი როშალის ახალი ფილმის მიღება-არმიღებაში კომიტეტის რედაქტორები ყოყმანობდნენ. ფილმის ბედი მაღალი თანამდებობის პირებს უნდა გადაეწყვიტათ. ესენი იყვნენ კულტურის განყოფილების გამგე ცეკაში – დემიჩევი და კინოკომიტეტის თავმჯდომარე – რომანოვი.

ფილმის ჩვენებას ესწრებოდა რეჟისორი გრიგორი როშალიც. ის იყო, ფილმი უნდა დამთავრებულიყო, სიბნელეში ვიღაცამ თქვა:

– **Хороший фильм!**

აინთო სინათლე.

რომანოვს უფიქრია, ეს საქებარი სიტყვები დემიჩევმა თქვაო. დემიჩევს კი უფიქრია – რომანოვმაო.

ცეკას წარმომადგენელი კინოკომიტეტის თავმჯდომარის გემოვნებას ენდო.

კინოკომიტეტის თავმჯდომარე – ცეკას წარმომადგენელის ავტორიტეტს.

– **Хороший, хороший!** – უთქვამთ მერე ორივეს ერთხმად და ფილმის ბედი არა თუ გადაწყდა, იქვე მიანიჭეს უმაღლესი კატეგორია.

როგორც მერე გაირკვა, ფილმზე ეს საქებარი სიტყვები, თვითონ მის დამდგმელ რეჟისორს უთქვამს.

აბა, რა გარანტიაა, რომ ჩაპლინისა და „ბურთი და მოედნის“ ამბავი თვითონ მე არ გავავრცელები?

არავითარი.

ოღონდ, საქმე ისაა, რომ მე ხომ ვიცი, არ მითქვამს.

## ლონდონის ფისტივალზე

...ბედნიერება! პირველად ჩემს ცხოვრებაში მივემგზაურები საზღვარგარეთ, და ისიც სად? – ლონდონში! იქ, სხვა ქართულ ფილმებთან ერთად, ჩემი ფილმიც იქნება ნაჩვენები!

რეზოჩეიძე, მიხეილ კობახიძე და მე მოსკოვში ჩავთრინდით. რეზო სასტუმრო „მოსკვაში“ დაბინავდა. მე და მიშიკო „როსტოში“... გავეშურეთ კინოკავშირის სპეციალურ განყოფილებაში, სადაც ჩვენი გამგზავრების უკანასკნელი, ფორმალური მხარეები უნდა მოგვარებულიყო. დღეს პარასკევია, ხვალ კი, ესე იგი შებათს, ლონდონში მივთრინავთ. კინოკავშირში რეზო ჩეიძე, ჩვენი სამკაციანი დელეგაციის ხელმძღვანელი, აგვარებს ვალუტის და საზღვარგარეთული პასპორტების მიღების საკითხს. მედამიშიკო მოწმეებივით ვართ მასთან ერთად „სპეცოთახში“ და ჩვენს გუნება-განწყობილებას იმით გამოვხატავთ, რომ ყოველ შემოსს ვლელს თუ გამსვლელს ვუღიმით, ზოგს მეტად, ზოგს ნაერებად; გააჩნია სუბიექტს და ჩვენს ინტუიციას, თუ რამდენად არის დამოკიდებული ამ „სუბიექტზე“ ჩვენი გამგზავრება.

შემოდის ქერათმიანი ქალი, ჩვენი დოკუმენტების შესამოწმებლად სხვა ოთახში რომ იყო გასული და მიშიკოსაჲენ იშვერსაჩვენებელ თითს:

– ВЫ НЕ ЕДЕТЕ!

– Я?! – ფითრდება მიშიკო.

– Не получено решение – ქალი სიტყვა „რეშენიე“-ს უსვამს ხაზს. მერე ეს ქერა ქალი ისევ გადის ოთახიდან, ცოტა ხნის შედეგ ბრუნდება და ახლა ჩემს კენ იშვერს თითს:

– Не едете вы! – ამჯერად სიტყვა „Вы“-ს უსვამს ხაზს, მურე მიშიკოს უყურებს – А вы едете!

ახლა მე ვკარგავ სახის ფერს (ალბათ), მიშიკოს კი ფერიულუნდება.

ოთახიდან რომ გამოვდივართ, რეზო ჩემს გამხნევებას ცდობს:

- ასე იციან... თუ არ ამოგხადეს სული, ისე რას გაგიშვებენ! სიამოვნებასაც კი დებულობენ ამაში. დააკუირდით ამ ქალის სა-  
ხის გამომეტყველებას?! ამ ქალის მხრიდან ეს უფრო ადამია-  
ნური შურია, ვიდრე პოლიტიკური რეპრესია.

...სასტუმრო „როსიას“ ნომერში გაუხდელად ვგდივარ ლო-  
გინზე და დაბადების დღეს ვიწყევლი. მაგონდება ორი წლის ნი-  
ნანდელი ამბავი.

საფრანგეთში უნდა ნავსულიყავი ტურისტად. იმხანად,  
ფრანგებთან ერთად, ექვთიმე თაყაიშვილზე მხატვრული ფილ-  
მის გადაღებას ვაპირებდი. პროდიუსერიც გვყავდა, ვინმე უორუ  
შეიკო, რომელიც ნანილობრივ ფილმის დაფინანსებას და მერე  
იმ ფილმის თითქმის ნახევრ მსოფლიოში „პროკატსაც“ კი  
გვპირდებოდა (უორუ შეიკო გახლდათ უკრაინელი ემიგრანტის  
შვილი, ყოფილი ფეხბურთელი საფრანგეთის მეორე ლიგისა, სა-  
შუალო შეძლების ბიზნესმენი და გიორგი მდივნის ახლო მეგო-  
ბარი). რადგანაც საფრანგეთში მივემგზავრებოდი, ვიფიქრე,  
მომავალ ფილმის თაობაზე შეიკოსაც ვინახულებ-მეთქი. საქარ-  
თველოს ცენტრალურ კომიტეტში ნებართვის ასაღებად რომ მი-  
ვედი, მითხრეს: „ეს ბატონო, ეს თქვენი ნებააო“. მოკლედ, მომ-  
ცეს უორუ შეიკოსთან შეხვედრის სიტყვიერი ნებართვა. მოსკოვ-  
შირომჩამოვედი და სწორეთ იმ სპეციალურ განცყოფილებას მი-  
ვაკითხე, სადაც ახლა ჩვენ ვისხედით, მაშინ, თქვენ ნარმოიდ-  
გინეთ, ამ ოთახში არც კი შემომიშვეს: მითხრეს „На вас визы  
нет“-თ. როგორც კეთროვანს, ისე შემომხედეს და კარი ცხვირ-  
ნინ მომიჯახუნეს. გავშრი. რაღაცა ჩამწყდა შიგნით. იმ მდგო-  
მარეობის აღნერა შეუძლებელია. რა უძლური ხარ ამ დროს, რა  
საცოდავი! (რა აზრები არ მომივიდა: „იქნებ არ უნდა მივსული-  
ყავი ცეკაში – იქ, ჩვენთან!“).

მოკლედ, მაშინაც ვერ მოხერხდა ჩემი საზღვარგარეთ წას-  
ვლა და ახლაც იგივე მეორდებოდა.

რეზო ჩხეიძე სასტუმრო „მოსკვადან“ წამდაუწუმ რეკავს  
ჩვენთან „როსიაში“ და მიშა კობახიძეს ელაპარაკება, თათბირო-  
ბენ ლონდონში წასვლის თაობაზე, მე კი...

მე კი ვგდივარ ლოგინზე და ჭერს მივშტერებივარ.

ნარმოიდგინეთ, რა ხასიათზე ვარ! მეორედ ასეთი გაბითუ-  
რება, მართლა რომ ძნელი ასატანია. ვაპირებ თბილისში, სახლში

დარეკვას, მაგრამ სირცხვილის გრძნობა მაკავებს. პირველი ჩემი „გამგზავრების“ დროს, ცოლის ნათქვამი: „არა შეჯდა მწყერი ხესა“ სულ თავში მიტრიალებს. ამის გარდა, მიშიკოც მაჩერებს: „მოიცა, ჯერ კიდევ დროა, შეიძლება რაიმე გაირკვესო“. რაუნდა „გაირკვეს“, როცა უკვე ოთხი-საათი სრულდება, ხვალ კი შაბათია, ე.ი. არასამუშაო დღე, ნაშუადლევს კი თვითმფრინავი ლონდონისაკენ აიღებს კურსს! შენ კი ეგდე ამ „როსიაში“ სანამ თბილისის ბილეთს იშოვი.. თუმცა „როსიაშიც“ ვიღა გაგაჩერებს!

კიდევ ერთხელ დარეკა ტელეფონმა, კიდევ ერთხელ აიღო ყურმილი მიშა კობახიძემ. მე ლოგინზე არც კი გავნძრეულვარ.

— Как так! — იდახის ყურმილში მიშიკო — А когда я еду? — და უცებჩემკენ: — შენ მიდიხარ! — Мერე: — сейчас — და მე მანიშნებს, რომ ტელეფონთან მივიდე.

— მე-ე? — ვეკითხები მიშიკოს.

— ხო-ო, შენ!

ვართმევ ყურმილს:

— Мгладзе? (მგლაძე) — მესმის იქიდან კაცის ბოხი ხმა.

— Да я!

— Сейчас же поезжайте в Английское посольство и возьмите ваш заграничный паспорт — виза только что поступила. Потом поезжайте на Каляевскую ул., д. 6, там вам поставят печать. Завтра едете в 12.45. Должны успеть до пяти часов... Сегодня пятница, сотрудники могут уйти и раньше.

ლელვისაგან ორიენტაციას ვკარგავ. საიდან დავინც? ხოლ პირის გაპარსვიდან!.. რა დროს პირის გაპარსვაა! ფეხსაცმელებს ვიცვამ, პერანგს ვიცვლი, მიშიკოს ვაიმედებ (ისეროგორის მაიმედებდა) — ნუ გეშინია, შენიც ყველაფერი მოგვარდება მეთქი და ოთახიდან დერეფანში გავრბივარ. ლიფტთან ეჩირდები, საათს დავცექერი. ხუთია დანყებული. ლილაკს თითო კიდე ვაჭირე, მაგრამ ლიფტი რატომლაც იგვიანებს... როგორც იუ შევდგი ლიფტში ფეხი, მეჩვენება, რომ ყველა მე მიყურებს — ამ ბათ, სახეზე ბედნიერება მანერია და იმიტომ! სასტუმროდან ეს ჩაში გავდივარ. იქვე შესასვლელთან ერთადერთი ტაქსი დგას ეტყობა, ვიღაცას ელოდება. ვფიქრობ — ორმოცდაათ მანებს მივცემ, ოღონდ ინგლისის ნარმომადგენლობამდე მიმიურნის აქვეა, სანაპიროზე, სულ რაღაც 5 ნუთის სავალია.

- Слушай, заплачу, подвези – зеуბნები მძღოლს.

- Ладно, садись.

ვჯდები მანქანაში – Английское посольство! – ვამბობ და ვრძნობ როგორ ილვიძებს ჩემში სიამაყის გრძნობა. მანქანა აფ- ვილიდან იძვრის. მე ვფიქრობ: „სულ რაღაც 60 კაპიქს დაწერს ალბათ, 50 მანეთი რა ამბავია. ვითომ, 20 არ კმარა? ცოტა ხნის შემდეგ ვამჩნევ ჩემს თავს რომ ლორდის „ასანკით“ ვზივარ ტაქ- ში. ახლა ვფიქრობ: „ვითომ ათი მანეთი არ ეყოფა?“

- Вот вам Английское посольство – амбонბს მძღოლი და განქანას აჩერებს. ვიღებ ჯიბიდან საფულეს, საფულედან ხუთ განეთიანს და ვანვდი მძღოლს.

ინგლისის ნარმომადგენლობის ჯიხურთან მილიციის მაი- რი დგას.

- Вам куда? – Мეკითხება.

მევუხსნი. მთხოვს პასპორტს. ვუწვდი, სინჯავს, მიბრუნებს.

- Их, по-моему, уже нет! – Мეუბნება, – Пойдите, посмо- ტрите все-таки!

შევდივარ რკინის ალაყაფიან ეზოში. მერე ერთსართულიან შენობაში. ლია ფანჯრებში ორპირი ქარი რაღაც ქაღალდებს აფ- რიალებს. ოთახში არავინაა. ვბრუნდები მაიორთან.

- Никого.

- Ну-ка, посмотрите вот в том помещении, – სხვა, გვერ- დით შენობაზე მიმითითებს, ხელმარცხნივ. შევდივარ იმ შენო- ბაში. ნასასვლელად გამზადებულ ორ კაცს ვეფეთები.

- Мгладзе? (ისევ მგლაძე) – Мეკითხება ერთი დამტვრეული რუსულით, მეორე ილიმის.

- Мгеладзе! – ვპასუხობ და მეც ვიღიმი.

პირველი თანამშრომელი სეიფიდან იღებს დაბეჭდილ კონ- ვერტს, თვალნინ მიტრიალებს, მერე კონვერტს ხსნის... სანატ- რელი პასპორტი ჩემს ხელთაა, მადლობას ვუხდი და გარეთ გა- მოვდივარ... მაიორსაც ვუხდი მადლობას და ვგრძნობ, როგორ ას- ხივებს სიხარულს მთელი ჩემი არსება. საათზე ვიყურები. ხუთს თხუთმეტი ნუთი აკლია. თავში ხელს ვირტყამ: „რატომ გავუშვი ის მანქანა!“ ტყუილად ვლელავ. ფორტუნა უკვე ჩემენაა. ვხე- დავ, მოდის ცარიელი ტაქსი. ვაჩერებ, ვჯდები. მისამართს ვეუბ- ნები. მძღოლი მაგარი არასიმპატიური ვინმეა. ვეკითხები:

— За десять минут доедем?

— За пять!

— Где, ро симпатичнуро ვიღაცაა!

Марта лацаца, бუთ წუთში ადგილზე ვართ. Мძღოლს სამ გა-  
ნეთიანს ვუწვდი. ის დიდ მადლობას მიხდის. იქვე სადარბაზოს.  
თან მილიციელი დგას. ვეკითხები, მპასუხობს. შევდივარ შენ-  
ბაში. ოთახში ისევ ორი კაცი მხვდება.

— Мгеладзе? — აქ უკვე სწორედ გამოთქვამენ ჩემს გვარს.  
პასპორტში ბეჭედს მირტყამენ... გარეთ გავდივარ. თუ აენყო  
ხომ აენყობა და ისაა. იმ წუთშივე გამოჩნდა ტაქსი. ვაჩერებ, სად  
მივდივარ, მე თვითონ არ ვიცი. შტამპჩარტყმული უცხოური პა-  
პორტი ჩემს ხელთაა, თვითმფრინავის სამივე ბილეთი წინასწარ  
არის აღებული და რეზოს ჯიბეში უდევს. რაღა მაკლია? ხო! ხუ-  
ირიანი შარვალი. უცებ თვალი მოვკარი ნარნერას „Мужская  
одежда“. მძღოლს მანქანას ვაჩერებინებ და მაღაზიაში შევდი-  
ვარ. თუ აენყო ხომ აენყო და ესაა! ვყიდულობ ჩემი ზომის რ  
შესანიშნავ უცხოურ შარვალს, ისევ ვჯდები მანქანაში და...

საღამოს სასტუმროში ჩემი და მიშიკოს როლები შეცვლა-  
ლია — ის ლოგინზეა ნამონოლილი, მე და რეზო განუწყვეტლი-  
ტელეფონით ვლაპარაკობთ.

...თენდება, გადასარევი მზიანი დარია.

რეზო სადეპუტატო მანქანით სასტუმროსთან გვხვდება. მე  
და მიშიკო მანქანაში ვსხდებით (მიშიკო გვაცილებს) და შავი  
„ვოლგა“ მიჰქერის შერემეტევოს მიმართულებით. გული მწყუფ-  
ბა მიშიკოზე, ძალიან მწყდება... მე ხომ ვიცი, მისი გუნება-გან-  
ნყობილება. მე ხომ გამოვცადე! (ადამიანი მაინც ეგონისტია...)  
აეროპორტში მიშიკო ლიმილით გვემშვიდობება: „ორ დღეში  
დამხვდითო!“ მისი ლიმილი ისეთივე გულწრფელია, როგორც მი-  
სი „ქორნილი“.

...აფრინდა, როგორც იყო, ასხლტა მიწიდან თვითმფრინავიდა  
ლონდონისკენ აიღო კურსი. დარი მზიანია, განწყობილება გაცის  
კროვნებული. მე რეზოს არ დამაშორეს და დიპლომატთა სალი-  
ში ვზივარ მასთან ერთად (რეზო ხომ დეპუტატია). თვითმფრინა-  
ვი კიარ მიფრინავს, მიცურავს. მზის სხივები ირეკლება ვერცხლის-  
ფერფრთებზე. სტიუარდესას ნამდაუნუმ გამოაქვს წყალი, ხანჭა-  
ვი „წინანდალი“, უცხოური ლუდი და კიდევ რა ვიცი რა...

ჩავთრინდით ლონდონში.

აეროპორტში დარბაისლური სიწყნარეა, წესრიგი.

„წესრიგი აზრს ათავისუფლებს!“ – უთქამს დეკარტს.

ხალხი ლამაზად და ყველა თავისებურადაა ჩაცმული; სხვა-  
დასხვა რასისა და ეროვნებისა. შავკანიანებიც საკმარისად  
არიან, ჯერჯერობით ვერ ვხედავ ვერავისგან მათ დისკრიმი-  
ნაციას.

გვხვდება ჩვენი საელჩოს ნარმომადგენელი მაიკლი (მიშას  
ინგლისელები მაიკლს ეძახიან. მიშა კობახიძეში რომ არ აგვე-  
რიოს, ჩვენც ასე დავუძახოთ).

მაიკლმა იცის ჩვენი ამბავი და აქვე გვიცხადებს, რომ კინო-  
აკადემია, ვისი მიწვეულებიც ვართ, გვიხდის მივლინების 100  
ფუნტს, უზრუნველყოფს სასტუმროს, კვებას, ტრანსპორტს და  
სხვა ყველა სიკეთეს.

აეროპორტიდან გავდივართ ქუჩაში.

მიჰქრიან უამრავი მანქანები და არც ერთ მათგანში, წინა  
მარცხენა მხარეს, არ ზის მძღოლი?! ის ადგილი ან თავისუფა-  
ლია ან მგზავრი ზის. უმძღოლოდ მანქანები! მერე უცებ ვხვდე-  
ბი, რომ მანქანებს საჭე მარჯვენა მხარესა აქვთ. მაიკლი მახსე-  
ნებს, რომ ინგლისში, ისევე როგორც იაპონიაში, ინდოეთსა და  
ზოგიერთ სხვა ქვეყანაში, მანქანებს საჭე მარჯვენა მხარეს  
აქვთ.

მივდივართ პირდაპირ კინოაკადემიაში.

მაიკლი იქ გვტოვებს და რაღაც გადაუდებელ საქმეზე გარ-  
ბის.

მე და რეზო უცებ დავმუნჯდით.

არც რეზომ იცის ინგლისური ან რომელიმე სხვა უცხო ენა,  
არც მე. „თარჯიმანი ნახევარ საათში მოვაო“, – ეს იმედილა დაგ-  
ვიტოვა მაიკლმა ნასვლის ნინ.

ვსხედვართ დამუნჯებულები ჭალარა ინგლისელი კაცის კა-  
ბინეტში. ეს კინოაკადემიის დირექტორი გახლავთ. აქვეა შესა-  
ნიშნავი პიროვნება და ხიბლიანი კაცი, სახელად გილეტი. ეს ის  
კაცია, რომელმაც ჩვენი ფილმები შეარჩია ლონდონში საჩვენებ-  
ლად. მათ შორის ჩემიც! (რასაკვირველია, შესანიშნავი კაცია!).  
აკადემიის დირექტორს ელეგანტურად აცვია. გილეტს, მიუხე-  
დავად მისი დარსაბისლური ნლოვანებისა, დარდიმანდულად.

ძველი ჯინსის ტოტებს ბოლოები დაძონდილი აქვს. ქურთული გაცრეცილი.

„— ამ ექვსი თვის ნინ ჩვენთან რომ ჩამოვიდა ფილმების შესარჩევად, მაშინაც ეგ ეცვაო“ — მეუბნება რეზო.

არც დირექტორმა და არც გილეტმა რუსული არ იციან და ამიტომ იძულებული ვართ ერთმანეთს ღიმილითა და უსტიურებულაციით „ველაპარაკოთ“, შევქმნათ ილუზია, ვითომ ვსაუბრობთ. რეზო ამ სიტუაციას სასტიკად განიცდის. ამას ვატყობა, აშკარად ვატყობ! ის კი არა და, ისიც ვიცი, რაზე ფიქრობს რეზო მთელი იმ ნახევარი საათის განმავლობაში, რაც ჩვენ, აკადემია ის დირექტორი, მისი მოადგილე და მთელ ინგლისში ცნობილი კინოკრიტიკოსი გილეტი, ერთმანეთის პირისპირ ვსხედვართ ხმის ამოუღებლივ.

რეზო ფიქრობს: „რად მინდოდა ეს „პოლიგლოტი“ რომ წამოვიყვანე. წამომეყვანა კორა წერეთელი, ინგლისურის შესანიშნავი მცოდნე! (ასე იყო თავდაპირველად განსაზღვრული)... იყვი ახლა ასე დამუნჯებული და უყურე ამ შენ უენო ყარამან მგრადეს...“

სწორედ მისი ფიქრების ამოცნობაში ვარ და რეზომ უცის ისე გამომხედა, ჩემი ნაფიქრალის სისწორეში ეჭვიც აღარ მუპარება. მაინც არხეინად ვგრძნობ თავს. მისი შეში მაინც აღარ მაქვს, რომ საიდანლაც ქერა რუსის ქალი გამოხტება, თის ჩემს კენ გამოიშვერს და სადისტივით წამოიძახებს: „На вас нет визы!“

რადგანაც ამისაგან დაზღვეული ვარ, სხვას ყველაფერს ჯაუძლებს კაცი — ამ კოკა-კოლასაც, ამ გემრიელ ბუტერბოდზე საც და ინგლისურ სიგარეტსაც, რომელსაც წამდაუნუმ გვინოდებს ბატონი გილეტი, ჩვენი სიჩუმე რომ რაღაცით შეავსოს.

ბოლოს, როგორც იყო გვეშველა და მოვიდა თარჯიმანი. ჟატარა ტანის ქალი იყო, მაგრამ დიდი შვება კი მოიტანა თან. ჩვენი სიხარულს ცოტა ვისკის გრადუსიც დაემატა და დაინყო ჩვენი ნორმალური (უფროს სწორედ „არანორმალური“) ცხოვრება, რომელიც დღემდე ზღაპარივით შემორჩა ჩემს მესასიერებას.

მესამე დღეს, საღამოს, მიშა კობახიძეც ჩამოფრინდა — სირედ იმ დროს, ლონდონის ერთ-ერთ საუკეთესო კინოთეატრში ჩვენი ფილმების რეტროსპექტიული ჩვენების ცერემონიაზე.

რომ უნდა დაწყებულიყო. ეს კინოთეატრი ჩამონატა უებულია [ლეკცია](#) გენდარულ ვატერლოოს ხიდში და მისი დარბაზი 600 კაცს იტევს. შესასვლელთან უშველებელი რეკლამაა: „ფრანგული, იტალიური, ინგლისური და ქართული ფილმების ფესტივალი“. ეს ხომ საოცრებაა! ჩვენი პატარა ქვეყნის კინემატოგრაფი წარმოდგენილია მსოფლიოს კინოელიტარულ ქვეყნებთან ერთად, როგორც თანატოლი და სრულუფლებიანი!

...ბანკეტის შემდეგ, იმ დაუვინცარ საღამოს, ჩვენ ყველანი ვიდექით ხიდთან, ბატონი გილეტი კი ლამაზი ინგლისური ენით ყვებოდა: „აი, სწორედ ამ ადგილას, „ვატერლოოს ხიდის“ გადაღების დროს, იდგნენ ვივიენ ლი და რობერტ ტეილორი... ეს იყო ერთ-ერთი საუკეთესო ეპიზოდი ფილმში...“

რეზომ უცებ წამოიძახა: – მოდით, ვივიენ ლის საფლავზე ნავიდეთო! (ასე ალბათ ქართველ კაცს თუ შეუძლია!), – ანგარიშში კი მარქსის საფლავი ჩავნეროთო!

ჩვენმა ინგლისელმა მასპინძლებმა ჯერ ვერაფერი გაიგეს... ეუცნაურათ რეზოს ეს გამოხტომა... ვერავინ გვითხრა, სად იყო ორმოციანი წლების მსოფლიო კერპის საფლავი. მხოლოდ რამდენიმე დღის შემდეგ, კინოაკადემიის თანამშრომლების მეშვეობით გავიგეთ, რომ ვივიენ ლი მამაპაპეულ სოფელში ყოფილა დასაფლავებული (მისივე ანდერძის თანახმად). გავიგეთ აგრეთვე, რომ მთელი ცხოვრების მანძილზე იშვიათი ერთგულებით ჰყვარებია თავისი მეუღლე ლორენს ოლივიე. მიუხედავად იმისა, რომ ქმარმა იგი მიატოვა, ქალმა მეუღლის სახელი და გვარი „ლორენს ოლივიე“ სიცოცხლის ბოლომდე დატოვა თავისი ბინის კარის აბრაზე.

ფესტივალის გახსნის მეორე დღეს რეზო, მიშიერ და მე ქალაქში გამოვედით.

რეზომ იტალიური სასაუზმე დაინახა. აიტეხა „სპაგეტი“ ვჭამოთო (რა გვენალვლებოდა, ას-ასი ფუნტი ჯიბეში ხელუხლებელი გვედო).

გიახელით მაკარონი პამიდვრის წვნით და თითო ბოთლი „კოკა-კოლა“. რეზომ თავი მოიკლა, არ დაგვანება და დანახარჯი ექვსი ფუნტი თვითონ გადაიხადა. მერე ლონდონის ქუჩებში გავისეირნეთ. მიშიერ დანინაურდა. უცებ გვესმის მისი ხმა:

– მოდით, აქ მოდით!

მიშიკო მაღაზიის ვიტრინაში იყურებოდა, თან უესტინგ  
გვიხმობდა. მივედით ვიტრინასთან.

– შეხედეთ! – მიშამ ვიტრინაში ქალის ფეხსაცმელზე მიგ-  
ვანიშნა – შეხედეთ ფასს! – შევხედეთ. ფეხსაცმელი ორი ფუნ-  
ტი ღირდა.

– ესეთი ფეხსაცმელები ჩვენთან 200 მანეთი ღირს! ესე იგი  
– დაასკვნა მიშიკომ – 600 მანეთის მაკარონი შეგვიჭამია!

ერთ დღეს სასტუმროსთან ვიდექით და მანქანას ველოდე-  
ბოდით კინოთეატრში მაყურებელთან შეხვედრაზე ნასასვლე-  
ლად. მოგვიახლოვდა ხანშიშესული, მელოტი, ცოტა უცნაური  
გარეგნობის ქართველი კაცი, გაგვეცნო (მარტო სახელი გვითხ-  
რა – აკაკი!) და ყოველგვარი ცერემონიის გარეშე გამოგვიცხა-  
და: „ყველა თქვენი გამოსვლა მაყურებელთან შეხვედრის დროს  
მე უნდა ვთარგმნო“. ჩვენ, რასაკვირველია, ძალიან გაგვახა-  
რა ამ შორეთში ქართველი კაცის გაცნობამ, მაგრამ თარჯიმანი,  
რუსულის მცოდნე ქალი, უკვე მომაგრებული გვყავდა და ეს მო-  
ვახსენეთ ბატონ აკაკის.

– ა-პა-პა-პა! – უცებ აპილპილდა ბატონი აკაკი. – არავი-  
თარ შემთხვევაში! – თქვენ ქართველები ხართ და ქართულად  
უნდა ილაპარაკოთ, მე კი უნდა ვთარგმნო!

– კი მაგრამ, იმ ქალს რა ვუყოთ? – შევეკითხეთ.

– ა-პა-პა-პა, – ისევ გაწყრა ბატონი აკაკი, – რაც გინდათ,  
ის უყავით“.

– ხნიერია! – ვუთხარით.

– რა უჭირს მერეო! – გაეღიმა.

მოვიდა მანქანა. გვაგვიანდებოდა. მანქანაში ადგილი არ  
იყო. თავაზიანად მოვუბოდიშეთ ბატონ აკაკის და გზას გაუ-  
დექით. ცოტა ხნის შემდეგ უკან რომ მოვიხედეთ, შუშიდან და-  
ვინახეთ, ბატონი აკაკი ტაქსში იჯდა და უკან მოგვდევდა...

...რა შესანიშნავად თარგმნა ბატონმა აკაკიმ ჩვენი გამოს-  
ვლები! პირდაპირ აღტაცებული იყო მაყურებელი. ჩემი გამოს-  
ვლის დროს კი ლამის „დაინგრა“ ტაშით და სიცილით დარბაზი.  
ის იყო გაყიდვებას ვაპირებდი (ხუმრობაა? ტაშს გიკრავს ხელ  
„ლორდი“) რომ რეზომ ეჭვი გამოთქვა: – ბიჭო, ეგ მგონი სულ  
სხვა რაღაცეებს ლაპარაკობს! ეს ეჭვი მიშიკომაც გაიზიარა  
ბატონ აკაკის შევეკითხეთ ამის თაობაზე.

— ა-პა-პა-პა, — იუარა ბატონმა აკაკიმ, — როგორ გეკადრების გათ, ბატონო, აზრს ვტოვებ, მაგრამ ცოტას „ვაფერადებო!“

ამაზე რეზოს სიცილი წასკდა. ბატონ აკაკისაც გაეღიმა.

— ინგლისური იუმორი თავისებურია, ასე რომ ცოტა „სინო-ნიმიზაცია“ (სწორედ ასე ბრძანა) საჭიროა.

ბატონმა აკაკიმ მეორე დღეს მანქანით მოგვაკითხა და თავისთან სახლში წაგვიყვანა. ბინის კარი რომ შეაღო, გავშტერდით. შესასვლელთან მოქარგული დროშა „შემოგვეგება“, თეთრ ცხენზე ამხადრებული ნმინდა გიორგი!

დამოუკიდებელი საქართველოს დროშა!

— „მე მოვქარგეო“ — ბრძანა ბატონმა აკაკიმ.

ერთ-ერთ ოთახში რომ შევედით (ბინა სამი ოთახისაგან შედგებოდა) თვალში გვეცა ჩარჩოში ჩასმული ნოე რამიშვილის პორტრეტი. უცებ, რაღაც სხვა განწყობილება დაგვეუფლა.

— ეს ვინაა, ბატონ აკაკი? — ფრთხილად იკითხა რეზომ.

— მამაა, ბატონო, ჩემი! — თქვა ბატონმა აკაკიმ და ვითომც არაფერი, მეორე ოთახში გავიდა.

ნარმოიდგინეთ, რა დაგვემართა!

ეს უცნაური კაცი, რომელიც ჩვენ ცოტა არ იყოს არასერი-ოზულად აღვიქვით, ნოე რამიშვილის ვაჟი გახლდათ (რეზომ ჩაგვრუჩულა: თბილისში რომ ჩავალთ, სამივეს „ერთ ადგილას“ დაგვიპარებენო, და რატომდაც გაეღიმა).

მერე იყო სუფრა. ქართული საცივი, რომელიც ბატონ აკაკის მეუღლეს, შესანიშნავ ქართველ ქალბატონს, სპეციალურად ჩვენ პატივსაცემად მოემზადებინა.

ინგლისური ლვინით დაილია ქართული სადღეგრძელოები, რომელმაც ბატონი აკაკი ბავშვივით აატირა.

— ჩამოდით ბატონო აკაკი თქვენს საქართველოში — უთხრა რეზომ.

— ა-პა-პა-პა! — ნამოიძახა უცებ ბატონმა აკაკიმ და ისევ ცრემლი მოერია. — ჩემი ჩამოსვლა იქ როგორ შეიძლება! თქვენ არ იცით, მე ვინა ვარ!

„ვიცით ბატონო აკაკი, ვიცით! თქვენ ხართ ვაჟი ნოე რამიშვილისა, რომელსაც ისევე უყვარდა თავისი ქვეყანა, როგორც გვიყვარს ჩვენ და თქვენ, და ეს არის, ალბათ, თქვენი და მისი

ერთადერთი დანაშაული". მგონი, ასე გავიფიქრე მაშინ, მაგრამ თქმით, ნამდვილად არ გვითქვამს. არ გვითქვამს იმიტომ, რომ შიშში გაზრდილებს ეს მონური შიში თან გვდევდა იქაც კი, იმ შორეულ ქვეყანაში, სადაც უკვე რამდენი ხანია არსებობს „პა-იდ-პარკი", სადაც ნებისმიერ კაცს შეუძლიან ხმამაღლა გამოთქვას ნებისმიერი აზრი და მერე მშვიდად იძინოს მთელი ლამის განმავლობაში. თუმცა, ეს თავისუფლებაც შედარებითია.

ლონდონში ჩასვლის პირველივე დღეს მე და ორეზო გახლდით ამ პარკში, ვკოტრიალობდით მწვანე მდელოზე, მერე მახსოვეს, ცას მივაცყარით მზერა და დიდხანს ვიყავით ასე გაჩუმებულები. „ყარამან, აზრზე თუ ხარ!" – მკითხა რეზომ. მე ცრემლი მომერია... ცა იყო თეთრლრუბლნარევი სილურჯისა და რაზე იფიქრებდა აქ კაცი, თუ არა მხოლოდ ამაღლებულზე... და უცებ საიდანლაც შორეთიდან შემომესმა რუსი დედაკაცის გამჭოლი ხმა: „На вас нет визы!"

ცნობილ „მადამ ტუსოს" მუზეუმში თქვენ შეხვდებით სანთლისაგან გაეკეთებულ ადამიანების ფიგურებს, რომლებიც საოცრად გვანან თავიანთ პროტოტიპებს. ნატურალური ზომითა და ჩაცმულობით ისინი ადგილზე გაქვავებულ, ნამდვილ ადამიანების შთაბეჭდილებას ტოვებენ. თითქმის ყველა ცნობილი, ისტორიული თუ თანამედროვე პიროვნების ფიგურაა ამ უნიკალურ მუზეუმში. არის აქ თანამედროვე გამოჩენილი ინგლისელი მნერლების განყოფილებაც. სწორედ აქ გახლდით ჩვენ სამივენი, როდესაც ჩემი ყურადღება მიიპყრო ერთმა ხანში შესულმა, ჩია ტანის ქალმა, რომელიც დიდი გულისყურით ათვალიერებდა თანამედროვე კოსტიუმებში ჩაცმულ ინგლისელი მნერლების ფიგურებს. აკვირდებოდა ხან ერთს, ხან მეორეს, მესამეს... და ბოლოს ერთ ფიგურასთან გაჩერდა, კუთხეში. მერე უცებ თვალები გაუფართოვდა, რაღაც განსაკუთრებულად დაუწყო ყურება ამ კუთხეში მდგარ ფიგურას. მერეა აღტაცებულმა თავი გააქნია: „ეს რა ხელებმა შექმნეს ასეთი შედევრიო". უცებ გაშეშებულმა „ფიგურამ" ხელი ქალის სახისა კენ წაიღო, საჩვენებელი თითო ცხვირთან მიუტანა, მიაჭირა და „კუ-კუ"-ო დაიძახა. ქალი შეხტა და... გონებამიხდილი იატაკზე დაეცა. ალბათ ძნელი წარმოსადგენია, მაგრამ ფაქტია, რომ ამ „კუ-კუს" დამძახებელი „ფიგურა" – მიშა კობახიძე გახლდათ

(იგი ნახევრად განათებულ კუთხეში დამდგარიყო და მანეკენივით ხელებგაშეშებული ელოდა ქალის მიახლოვებას. მერე რაც მოხდა, ზემოთ მოგახსენეთ).

აქვე გაჩნდა ორმეტრიანი პოლიციელი. შეშინებულმა მიშამ, რუსულითა და უესტებით დაუწყო ახსნა პოლიციელს, რომ არ ეგონა, მის ხუმრობას თუ ასეთი შედეგი მოჰყვებოდა. ამასობაში ქალი გონს მოვიდა, მაგრამ მიშას რომ შეხედა, ისევ კინაღამ გული ნაუვიდა. მე ხელი მივაშველე. მერე ქალმა უცებ გაიღიმა, მიშიკოს თითო დაუქნია და გერმანულად რაღაცა უთხრა: ალბათ „შე ეშმაკოო!“ ქალს იუმორის გრძნობა ჭარბად ჰქონია და უცებ აპატია მიშას ეს არცთუ მაინცდამაინც უსაფრთხო ხუმრობა. ბოლოს, ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ მიშიკომ გერმანელ ქალბატონს მუხლზე დაუჩინქა და ხელზე ემთხვია.

**მაიკლმა დაგვპატიუა წარმომადგენლობაში.**

მშივრები მივედით.

მაგიდაზე ვისკის მოზრდილი ბოთლი იდგა. იქვე საინზე პატარ-პატარა ბუტერბროდები. „ალაფურშეტს“ რომ ეძახიან, ის იყო სწორედ. მაიკლი ერთი წუთით თთახიდან გავიდა და შემოვიდა. საინი ცარიელი დახვდა. ისევ შემოიტანა ბუტერბროდები. გავიდა, რომ შემოვიდა საინი კვლავ ცარიელი დახვდა. გაშტერდა.

მიშიკომ წაუხახლურა:

— სლუშაი, მიხაილ, ბროს ტი ეტი ანგლიისკიე შუტკი, დავაი პო-ნაშემუ, მი უე ჰალოდნიე!

...და მაიკლმა შემოიტანა ბუხანკა პური, მთლიანი ძეხვი და ერთი თავი ყველი.

— ვოტ ეტო პო-ნაშემუ! — კიდევ უფრო გამოკვეთილად წაუხახლურა მიშიკომ.

გადავკარით ვისკი, მივაყოლეთ ძეხვი და რაღაც „მშობლიური“ ვიგრძენით მთელს ჩვენს არსებაში.

(ფანჯრიდან ჩანდნენ მნვანე მინდორზე თეთრ სპორტულ ტანსაცმელში გამოწყობილი ახალგაზრდები. ბეისბოლს თამაშობდნენ).

დარეკა ტელეფონმა. ეს მაიკლს, ჩემი თხოვნით, თბილისი ჰქონდა შეკვეთილი.

- ალო, ქეთინო ხარ?
- მამა, შენ?! საიდან?
- ლონდონიდან.
- ლონდონიდან? არ გადამრიო! ასე კარგად რომ ისმის? იცი, როგორ ისმის, თითქოს აქვე იყო გვერდით ოთახში... როგორია ლონდონი?
- გადასარევი!

რეზო და მიშიერ ხელებით მანიშნებენ, არ გინდა ეგეთები, ყველაფერი ფირზე იწერებაო.

(არ დაგავინყდეთ – 1976 წელია!)

– ისე რა! არა უჭირს. – ვასნორებ შეცდომას, – გადასარევია-მეთქი რომ გითხარით ნელან... მუზეუმებს ვგულისხმობდი.

მართლა რაღაც არაჩვეულებრივად ისმოდა ყურმილში ჩემი მშობლიური ენა.

მანც რა დონეზე აქვთ ყველაფერი ამ ოხერ კაპიტალისტებს!

ჩვენმა მასპინძლებმა გახმაურებულ ლ. ვებერის როკოპერაზე („იესო ქრისტე – სუპერვარსკვლავი“) აგვილეს ბილეთები. ამ სპექტაკლის სანახავად საგანგებოდ მარტო ინგლისის სხვა ქალაქებიდან კი არა, სხვა ქვეყნებიდანაც ჩამოდიოდნენ (მგონი იაპონიიდანაც კი!). მასპინძლებმა მოგვიბოდიშეს, რომ ბილეთების დეფიციტის გამო მეგზურობას ვერ გაგვინევდნენ (თანაც მათ სპექტაკლი უკვე ნანახი ჰქონდათ) და გვითხრეს, რომ ჩვენი გიდი, ახალგაზრდა თარჯიმანი ქალი იქნებოდა. მიუხედავად არნახული სიცხისა, ვიცოდით რა ინგლისელების ტრადიცია და მტკიცე წესები, შავ კოსტიუმებში გამოვენყვეთ, გავიკეთეთ ჰალსტუხები და ზუსტად დანიშნულ დროს ჩევნი სასტუმროს შესასვლელთან თარჯიმანს შევხვდით. ქერა, მწვანეთვალებიანმა ქალიშვილმა სამივე ღიმილით აგვათვალ-ჩაგვათვალიერა (თანაც, რაც შეიძლება დელიკატურად) და თეატრისაკენ გაგვიძლვა. მანამდე სულ „როლს-როისით“ ვმოგზაურობდით ქალაქში, თუ ქალაქგარეთ, ამჯერად კი თეატრისაკენ მეტროთი გავემგზავრეთ. მეტრომ ჩვენზე მოდერნიზებული შახტის შთაბეჭდილება დატოვა. არავითარი მარმარილოს კედლები თუ მდიდრული სვეტები, რომელსაც ჩვენს მეტროშეხვდებით, იქ არ იყო. კედლები ნოტიო, მოუპირკეთებელი, მა-

ჭარებელი ძველი, ბრახუნა; როგორც აუშენებიათ ნინა საუკუნის მიწურულში, ეტყობა, მერე აღარც გაუახლებიათ. ამან, ცოტა არ იყოს, გაგვაკვირვა. მართალია, გემოვნებით შესრულებული ფერად-ფერადი რეკლამები თავისებურ იერს აძლევდნენ აქაურობას, მაგრამ დიდებულ ფეშენებელურ ლონდონთან ეს მეტრო ვერაფრით ვერ მონტაჟდებოდა. გამოვთქვი ამის თაობაზე ჩემი შეხედულება. აი, ჩვენი მეტრო კარგია, ამათი მეტრო გასარემონტებელია-მეთქი. მიშიკომ იმნამსვე მიპასუხა:

— ბიჭო, ამათი მარტო მეტროა გასარემონტებელი!

ჩვენმა მნვანეთვალებიანმა გიდმა, ამაზე ბევრი იცინა. მოსკოვში ყოფილა თურმე ნაცხოვრები და ცოტათი იცნობდა ჩვენს ყოფას.

მიუხედავად საღამო ხანისა, ლონდონში ისევ უჩვეულოდ ცხელოდა. კოსტიუმში ჩაცმულნი ოფლად ვიღვრებოდით. რას იზამ? ამ კონსერვატული ტრადიციების ქვეყანაში, უკოსტიუმოდ ოპერაში შესვლა ხომ ნარმოუდგენელი თავხედობა იქნებოდა. ის კი არა და, როცა თეატრში შევედით, (ნუთი ნუთზე მივედით, — სპექტაკლის დაწყების ნინ), თეატრის თანამშრომელმა ქალმა რაღაც უცნაური ღიმილით შემოგვხედა.

— ბიჭო, ამ ქალმა ისე ირონიულად ჩაგვათვალიერა, მგონი, აქ მხოლოდ სმოკინგებით თუ დადიანო! — თქვა მიშიკომ.

...და როცა თეატრის დარბაზში შევედით, უცებ რა დავინახეთ?! კაცები იყვნენ პერანგებში, ქალები კი მოკლესახელოებიან ზაფხულის კაბებში! ჩვენ სამნი ვიყავით მხოლოდ კოსტიუმებში „ჩაშმოტკილნი“ და კისერზე ჰალსტუხმოჭერილები.

— გაიხადეთ! — ნაგვჩურჩულა რეზომ და ჩვენ ნამში თავისუფლად ამოვისუნთქეთ. დავსხედით ადგილებზე. ჩვენი მნვანეთვალება თარჯიმანი თვალს არ გვაშორებდა და სულ გვილიმდა. განსაკუთრებით მიშიკოს (მგონი, მოენონა).

დასჭექა მუსიკამ. აიხადა ფარდა და ჰოი, საკვირველებავ! მუსიკოსები მაისურებით ისხდნენ თავიანთ პიუპიტრებთან. ის კი არა და თვითონ მაესტროსაც კი, ტრადიციული ფრაკის მაგივრად, მოკლესახელოებიანი მაისური ეცვა.

— აბა, სიცხეს ხომ არ შეენირებიანო! — გაგვანათლა ჩვენმა მეგზურმა ქალიშვილმა.

— ხელავ შენ? — თქვა რეზომ და თვალები ისე დაგვიბრივად, თითქოს მე და მიშიკოს ბრალი ყოფილიყოს ყველაფერი! მერე ჩვენს ხელებზე გადაკიდებულ კოსტიუმებს გადმოხედა და სიცილი აუტყდა. მწვანეთვალება ქალიშვილმა საჩვენებელი თითო ტუჩებთან მიიტანა და სერიოზული სახე მიიღო.

დაინტყო ლეგენდარული დასის საოცრება, განუმეორებელი იან გილანის თაოსნობით.

სპექტაკლმა გამაოგნებელი შთაბეჭდილება დატოვა.

განსაკუთრებით — ქრისტეს წამების სცენამ.

რიტმული მუსიკა თანდათან ძლიერდება.

ერთიმეორის მიყოლებით, წითლდება, სისხლით იღებება იაკუზე დახაზული კვადრატები.

ხან აქ, ხან იქ წითლდება კვადრატი.

რიტმი იცვლება, მუსიკა კიდევ უფრო ძლიერდება.

ქრისტე ზეცისკენ მიემართება... ჯვარცმული ქრისტე!

სისხლით იღებება ყველა კვადრატი... მთელი იატაკი.

ქრისტე უკვე ზეცაშია...

და აქ მუსიკა კულმინაციას აღწევს.

შთაბეჭდილება მართლაც გრანდიოზულია! (ეს ის დასია, რომლებმაც პირველად ითამაშეს მსოფლიოში ეს ლეგენდარული როკ-ოპერა).

...ინურებოდა ჩვენი ფესტივალზე ყოფნის დრო.

არ დაგვალებია მასპინძლების პატივისცემა.

ერთ სუფრაზე წამომცდა — რა მშვენიერია ეს თქვენი ინგლისური ღვინო-თქო! ჰოდა, როცა დადგა დრო ჩვენი გამომგზავრებისა, კინოაკადემიის მესვეურებმა რეზოს და მიშიკოს საჩუქრად მშვენიერი ჯინსის კოსტუმები მიართვეს; მე კი ერთი დიდი ბოთლი ინგლისური ღვინო. „ათწლიანიაო“, გამახარა ბატონის გილეტმა.

...აეროპორტში, ჯიბეები მთლად გადმოვიტრიალედა ვერად ვერ აღმოვაჩინე ჩემი ბილეთი. არა და რეზო და მიშიკო უკვე სასუოს მეორე მხარეს იყვნენ გასულნი, მოხელეები მიმითითა რომ გვერდზე გავმდყარიყავი და სხვა მგზავრების შემონმებას შეუდგა.

(ჩვენი მასპინძლები უკვე წასულები იყვნენ).

მე გამალებით ჯიბეებში ვიქექებოდი, მაგრამ ბილეთს უკპოულობდი.

გხრიდან.

სულ ცოტა დრო რჩება გაფრენამდე.

საშინელ დღეში ვარ, ვრჩები რა!.. თანაც სად? უცხო ქვეყა-  
ნაში! უკაპეიკოდ, უსახლკაროდ, „უენოდ“. არა, ყველაფერს ეშ-  
ველება. არსებობს ნარმომადგენლობა, ჩვენი მასპინძლები – ბო-  
ლოს და ბოლოს, მაგრამ ენა? უცხო ენის გარეშე აქ ხომ ერთ ნა-  
ბიჯსაც ვერ გადადგამ...

– ნახე, კარგად ნახე ყარამან! – ხუმრობის ხასიათზეა საბა-  
ჟოს იქით გასული რეზო. მე კიჩემი ბოთლი ღვინო ხან ერთ ხელ-  
ში გადამაქვს, ხან მეორეში და გამნარებული ვეძებ დაკარგულ  
ბილეთს.

– ეს რა უბედურებაა, – ვფიქრობ მე, – ჯერ იყო და აქეთ ვერ  
მოვდიოდი, ახლაა და იქით ვეღარ მივდივარ! – და უცებ შარ-  
ვლის უკანა ჯიბეში, ჩემი ხელის თითები პრიალა ქალალდს შეე-  
ხო. ესაა!!! ენით აუნერელი სიხარული ვიგრძენი. იმაზე მეტი სი-  
ხარული, ვიდრე მაშინ „როსიაში“, ბოხმა ხმამ რომ ჩამძახა ყურ-  
მილში „ვყ ედეთ“-ო.

რა ბედნიერებაა!..

სულ რამდენიმე დღეში შვილებს ვნახავ.

მერე შევიკრიბებით შემორჩენილი კლასის მეგობრები,  
გრიბოედოვის პირველ ნომერში, ჩვენს თენგიზ ალავერდაშ-  
ვილთან, დავლევთ მის დაწურულ ღვინოს, მოვიგონებთ დეი-  
და ანგელინას, ჩვენს მშობლებს, ნარსულს, ჩვენს გოგო-ბი-  
ჭებს...

ნამოვალ სახლისაკენ ფეხარეული, გვერდს ვერ ავუვლი ჩე-  
მი ბავშვობის ქუჩას, თეატრალურ შესახვევს... ვიდგები იქ  
დიდხანს...

ან როგორ იტევდა ამ სიყვარულს ქუჩა პატარა,  
სადაც მე მყავდა ბავშვობაში ბევრი ძმობილი,  
მერე ცხოვრებამ სად იყო და სად არ მატარა,  
მათი ბედი კი ალარ იყო ჩემთვის ცნობილი.  
უცხო მხარეში გადახვენილს დიდი ხნის ნინათ,  
მაგონდებოდა ჩვენი ქუჩა ოპერის ზევით,  
მაგონდებოდა ერთი გოგო სახელად ცირა,

ალმოდებულს რომ ჩამივლიდა ამაყი მზერით,  
 ხშირად ვიდექი მის სარქმელთან წვიმაში, ქარში,  
 და ვიოლინოს ნაღვლიანი მესმოდა ხმები,  
 ეს მელოდია მე თან მდევდა სიზმარში, ცხადში,  
 რამდენი წელი მე სხვა ცირას ვეღარსად ვხვდები.  
 ინება ბედმა, სამშობლოსკენ მიბრუნა პირი,  
 უზომოდ მთვრალი მონატრებულ ქუჩაზე ვდგავარ,  
 ჩემი ბავშვობის მეგობრების სახელებს ვყვირი:  
 – სადა ხარ ცირა... საშკა, ლევან, სადა ხარ თამარ!  
 მოხუცმა ქალმა გამოალო სარკმელი ბინის:  
 „შუალამისას ვის დაეძებთ?.. დაგვიფრთხეთ ძილი!“  
 ო, მომიტევეთ, ქალბატონო... თუ შეგანუხეთ,  
 მე ჩემს დაკარგულ სიყვარულს და მეგობრებს ვტირი.

.....

არა, დიდებული ქვეყანაა ინგლისი, დიდებული!.. მაგრამრა  
 გასაკვირია, ქართველ კაცს რომ მისი პატარა დუნია ერჩივნოს.  
 და, ალბათ, არც ისაა გასაკვირი, ყველაზე მძაფრად ლონდო-  
 ნის შთაბეჭდილებებიდან უსამშობლოდ დარჩენილი კაცის ხე-  
 ლით მოქარგული „წმინდა გიორგი“ რომ აღიქვა გონიებამ დასა-  
 მუდამოდ შერჩა მეხსიერებას!





სოხუმი. დრო სანატრელი...



თანაკლასელ მეგობრებთან (მარცხნივ თენგიზ ალა-  
ვერდაშვილი, მარჯვნივ ზოზო კაპანაძე)



პირველი გიმნაზიის თანაკულასელებთან და პედაგოგებთან ერთად. (ათნლედის დამსახურების 40 წლის იუბილეზე).



ფრიჩინსკი და მე

მე და  
ჟანრი  
ლოლაშვილი  
„ბაგრა-  
ტიონის“  
გადაღების  
დროს





მხ. ფ. „ბაგრატიონი“. ირინა ალფიოროვასთან ერთად



მხ. ფ. „ბაგრატიონი“. ირინა ალფიოროვასთან და კინო-  
ოპერატორ ვლადიმერ კლიმოვთან ერთად

## სხვადასხვა ფილმებიზან

გადაღების  
წინ  
(კ.ფ. „ბაგ-  
რატიონი“)



კ.ფ. „ფედია“ – დ. აბაშიძე



კადრი საკურსო ფილმი-  
დან „განთიადი“

გიორგი  
იუმატოვი,  
მე, იური  
სარანცევი  
და პანიჩი  
კიევის  
კინოსტუ-  
დიაში. კ.ფ.  
„ვარსკვლა-  
ვები  
ფრთებზე“  
გადაღების  
შუალედში



## სხვადასხვა

საქონლები  
სახელმწიფო

გურამ  
ლორთქი-  
ფანიძე  
ფილმში „არ  
დაიჭერო,  
რომ აღარა  
ვარ“



იპოლიტე  
(„ბოდიში,  
თქვენ  
გელით  
სიკვდილის“  
ფინალური  
სცენა)



გიორგი  
მაჩაიძე და  
სოფიკო  
ჭიაურელი  
კ.ფ. „ძახი-  
ლი“ (ნოვე-  
ლა – „ელა-  
დოსი“)

## სხვადასხვა



გადასალებ  
მოედანზე –  
„სინათლე  
ჩვენს ფან-  
ჯურებში“.  
(რეზო ჭარხა-  
ლაშვილი,  
გივი რაჭვე-  
ლიშვილი და  
მე.)



ოთარ  
ანდრონი-  
კაშვილი,  
მე, ბოლოს  
– ლეომერ  
გუგუშვილი



„თეთრი  
სახლების“  
გადალების  
დროს



კინოინსტიტუტის დაუვიზუარ მეგობრებთან: მარცხნიდან მეორე მე, მესამე ნინა კრაჩქოვსკაია და მეოთხე ნინა აგაპოვა

## „ენკი-პენკი-სიკლისადან“ – „გაჭედილებამდე“

გიორგი შენგელაიას „ფიროსმანი“ ჩემთვის დიდი ფილმია. ამიტომ მისი დამდგმელის აღტაცება სცენარით, „ენკი-პენკი-სიკლისას“ წაკითხვის შემდეგ, მარნმუნებდა, რომ ტყუილად არ მიშრომია. „ქართულ ფილმს“ იმ პერიოდში ფინანსური გაჭირვება ჰქონდა, მაგრამ ფილმი წარმოებაში ჩაუშვეს.

ოთარ მეღვინეოთუხუცესს მივეცი სცენარი წასაკითხად და ერთი პატარა როლი შევთავაზე. ასე მითხრა, ეს ისეთი სცენარია, ნებისმიერ ეპიზოდსაც კი სიამოვნებით ვითამაშებო.

მთავარ როლზე ვვარაუდობდი კომედიური უანრის მსახიობს, მარტივად რომ ვთქვათ, „სასაცილო სიფათს“, მაგრამ ვერავინ ვერ მივუსადაგე. გამახსენდა ცნობილი რუსი კინომცოდნის სიტყვები: „Смешно, когда умный человек попадает в смешное положение, ибо глупый всегда находится в нем“. ოთარს შევეკითხე – რამერომ იყოს, მთავარ როლს ხომ არ ითამაშებდი-თქო! – „ურამეოთ“ ვითამაშებ დიდი სიამოვნებით! ჰოდა, ითამაშე-მეთქი.

### შევუდექი გადალებას.

მაგრამ „ვარდიუეკლოდ ვის დაუკრეფია!“. და დაინტენდება. ჯერ კინოაპარატი წაგვართვეს „პროფილაქტიკისათვის“. მერე – ვიღაცეხები გვაფინანსებდნენ. ნათქვამია „გაჭირვებამ დედოფალთან დამანვინაო“. და მეც დავინტე დედოფლის ძებნა. ეს „დედოფალი“ კი აღმოჩნდა კუნთმაგარი პიროვნება გივი სიხარულიძე. მაქსიმალურად გავამარტივესცენარი, შევუცვალე სათაური და როცა იმ დიდებული სცენარიდან აღარაფერი დარჩა, მე და გივიმ მათხოვრობა დავინყეთ კუს ტბაზე (თან ვვარჯიშობდით). ხან ერთ ბიზნესმენს ამოვუდებებიდით გვერდით და მასთან ერთად ვარტყამდით კუს ტბაზე წრებებს, და ვუყვებოდით სცენარის შინაარსს, ხან მეორეს. თუ გაელიმებოდა, 200 დოლარს ვთხოვდით, თუ გაეცინებოდა – 400-ს. ხარხარხს თუ დაინტებდა – 600 დოლარზეც



ყაბულს ვიყავით. ღამე ვწერდი ეპიზოდებს, დღე ვიღებდი. რადგან „პროფილაქტიკაზე“ ჩაბარებული კინოაპარატი სხვა ჯგუფში იყო „გაქრთამული“, ნათხოვარი ვიდეოკამერით ვიღებდით ფილმს, ერთხელ უკვე სხვის მიერ გადაღებულ ფირზე. მასობრივ სცენებში უსასყიდლოდ მონანილეობდნენ ლამის მთელი კუს ტბის მოვარჯიშები. ყველაზე მასობრივი ეპიზოდის გადასაღებად კი, ეს-მაკობას მივმართე. გივიმ დააბეჭდინა მოსაწვევები და კინოსახლში გავმართეთ ჩემიძეველი ლექსების ხელმეორე „პრეზენტაცია“. მოსაწვევში კი დიდი ასოებით ჩავწერეთ, რომ იქნებოდა ჯერ არნახული „ალა-ფურშეტი“. კინოსახლს უამრავი ხალხი მოაწყდა და „რისი პრეზენტაცია, რა პრეზენტაცია“. გადავიღეთ ლამის ფილმის მეოთხედი. თუმცა „ალა-ფურშეტი“ მაინც შედგა.

და ასე გაგრძელდა ექვსი წელი. ვისაც თმები გაუთეთდრა – ვუღებავდით. სახის ნაოჭებს გრიმით ვუფარავდით, დაბერებულებს კი ლინზიანი ობიექტივით ვიღებდით შორიდან... რაღაც ბევრი გავაგრძელო და, ვალიდოლებით ჯიბეში მოვედით კინოსახლში პრემიერაზე.

დარაც იმსაღამოს იქ მოხდა, ვერაფერს დაარქმევ, თუარა სასწაულს. ფილმი რომ დამთავრდა, იყო ისეთი ტაშის გრიალი, რომელიც არც ერთ ჩემს სხვა ფილმზე არ გამიგია. დღემდე არ ვიცი, ეს რას მივაწერო.

ფილმი კი დაჯდა სულ რაღაც 30 ათასი დოლარი (გინდ და იჯერეთ, გინდ არა). ტელეფონის ზარი ჩემს სახლში რამდენიმე დღე არ შეწყვეტილა... მე კი, გამოშტერებულს, ამ ფილმის ხსენება, ჩემ ფილმებს შორის ხშირად მავინცდება რატომდაც.

...მიუხედავად „გაჭედილების“ გარკვეული ნარმატებისა, მე მჯერა, რომ „ენკი-ბენკის“ სცენარიც კი, ამ ფილმზე ბევრადმაღლა დგას. ვიცი, ზოგი ამას „პოზად“ ჩამითვლის, ამიტომ გთხოვთ ნაიკითხოთ ნინამდებარე „ენკი-ბენკის“ კინოსცენარი, „გადაღოთ“ ის თქვენს ნარმოდგენაში და ვფიქრობ, დამეთანხმებით.



შავ-თეთრი გახდა ჩვენი ცხოვრება,  
და ვეღარ ვიღებთ სანუკეარ ფილმებს,  
აპარატს ტენი ფერადი ფირით,  
ის კი ჯიუტად შავ-თეთრად იღებს.

## „ენცი-პენცი-სიცლისა“

კინოსტუდიის პავილიონი.

მიმდინარეობს მზადება გადაღებისათვის. დეკორაცია, რომელიც წარმოადგენს „მატარებლის კუპეს“, ნავისებურ საყრდენებზე დგას.

იასონის როლის შემსრულებელი, ზედა თაროზე ნევს, თავს იმძინარებს.

აბესალომის როლის შემსრულებელი „კუპეს“ ფანჯარას-თან მოკალათებულა და თავისთვის ბუტბუტებს:

„ლომივით განვლე გზა საპატიო, მწვერვალებიდან ლოდივით მოსკდი,

მრავალ ნელს ქუხდი, როგორც რადიო, მერე დროებით დატოვე პოსტი...“

ოპერატორი უკანასკნელ მითითებებს აძლევს გამნათებელს. მოძრაობენ იუპიტერები. ერთმანეთს კვეთენ პროჟექტორის სხივები. უცებ გამოირთვება სინათლე.

— ვა-ა-ა! — იყვირებს ხალხი.

სიბნელეში აბესალომის როლის შემსრულებელი აგრძელებს ლექსს:

— „შენი ვარსკვლავი როდი ჩამქვრალა, ისევ მოგელის მშრომელთა ტაში, დიდიხანი რაც ტრიბუნაზე, არ მდგარხარ შენი ჩინური პლაშით“.

ინთება სინათლე.

— ურა-ა-აა!!

ყვირიან გახარებული თანამშრომლები და მსახიობები.

რეჟისორი გიგო რატიანი აპარატთან დგას.

— თაზო, რამდენი კაცი აქანავებს კუპეს? — ეკითხება ასისტენტის.

— ოთხი, კაცი, ბატონო გიგო.

— საკმარისია?

– ტურაზოვი მივაშველოთ!  
 – ჯანიანია?  
 – ეს ისაა, ახალგაზრდობაში დათვს რომ ყური მოაკვნიტა!  
 – ტყუპის! – ამბობს გიგო რატიანი და ყვირის – ტურაზოვ! კუპატივით კაცი იმწამსვე მის გვერდითაა.  
 – იმ ოთხ კაცს ხომ ხედავ, დეკორაციას რომ უდგანან?  
 – დიახ, მიხაილოვიჩ!  
 – კუპე იმათ უნდა აქანაონ. მიეხმარე!  
 ტურაზოვი შურდულივით გავარდება მითითებული ადგილისაკენ.

– აბსოლუტური სიჩუმე! – ითხოვს რეჟისორი – მოვემზადეთ! აბა დავინცეთ... ვაქანავებთ კუპეს!.. იასონს ძინავს, აბე-სალომი სევდიანად იყურება ფანჯარაში. „მატორ!“

ჩაირთო კინოკამერა.  
 – დუბლი პირველი!  
 მემონტაჟე ქალი აპარატის ნინ პატარა შავ დაფას ატეატუნებს ნარწერით: „ძეგლი“. \*

– აქანავეთ! აქანავეთ! უფრო ენერგიულად! – „სტოპ!“ არ ვარგა, არ ვარგა! – ყვირის რეჟისორი – ცუდად ანძრევთ, ცუდად!

– ვა, რა ვჭამეთ, რო კარგად ვანძრიოთ! – ცხარობს ტურაზოვი – კარტოშკა და პური... ეგ არის და ეგ!  
 – მოვემზადეთ! „მატორ!“

მემონტაჟე ქალი ისევ ატეატუნებს დაფას. ეხლა უკვე მთვლი ძალით ქანაობს მატარებლის კუპე.

ქანაობს მძინარე იასონი თაროზე...  
 (ამ კადრის შემდეგ ეკრანზე ვხედავთ ფილმის ფრაგმენტებს (კინოში – კინოს) რომლის სახელწოდება, „ძეგლი“, დართმელსაც ჩვენი გმირი გიგო რატიანი იღებს).

## პინოში – პინო

შარაგზის გზაჯვარედინზე პიედესტალი ქანაობს, პიედესტალზე იასონის ბიუსტია.

\* „ძეგლის“ ზოგიერთ სცენაში გამოყენებულია რეზო ჭეიშვილის დალოვა.

კუპე.  
ქანაობს იასონი თაროზე.

გზაჯვარედინი.  
უფრო მაგრად ქანაობს პიედესტალზე ბიუსტი.


კუპე.  
იასონი გადმოვარდნაზეა (ისმის მუხრუჭების ღრწიალი).  
მძინარე იასონი საშინელი ხმაურით ეცემა იატაკზე.  
 – რა მოხდა? – კითხულობს გაოგნებული.  
 – გადმოვარდით!  
 – საიდან?  
 – იქიდან! – თითს მაღლა იშვერს.

გზაჯვარედინზე ცარიელი პიედესტალი.  
ორი კაცი იასონის ბიუსტს თოვს ხსნის.  
 – კინალამ თავზე არ დაგვეცა! – ამბობს ერთი.  
 – ძალიან გადავრჩით! – პასუხობს მეორე.

ისევ კუპე.  
აბესალომი იასონს სველ პირსახოცს ადებს შუბლზე.  
 – ჩამოვედით, თუ რა არის? – კითხულობს იასონი.  
 – ერთი გაჩერებადა დაგვრჩა – პასუხობს აბესალომი.  
 – კიდევ კარგი, ჩემს სოფელში გამომიშვეს სამუშაოდ.  
 – კიდევ კარგი – ამბობს აბესალომი.  
 – როგორი თვალით შემხედავენ მოხსნილ კაცს?  
 – კარგი თვალით.  
 – რა იციან. რომ ვიჩივლე და აღდგენას ველი?  
 – შიში და მორიდება ხალხში უცებ არ ქრება!

შარაგზა. მტვერიდან ტენტახდილი „ვილისი“ გამოვარდება.  
მანქანაში უკანა სავარძელზე სხედან გრიშა და ხუტა. სა-  
ჭესთან – შერმადინი.

მგზავრები ენერგიულად ყაყანებენ. ერთდროულად იწე-  
ვენ საზაფხულო პალტოების სახელოებს და საათებს დას-  
ცერიან.



მანქანა დამუხრუჭდება, მგზავრები ერთმანეთს მიასკდებან, მოჩანს ცარიელი პიედესტალი...

მგზავრები უყურებენ პიედესტალს.

– დაა! – იძახიან ერთხმად და ერთმანეთს მისჩერებიან.

– ახლა რომ სადგურში დავხვდეთ, ვიღაცა თვალში ამოგვიღებს – ამბობს შერმადინი.

– მითხარით, რა გზას დავადგე! – ოფლს იწმენდს გრიშა.

ერთხელ კიდევ აათვალიერებს ცარიელ პიედესტალს და მოტორს გამორთავს...

ყველანი ისევ ცარიელ პიედესტალს უყურებენ.

– სამგზის გმირი როგორ ჩამოაგდეს?! – უკვირს ხუტას.

– დროება იცვლება! – დაასკვნის ფიქრიანად შერმადინი.

– სტო-ოპ! – ისმის რეჟისორის ხმა.

დამთავრდა შავ-თეთრი გამოსახულება, იწყება ფერადი გამოსახულება.

(დამთავრდა კინოში – კინო).

გზაჯვარედინი, პიედესტალთან „ვილისი“.

– გადაღება დამთავრებულია! – გამოაცხადა ცივად რეჟისორმა.

ეტყობოდა, ხასიათზე არ იყო.

შერმადინის, გრიშასა და ხუტას როლის შემსრულებლები „ვილისიდან“ გადმოდიან, რეჟისორს შემოეხვევიან (ალბათ, საქებარ სიტყვებს ელოდებიან).

გრიმიორი ქალი მივიდა მსახიობებთან და დაინტერაციული ულვაშების წაძრობა.

ერთ მსახიობს წააძრო ულვაში, მეორეს, მესამეს...

მხარზე ხურჯინგადა კიდებულმა გლეხმა, ინტერესით რომ ადევნებდა თვალყურს გადაღებას, დაინახა რა, რომ თეთრსალათიანი ქალი რიგრიგობით აძრობდა მსახიობებს ულვაშებს, შეშინებულმა, ჯერ საკუთარ ულვაშებზე იტაცა ხელი, დაიფრა, მერე კი ისეთი სიჩქარით მოკურცხლა გადაღების ადგილდან, რომ თვალის დახამხამებაში გაუჩინარდა.

ყველას გულიანად გაეცინა, რეჟისორს და მის ასისტენტს თაზოს, არც კი გაღიმებიათ.

– რა ვქნათ, გიგო, გავაგებინოთ ხალხს? – ჰეთხა თაზომ  
რეუისორს.

– მეტი რა გზაა! – თქვა გიგომ ფიქრიანად.

– მეგობრებო! – გამოაცხადა ხმამაღლა თაზომ – არც თუ  
სასიამოვნო ამბავია. უსახსრობის გამო ჩვენი გადაღებები  
ნყდება!

ყველას ნაუხდა ხასიათი. ყველა აფორიაქდა.

გიგო ჩაფიქრებული იდგა კინოპარატთან.

თაზოს, როდენის ქანდაკებასავით, თავზე ხელი მიედო და  
ფიქრს მისცემოდა.

უცებ თვალები გაუნათდა, ტაში შემოჰკრა და სიხარულით  
ნამოიძახა:

– არის გამოსავალი!

გიგო ფიქრებიდან გამოერკვა, თაზოს შეხედა.

სხვებიც თაზოს მიაჩირდნენ.

– ჩვენ გავაგრძელებთ გადაღებებს, ჩვენ დავამთავრებთ  
ფილმს! – თქვა დარწმუნებით თაზომ.

– ეგ როგორ?!

– რუსთავში არის ერთი ჩემი ნაცნობი ბანკირი, კინოზე გა-  
დარეული კაცი, დღესვე მივიდეთ მასთან, დღესვე! ის დაგვა-  
ფინანსებს!

– არ დაიჯერო! – თქვა გიგომ.

ჩამოვარდა სიჩუმე.

– ვცადოთ, ბატონო გიგო! – ხვეწით მიმართა მემონატუე  
ქალმა, ფუმფულამ, გიგოს.

გიგომ მხრები აიჩეჩა.

– ვცადოთ!

„მაზოკი.“

რუსთავი. ბანკის შენობასთან.

გუნებანამხდარი რეუისორი და ასისტენტი, ბანკის შენო-  
ბასთან „უიგულს“ მიყრდნობოდნენ:

– „და-ა“, „და-ა“ – იძახდა თაზო.

ბანკის წინ ხალხს მოეყარა თავი. გამნარებულები ლან-  
ძლვა-გინებით იკლებდნენ „კინოხელოვნების მოყვარულს“.

– შხამად შეგერგოს სიმწრით დაგროვილი ჩემი ფული! მოთქვამდა დედაკაცი – შხამად!

– ღმერთო, ეს რა დღეში ჩავვარდი! – ჩიოდა თეთრნვერა ბერიკაცი, – ერთ ბანკში შევიტანე ჩემი დანაზოგი, იმის თავკაცს ესროლეს და საავადმყოფოში წევს უგონოდ. ეს არის და – ხელი ორსართულიანი შენობისკენ გაიშვირა – სადღაც დასაკარგავში გაქცეულა, ოკეანის გაღმა! – მიდი შენ და სდიე რევმატიზმიანი ფეხებით!

– კაპიკებს რომ მისტირი – აყვირდა ახალგაზრდა ქალი, – მე სახლი გავყიდე, საგვარეულო სახლი და ქუჩაში დავრჩიბავ შვებიანად!

რეჟისორი შეწუხებული უყურებდა ამ ხალხის საცოდაობას. თაზო კი რეჟისორს მისჩერებოდა.

– და-აა – ამ ერთ სიტყვას იმეორებდა წამდაუნუმ – „და-აა“.

– ტრაკში ქვა! – ველარ მოითმინა მათ გვერდთი მდგომანითელპერანგიანმა, – რა დაგიჩემებია „და-ა, და-ა-ა... მიდირა, საქმე ნახე.“

– ხედავ, რამდენს ბედავს! – წამოიძახა თაზომ.

– დაანებე თავი, ხომ ხედავ გამნარებულია – თქვა გიგომ.

– მერე რა ჩემი ბრალია! – გაცხარდა თაზო. „და-ა“!

წითელპერანგიანმა შეიგინა და იქაურობას გაშორდა.

– ეს რა, მე მეხება?! – იკითხა თაზომ.

– არა კაცო, შენ რატომ გეხება – თქვა გიგომ.

– აბა, ვის?

– იმ შენ ბანკირს... „კინოს მოყვარულს,“ წავედით.

თაზომ მანქანის კარი გამოალო.

– არა, არა! – თქვა გუნებანამხდარმა გიგომ – საჭესთან მე დავჯდები... შენ აღელვებული ხარ!

– თქვენ რა... არა?

– საჭესთან მე დავჯდები, თაზო! – უკვე კატეგორიულად თქვა გიგომ. შენ ხელარალაც საშინელებას მოახდენ!.. ავარია გვაკელია?!

– კი ბატონი! – თაზომ სახელურს ხელი გაუშვა, მანქანას შემოუარა, ჩასხდნენ.

მანქანა დაიძრა და დიდი სიჩქარე განავითარა... კუთხეს რომ მოეფარა გაისმა საშინელი ჭახანი...

დასტაქრის მისაღები.

საქვეყნოდ ცნობილი დასტაქარი, ბატონი ბიჭიკო თაზოს ნაღრძობ ფეხს უხვევდა; შენობაში ფეხმონგრეულები და ხელ-მოტეხილები თავიანთ რიგს ელოდებოდნენ. პოლიციის ვება პოლკოვნიკს მოტეხილი ხელი ფიცარზე ჰქონდა გაკრული და კვენესოდა.

– რას დაეჯახეთ? – იკითხა ბიჭიკომ.

– ჩვენ დაგვეჯახენენ – იცრუა თაზომ და გიგოს ახედა.

– ერთი კაცი მაინც მანახა აქ მოსული, თითონ ვინც აჯა-ხებს, – თქვა ბიჭიკომ.

– სანამ ქალაქის მერი არ მოიტეხს კისერს, ჩვენს გზებს საშველი არ დაადგება! – თქვა ყავარჯინიანმა ქალმა.

– მერი სხვა გზით დადის! – თქვა პოლკოვნიკმა.

– მაინც რა თანხაა საჭირო, ფილმი რომ დაამთავროთ? – ჰქითხა ბიჭიკომ გიგოს.

– ასი ათასი ლარი მაინც! – თქვა გიგომ.

– ევროპაში მაგდენს მგონი გამნათებლებს უხდიან – გაე-ლიმა ბიჭიკოს.

– ხომ არ დაგვაფინანსებდით? – გაელიმა თაზოსაც, მაგ-რამ ეს უკვე სიმწრის ლიმილი იყო.

– რატომაც არა! – თქვა ბიჭიკომ – ოცი ათას კაცს მოტე-ხეთ ხელ-ფეხი, ჩემთან მოიყვანეთ და გენაცვალოთ ჩემი თა-ვი. მერე დაამატა – ოლონდიმ ოც ათასში, არც ერთი ინტელი-გენტი არ უნდა იყოს!

– ეგ რატომ? – მოენონა ბიჭიკოს ნათქვამი თაზოს.

– ინტელიგენტ ხალხს ფულს არ ვახდევინებ!

– რატომ ვითომ?! – არ მოენონა პოლკოვნიკს ბიჭიკოს ნათ-ქვამი.

– არა აქვთ და იმიტომ.

ყავარჯინიანმა ქალმა ფრანგულად რაღაც წაილაპარაკა (მეც ინტელიგენტი ვარო).

ბიჭიკომ მას გახედა და ეშმაკურად თითო დაუქნია.

– და-ა – თქვა თაზომ.

– თაზო, მოეშვი მაგ „და-ას“, თქვა გიგომ და პოლიციის პოლკოვნიკს გახედა.

პოლიციელმა თავისთვის რაღაცა ჩაილაპარაკა (არტიკულაციით ნითელპერანგიანის ნათქვამს ჰგავდა).

კინოს მინისტრის კაბინეტი.

გიგო კინემატოგრაფიის მინისტრის მოსაცდელშია. კაბინეტიდან მდივანი ქალი გამოვიდა და მაგიდაზე რაღაცა ქალალდებს დაუწყო ძებნა. ისე, სხვათა შორის, თქვა:

– სერიოზული საკითხი წყდება... თუ სურს დაესწროს. მდივანმა მაგიდიდან ყაისნალი აიღო, ქსოვას შეუდგა და გოგოს გასაგონად წაიბურტყუნა:

– არ წაიღეს ტვინი ამ თავისი იდიოტური ფილმებით!

გიგომ თავი მოიყრუა და კაბინეტში შევიდა.

გიგო შესასვლელთან სკამზე ჩამოჯდა.

– მე ეს წინადადება ფრიად საინტერესოდ მეჩვენება – თქვა მინისტრმა.

– რომელი? – იკითხა ვიღაცამ.

– პირველი, ქართულ-ფრანგული ფილმის დაწყებასთან დაკავშირებით, ეიფელისებური კოშკის აგება!

– კინოსტუდიის ეზოში?

– რატომაც არა?!

შავგვრემანმა ქალბატონმა ჭაში შემოჰკრა:

– „ეტა პრეკრასნაია იდეა“. არაჩვეულებრივია! თანაც ნატურალური ზომისა უნდა იყოს, არა?! ამით ჩვენ მისიე პიერსაც რაღაც ფრანგულისმაგვარ კლიმატს შევუქმნით, რაც გაუადვილებს ჩვენს ქვეყანაში მუშაობას, თორემ გარბის ხალხო, გაიგეთ, გარბის!.. მოგვეჭრა თავი ევროპაში!

– ახლა, მეორე საკითხი – თქვა მინისტრმა. – როგორ ვხვდებით ბელგიის კულტურის მინისტრის ჩამოსვლას? (მინისტრი ლაპარაკობდა, თან მაგიდაზე და ჯიბებში რაღაცას ეძებდა).

განყოფილების ხელმძღვანელები (ამ როლებს და იასონის ამფსონებს ერთი და იგივე მსახიობები ითამაშებენ) საქმიანი იერით კითხულობენ ქალალდზე დაწერილს.

პირველი: – მაცივარი სავსეა ნაირ-ნაირი სასმელებით, ხილითა და გამაგრილებელი წყლებით, „მეტეხში“ შეკვეთილია საუკეთესო საბანკეტო დარბაზი.

**მეორე:** – შეკეთებულია და თითქმის მზადაა ასამუშავებ-  
ლად კინოსტუდიის შადრევანი... ალბათ, იქნება წყალიც! რე-  
აფიქრებული უსმენდა გამომსვლელებს.

**მესამე:** – ტუალეტში წყლის ჩამოსაშვები იმუშავებს რე-  
გულარულად... ბელგიური სისტემით!.. იმუშავებს აგრეთვე ონ-  
კანი... ხელების დასაბანად, ნაყიდია უცხოური საპნის დიდი  
პარტია.

– რატომ ცურუობთ! არავითარი საპონი ტუალეტში არ არის.  
მე იქ გახლდით! – თქვა მინისტრმა.

– ჯერჯერობით არ შეგვიტანია.

– რატომ?

ერთმანეთს გადახედეს.

გიგომ – მინისტრს.

მინისტრი: – გასაგებია, სუფთა ხელები სხვის ხარჯზე, არა?!

(მინისტრმა, როგორც იყო იპოვა სათვალე, გაიკეთა და სა-  
თითაოდ შეხედა ხელქვეითებს).

უხერხული პაუზა.

– ეზოს ტუალეტი რა დღეშია?

(ქვეშევრდომებმა ერთმანეთს გადახედეს).

მინისტრი: – ხომ შეიძლება მინისტრმა სტუდიის ტერიტო-  
რიის დათვალიერება მოითხოვოს, ხომ შეიძლება მას ფისი-ფი-  
სი მოუნდეს! მინისტრიც ხომ ადამიანია?

– შეიძლება, რასაკვირველია! ისიც ადამიანია?!

– მთელი სტუდიის ტერიტორია საგანგებოდ უნდა დასუფ-  
თავდეს. განსაკუთრებით ტუალეტი. გესმით – ტუალეტი!  
მკაცრად გააფრთხილეთ დაცვის უფროსი ტურაზოვი. სწორედ  
მან უნდა იკისროს ეს საპასუხისმგებლო საქმე...

კინოსტუდიის არცერთი თანამშრომელი ტუალეტში აღარ  
შეუშვათ. ამით მოვრჩით!

თანამშრომლებმა კაბინეტიდან გასვლა იწყეს.

– ბატონო ბესო, როგორ იქნება ჩვენი ფილმის დაფინანსე-  
ბის საქმე – შეეკითხა გიგო მინისტრს.

– ამ მხრივ, ძალიან ცუდი მდგომარეობაა, ძალიან?!.. გა-  
თავდა ის დრო, ყველა გამვლელ-გამოვლელი ფილმს რომ იღ-  
ებდა. ჩვენ ახლა კაპიტალიზმში შევდივართ, მას კი თავისი მკა-  
ცრი კანონები აქვს, აბა! – მინისტრი სავარძლიდან ნამოდგა,

„დიპლომატი“ აიღო და გიგოსაკენ გაემართა – ბევრი შემთხვევაა, ადამიანებს შიმშილისაგან გული უნუხდებათ... უბრალოდ, ქუჩაში ეცემიან – მინისტრმა ხელი გადახვია გიგოს.

– ბელგიის კულტურის მინისტრი ჩამოდის, იქნება საუბარი ერთობლივი ფილმის გადაჭების თაობაზეც. ჩემს რეფერენტს ვეტყვი, ჩაგნეროთ დამხვედრთა სიაში... ცოტა აქტიურობაა საჭირო! – და ბატონი ბენო გაუჩინარდა.

გიგო კაბინეტში მარტო დარჩა. ერთხანს იდგა. მერე გაიარა მანძილი კარებიდან მინისტრის მაგიდამდე, მერე სავარსელში ჩაჯდა. ჯერ მორიდებით, მერე სავარძელს თანდათან შეეჩინა, მაგიდიდან სათვალე აიღო. გაიკეთა, წელში გასწორდა და და ზარის ღილაკს თითო დააჭირა.

შემოვიდა გაკვირვებული მდივანი ქალი.

– დანერეთ ბრძანება! – თქვა გიგომ.

– რა ბრძანება! – კინალამ გადაირია ქალი.

– დანერეთ ბრძანება! – უკვე კატეგორიულად გაიმეორა რეჟისორმა – გაუქმდეს ფრანგული „ეიფელის კოშკის“ მშენებლობის საკითხი და ეს სახსრები მოხმარდეს ფილმების გადაღებას!

– რომელი „ეიფელის კოშკი?“ – მთლად დაიბნა მდივანი. რა ფილმის გადაღება?

– ჩვენი ფილმების გადაღება, ქალბატონო ვერა, ქართული ფილმების!

გიგომ უცებ გადაიხარხა, სავარძლიდან ნამოდგა და ცეკვა-ცეკვით მდივანს მიუახლოვდა.

– გეხუმრეთ ქალბატონო ვერა, გეხუმრეთ! მე ხომ ყოფილი მსახიობი ვარ.

– თქვენ მსახიობი კი არა, ჯამბაზი ბრძანდებით, ბატონო გიგო.

– ჯამბაზისა რა მოგახსენოთ, ქალბატონო ვერა, მაგრამ ილუზიონისტი ნამდვილად გახლავართ... თუ გნებავთ, ახლავე დაგიმტკიცებთ..

– მაინც როგორ?

– სულ უბრალოდ.

– სცადეთ! – გამომწვევად თქვა, ქალბატონმა ვერამ.

– ახლავე, ქალბატონო, ახლავე! – გიგო კუთხეში მდგარ

ერგვალ მაგიდასთან მივიდა. ოქროსფერი, ძვირფასი სუფრა

ფაკირივით ხელში აიტაცა, თვალები დახუჭა.

იდუმალებით სავსე ხმით წარმოთქვა:

— სასწრაფოდ მაკრატელი!

მდივანი ქალი არ განძრეულა.

გიგომ ცალი თვალი ოდნავ გაახილა და იყვირა:

— სას-წრა-ფოდ! ფლუიდები იხარჯება!

მდივანი ქალი კაბინეტიდან გავარდა. მობრუნდა მაკრატ-  
ლით ხელში.

— ვკეცავთ! — გიგომ სუფრა რამდენჯერმე დაკეცა, შუა-  
ლედი ხელში მოიმწყვდია, თვალები ისევ დახუჭა და მდივანს  
უთხრა:

— გადაჭერით!

— რა-ა? — გაიკვირვა ვერამ.

— ჩქარა, ფლუიდები! — იყვირა გიგომ.

ქალმა გიგოს მუშტში მომწყვდეული სუფრის ნანილი გა-  
დაჭრა და მოემზადა სასწაულის სანახავად.

და სასწაული მართლაც მოხდა.

სუფრის შუაგული მთლიანად ამოჭრილი იყო.

ქალმა შეხედა სუფრას და კინაღამ გონება დაკარგა.

მისუსტებული, ნაზი ხმით, წარმოთქვა:

— ეს რა ჰქენით, ბატონო გიგო? მე ხომ გამაგდებს მინის-  
ტრი.

— დღეს, რაღაც... არ გამომივიდა!

— ეს ხომ უძვირფასესი სუფრაა... ჩინური!

— ჩინური?! ეგრე გეთქვა, ქალო! აი, ამიტომაც არ გამოვი-  
და! — გიგომ სუფრა მაგიდაზე დადო, ძველი ოფიცერივით ქუს-  
ლი ქუსლს შემოჰკრა და კაბინეტიდან გავიდა.

ქალმა სუფრა აიღო, გაშალა. ამოჭრილი შუაგულიდან ქალ-  
ბატონი ვერას სახე, ჩარჩოში ჩასმული აღმოსავლურ „პორ-  
ტრეტ-შირპოტრებს“ წააგავდა.

— იდიოტ! — იყვირა ქალმა.

გაისმა დოლ-გარმონის ხმა...

კინოსტუდიის ეზოში აშენებულ სცენაზე ჩოხოსნები,  
ხმლების ქნევითა და ცეცხლოვანი ტემპერამენტით ცეკვავ-  
დნენ „მთიურულს“. ჩვენი მინისტრი ბელგიის კულტურის მი-

ნისტრს რაღაცას უხსნიდა, თანმხლები პირები ოდნავ მოშორებით იდგნენ და ბატონ ბენოს შესცეროდნენ.

ბატონმა ბენომ თავის მოადგილეს ჰკითხა:

– ბელგიაში შესაკეთებლად წასაღებლი ჩვენი კინოპარატურა შეფუთეთ?

– შევფუთეთ და უკვე ბელგიის მინისტრის მანქარაში დევს, ბატონო ბენო!

– ძალიან კარგი!

სცენას მოშორდნენ თუ არა სტუმრები, ჩოხოსნებმა იმ წუთსავე შეწყვიტეს ცეკვა და ცხვირსახოცები ამოიღეს ოფლის მოსაწმენდათ.

ბელგიის კულტურის მინისტრი და თანხმლები პირები, სტუდიის ეზოს ათვალიერებდნენ, გაუარეს თუ არა შაღრევანს, წყალი იმნამსვე გადაკეტა ვიღაცამ.

ტუალეტის შესასვლელთან ტურაზოვი იდგა გაჯგიმული, სულ რაღაც ერთი წამით ჩასთვლიმა ტურაზოვმა და უცებ ტუალეტიდან წყლის ჩაშვების ხმა მოესმა. შევარდა ტურაზოვი ტუალეტში და იქიდან პანჩურის კვრითა და დედის გინებით შარვალჩახდილი კაცი გამოათრია. კაცს გული შეუწუხდა და კედელს მიეყრდნო. ეს კაცი ბელგიის მინისტრი გახლდათ.

მედპუნქტი.

გულშენუხებულ ბელგიის მინისტრს კინოსტუდიის მედპუნქტში, ნემსი გაუკეთეს და ცოტა მოასულიერეს, გონს რომ მოვიდა, რაღაც გაუგებარ ენაზე წაილაპარაკა.

მხლებელმა ქალმა თარგმნა:

– ბელგიის კულტურის მინისტრი კითხულობს – კიდევ ბევრი თუ დარჩა სანახავიო?

– არა, არა – დაამშვიდა ის ჩვენმა მინისტრმა – დღეისათვის ეს ვიქმაროთ.

უცებ ბელგიის მინისტრს ისევ შეუწუხდა გული (ალბათ, უკვე ნემსისაგან).

შირმის იქით ექთანი ტურაზოვს თავს უხვევდა.

– მეტი არაა ჩემი მტერი, ეგენი აქ ჩამომსვლელები აღარ იყვნენ – ამოიკვნესა ტურაზოვმა. – ვა, ეგ რა შარში ჩავვარდი!

— ყური ხომ არ მოაკვნიტე, ბიჭო? — ჰეითხა ექთანმა.

— ნეტაი შენ! — თქვა ტურაზოვმა და თვალები დახუჭა. მეორე ნემსს სანამ გაუკეთებდნენ, ბელგიის მინისტრი წა-გოხტა და სუფთა ქართულით თქვა:

— ერთი აქედან გავიდე და მაგ ტურაზოვს მ...ავ პასკის ჯვარს.

ბატონი ბესო და თანხმლები პირები მოულოდნელობისა-გან გაშეშდნენ.

ყველაფერს მიხვდნენ.

— აფერისტ! აფერისტ! — იყვირა ჩვენი მინისტრის მოადგი-ლებ.

**შავ-თეთრი გამოსახულება (კინო – კინოში)**

ლამე, სოფლის პატარა მოედანზე – პიედესტალი. პიედეს-ტალს ადამიანის ლანდი უახლოვდება. შემოუვლის, დაიხრება, ეხედავთ იასონს. ის ბიუსტის ანევას ცდილობს. ცოტას ასწევს კიდეც, მაგრამ დაბარბაცდება და თაბაშირი ხელიდან უვარ-დება... და ახლა უკვე ცდილობს თვითონვე აცოცდეს პიედეს-ტალზე...

შარაგზაზე დიდი სისწრაფით მოჰქმრის „ვილისი“. საჭესთან გრიშაა, გვერდით შერმადინი, უკანა სავარძელში ხუტა და აბე-სალომი. შექეიფიანებულები არიან.

— რაც ცენტრიდან დეპეშა მიიღო „ვიხილავთ თქვენს სა-კიოხსო“, აღარ გვყადრულობს, — თქვა ბოლოს გრიშამ.... ალ-აგენის იმედი აქვს, ეტყობა!

აბესალომი: — მაგის ამბავი მე მკითხეთ, ანი ნახეთ, რა ქნას!

გრიშა: — ვინ შეუწყო ხელი? ჩვენ ავნიერ, ჩვენ შევქმენით, მერე?

ხუტა: — მერე და მერე! ხომ გვასახელა! იასონი ჩვენი სია-მაყეა!

შერმადინი: — შე უბედურო, იასონის ბრძანებით არ დაგა-ობლეს? — მანქანა უცრად დამუხრუჭდება. მგზავრები ერთმა-ნეთს მიასკდებიან.

მოსჩანს მთელი ტანით აღმართული ძეგლი.

მანქანაში მსხდომთ ენა მუცელში ჩაუვარდებათ,

— მოდით აქ! — იტყვის ძეგლი.

შეშინებულები ერთმანეთს გადახედავენ. ფრთხილად ჩა-  
მოდიან მანქანიდან.

— იქეიფეთ? — შინაურულად კითხულობს ძეგლი.

თავებს დაუკრავენ.

— რაშა-ორერა, რაშა-ორერა, რაშა-ორერა!.. — დაიწყებს  
სიმღერას ძეგლი.

ოთხი კაცი ამღერდება.

უცებ ძეგლი ხელს ასწევს.

სიმღერას უცებ შეწყეტენ.

ძეგლი ისევ ხელს დაიქნევს.

იმწუთს ისევ ამღერდებიან.

— აბესალომ! — ამბობს ძეგლი, — ერთი შენი ბოლო ლექსი  
ნამიკითხე.

— ბანკეტზე რომ გიკითხავდი? — გამოცოცხლდა აბესალომი.

— არა... სულ უკანასკნელი!

— უკანასკნელი არ მახსოვეს!

— ძალიან კარგადაც გახსოვს!

აბესალომი (ვითომ იგონებს).

— „შენი ვარსკვლავი როდი ჩამქრალა...

ისევ მოგელის მქუხარე ტაში...

დიდიხანია რაც ტრიბუნაზე...

არ მდგახარ შენი ჩინური პლაშით!“

ყველანი ტაშს უკრავენ. ეს ტაში თანდათან ოვაციაში გა-  
დაიზრდება.

ძეგლი ისევ ასწევს ხელს.

ისევ სიჩუმე ისადგურებს.

— ვაშა-ორერა, ვაშა-ორერა, ვაშა-ორერა! — იწყებს ისევ  
სიმღერას ძეგლი.

აყვებიან დანარჩენებიც.

— ტაში! — ამბობს ძეგლი.

ყველანი ტაშს უკრავენ.

— ცეკვა! — იყვირებს ძეგლი.

ოთხივენი ერთდროულად აცეკვდებიან.

— ტემპი! — ბრძანებს ძეგლი.

გატულობს ტემპი. ეხლა უკვე მთელის ძალითა და მონდო-  
მებით ცეკვავენ ძეგლის გარშემო.  
ქარი შეარყევს ბოძზე დაკიდებულ ნათურას და პიედეს-  
ტალზე ხან იასონია, სამი ოქროს ვარსკვლავით გულზე, ხან  
ისევ ძეგლი.

ოთხი კაცი ოფლად იღვრება, ცეკვის ტემპი კი ოდნავადაც  
არ კლებულობს.

ხუტა სახეზე ხელს ჩამოისვამს, ნურნურით ჩამოსდის რა-  
ლაც სითხე. იგივე ემართებათ სხვებსაც. გაკვირვებულები ის-  
ვამენ სახეზე ხელებს და მაღლა იყურებიან.

და ახლა შორიდან ვხედავთ, როგორ აფსამს პიედესტალ-  
ზე მდგომი იასონი თავის მორჩილ ამფსონებს.

— ხომ არ დაგავიწყდათ, როგორ ქუხდა იასონი! — იტყვის  
ბოლოს ისევ ძეგლად ქცეული კაცი.

საშინელი ხმა იქაურობას გააყრუებს (ეტყობა, სადღაც მე-  
ხი გავარდა... იასონი პიედესტალიდან ვარდება. თავით კიდეს  
მიეხეთქება).

ამფსონები უცებ ქვებს მოიმარჯვებენ და იასონს დააყ-  
რიან.

— რას შვრებით ხალხო! — ყვირის ხუტა — იასონი ჩვენი სია-  
მაყეა!

ხუტა იასონთან მიიჭრება. მივლენ დანარჩენებიც, მაგრამ  
იქ... აღარავინაა.

— სად გაქრა? — იძახიან გაკვირვებულები ერთხმად.


აინთო სინათლე საპროექციო დარბაზში — დამთავრდა გა-  
დალებული მასალის ჩვენება (დამთავრდა შავ-თეთრი გამოსა-  
ხულება).

საპროექციო დარბაზი.

ნინა რიგში ორი ლამაზი ქალბატონი იჯდა.

ერთი ქერაომიანი გახლდათ. მეორე შავგვრემანი, — სახე-  
ლად ზიზი, ძვირფასი ქურქების სახელოებში ხელები შეეყოთ  
და იბუზებოდნენ. მათ გვერდით იჯდა „ინდი-მინდის“ პრეზი-  
დენტი და ეძინა.

— საყინულეა. ბარაქალა თქვენს გაძლებას, — თქვა ქალბა-  
ტონმა ზიზიმ — რაც შეეხება მასალას, — მიუბრუნდა ქალბატო-  
ნი ქმარს, ხელი გაჰკრა, გააღვიძა და სიგარეტზე მიუთითა —



საინტერესოდ მეჩვენება, – თვალები დაუბრიალა ქმარს.  
ქმარმა სიგარეტი მიანოდა, გიგომ ასანთი გაჰკრა.

ქალმა საოცრად ლამაზად გააბოლა.

ქმარმა ისევ წაუძინა.

დარბაზში კინომექანიკოსი შემოვიდა და აკანკალებულმა  
თქვა:

– მე წავალ, თუ შეიძლება! – კბილს კბილზე ურტყამდა.

– გაიყინე? – თანაგრძნობით ჰკითხა გიგომ.

– არა! – თქვა იმან და ნიკაპის ქვეშ ხელი მიიჭირა, კანკალი  
შეწყვიტა.

გიგომ ჯიბეები მოიქექა, ფულთან ერთად დაკეცილი ქა-  
ლალდი ამოყვა, ფული მექანიკოსს მისცა, ქალალდი მემონტა-  
შე ქალს (ფუმფულას).

– მონტაუის გეგმაა!

კინომექანიკოსმა ნიკაპს ხელი მოაშორა, ისევ აკანკალდა  
და დარბაზიდან გაღიმებული გავიდა.

– პოეტისა არ იყოს – თქვა ქერათმიანმა – მგონი, ჩვენ ყე-  
ლა ციმბირში ვართ გადასახლებული, მაგრამ ჯერ არ გვეუბ-  
ნებიან.

– მაშინ ერთი დღე სამად მაინც ჩაგვითვალონ! – თქვა ფუმ-  
ფულამ.

– სულ რამდენი გაქვთ გადასალები? – იკითხა ფირმის პრე-  
ზიდენტის ცოლმა.

– დაახლოებით ფილმის ნახევარი – წამოინია თაზო სავარ-  
ძლიდან.

ქალი ჩაფიქრდა.

– როგორც გითხარით... მასალა საინტერესოა, ოღონდ მა-  
ჰატიეთ... სადღაც მინახავს რაღაც ამდაგვარი! – თითქოს წაც-  
ნობია ეს ყველაფერი.

– წაცნობია იმიტომ, რომ ეს ჩვენი წარსულია, ქალბატონი  
– თქვა გიგომ.

– ბატონი ვიგო, ეს რა მომეცით – ფუმფულამ ქალალზე  
წანერი წაიკითხა:

– ფხალი, ცოტა ჯონჯოლი, ცოტა პეტრუშკა, ლობიოს-  
თვის, და თუ დაგრჩა ფული, ტუალეტის...

- ცოლის ხელნერაა – თქვა გიგომ – შემშლია... ჩუმად ჩა-

მიცურებს ხოლმე ჯიბეში.

გიგომ ჯიბეში ქექვა დაიწყო.

- კარგით, ბატონი გიგო – ქალბატონმა ზიზიმ სიგარეტი საფერფლეში ჩასრისა, ქმარს ხელი ისევ გაჰკრა, ისევ გააღვიძა და სტუმრები სავარძლიდან წამოდგნენ.

გიგო და თაზოც ადგნენ.

- საინტერესოა! საინტერესოა! – ესლა თქვა „ინდი-მინდის“ კრეზიდენტმა.

ქერათმიანმა ქალბატონმა რედიკიულიდან ცხვირსახოცი ამოილო, პიკანტურად ნესტოებს შეეხო.

- ეს ბანკეტები მოგვკლავს შენ! – ჩუმად და ლვარძლიანად ჩაულაპარაკა ზიზიმ ქმარს და ხელოვნურად გაულიმა იქ მყოფთ.

- ჩვენმა ფირმამ შეიძლება გამონახოს რაღაც სახსრები თქვენი ფილმის დასამთავრებლად – თქვა პრეზიდენტმა, – დაგვირეკეთ ორ-სამ კვირაში...

ფუმფულას სახეზე ირონიული ლიმილი დასთამაშებდა.

სტუმრებს სტუდიის ეზოში შინდისფერი „მერსედესი“ ელოდებოდა.

მძლოლმა მანქანის უკანა კარები გამოაღო, ქალბატონები გიგოს და თაზოს დაემშვიდობნენ. თაზომ ქალბატონებს ხელზე აკოცა. „მერსედესი“ გასრიალდა და გამცილებლებს კვამლი შეაფრევია.

გიგო და თაზო ფიქრიანად გაჰყურებდნენ „მერსედესს“.

- ტოუე მნე... სპიაშჩაია კრასავიცა! – წაილაპარაკა გიგომ.

გიგო თავის სამუშაო ოთახში საბეჭდ მანქანას უჯდა.

ცოლი მტვერსასრუტს ახმაურებდა.

(იქვე ტრიიალებდა „პუდელი“, რომელიც გიგოს ბინის სცენებში ფეხებში ედება ყველას და ყეფით იკლებს იქაურობას).

გიგოს ვაჟი – ლუკა შემოვიდა შამპანურით ხელში და კავარადოსის არია დასჭექა. მერე ბოთლი მაგიდაზე დადგა და თქვა:

- გთხოვთ, ფუშერები!

- რა ხდება? – ქალმა მტვერსასრუტი გამორთო.
- ხდება ის, რომ ბარსელონაში ვარ მიწვეული მომღერალთა მსოფლიო კონკურსზე.
- ვა, შენ აღარ ხუმრობ! – გიგომ სერვანტიდან სამი ფუჭერი გამოიღო.

დარეკა ტელეფონმა, გიგომ. ყურმილი აიღო.

- კულტურის განყოფილებიდან გირეკავთ – მოისმა ყურმილში – ვიცით რომ უმუშევარი ბრძანდებით... კარტოფილი ხომ არ გნებავთ, შეღავათიან ფასებში?

გიგომ ყურმილს ხელი დააფარა.

- კარტოფილი გვინდა იაფად? – ჰერთხა ცოლს.
- გვინდა, გვინდა! – წამოიძახა წატომ.
- გვინდა, გვინდა! – გაიმეორა გიგომ ყურმილში.

### კინოს სახლთან.

თეთრ შენობათან უამრავ ხალხს მოეყარა თავი. ამდენი გამოჩენილი კინომოლვანე ერთად ფელინის ფილმების ჩევნებაზეც არ იყო ხოლმე. მათი „ვოლგებით“ და „ფიატებით“ გადაეტილი იყო ქუჩა და მოედანი.

- რაზე გარჯილხართ? – ჰერთხა გიგომ ჩვენი კინოს ერთერთ გამოჩენილ ოსტატს.

– მე მეკითხებით?! – გაიკვირვა მან.

– ხო, შენ.

შეეტყო მაინცდამაინც არ ესიამოვნა შეკითხვა.

- ხო!.. ფინეთში ვაპირებ წასვლას ჩემი ფილმით და საბუთები მოვიტანე გასაფორმებლად.

– რაზე შენუხებულხართ? – ჰერთხა გიგომ მეორეს.

- საწევრო გადავიხადე – მოუჭრა მან მოკლედ და გვერდზე ყურება დაიწყო. ვითომ ვიღაცას ეძებდა.

მერე გიგო ცნობილ სცენარისტს შეეკითხა:

– თუ ძმა ხარ, გამაგებინე, რა ხდება?

- აქ არ ვიცი რა ხდება, მაგრამ მომკალი და არ შემიძლია ამდენი ცდა, სცენარი მაქვს დასამთავრებელი... ფრანგული ფილმების მოსაწვევებისათვის მოვედი... გიყი არ იყო, ის ფილმი ფრანგებს ჯერ მგონი არც კი გადაუღიათ.

გიგო უხერხულად შეიშმუშნა ამდენ ხალხში ის აღმოჩნდა ერთადერთი, კარტოფილისათვის რომ იყო მოსული.  
თეთრი შენობიდან ვიღაცა კაცი გამოვიდა და გამოაცხადა:  
– მეგობრებო! ეს ნუთია დაგვირეკეს, ტექნიკური მიზეზე-  
ბის გამო ჰუმანიტარული ორგანიზაცია დღეს კარტოფილს ვერ  
მოგვაწვდის... ამ დღეებში გამოიარეთ.

– აუ!.. – ერთხმად აყაყანდა მთელი კინოელიტა.

გუნებანამხდარნი და დამცირებულნი მანქანებისაკენ წა-  
ვიდნენ. ლანძლვით და გინებით ჩასხდნენ. გაბრაზებულებმა  
ბრახუნით მიიკეტეს კარებები, „ვოლგები“ და „ფიატები“ ერ-  
თდროულად მოსწყდნენ ადგილს.

რატიანების ბინაში, მათი მეზობელი მადონა, გიგოს მეულ-  
ე ესაუბრებოდა.

– სანოვაგეზე გავუშვი ბაზარში, ნასვამი დაბრუნდა. – პრა-  
ვიზია სად არის-მეთქი? – ლვინო შემხვდა იაფადო! წარმოგიდ-  
გენია.

– კარგი რა, დედა – თქვა ქალიშვილმა და დედას დაემუქ-  
რა – იცოდე, მამას ვეტყვი.

– თამუნა! უფროსების საუბარში ნუ ერევი! – დატუქსა დე-  
დამ. თამუნა გაჩუმდა.

– გიგო რომ არ სვამს, რა, დიდი შეღავათია? – თქვა ნატომ.

რაღაცა კაპიკებს რომ აძლევდნენ სტუდიაში, იმის მაგივ-  
რად – გადაგვენახა, თანამშრომლებს ურიგებდა... ეს კინომე-  
ქანიკოსს, ეს მანქანის მძლოლსო, ეს იმას, ეს ამას... რა უბედუ-  
რი პროფესიაა, წყლის ნაყვაა და მეტი არაფერი!

– ჩემი რა, შამპანურის საცობებს რომ აკეთებს ეს უმაღ-  
ლესდამთავრებული რეგვენი, ყრია მერე ამაში რამე? კანალი-  
ზაციაში მიდის ყველაფერი! ყოველ კვირას თითო ყუთ ცარი-  
ლი ლვინის ბოთლებს ვაბარებთ და ფული მაინც არ გვყოფ-  
ნის.

უცებ კარი გაიღო და გიგო შემოვიდა ტომრით ხელში.

– უი! – წამოიძახა მადონამ – წინილა დამენვა!

ქალიშვილს თვალით ანიშნა წავიდეთო.



სწრაფად გავიდნენ ოთახიდან.

– ნატო, რომელია უბედური პროფესია?! ჰკითხა გიგომ ცოლს, ტომარა მოისროლა და ჯიბიდან სიგარეტი ამოილო.

– შენი პროფესია, გიგო!.. ცოტა ოჯახზეც არის საჭირო ზრუნვა.

– რას ბრძანებთ, ქალბატონო, საცობების ცეხი გნებავთ გავხსნა? მითხარი რა გინდა?!?

– რა მინდა და... იცი თუ არა შენ, რომ ერთი ცნობილი აკადემიკოსი ნავთს ყიდის ბარნოვის ქუჩის კუთხეში!

– მე მეტიც ვიცი! ერთ ჭკუით სავსე „ნოვატორს“ სპეციალური დანადგარი გამოუგონებია, შიგ ჩვენს კლასიკოსებს ყრის, და იქიდან ტუალეტის ქაღალდი გამოდის!

– რა საშინელებაა!

– ხო და გამაგებინე, რა გინდა!.. ნავთი გავყიდო ბარნოვის კუთხეში თუ კლასიკოსები გადავამუშაო?!

– მე მინდა, რამე ბიზნესს მოკიდო ხელი!

– კი მაგრამ, კინოს რა ვუყო?

– ვინ რა თავში იხლის მაგ შენ კინოს, ვის რაში სჭირდება! შენ ის თქვი, არაფრის ნიჭი რომ არ მოუცია ღმერთს!

– ვაშა!!! „ბურნიე ოპლოდისმენტი!“ – გიგომ ტაში შემოკრა და ნერვიულად დაიწყო ადგილზე ქართული ცეკვა და ლეკურის მოტივი ნაიმღერა.

ნატო სავარძელში ჩაენარცხა.

– იცი ნელინადია ვემსახურები როგორც მონა!

– კარგი ბატონო... ჩათვალე რომ დღეიდან თავისუფალი ხარ მონობისაგან, ნავალ!

– სად ნახვალ? ვის რაში ჭირდები?

– არავის ხო?! არავის ვჭირდები ხომ! ანი მე ვიცი, როგორც მოვიქცევი, დავთვრები კიდეც, ქალებშიც ვივლი და ორგიერსაც მოვაწყობ!

– ვერაფერსაც ვერ მოაწყობ!

– რატომ ვითომ?

– მაგას ყველაფერს ფული სჭირდება და იმიტომ. ფულიდა მარიფათი.

– ჰა, ჰა, ჰა!

ნატო ოთახიდან გავარდა.

გიგო ერთხანს იდგა.

— მარიფათი! — თქვა მერე თავისთვის, ოთახში გაიარ-გა-  
გოიარა, ტომარას წამოედო და მთელი ძალით მოქნეული ფეხი  
გაჰკრა.

გიგოს ასისტენტი თაზო თავის სენაკში, დივანზე იყო წა-  
მოწოლილი და ფიქრიანად ჭერს მისჩერებოდა.

გიგო ფანჯარასთან იდგა და დურბინდით ქუჩას გაჰყურებ-  
და.

— გენიალური აზრი მომივიდა — თქვა თაზომ — ფილმსაც  
დავამთავრებთ, ოჯახიც კმაყოფილი გეყოლება და უცხოურ  
მანქანებსაც დავირტყამთ, იცოდე!

— ცოლად როკფელერის ქალიშვილის მოყვანას ხომ არ აპი-  
რებ?

— არა! — განცხადებას ვაძლევ გაზეთში. პატივცემულო  
მეითხველებო, გთავაზობთ გამდიდრების უებარ რეცეპტის:  
„გვიგზავნით დოლარს, სულ რაღაც ერთ დოლარს, სამაგიეროდ  
ჩვენ გვიგზავნით რეცეპტის. არ მოგწონთ რეცეპტი, დოლარს გიბ-  
რუნებთ უკან“. საქართველოს ნახევარი მოსახლეობა ჩვენ გვიგ-  
ზავნის თითო დოლარს. ეს გიგო, დაახლოებით ორ-ნახევარი მი-  
ლიონია!

— მერე, ჩვენ რა ბუს კვერცხებს ვუგზავნით იმ ნახევარ სა-  
ქართველოს, — იკითხა გიგომ ისე, რომ დურბინდი თვალიდან  
არ მოუშორებია.

— რატომ ბუს კვერცხებს? — იწყინა თაზომ — ჩვენ მათ ვუგ-  
ზავნით გარანტირებულ რეცეპტის.

— რა რეცეპტია ასეთი?

თაზომ პათეტიკურად წარმოსთქვა:

— მოიქეცით ისე, როგორც მოვიქეცით ჩვენ!

— დაანებე თავის სისულელეებს და მოდი, ნახე, რა ქალი  
დგას „მერსედესთან“.

— უცხოელს ელაპარაკება?

— რა იცი?

— ვიცი! ის ქალი ახლა იმ „მერსედესში“ ჩაჯდება.

გიგო დურბინდში ხედავდა.

ეშხით სავსე ლამაზმა ქალმა ფრთხილად მიიხედ-მოიხედა და მართლაც „მერსედესის“ გამოლებულ კარებში შეყო ფეხი. მანქანაში რომ ჯდებოდა, კაბა ჭიპამდე აენია.

– მეგი ჰქვია სახელად – ისმის თაზოს ხმა – ეგ ქალი უცხო-ელის გამოჭერაზეა, საზღვარგარეთ დათესვა უნდა.

– გავიცნოთ!

– ნურც იფიქრებ... ჩვენიანებს არ ეკარება.

– საიდან დაასკვენი?

– ფაქტებიდან.

„მერსედესი“ ადგილს მოსწყდა და გაუჩინარდა.

– ღვთაება! – თქვა გიგომ, დურბინდი ფანჯრის რაფაზე დადო, მაგიდასთან მივიდა! განახევრებული ბოთლდან კონი-აკი დაისხა და გადაჰქირა.

– თაზო, ჩვენ მაგ ქალს გავიცნობთ, გაძლევ სიტყვას!.. არა-ვითარი ფილმი! ვის ჭირდება ეს შენი კინო? არავის! არც შინა-ურს და არც გარეულს... და საერთოდ... არ არის ეს ჩვენი საქ-მე. ჩვენი საქმეა „ღვინო, დუდუკი და ქალები...“ თაზო! დღეი-დან ჩვენ ვიწყებთ სულ სხვა ცხოვრებას... ბოჰემურ ცხოვრე-ბას. ამისათვის კი საჭიროა სულ ცოტა რამ?

– ფული!

– სწორია.

თაზო ჩაფიქრდა, მერე ოთახში ჩამოკიდებული ბრჭყვია-ლა ჭალს ახედა...

და უცებ გაქრა ჭერიდან ჭალი...

გიგოს სახლთან.

მთვრალი გიგო თავის სახლს უახლოვდებოდა. შორიდან-ვე შეამჩნია...

ფანჯარასთან მდგარი მეუღლე. ქალი, რასაკვირველია, მას ელოდებოდა.

„ეხლა დაიწყება“ – აღმოხდა გიგოს.

კედელს აეფარა, მერე ამ კედელს ზუგშექცევით, ფრთხი-ლად გაუყვა.

საბას პინა.

კარი ჭალარა საბამ გაულო.

— გიგო, სადა ხარ, ბიჭო, დაკარგული! — გულიანად შეხვდა კალტომოხურული და კაშნემოხვეული საბა ჩვენს გმირს და პატარა, მყუდრო ბინაში შეუძლვა, რომლის მთელ ავლა-დიდებას კედელზე გაკრული, სცენაზე ნათამაშევი როლების ფოტოები წარმოადგენდა.

— შენ რა, ფილმის მეტი აღარაფერი გახსოვს? — როგორ არის შენი კინოს საქმე?

— ცუდად! — თქვა გიგომ, გაცრუცილ სავარძელში მოკალათდა და პრიმა ამოილო — ვის უნდა შენი კინო! — ფული ენანებათ ხელოვნებისათვის.

საბამ დაწყებული კარტოფილის თლა გააგრძელა.

— ყველა დროის ყველაზე აშკარა მსხვერპლი, ეს გახლავთ ინტელიგენცია! — თქვა საბამ, — დაქვეითებული, დაქცეული, დამდაბლებული და დამონებული ინტელიგენცია! განდევნილი, გაპირუტყვებული — რევოლუციის მიერ; პატივაყრილი, გამრუშებული, გამყიდველი და გაყიდული — რეჟიმის მიერ; თუმცა ჯერ კიდევ თავმომწონე, ურჩი, უტეხი, მაგრამ აღარაფერი — სახელის გარდა... აღარც ძალაუფლება, აღარც ავლა-დიდება და ძალიან ცოტა სისხლი...

— ეს შენი ახალი როლიდანაა საბა?

— როლიდან, რომლის თამაში აღარ დამცალდა, ჩემო გიგო! რაც ხმა დავკარგე, დავკარგე თეატრში ადგილი, ჯამაგირიც და მეგობრებიც... მათ შორი, მგონი შენც... როლს ვიღაჩივის... ვისლა სჭირდება ჩემი ყრუ, ჩახლეჩილი ხმა...

— ყრუ ბეთხოვენი, მაინც ბეთხოვენია! — წარმოსთქვა ღიმილით გიგომ და ისიც კარტოფილის თლას შეუდგა.

— ეგრეა ვითომ? — გაეღიმა საბასაც და დანაოჭებული სახე კიდევ უფრო დაუნაოჭდა — ამას ნინათ, რუსთაველზე ნავჩანჩალდი... სადღაა ის ხალხი?! სადღაა თბილისი?! მერე ქაშვეთში შევედი, ჩემს მარიამს სანთელი დავუნთე.

— რამდენი სიკეთე მახსოვს მისგან! — თქვა გიგომ.

— ძნელია ამ ასაკში... „იქეთ“ ყოფნა — თქვა საბამ და მის სახეზე ღიმილი გამოკრთა.

– გინდა ქეიფი, მაგარი ქეიფი?! – თქვა უცებ თავისი ჩახ-ლეჩილი ხმით.

– ღვინოს ამოვიტან – შესთავაზა გიგომ.

– არავითარი მაგდაგვარი – თქვა საბამ, კარტოფილის თლა მიატოვა და ტელეფონს მიაშურა. – ნახევარ საათში აქ ისეთი ქეიფი წავა, მთელი უბანი აზანზარდება.

ტელეფონის ნომრები აკრიფა და ყურმილში თქვა:

– ბიძინა ხარ? ჩემო კიკუშა, ახლა ჩემთან მეგობრები მოვიდნენ, გადასარევი ღვინო მოიტანეს, სუფთა წარაფი, ცოტა პურმარილი წამოიღეთ და სასწრაფოდ მოდით ჩემთან, სასწრაფოდ...

ყურმილი დაკიდა, მერე ისევ აიღო, ახალი ნომერი აკრიფა.

– ოჩო, შენა ხარ! პურმარილი მაქვს, მეფეს შეშურდება... ბიჭებს უთხარი, და ახლავე ამოდით ჩემთან, რამდენიმე ბოთლი ღვინო წამოიძღვანიეთ... მოიცა, თუ ძმა ხარ, ვისღა უნდა შენი დისერტაცია... აბა, ჰე, გელით – ყურმილი ისევ დაკიდა და გიგოს შეხედა...

– ასე მგონია, საუკუნე არ მინახავხარ, შენ ოხერო!

მეგობრები სევდიანი ღიმილით უყურებდნენ ერთმანეთს.

გიგოს სახლის ფანჯარა.

გიგოს მეუღლე ისევ ფანჯარასთან იდგა და ქუჩას გაპყურებდა.

უცებ მოესმა ომახიანი სიმღერა. ნატო უსმენდა სიმღერას. თვალები აუწყლიანდა.

შუახანს გადაცილებული კაცები სუფრას უსხდნენ. საბა დღეს ბედნიერი კაცი გახლდათ. ის თავის მეგობრებთან ქერფობდა. მღეროდნენ ეშითა და გატაცებით.

ნინნკლავდა.

მანქანამ გაანათა მარჯანიშვილის თეატრის თაღქვეშ მდგარი ბიჭები და სიბნელეში ჩაინთქა. იქიდანე გამოჩნდა ნასვამი გიგო.

– ხომ არ მოგვაწევინებ! – ჰკითხა ყველაზე ჯანიანმა, როცა გიგო ბიჭებს მიუახლოვდა. იქვე „ფოლკსვაგენი“ იდგა.

გიგომ ჯიბიდან „პრიმა“ ამოიღო და გაუწოდა.

გამხდარმა ბიჭმა რამდენიმე ლერი სიგარეტი ამოიღო.

— ეს ბონდოს, ეს შაშუბეშა — შენ, და ესეც — მე! — გაანანიშვილის ბიჭმა ნადავლი და ინტელექტი გამოაჩინა:

— აი, იმ სახლში გალაკტიონი ცხოვრობდა!

— წრიპა, უზრდელად იქცევი! — უთხრა ბონდომ ბიჭს.

— რაზეა ლაპარაკი, ძმა?

— იმაზე! მადლობა, მეგობარო!

— რისი მადლობა — გიგომ სიგარეტს მოუკიდა და სულის გოსათქმელად იქვე მოაჯირზე ჩამოვდა.

ქუჩის ბოლოს ქოლგიანი კაცი დაიღიანდა. ბონდომ მას თვალი მოაშორა და რატომდაც იკითხა:

— შეგიძლიათ ერთი დარტყმით კაცის ნაქცევა?

გიგო ყურადღებად იქცა.

— კაცს გააჩნია — თქვა წრიპამ.

შაშუბეშამ ალმაცერად გახედა ბონდოს.

— შენ ბიჭო, რა მუდამ რაღაცნაირი აზრები მოვდის მაგ პატარა თავში (თავი ბონდოს ზომაზე დიდი ჰქონდა).

გიგო იჯდა და ენეოდა.

შაშუბეშამ ხელი გაჰყო ქუჩაში.

— ვა, წინწკლავს, ჩემი დედა...

— ვინც ერთი დარტყმით, ამ ქუჩაზე გამვლელს მინაზე ტრა-კით დასვამს არა! — თავისას არ იშლიდა ბონდო — პურმარილს ვკისრულობ.

— ერთი დარტყმით? გამოცოცხლდა პურმარილის ხსენებაზე წრიპა.

— ერთი დარტყმით! — გაიმეორა ბონდომ.

— რომ მოკვდეს? — თქვა შაშუბეშამ.

— მოკვდეს არა ტო, ნოკაუტი რა! — ბონდომ თავისი ვეება მუშტი ლოყაზე მოუცაცუნა შაშუბეშას.

შაშუბეშა ნაბარბაცდა.

— იდიოტებაა!

— კასიუს კლეი იდიოტია.

— არა ბიჭო, ლევ ტოლსტოია!

ქუჩის ბოლოს ქოლგიანი კაცი გამოჩნდა.

— შენ იკისრებ? — ჰკითხა წრიპამ ბონდოს.

— რატომაც არა! თქვენ პურმარილი იკისრეთ!

– პურმარილი საიდან? – იქითხა წრიპამ.

– ღვინო მე მაქვს – თქვა შაშუბეშამ – ბაბუაჩემმა ჩამოიტანა სოფლიდან.

– ჭადს მე დავაცხობ... – თქვა წრიპამ, – ბაბუამისი ფქვილ-საც ჩამოიტანდა.

ქოლგიანი კაცის სილუეტი სულ ახლოს იყო.

ბონდოს შეეტყო, დელავდა.

გიგოც – არანაკლებ.

სილუეტი მათ მიუახლოვდა.

„საფარიდან“ ბონდო გამოვარდა და თავისი ვეება მუშტი ქოლ-გიანს ხეთქა. ქოლგიანი მოცელილივით დაეცა ტროტუარზე.

ბონდო, შაშუბეშა და წრიპა მანქანაში ჩასხდნენ და „ფოლ-კსვაგენი“ ადგილს მოსწყდა...

– რას სჩადიხართ, თქვე ვირის შვილებო! – იყვირა გიგომ.

ჩაირთო სინათლე. განათდა ქუჩა.

გიგომივიდა დაცემულის წამოსაყენებლად. გაშტერდა, მი-ნაზე ეგდო... კინემატოგრაფიის მინისტრი – ბატონი ბენო.

– აქრას აკეთებთ? – ჰერიტხა დაბნეულმა გიგომ იდიოტივით.

– თათბირს ვატარებ! – უპასუხა მინისტრმა ენის ბორძი-კით. გიგომ წაქცეული დიდის ვაივაგლახით წამოაყენა.

– ფეხები მეცეცება – თქვა ტალახში ამოსვრილმა მინისტრმა.

გიგომის ზურგზე მოიკიდა და მისამართი ჰერიტხა.

– მოიცა, მოიცა... მოვისაზრო! – თქვა მინისტრმა, ახლალა გიცანით.

შეეტყო, ვერ იყო კარგად.

ერთხანს უხმოდ მიდიოდნენ. უხმოდ და ბანცალით.

– პეროვსკაიას ცხრა – მოაგონდა უცებ ბატონ ბენოს – შვი-ლის საძებნელად გამოვედი... ვილაცა ხულიგანმა ისეთი მხეთ-ქა, გონება დავკარგე. თქვენ რომ არა...

მერე შეეკითხა:

– ფილმის საქმე როგორ არის?

– ეს მე თქვენ უნდა გკითხოთ, ბატონო ბენო!

– ნიჭიერი კაცი ბრძანდებით... რად გინდათ ეს დრომოჭ-მული... გადაიღეთ რამე წინა სურათის მაგვარი... – თქვა მი-ნისტრმა სვენებ-სვენებით, – მაშინ ალბათ, სპონსორიც გამოჩ-ნდება!..

ვერის ხილი.

ხილს რომ გადადიოდნენ, მოაჯირს მიეყრდნენ. გიგომ

მტკვარს გახედა.

– როგორ ადიდებულა! – ჩაილაპარაკა თავისთვის.

– რა?! – იკითხა მინისტრმა.

– მტკვარი.

იმან თავი მოატრიალა და შეშინებულმა მდინარეს ჩახედა.

ადიდებული მტკვარი რისხვით მოედინებოდა.

– ხომ არაფერს აპირებთ? – იკითხა მინისტრმა.

– რას უნდა ვაპირებდე? – ვერ გაიგო გიგომ მინისტრის

ნათქვამი.

– რა ვიცი... ხალხი ვართ... მობრძანდით ხვალ ჩემთან...

შეიძლება რაღაც სახსრები გამოვნახოთ... მობრძანდით, გენაცვალე, მობრძანდით, – ნამოიძახა გულწრფელად. – ისე, ერთი პატრა ჩინური სუფრა თქვენზეა, ბატონო გიგო!

– რატომ ჩინური? – ერთი დიდი ქართული სუფრა, თავისი პურმარილით და მრავალუამიერით! – თქვა გიგომ.

შორიახლოს პოლიციის მანქანა გაჩერდა.

– რა ხდება? – მიმართა მათ პოლიციის თანამშრომელმა.

– მე კინემატოგრაფიის მინისტრი გახლავართ! – ნამოიძახა თავმომწონედ გიგოს ზურგზე მოკიდებულმა მგზავრმა.

– თქვენ ალბათ კინორეჟისორი, არა? – ნიშნის მოგებით იკითხა პოლიციელმა.

– ათიანში მოარტყით – თქვა გიგომ.

– ესენი ლეტნათ არიან! – თქვა მძლოლმა. – ფსიქიატრიულიდან გამოპარულები უნდა იყვნენ! – თქვა პოლიციელმა და ორივენი მანქანიდან გადმოვიდნენ – ფრთხილი ნაბიჯებით უახლოვდნებოდნენ კინემატოგრაფისტებს.

(მაგარი სანახავი კი იყვნენ: კინორეჟისორი, ზურგზემოკიდებული კინემატოგრაფიის მინისტრით).

უცებ სტაცეს ხელი და ორივენი მანქანში შეაგდეს.

მანქანა ადგილს მოსწყდა.

სარდაფი.

შაშუბეშას სარდაფში ბიჭები ქეიფობდნენ.

– შემეცოდა ტო! – თქვა წრიპამ.

— აბა რა! — ჩემი დედა...  
შაშუბეშამ ბონდოს გახედა.

— ასე გამეტებით როგორ გაარტყი — თქვა ისევ წრიპამ. ბონ-  
დომ წრიპამ ყანყურატოში ხელი წავლო და ხმა დაიწვრილა.

— პურმარილი კარგია, შე ბოზო შენა!

წრიპამ ხელი აუკრა:

— დაასხი რა!

— ხასიათი გამიფუჭა ტო! — თქვა ბონდომ და იყვირა — გა-  
მორთე ეგ შენი მაგნიტოფონი!

შაშუბეშამ ჭიქები შეავსო.

წრიპამ მაგნიტოფონი გამორთო.

ბონდომ ჭიქა ასწია.

— ეს იმათ გაუმარჯოს, ვინც ჩვენ გზაზე დაგვაყენა, ვინც  
კაცებად გვაქცია... მშობლებს გაუმარჯოს!

შაშუბეშას უცებ სიცილი წასკდა.

— რას იცინი? — ბონდო მთვრალი იყო — რას იცინი? — გაი-  
მეორა.

— არაფერს!.. მეცინება და ვიცინი!

### თენდებოდა.

პეროვსკაიას ქუჩაზე „ფოლკსვაგენმა“ დაამუხრუჭა.

ბონდო ბარბაცით გადმოვიდა მანქანიდან და ნომერ ცხრა  
სახლის სადარბაზოში შევიდა.

აიარა კიბე, ბინის კარზე დარეკა.

კარი თავნაკრულმა მოხუცმა ქალმა გაუღო და უცებ შე-  
იცხადა:

— ბონდო... მამაშენი...

— რა მამაჩემი?

— საავადმყოფოდან დარეკეს... მარჯანიშვილის თეატრთან  
ვიღაც ნაძირალას რაღაც უგლეჯია თავში... მოდი, ბებია, ნნე-  
ვა გამიზომე.

ბონდო გაშტერებული იდგა.

— არა, ისეთი არაფერია — სცადა ბონდოს გამხნევება ქალ-  
მა — ტვინის შერყევა აქვსო.

— დედა სად არის?

— მამაშენთან... საავადმყოფოში.

პაუზა.

და უცებ ბონდომ იღრიალა:

— არ გამიტრაკა საქმე ამ თავის წნევით?

პროსპექტზე ნელი ნაბიჯით მოდიოდა ჩაფიქრებული გი-  
გო. ლიმუზინები მუხრუჭების ხრჭიალით შეჩერდნენ. მანქანე-  
ბიდან უივილ-ხივილით გამოვიდნენ შეზარხოშებული მამაკა-  
ცები და ქალბატონები.

— მეგობრებო! ჩვენს ნინ არის ქართული კინოს ცნობილი  
კინორეჟისორი, გიგო რატიანი. — თქვა ლაბადიანმა. — სულს  
ლაფავს ქართული კინო! ჩვენ ამას შთამომავლობა არ გვაპა-  
ტიებს.

ლაბადა გაიხადა, ლილები შეუკრა, ბოლო გადაუნასკვა —  
რაღაც „ტომრისმაგვარი“ გააკეთა და ნამოიძახა:

— დავეხმაროთ მსოფლიოში აღიარებულ ჩვენს ქართულ კი-  
ნოს!

მერე თვალები დახუჭა და „ტომარა“ ნინ გაიშვირა.

და მოხდა სასწაული:

ჯიბიდან ამოღებული მოზრდილი საფულეებიდან „ტომა-  
რაში“ დაიწყო „დოლარცვენა“.

— ჩემი ათასი!

— ჩემი ორი ათასი!

— ორიათას ხუთასი!

ქალებმა ძვირფასი სამაჯურები მოიხსნეს ხელებიდან...  
გაიხსნა რედიკიულები...

დოლარებით სავსე ლაბადა გაშტერებულ გიგოს ხელში მი-  
აჩერეს და... ლიმუზინები საბურავების ღრჭიალით ადგილს  
მოსწყდნენ.

(დამთავრდა გახუნებული თეთრი გამოსახულება. დამთავ-  
რდა სიზმარი).

ღრჭიალითვე გაილო პოლიციის განყოფილების კარები.  
გიგოს გამოეღვიძა.

შემოვიდა თანამშრომელი.

— თორმეტ საათზე გაუშვი! — უთხრა თანამშრომელმა კა-  
რებთან აყუდებულ პოლიციელს და უკანვე გავიდა.

კარებთან აყუდებულმა პოლიციელმა გიგოს ჰქითხა:

– აბა სახეზე შემხედე, მეტყობა ფრჩილებით ნაკანრი?

– ისე, რა! – თქვა გიგომ და თვალები მოიფშვნიტა. შეხედ-ვით კი არ შეუხედავს.

პოლიციელმა განაგრძო:

– ერთი მითხარი, თუ ძმა ხარ... პოლიციელის ცოლს ეკად-რება ჭიპამდე ჩაჭრილი კაბა!

– პოლიციელის ცოლს?

– ხო, პოლიციელის ცოლს.

– გამიშვი და გეტყვი.

სახედაკანრულმა მაჯის საათზე დაიხედა.

– ჯერ ექვსი წუთი აკლია... თორმეტზე გაუშვიო – ასეთია ბრძანება.

– თორმეტზე რა, ახალი წელია და სალუტს ელოდებით?

– ბედი შენი რომ ლეიტენანტი არ ჩივის. კარგა მაგრა გი-ხეთქია!

– არც იმან დამაკლო!

– ცოლთან გიჩხუბია? – უეცრად იყითხა პოლიციელმა.

– არასოდეს – გიგომ ჩალურჯებული თვალი ხელით მოი-სინჯა.

– როგორ ახერხებ?

– ინგლისური მეთოდით.

– რა მეთოდია ასეთი?

– გამიშვი და გეტყვი!

– მითხარი და გაგიშვებ!

გიგომ პოლიციელი გაანათლა.

– ინგლისელმა ცოლი რომ ითხოვა, ერთცხენიანი ფაიტო-ნით ფერმის ირგვლივ გაასეირნა, ცხენი უცებ გაჩერდა და ად-გილიდან ფეხს არ იცვლიდა. ინგლისელმა სამამდე დაითვალა: „ერთი!“... – ცხენი არ დაიძრა. – „ორი!“! – ისე ისევ ჯიუტად იდ-გა. „სამი!“ – არც ეხლა დაიძრა ცხენი ადგილიდან. მაშინ ინგლი-სელმა შოლტი ამოილო და ცხენს გადაუჭირა. მასშემდეგ, რო-ცა კი ცოლი ხმას აუწევდა... ინგლისელი ინცებდა თვლას „ერ-თი!“ და მორჩა, ქალი მთელი თვით მუნჯდებოდა.

– ვა, ეგ რა კარგირამეა!.. – თქვა პოლიციელმა, მაგრამ უკანასხალი ვე გვიანია... და მერე, ჩემს ცოლს დაასწრებ შენ „ერთის“ თქმას? იყავი მერე მთელი თვე დამუჯჯებული!  
პოლიციელმა ისევ დაიხედა საათზე.

წვერგაუპარსავი და თვალდალილავებული გიგო მიღიცი-  
ს განყოფილებიდან გამოვიდა და უანგბადი ლრმად შეისუნთქა.

იქვე კუთხეში ცოლი ელოდებოდა. ნელი ნაბიჯით გაუყვნენ  
ქუჩას.

გიგოს ბინა.


გიგომ საინიდან ლობიო მოასუფთავა და წყალი დააყოლა. ცოლმა მაგიდიდან საინი აიღო, სამზარეულოს ონკანთან მი-  
ვიდა. წყალი მოუშვა და ლიმილით თქვა:

– როგორ გითხრეს პოლიციაში? ადიდებულ მტკვარს რა-  
ტომ გახედეო?

– ფული უნდოდათ რა! – თქვა გიგომ.  
– ეს ოხერი ცხელი წყალი გვექნება როდისმე?! – ნაიანჩხლა  
ქალმა. მერე ქმარს გახედა.  
– მოდი ბინა ამერიკელებს მივაქირავოთ!  
– ვის უნდა შენი ბინა! ისინი „ასაპნიაკებს“ ქირაობენ!  
– აბა, რა ვენათ? სურათი ხომ უნდა დაამთავრო!  
– მაგით რას დაამთავრებ!  
– მაშინ გავყიდოთ და უფრო პატარა ბინა ვიყიდოთ!  
– ნატო, მოეშვი ფანტაზიორობას!  
– მაშინ დაანებეთავი ყველაფერს და დავჯდეთ „ბუტკებში“.  
– შენ დანყნარდი, ყველაფერი მოგვარდება.  
– ოცი ნელია მაგას გაიძახი... გაყოლოდი ნეტა შენს მე-  
ღიცინას.

დღეს ყველას უჭირს, ნატო! – თქვა გიგომ და სიმღერა ნა-  
მოიწყო. „ჩიტი-გვრიტი მოფრინავდა პოუ რანუნი-ი“ – მერე  
უცებ გაჩუმდა.

– შეიძლება მართალიც იყო ის მდივანი ქალი – თქვა ნალ-  
ვლიანად.



სამზარეულოში ლუკა შემოვიდა და მშობლებს ახარა

– ტელევიზორში ენერგეტიკის მინისტრმა, სინათლე და სითბო მთელი ზამთარი გექნებათო.

სამივენი სასტუმრო ოთახში გავარდნენ.

„....ასე რომ, ჩვენს მოსახლეობას შეუძლია მშვიდად იძინოს“. – ისმოდა ტელეეკრანიდან მინისტრის ხმა – ჩვენ იმდენი ელექტროენერგია გვექნება, რომ შეგვეძლება...

– უკაცრავად – აწყვეტინებს კორესპონდენტი – ამ საღამოს, სინათლე რომ ყველა რაიონს აქვს, ეს თქვენ გამოსვლას-თან დაკავშირებით ხდება თუ...

– როგორ გეკადრებათ, როგორ გეკადრებათ, ეს უბრალო დამთხვევაა, სწორედ დღეს ჩაირთო იტალიაში შეძენილი დიდი სიმძლავრის ელექტროაგრეგატები, რაც სრულ გარანტის იძლევა, რომ...

და ამ დროს ჩაქრა სინათლე.

სიბნელეში ლუკამ ნაიმღერა:

– ნომნაია ნოჩი, ტოლკო პული სვისტიათ პო სტეპი...“ გიგო ხელის ცეცებით ფანჯარათან მივიდა, გარეთ გაიხედა, მთელი ქალაქი უკუნეთ სიბნელეშია ჩაძირული, მოისმა ბრახვანი და ნატოს „ვაიმე!“

გიგომ ჯიბიდან ასანთი ამოილო და გაკრა.

ნატო იატაკზე იყო გაშელართული, ხელი შუბლზე მიედო. გიგო და ლუკა მივარდნენ, ნამოაყენეს. გიგოს ასანთი ჩაუქრა. ისევ აანთო.

– რა მოგივიდა?

– რა და ჯანდაბა! სანთელი კარადის უჯრაშია... რაღაცას ნამოვედე...

გიგო კარადასთან მივიდა, სანთელი მოძებნა და აანთო.

– პირსახოცი დამისველეთ – თქვა გუნებანამხდარმა ქალმა. გიგომ სააბაზანოში პირახოცი აიღო და ონკანი მოუშვა.

ონკანიდან მხოლოდ შიშინი გაისმა.

– წყალი არ მოდის! – გასძახა ნატოს.

– კარგი სანახავი ვიქნები ხვალ კათედრაზე, კოპიანი შუბლით! – თქვა ნატომ.

— ამტკიცე მერე, რომ სახლში ჭაისონი არ გყავს — თქვა ლუ-

კამ.

— ჭეიშვილებთან დარეკეთ... ექნებათ წყალი — თქვა ნატომ.

ლუკამ ტელეფონის ყურმილი აიღო.

ტელეფონიც გათიშულიყო.

ლუკამ ყურმილი დაკიდა და მთელი ხმით დასჭექა მეფის-  
ტოველის არის დასაწყისი:

— ლიუდი გიბნუთ ზა მეტალ,

სატანა ტამ პრავით ბალ!

და უცებ ისევ აინთო სინათლე.

— ვაშაა-ააა! — დაიძახა ყველამ ერთად.

— ვაშა-ააა! ისმოდა განათებულ მთელ ქალაქში.

და უცებ ისევ გამოირთო სინათლე. ისევ ჩაპნელდა ქალა-  
ქი. ჩამოვარდა სიჩუმე.

მინისტრის კაბინეტის მოსაცდელი.

გიგო კინოს მინისტრის კაბინეტიდან გამოვიდა.

მდივან ქალს ჯემპრის ქსოვა თითქმის დაემთავრებინა.

— ბატონო კინორეჟისორო, რამე ახალი ფოკუსი ხომ არა-  
ფერი იცით? — ჰერთხა მან გიგოს.

— როგორ არა, მომეცით ეგ ჯემპრი, აქ!

— ჯემპრი არა ის! — ქალბატონმა ვერამ ნაქსოვს ხელები  
დააფარა.

გიგომ ქალს თავი ზრდილობიანად დაუქნია და ის და თა-  
ზო სამდივნოდან გავიდნენ.

თაზომ ქუჩაში ჰერთხა გიგოს.

— არაფერი?

— აბსოლუტურად! არა აქვთ ფული და რა ქნან?

— ჩვენ რაღა ვქნათ?

— იშოვეთ ფული და გადაიღეთო!


— კი მაგრამ, სად და როგორო?

— როგორ და, როგორც ევროპაში და ამერიკაში, ისეო.

— თუ ვერ ვიშოვეთ?

— მაშინ ნუ გადაიღებთ, ქვეყანა არ დაიქცევაო!

— უპორთულო მინისტრი გამიგია — თქვა თაზომ — უფუ-  
ლო მინისტრი რაღა უბედურებაა?!



- „უიგულის“ რომ მიუახლოვდნენ, საბარგულზე ბენზინის ბაკის თავსაცავს მოკრეს თვალი.
  - რა ხდება? - თქვა თაზომ, ბაკის თავსაცავი აიღო.
  - არაფერი - ვიღაცამ ჩვენგან ბენზინი ისესხა - თქვა გოგომ.
- თაზომ მანქანა გასაღებით სწრაფად გააღო და ბენზინის აღმრიცხველი შეამონმა.
- რაც იყო, ბოლომდე „ამოუნრუპავთ“!

მანქანები არხეინად მოსრიალებდნენ ქუჩაში.

თაზო გაშვერილი ვედროთი იდგა. გიგო შლანგით ხელში და ორივენი მუდარით გაჰყურებდნენ მძლოლებს. ისინი კი ვერც ამჩნევდნენ მათ.

უცხოური მანქანები, „ვოლგები“ თუ „უიგულები“, დინჯი მედიდურობით უვლიდნენ გვერდს.

ბოლოს, ერთი დანჯლრეული „ზაპოროჟეცი“ გაჩერდა, იქიდან ქუსლმონგრეული მძლოლი გადმოვიდა, საბარგული ახადა თავის მანქანას, კანისტრა გადმოილო:

- აქერთი-ორილიტრაა, სახლამდე მიგიყვანთ! - თქვა და თაზოს ძაბრმომზადებულ მანქანაში თვითონვე ჩასხა ბენზინი.

- დიდი მადლობა, მეგობარო! - გადაგიხდით თუ შეიძლება! - თაზომ ხელი ჯიბისაკენ წაიღო.

- როგორ გეკადრებათ! - თქვა „ზაპოროჟეცის“ მძლოლმა და გიგოს შეეკითხა:

- „კოდაკი“ არ გინდა იაფად?

- რა „კოდაკი“?

- კინოფირი, რა!

- ხო, არა, არა!

- „ზაპოროჟეცის“ მძლოლი სწრაფად ჩაჯდა მანქანაში - „ენკი-ბენკი-სიკლისა“! - გასძახა ფანჯრიდან კინემატოგრაფისტებს და გაუჩინარდა.

ნითელი „უიგული“ ბენზინის გასამართავ სადგურთან შეაჩერეს. „კალონკასთან“ რამდენიმე მანქანა იდგა უპატრონოდ.

- ძია კაცო, რა, ბენზინი არ არის? - შეეკითხა თაზო ტროტუარზე მჯდომ მოხუცს.

— ბენზინი კი არის, სინათლე არ არის! — თქვა მოხუცემა!

მთავარ „გესტე“ დიდი ავარია მომხდარა!

თაზომ მანქანა „კალონკასთან“ მდგომ მანქანებს მიუყენა.

იქვე, სკვერში ბავშვები ომობანას თამაშობდნენ. დაუნდობლად ურტყამდნენ ერთმანეთს. საფარად პატარა პიედესტალს იყენებდნენ. (ზოგი ზედაც ადიოდა) სადაც ადრე ვიღაცის ქანდაკება იდგა, ეხლა მტრედების სკინტლით იყო მოსვრილი.

მოპირდაპირე სახლის მესამე სართულზე ახალგაზრდა ქალი ფანჯრის მინას რეცხავს, ქარი სიფრიფანა კაბას უფრიალებს და ბაყვებს უჩენს. რამდენიმე მანქანა ამუხრუჭებს.

მძლოლები ქალს უყურებენ.

თაზომ ქალს თვალი მოაშორა და გიგოს შეხედა.

— ისჩენი აბდულ-ბუდულ მეგი, ბოლოს და ბოლოს, გაჟყოლია ვიღაც ამერიკელს — თქვა თაზომ — აუჩემებია, მხოლოდ და მხოლოდ ჰოლივუდში უნდა ვიცხოვოთ, ბოლოს, ლამის იყო თავი მოუწამლავს!

— ჰოლივუდში?

— არა, საქმე მადამდე არ მისულა. აქ, თბილისში!

— გაკოტრებული შეხვედრია ვიღაცა უბედურის ერთი, „აქაური ხალხი ძალიან მომწონს, აქედან ფეხს არ მოვიცვლიო!“ მეგი კი ჰოლივუდში გაფრენას მოითხოვს, როგორია, ა? — იღიმებოდა თაზო.

გიგომ ფიქრიანად შეხედა თაზოს და მისდა გასაკვირად თქვა:

— როგორია და... სატირელი!

ღამე.

„ბენზოკალონკასთან“ მსუბუქი ავტომანქანების უსაშველოდ გრძელ რიგში, გიგო და თაზო მანქანაში ისხდნენ. თაზოს ეძინა, გიგო თვლემდა. „მრავალუამიერი“ სულ უფრო ხმამაღლა ისმოდა.

გიგომ თვალები გაახილა.

ხალხი ძველ „ჰობედასთან“ შეკრებილიყო და ტკბილად მღეროდა მამა-პაპურ სიმღერას.

გიგო მანქანიდან გამოვიდა, მათ მიუახლოვდა.

– მოპრძანდით, მეგობარო...

მანქანის საბარგულზე დაფენილ გაზეთებზე ეყარა კიტ-რი, პამიდორი, პური, რომელსაც მანქანის ფარები ანათებდნენ. გაუპარსავმა ზონზროხა კაცმა ბოციდან ჭიქაში ღვინო ჩამოასხა და გიგოს გაუწოდა.

– დაგვლოცეთ!

გიგომ ჭიქა გამოართვა.

– პურს, სიყვარულს და ფანტაზიას გაუმარჯოს! – თქვა და დალია.

ვინდა არ იყო აქ! კახელი მეღვინე, სტუდენტი ბიჭები, უნივერსიტეტის პროფესორი, მანქანის მძღოლი, ანაფორიანი მღვდელი, კაცი კოზიროვიანი ქუდით – სტალინი რომ იხურავდა, ისეთით, და სხვანი. ისმოდა ნასვამი ხალხის მოკლე-მოკლე, პათეტიკური რეპლიკები:

გაუმარჯოს მეგობრობას!

– ურთიერთგამტანობას!

– სიყვარულს!

– „კონსოლიდაცია“, „კონსოლიდაცია!“ – გაჰყვიროდა შეზარხოშებული პროფესორი.

– იქნებ გაგვეცნო, მეგობრებო, ერთმანეთი! – თქვა მძღოლმა.

– მე ბესო მქვია.

– მე ამირანი!

– მე რუბენა!

– მე კაკო!

– მე ვარლამი, ამხანაგებო! – თქვა კიტელიანმა.

– მე მამა სერაფიონი... – თქვა ანაფორიანმა.

უცებ განათდა „ბენზოკალონეა“ (მოვიდა სინათლე). სუფრა თვალის დახამხამებაში ყველამ მიატოვა. ატყდა ალიაქოთი.

დაიწყო, მაგრამ რა დაიწყო!

დაიწყო მეორედ მოსვლა.

აყვირდა ყველა ერთად და ერთად ეცნენ ბენზინის „პისტოლეტს“. „კალონების“ ორივე მხრიდან ერთი თავის კანისტრისაკენ ექაჩებოდა, მეორე თავისისაკენ.

ერთიანად გამხეცდა იქაურობა.

მუჯლუგუნები.

ლანძღვა-გინება.

პიჯაკის ჩამოხეული ბორტები.

თავიდან მომძვრალი ქუდები.

„ნავიდა მეოთხეში ოცი ლიტრა“ – აღრიალდა რეპროდუქ-

ტორი..

აყვირდა ამირანი, რუბენა, კაკო:

– შენ ვინა ხარ? შენ საიდან გაჩნდი აქ?!?

– მე რუბენა ვარ?!?

– ამ ჩემს ფეხებს თუ არა ხარ!

ნაქცეული მოხუცის ტანზე გადადიოდა ჯან-ლონით სავსე ბრბო.

ამ დავიდარაბაში მღვდელმა – სერაფიონმა, თავისი დაკარგული ქუდის მაგივრად, იპოვა კოზიროკიანი „სტალინის ქუდი“ და თავზე ჩამოიცვა.

– რას სჩადიხართ! – ყვიროდა ის – ღვთის რისხვის გეშინოდეთ! ღმერთი არ გნამთ?!

– ამხანაგო, ერთი წუთით! – ხელი მოჰკიდა იღლიაში ვიღაცამ გიგოს, გვერდზე გაიყვანა (ამ „ვიღაცას“ დაკარგული სტალინის ქუდის მაგივრად, მამა სერაფიონის ჯვარმოქარგული ქუდი ეხურა, ტანზე კი კიტელი ეცვა).

– ხედავთ, რა ხდება?

– დიახ!

– მერე რას გავს ეს?

– საშინელებაა!

მღვდლის ქუდიანმა და კიტელჩაცმულმა გიგოს ყურში „უჩურჩულა“, „მაგრამ რატომღაც საკმაოდ ხმამაღლა:

– მაგარი ხელია საჭირო, მაგარი ხელი! თქვენ კი სატირის გადაღებას აპირებთ! – მერე ირონიით ნარმოსთქვა:

– „ტოტალიტარიზმი!“, „დიქტატურა!“ – ბოლოს, მკაცრად დაამატა – დიახ, „დიქტატურა“ და მხოლოდ „დიქტატურა!“ – ეს თუ უშველის ამ ბრბოს, დიახ – ბრბოს! მათთვის ორი მეთვალყურე არსებობს, ორად-ორი თვალი! კაგებეს თვალი და ღვთის თვალი! აირჩიეთ ბატონო, აირჩიეთ!

— კი მაგრამ — დაბნეულად თქვა გიგომ — ხომ არსებობს რა-  
ლაც მორალიც?

— მორალი არა, ის! — აგდებულად თქვა კაცმა — თქვენ რა,  
ციდან ჩამოვარდით, ამხანაგო!

— უკაცრავად, თქვენ ვინ ბრძანდებით?

— მე ბიკენტი გახლავართ „სტალინის“ საზოგადოებიდან —  
გახსოვთ, ერთხელ დაგირეცეთ!

გიგომ ბიკენტის თავზე დახურულ მღვდლის ქუდს შეხედა  
და რალაცა ღიმილისმავარი გამოკრთა მის სახეზე.

— ალბათ ისიც გახსოვთ, რა ადვილი იყო კომუნისტების  
დროს ფილმის გადაღება? — თქვა ისევ ბიკენტიმ.

— როგორ არა... მშობლებს დაგიჭერდნენ, დაგიხვრეტდნენ,  
და ფილმსაც გადაგაღებინებდნენ... კომუნიზმზე!

ბიკენტიმ ხელი „ბენზოკალონკისაკენ“ გაიშვირა...

— ეს ჯობია, აბა? რომ გაპკივით „დემოკრატიაო“. ეს არის  
თქვენი დემოკრატია?

— რას იზამთ, ეს გარდაუვალი პროცესია — თქვა გიგომ.

— რას ერჩოდით ამ კაცს? — ბიკენტიმ ხელი ეხლა პიედეს-  
ტალისკენ გაიშვიარა.

კინოკამერა ნელი სვლით უახლოვდება ცარიელ პიედეს-  
ტალს.

ჩაბნელება.

ჩაბნელებიდან (შავ-თეთრი გამოსახულება — კინო — კინოში).

სამსართულიანი რეკლამებით აჭრელებული მდიდრულად  
ნაშენები მონუმენტური სასახლე.

სახლთან ავტომატიანი მცველები დგანან.

ლამაზ, წინვნარიან ეზოში გაშლილ სუფრას უსხედან. შერ-  
მადინი, გრიშა, ხუტა და აბესალომი. უშველებელი ეზო წითე-  
ლი, დანაყული აგურით არის მოკირნყლული.

შერმადინს ღვინით სავსე ჭიქა უჭირავს ხელში, ლაპარა-  
კობს:

— ბუქნარს სამჯერ ხვდა წილად უდიდესი... სიმწარე. ერ-  
თხელ როდესაც იასონი დაიბადა, მეორედ, როდესაც იგივეია-  
სონი ჩვენს სანარმოს ხელმძღვანელობდა, და მესამე იქ, მაღ-  
ლა — თანამდებობაზე რომ დანიშნეს.

ჩვენ ყველაფერი გვახსოვს, ჩვენ არაფერი არ გვავინადეთ, გვახსოვს ისიც. როგორ გვამცირებდა!

- ერთხელ თავზეც კი დაგვაფსა... - ამბობს აბესალომი.
- მაგას რა დაგვავინებს! - ამბობს გრიშა.
- საჭირო იყო და, დაგვაფასა! - ჯიუტობს ხუტა.
- შენ ხმა ჩაიკინდე - ამბობს შერმადინი. გაისმის მანქანის მუხრუჭების ხრჭიალი.

ყველანი გალავნის კარებისაკენ გაიხედავენ.

იასონის ყოფილი სასახლე.

უცხოური მარკის ძვირადლირებული ლიმუზინი ჭიშკართან ჩერდება.

მის უკან ჯავშანტრანსპორტიორი.

მანქანიდან გადმოდის თანამედროვე, ფართხუნა კოსტიუმში გამოწყობილი, უშველებელი მამაკაცი - რაციით ხელში, მერე გადმოვა იასონიც, მასაც ფართხუნა შარვალი აცვია.

სუფრასთან მდგომნი გაოგნებულნი შესცეკრიან იასონს.

იასონი მოლანდებასავით დგას ალაყაფის კარებში.

ყველანი ფერდაკარგულნი მისჩერებიან იასონს და ხმას ვერ იღებენ.

ჯავშანტრანსპორტიორიდან თავს ამოყოფს შლემიანი კაცი.

- ეს ჩემი სასახლეც მიისაკუთრეთ არა?! - კბილებში გამოსცრის იასონი და შლემიანს გახედავს.

ჯავშანტრანსპორტიორის ლულა ამოძრავდება...

გაფითრებული სახეები.

- ბრუნავს ლულა, სამიზნეს გაუსწორდება, ჩერდება.

- საიქიოსაც დიდხანს გეყოლებით ტვინებში ჩაჭედილი - ამბობს იასონი და ხელს ჩამოიქნევს:

- პლი!!!

ავრორასავით იქუხებს ჯავშანტრანსპორტიორი.

- ავტომატიანი მცველები საპასუხო სროლას ატეხავენ. ჯავშანტრანსპორტიორის უკანა მხრიდან გამოვარდებიან თავიდან ფეხებამდე შეიარაღებული, გაურკვეველი სამხედრო ტანსაცმელში ჩაცმული ნიღბიანები. ისვრიან ორივე მხრიდან. ბრძოლა კულმინაციას აღწევს.

ინგრევა სასახლე, კვამლი დაფარავს იქაურობას. სიჩუმე, აბსოლუტური სიჩუმე.

იფანტება კვამლი. ვხედავთ გაუკაცრიელებულ მიდამოს, აღარც ხალხი, აღარც შენობა.

სიჩუმეს არღვევს ყვავ-ყორნების შემზარავი ხმები.

უპატრონო ეკლესიას თავს დასტრიალებენ ყვავები.

კინოს სახლი.

ინთება სინათლე, ისევ გრძელდება შავ-თეთრი გამოსახულება (ტაშს უკრავს ფეხზე ამდგარი ხალხი – გატენილ დარბაზში ფილმის მონანილენი სცენაზე ადიან (ეს ჩვენი ფილმის გმირებია), ძლიერდება აპლოდისტემენტები.

მსახიობებს თაიგულებით ამკობენ.

და ბოლოს, სცენაზე ადის გიგო... სმოკინგში გამოწყობილი და ბაფთიანი... აპლოდისმენტები ოვაციაში გადადის. გიგო დგას სცენაზე აღელვებული და ბედნიერი. მთავრდება გიგოს სიზმარი. მთავრდება შავ-თეთრი გამოსახულება.

სწორედ ამ წუთს, ამ ბედნიერ წუთს, გიგოს ალვიძებს ცოლი:

– გიგო, ადექი, ხალიჩის მყიდველები მოვიდნენ. გიგო თვალებს იფშვნეტს, მაგრამ ყურებში აპლოდისმენტები მაინც ესმის. ოჯახში გიგოსთან ვაჭრობაა გაჩაღებული.

იყიდება ხალიჩა, მყიდველები ორი თათარია, გამყიდველები გიგო და მისი ცოლი – ნატო.

– არა, ხაზეიკაჯან, მაგისი ყველაზე დიდი ფასი 50 დოლარია.

– როგორ გეკადრებათ – ამბობს ნატო – ეს ჩემი საგვარეულო ხალიჩაა, სულ ცოტა სამი საუკუნისაა, ხელით მოქსოვილი. სუფთა შალია... ჯერ მარტო ფერებს შეხედეთ! მინიმუმ ასი დოლარი...

ფერები კი, ქალბატონო-ხაზეიკაჯან... ორი დირკა რომ აქვს? რესტავრაციაში დიდი ფულის მიდის... ტამოუნაშიც. მეტი არ ღირს!

მეზობელი ოთახიდან ტელეფონის ხმა მოისმა. გიგო ოთახიდან გავიდა

მეორე ოთახში შევიდა, ყურმილი აილო.

— ბარსელონაა! დიახ, დიახ! გელოდებით — გიგომ პაპირო-  
სი ამოილო, მოუკიდა... ლუკა, შენ ხარ! — იყვირა უცებ — რა ამ-  
ბებია, ბიჭო? სერიოზულად?!

სასტუმრო ოთახში კი ვაჭრობა გრძელდება:

— არა, სამოცდაათ დოლარზე ნაკლებად, არავითარ შემ-  
თხვევაში! — ამბობდა გიგოს მეუღლე.

— ორი დირკა აქვს ქალბატონო-ხაზეიკაჯან! ორი დირკა!

ამ დროს სასტუმრო ოთახში გიგო შემოვიდა და კატეგო-  
რიულად თქვა:

— ათი ათასი დოლარი!

ყველამ გაკვირვებით შეხედა.

— ეს ხალიჩა ღირს ათი ათასი დოლარი, რასაც კაპიკი არ  
დააკლდება.

— ხუმრობ, ხაზეინ?

— ათი-ათასი დოლარი და მორჩია ბაზარი!

ბოლო ფრაზა ისეთი მრისხანებით წარმოსთქვა გიგომ, შე-  
შინებული ვაჭრები სახლიდან გავარდნენ.

— გიგო, რა ბზიკმა გიკბინა! — გაუწყრა ნატო — ხვალ-ზეგ  
ბიჭი ჩამოდის ესპანეთიდან. ელემენტარული სადილი არ და-  
ვახვედროთ?

— რატომ ელემენტარული! — თქვა გიგომ ამაყად — გილო-  
ცავთ, ქალბატონო ნატო, თქვენმა ბიჭმა ბარსელონაში „გრან-  
პრი“ მიიღო!

— არ გადამრიო! — თვალები გაუფართოვდა ნატოს — საი-  
დან! ეს შენ საიდან?

— იქიდან — „ქალბატონო-ხაზეიკაჯან“, იქიდან! წელან ლუკა  
იყო ტელეფონზე, ბარსელონადან დარეკა, „გრან-პრი“ მიიღო.

— გრან-პრი“, გიგო.

— დიახ, ქალბატონო ნატო, „გრან-პრი“ და ოცი ათასი დო-  
ლარი!

— რა ბედნიერებაა! როდის ჩამოდის.

— ზეგ თბილისში ვიქწებიო!

• • •

მანქანის (ტაქსის) სალონი.

ნახევრად განათებულ აეროპორტის გზაზე ტაქსი მოჰ-  
ქროდა.

უკანა სავარძელში ლუკა და მისი მეგობარი დათო ისხდნენ.  
რადიომიმღებიდან უცხოური სიმღერა ისმოდა.

— არა... ჩვენი სიმღერები უფრო მაგარია! — თქვა მძღოლმა.

— ეგ „ჩვენი“ რომელი, — ჰკითხა დათომ.

— ჩვენი ქართული რა!

— მაინც რომელი მოგწონთ?

— ნაპრომერ, „თბილისო“ — თქვა მძღოლმა, რადიოს ჩაუნია  
და წაიმღერა: „თბილისო... მზის და ვარდების მხარე“-ო. უშე-  
ნოდ, ცხოვრება არ მინდა-ააა“ რა, ფინთია?!

— არა, რატომ ფინთი, კარგია — თქვა დათომ და სიმღერა  
გააგრძელა... ოღონდ სასტიკად დაამახინჯა მოტივი. ლუკას  
გაეღიმა.

— მოიცა... შენ ეგ რას მღერი, — იკითხა მძღოლმა.

— როგორ რას, — გაიკვირვა დათომ — „თბილისოს“.

— აბა, კიდევ მიდი!

და დათომ უფრო გრძლად იმღერა და რაღაცა გაურკვევ-  
ლი, მერე ლუკაც აჲყვა სიმღერაში და ისინი დუეტით და „ჩახ-  
ლეჩილი“ ხმებით ისე ამახინჯებდნენ ამ შესანიშნავ სიმღერას,  
სიტყვები რომ არა, ვერ მიხვდებოდით, რას მღეროდნენ.

„— მედვედ ნა უხო ნასტუპილო“, ეგრეა რა თქვენი საქმე! —  
თქვა მძღოლმა და ამ „უსმენოებს“ დაუწყო სიმღერის სნავლე-  
ბა.

— ეგრე არა, არა, დამიგდეთ ყური... „უშენოდ ცხოვრებაც  
არ მინდა-აა“.

მეგობრები კი თავისას არ იშლიდნენ და ისევ წინანდებუ-  
რად მღეროდნენ.

— არა, ეგ თქვენ რაღაც ახალი მოტივი მოგიგონებიათ — უკ-  
ვე სერიოზულად გაბრაზდა მძღოლი და ხელი ჩაიქნია.

და უცებ ბიჭებმა ისეთი სიმღერა დასჭექეს, ისე გულია-  
ნად იმღერეს „თბილისო“, რომ მძღოლი კინაღამ ატირდა.

— ო, თქვე ბემურაზებო, თქვენა! მომღერლები ხართ?

— კონსერვატორის სტუდენტები — თქვა დათომ — აი ამ  
კაცს რომ უყურებ, არა, ესპანეთიდან მოდის, მომღერალთა  
მსოფლიო კონკურსზე მთავარი პრიზი მიიღო — „გრან-პრი“.

— კარგი რა!

— შენ თავს ვფიცავარ! — თქვა დათომ, ლუკა იღიმებოდა.

— მართლა კაცო? — მძღოლმა ლუკას გახედა.

— ნინ უყურე ბიძაჩემო! — თქვა დათომ — „გრან-პრი“ არ და-  
გვიმტვრიო!

— თანა გაქვთ?

— აბა, სადა!

— ასე ენგელსით შეგიძლია ახვიდე — თქვა ლუკამ.

— ავიდეთ ენგელსით! გინდათ მარქსით... გინდათ ლენინით!  
ოლონდ ავიდეთ — თქვა მძღოლმა დინჯად და იკითხა:

— შენ იძახი, მსოფლიო კონკურსი იყო არა. ნიუჟელი ქარ-  
თველ კაცზე უფრო მაგრად ვერავინ იმღერა? არ გენენინოს, რა!  
— ტამჟე ი იტალიანცი ბილი, არა?

— იტალიელები „პერ“ — თქვა ლუკამ — ერთი მაგარი მომ-  
ღერალი იყო სან-ფრანცისკოდან, გაცივდა და ფინალში ველარ  
იმღერა, თორემ მერხეოდა, „გრან-პრი“ ნალდი იმის იყო.

— ვინ იყო რო? — იკითხა მძღოლმა და სმენად იქცა.

— ვინ იქნებოდა სან-ფრანცისკოდან — თქვა დათომ — სო-  
მეხი, კანეჩნა!

— ვახ, რა ჯიგარი ხარ! — მძღოლმა გულიანად გადაიხარხა.

მანქანა ხუთსართულიან სახლთან გაჩერდა, მძღოლმა თა-  
ვი მოიკლა და ბიჭებს ფული არ გადაახდევინა.

— თქვენ ისეთი ჯიგრები ხართ!

დათომ მაინც დაუდო ფული „ბარდაჩოკზე“.

მძღოლს დაემშვიდობნენ, მანქანიდან გამოვიდნენ და სა-  
დარბაზოში შევიდნენ.

ჩაბნელებულ კიბეებზე რომ ადიოდნენ, ვიღაცამ ფანრით  
გაანათა ბიჭების სახეები.

— ეგ არი, ეგ! — თქვა ნამთვრალევმა ხმამ.

აიარეს თუ არა რამდენიმე საფეხური, შემზარავად მოეს-  
მათ:

— დოლარები, თორემ გაგათავებთ.

ლუკამ და დათომ მარჯვნივ მიიხედეს, მოკლე ავტომატი-  
ანი კაცი დალანდეს ნიღაბში.

მეორე მხარეს გაიხედეს, იქითაც იდგა ტიპი, ისიც ავტო-  
მატით. მერე მესამეც გამოჩნდა...

გიგო, მისი მეუღლე, თაზო, საბა და ლუკას ერთი მეგობარი, გახარებულები ელოდებოდნენ „გრან-პრის“ მფლობელს. დიდ ოთახში გაშლილ სუფრას ჩიტის რძე არ აკლდა. გაისმა ზარის ხმა. კარი გიგომ გააღო და ოთახში მყოფნი სიხარულით აღივსნენ.

კარებში იდგა ლუკა და მისი მეგობარი. ბიჭები დაბნეულები ჩანდნენ, მაგრამ ეს მხოლოდ რამდენიმე ნამს. მერე უცებისეთი სიმღერა დასჭექეს, კაციშვილი ვერ მიხვდებოდა, თუ მათ რაიმე შეემთხვათ.

– ჩემო კარგო ქვეყანავ, რაზე მოგიწყენია...

და ეს სიმღერა უცებ სხვა სიმღერაში გადაიზარდა, ყველანი სუფრას უსხდნენ.

მერე სიჩუმე ჩამოვარდა.

სიჩუმეში გაისმა საბას ჩახლეჩილი ხმა:

– ეს მარტო თქვენი გამარჯვება არ გახლავთ, ჩემო გიგო და ქალბატონო ნატო... ბედნიერია ერი, სადაც მოყვასს სხვისი გამარჯვება, თავისად მიაჩნია, ჩვენ სიყვარული გადაგვარჩენს, ჩემო კარგებო!

უნდა გენახათ, რა თვალებით უყურებდა დედა შვილს. აქ იყო სიხარულიც და სევდაც.

#### დილა იყო მზიანი

გიგო სამუშაო მაგიდასთან იჯდა, დაუმთავრებელი ფილმის კადრირებზე მუშაობდა. ოთახში ლუკა შემოვიდა ტრუსებისამარა და თქვა:

– მამა, „მარშრუტკის“ ფული მომეცი რა!

– შე მამაძალლო, ოცი ათასი დოლარი პრემია შენ მიიღე და ფულს მე მოხოვ!

– ხო კარგი, თუ მაძლევ, მომეცი.

– კი მაგრამ...

– კაი რა, მამა... ის ფული შვეიცარიის ბანკშია!

– რომელ ბანკში? – გიგომ შეაჭყო, რომ ვაჟი რაღაცას მალავდა. არადა, ეს მას არ ეხერხებოდა.

გიგო თითქოს რაღაცას მიხვდა. პაპიროსი ამოიღო, ასანთი გაკრა.

პაუზა.

ლუკა სკამზე ჩამოჯდა. მოწყენილი ჩანდა. ეს გიგომ მხო-  
ლოდ ეხლა შეამჩნია.

— მამა... ის დოლარები გუშინ ნამართვეს.

პაუზა...

— ნუხელ... ჩვენს სადარბაზოში.. სამნი იყვნენ... ავტომა-  
ტებით.

პაუზა...

